

34(37)  
8-84

ავით ბოსტოლანაშვილი  
ნუგზარ სურგულაძე

რომის  
სამართლის  
საფუძვლები



34 (37)  
8-24

დავით ბოსტოლანაშვილი  
ნუგზარ სურგულაძე

# რომის სამართლის საფუძვლები

საქართველოს იუსტიციის  
ბიბლიოთეკის ფონდის რუსთაველის  
საპუბლიკო უნივერსიტეტის  
ბიბლიოთეკა  
№ 69148

გამომცემლობა მერიდიანი  
თბილისი 2024

წინამდებარე სახელმძღვანელოს საფუძვლად უდევს რომის სამართლის პირველწყაროები. ნაშრომში მოკლედ და მარტივადაა გადმოცემული რომის სამართლის საფუძვლები და ძირითადად კერძო სამართლის საკითხებია მიმოხილული.

სახელმძღვანელო განკუთვნილია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის, ასევე რომის სამართლით დაინტერესებული პირებისათვის.

რედაქტორი: მარინა გარიშვილი, თსუ იურიდიული  
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

სახელმძღვანელო გამოიცა აღმოსავლეთ  
ევროპის უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით

© დავით ბოსტოლანაშვილი, ნუგზარ სურგულაძე, 2024  
გამომცემლობა „მერიდიანი“

ISBN 978-9941-34-530-2

## სარჩევი

წინასიტყვაობა .....	5
1. რომის სამართლის მნიშვნელობა და პერიოდიზაცია.....	8
1.1. რომის სამართლის რეცეფცია, სამართალი და სამართლიანობა, საჯარო და კერძო სამართალი.....	8
1.2 რომის სახელმწიფოსა და სამართლის პერიოდიზაცია.....	14
2. რომის სახელმწიფო სამართალი .....	16
2.1 რომის სახელმწიფოს წარმოშობა და მონყობა რეესების ხანაში.....	16
2.2 სერვიუს ტულიუსის რეფორმები .....	18
2.3 რომის სახელმწიფოს მონყობა რესპუბლიკის ხანაში	20
2.4 რომის სახელმწიფო მონყობა იმპერიის ხანაში .....	24
3. რომის სამართლის წყაროები .....	26
3.1 ჩვეულებითი სამართალი.....	26
3.2 კანონი, კანონიერი სარჩელები .....	27
3.3 მაგისტრატთა ედიქტები .....	29
3.4 იურისტთა მოღვაწეობა .....	30
3.5 XII ტაბულის კანონები .....	31
3.6 რომის სამართლის კოდიფიკაციები .....	32
4. პირები რომის სამართალში .....	35
4.1 პირთა სტატუსი.....	35
4.2 რომაელ მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობა .....	37
4.3 არარომაელთა უფლებრივი მდგომარეობა .....	39
4.4 მონების უფლებრივი მდგომარეობა.....	40
4.5 კოლონები .....	44
4.6 იურიდიული პირები .....	44
5. რომის საოჯახო სამართალი .....	46
5.1 რომაული ოჯახი, აგნატური და კოგნატური ნათესაობა.....	46
5.2 ნიშნობა.....	46
5.3 ქორწინება.....	48
5.4 ქორწინების შეწყვეტა .....	54

5.5. ოჯახის წევრთა უფლებრივი მდგომარეობა.....	54
5.6 მამის ხელსუფლება.....	55
5.7 მეურვეობა და მზრუნველობა.....	58
<b>6. სასამართლო პროცესი რომში.....</b>	<b>62</b>
6.1 რომის საპროცესო სამართლის ზოგადი დახასიათება.....	62
6.2 ლეგისაქციური პროცესი.....	63
6.3 ფორმულარული პროცესი.....	67
6.4 ექსტრაორდინალური პროცესი.....	73
<b>7. რომის სანივთო სამართალი.....</b>	<b>74</b>
7.1 ნივთების კლასიფიკაცია.....	74
7.2 საკუთრების უფლება, მფლობელობა, ჭერა.....	80
7.3 საკუთრების უფლების წარმოშობა.....	83
7.4 საკუთრების უფლების შეწყვეტა, თანასაკუთრება ...	95
7.5 საკუთრების უფლების დაცვა.....	95
7.6 უფლება სხვის ნივთზე (სერვიტუტები).....	96
<b>8. რომის ვალდებულებითი სამართალი.....</b>	<b>100</b>
8.1 რომის ვალდებულებითი სამართლის ზოგადი დახასიათება.....	100
8.2 სახელშეკრულებო სამართალი.....	115
8.3 კვაზი ხელშეკრულებები.....	134
8.4 დელიქტები.....	138
8.5 კვაზი დელიქტები.....	149
<b>9. რომის მემკვიდრეობითი სამართალი.....</b>	<b>155</b>
9.1 მემკვიდრეობითი სამართლის ზოგადი დახასიათება.....	155
9.2 ანდერძით მემკვიდრეობა.....	158
9.3 კანონით მემკვიდრეობა.....	163
<b>10. სისხლის სამართალი.....</b>	<b>168</b>
10.1 სასჯელთა სახეები.....	168
10.2 დანაშაულის სახეები.....	169
<b>ბიბლიოგრაფია.....</b>	<b>171</b>

## წინასიტყვაობა

წინამდებარე სახელმძღვანელოს საფუძვლად უდევს რომის სამართლის პირველწყაროები, მათ შორის: იუსტინიანეს ინსტიტუციები<sup>1</sup>; გაიუსის ინსტიტუციები<sup>2</sup>; იუსტინიანეს დიგესტები<sup>3</sup>. ასევე – პლუტარქესა<sup>4</sup> და ტიტუს ლივიუსის<sup>5</sup> თხზულებები. ასევე – სხვადასხვა დროს გამოცემული ქართულენოვანი

---

1 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002.

2 რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011.

3 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი მესამე, წიგნი მეოთხე ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი მეხუთე, წიგნი მეექვსე, წიგნი მეშვიდე, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი მერვე, წიგნი მეცხრე, წიგნი მათე, წიგნი მეთერთმეტე, ლათინურიდან თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი ოცდამესამე. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, ნეკერი, 2001.

4 პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1975

5 ИСТОРИКИ РИМА, переводы с латинского, Москва, 1969 г.

სახელმძღვანელოები დერნბურგის<sup>6</sup>, პერეტერსკის<sup>7</sup>, ვალერიან მეტრეველის<sup>8</sup>, გიორგი ნადარეიშვილის<sup>9</sup>, მარინა გარიშვილისა და მარიამ ხოფერიას<sup>10</sup> ავტორობით. ასევე უცხოენოვანი სახელმძღვანელოები<sup>11</sup>. სახელმძღვანელოს შენიშვნებში მითითებულია მხოლოდ პირველწყაროები, დანარჩენი ადგილები კომპილაციური ხასიათისაა ან წარმოადგენს ავტორთა ინტერპრეტაციას. ნაშრომში მოკლედაა გადმოცემული რომის სამართლის საფუძვლები და ძირითადად კერძო სამართლის საკითხები მიმოხილული.

სახელმძღვანელო განკუთვნილია სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის, ასევე რომის სამართლით დაინტერესებული პირებისათვის. შესაბამ-

---

6 დერნბურგი პ., პანდექტები, ტომის პირველი, ზოგადი ნაწილი, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, ტფილისი 1928. ასლი გამოიცა გამომცემლობა ბონა კაუზა, თბილისი, 2014 წ.

7 პერეტერსკი ი.ს., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, ნაწილი 1, ძველი სამყარო, ნაკვეთი 2, ძველი რომი, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 1947წ.

8 მეტრეველი ვ., რომის სამართალი (საფუძვლები), გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2013.

9 ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, გამომცემლობა ბონა კაუზა, თბილისი, 2001 წ.

10 გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2013 წ.

11 Барон Ю., Система римского гражданского права в шести книгах, Санкт-Петербург. Юридический центр Пресс, 2005. Бартошек М., Римское право. Понятия, термины, определения, Москва, Юридическая литература, 1989. Гарсиа-Гарридо М. Х., Римское частное право: Казусы, иски, институты, перев. с испанского, ответ. ред. Кофанов Л.Л., Москва, Статут, 2005. Гримм Д.Д., Лекции по догме римского права, под ред. Томсинова В.А., Москва, Зерцало, 2003. Дождев Д.В., Римское частное право, учебник для ВУЗов, Москва, Норма, 2004. Dulckeit G., Schwarz F., Waldstein W., Römische Rechtsgeschichte, C.H.Beck'sche Verlagsbuchhandlung, München, 1995. Hausmaninger H., Selb W, Römisches Privat Recht, Böhlau verlag, Wien, Köln, Weimar, 2001. Meincke J. P., Römisches Privatrecht, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2016. და სხვა.

ისად, მასში მოკლედ და მარტივადაა გადმოცემული რომის სამართლის საფუძვლები.

„ვინცებთ რა რომაელი ხალხის სამართლის გადმოცემას, მიგვაჩნია, რომ იგი ყველაზე უკეთ შეიძლება გადმოიცეს იმ შემთხვევაში, თუ ცალკეული საკითხების ახსნა თავდაპირველად ადვილად და მარტივად იქნება გადმოცემული, ხოლო შემდეგ კი უფრო დანვრილებით და მეტი სიზუსტით, თორემ, თუ ჩვენ თავიდანვე მოსწავლის ჯერ კიდევ გამოუცდელსა და სუსტ გონებას მაშინვე უხვი და მრავალმხრივი მასალით დავტვირთავთ, ორიდან ერთ შედეგს მივიღებთ: იგი ან სწავლას მიატოვებს, ან კიდევ დიდი ჯაფითა და ხშირად გაუბედაობითაც კი უფრო გვიან მივიყვანთ მას იმ შედეგებამდე, რის მიღწევასაც იგი უფრო ადვილი გზით, უფრო ადრე შესძლებდა.“<sup>12</sup>

---

12 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, ნინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002, გვ.12

## 1. რომის სამართლის მნიშვნელობა და პერიოდიზაცია

### 1.1. რომის სამართლის რეცეფცია, სამართალი და სამართლიანობა, საჯარო და კერძო სამართალი

#### რომის სამართლის რეცეფცია

რომის სამართალმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კონტინენტური ევროპის სამართალგანვითარებაზე. მისი ჩამოყალიბების საბოლოო ეტაპად მიჩნეულია იუსტინიანეს (ბიზანტიის იმპერატორი 527-565 წლებში) საკოდიფიკაციო საქმიანობა. დასავლეთ რომის იმპერიის დაცემისა და აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერიის დასუსტების ფონზე რომის სამართლის შესწავლის ინტერესი არ განელებულა. რომის სამართლის რეცეფციის<sup>13</sup> საწყის ეტაპად XII საუკუნეა მიჩნეული, როდესაც ბოლონიის უნივერსიტეტში ჩაეყარა საფუძველი გლოსატორთა საქმიანობას. გლოსატორებში იგულისხმება ბოლონიის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორები და მათი მოსწავლეები, რომელთაც ხელი მიჰყვეს რომის სამართლის შესწავლას. ეცნობოდნენ რა იუსტინიანეს საკოდიფიკაციო საქმიანობის შედეგებს, ისინი გლოსებს (განმარტებებს, შენიშვნებს) აკეთებდნენ, რათა შინაარსი უფრო გასაგები ყოფილიყო. გლოსატორთა საქმიანობას სათავეში ირნერიუსი<sup>14</sup> ედგა. XIV საუკუნიდან ბოლონიის უნივერსიტეტში ასპარეზზე გამოდიან პოსტგლოსატორთა სკოლის წარმომადგენლები. ისინი ცვლიან კომეტარების ხასიათს და ცდილობენ გაამარტივონ რომის სამართლის მოთხოვნები, მოარგონ ისინი თანამედროვეობას. ბოლონიის უნივერსიტეტის შემდგომ, დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში რომის სამართლის შესწავლა საუნივერსიტეტო განათლების ნაწილად იქცა. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ხშირად მაღალ (მათ შორის მოსამართლის) თანამდებობებს იკავებდნენ, რაც ბუნებრივად უწყობდა ხელს რომის სამართლის პრაქტიკა-

13 რეცეფცია მიღებას, სესხებას გულისხმობს.

14 ბოლონიის უნივერსიტეტის პროფესორი, დაახ. 1050-1175 წწ.

ში დამკვიდრებას. მოგვიანებით, როდესაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (გერმანულ სახელმწიფოებსა და საფრანგეთში) ახალი სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციები ჩამოყალიბდა, მათ საფუძვლად უპირატესად სწორედ რომის სამართალი დაედო. სწორედ ამიტომ ვუნოდებთ კონტინენტური სამართლის ოჯახს სხვაგვარად რომაულ-გერმანული სამართლის ოჯახს. ალსანი-შნავია, რომ ქართული სამართალი ასევე რომაული სამართლის ტრადიციულ მიდგომებს იზიარებს. ყოველივე ამას თავისი ისტორიული წანამძღვრები გააჩნია. ქართლის მეფის ვახტანგ VI-ს მიერ შედგენილ სამართლის წიგნთა კრებულში (1703-1709 წწ.) შესულია ასევე რომის სამართლის წყაროები: იგულისხმება ბერძნული სამართლის ქართული ვერსია, რომლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა კონსტანტინე არმენოპულოს ექვსწიგნეული (1345 წ.) და სომხური სამართლის ქართული ვერსია, რომლის პირველი ნაწილი სირიულ-რომაული სამართალია (შედგენილია დაახლოებით V ს.).

### სამართალი და სამართლიანობა

დღემდე სამართლისა და სამართლიანობის რაობაზე არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული. ვიდრე რომის სამართლის ცალკეული საკითხების შესწავლაზე გადავალთ, სასურველია გავეცნოთ რომელი იურისტების შეხედულებებს ამ საკითხებზე.

„სამართლიანობა არის უცვლელი და მუდმივი ნება თითოეულისათვის თავისი უფლების მინიჭებისა.“<sup>15</sup>

„იურისპრუდენცია (სამართალმცოდნეობა) არის საღვთო და ადამიანური საქმეების შეცნობა, მეცნიერება სამართლიანისა და უსამართლოს შესახებ.“<sup>16</sup>

„სამართალი არის სიკეთისა და სამართლიანობის ხელოვნე-

---

15 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002, გვ.12

16 იქვე.

ბა.<sup>17</sup>

„ჩვენ დამსახურებულად შეიძლება გვინოდონ სამართლის ქურუმები, რადგან თაყვანს ვცემთ სამართლიანობას და ვაყვლენთ კეთილისა და სამართლიანის რაობას, გამოვყოფთ რა სამართლიანს უსამართლოსაგან, ვასხვავებთ ნებადართულს ნებადაურთველისაგან, და გვსურს რომ კეთილი [საქმე] შერუღდეს არა მხოლოდ სასჯელის შიშით, არამედ ჯილდოს [მიღების] სურვილით.“<sup>18</sup>

„სამართლის დანაწესებია: პატიოსნად ცხოვრება, სხვისთვის ზიანის არმიყენება, თითოეულისათვის თავისის მიზღვა.“<sup>19</sup>

„სამართლის შემსწავლელს, უპირველეს ყოვლისა, იმის ცოდნა მართებს, თუ საიდან მომდინარეობს სამართლის სახელწოდება. სახელი „სამართალს“ („ius“) „სამართლიანობისაგან“ („iustitia“) ეწოდა.“<sup>20</sup>

### საჯარო და კერძო სამართალი

კონტინენტური ევროპის სამართალი დღემდე ანიჭებს მნიშვნელობას სამართლის დაყოფას კერძო და საჯარო სამართლად. ეს მოვლენა სათავეს რომის სამართლიდან იღებს.

„რომაელი იურისტები სამართალს ორ ნაწილად ყოფდნენ: საჯარო და კერძო. საჯაროა ის სამართალი, რომელიც რომის

---

17 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები, ნიგნი პირველი, ნიგნი მეორე ლათინურიდან თარგმანა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, გვ. 59.

18 იქვე.

19 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმანა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002, გვ. 13.

20 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები, ნიგნი პირველი, ნიგნი მეორე ლათინურიდან თარგმანა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, გვ. 59.

სახელმწიფოს მდგომარეობას ეხება, კერძო სამართალი კი – კერძო პირების სარგებელს (ინტერესს), ვინაიდან სარგებელი არის როგორც საჯარო, ასევე – კერძო.<sup>21</sup>

საჯარო სამართალი მოიცავს საღმრთო ნივთებს (sacrae), ქურუმებისა (sacerdos) და მაგისტრატების (magistratus) მდგომარეობას.<sup>22</sup>

„კერძო სამართალი სამ ნაწილად იყოფა, რადგან იგი მოიცავს ბუნებითს, ხალხთა და ცივილურ დანაწესებს“.<sup>23</sup>

ბუნებითი სამართალი ყველა ცოცხალ არსებას ეხება, ხალხთა სამართალი ყველა ადამიანს, ხოლო ცივილური სამართალი ერთ სახელმწიფოში მცხოვრებ ადამიანებს. რომაელები თავიანთ ცივილურ სამართალს სხვაგვარად კვირიტულ სამართალსაც უწოდებდნენ, რადგანაც თავიანთ თავს კვირიტებად<sup>24</sup> მოიხსენიებდნენ. რომაელთა ცივილური (კვირიტული) სამართალი მოიცავდა როგორც დანერილ სამართალს (კანონები, მაგისტრატების ედიქტები და სამართალმცოდნეთა პასუხები), ასევე დაუწერელ სამართალს (ჩვეულებები). პრეტორთა საქმიანობის შედეგად კი ცივილური სამართლის ფარგლებში განარჩევდნენ ასევე პრეტორულ, ანუ საპატიო სამართალსაც.

„ბუნებითა სამართალი (ius naturale), რომელიც ბუნებამ ყველა ცხოველს ასწავლა, ვინაიდან ეს დამახასიათებელია არა მარტო ადამიანთა მოდგმისათვის, არამედ ყველა ცხოველისათვის, რომელიც ან ცაში, ან მიწაზე და ან ზღვაში იბადება. აქედან(ვე) მომდინარეობს მამაკაცისა და ქალის კავშირი, რასაც ჩვენ ქორწინებას ვუწოდებთ, აგრეთვე – ბავშვების გაჩენა და აღზრდა. მართლაც, ჩვენ ვხედავთ, რომ [ადამიანის გარდა] ამ სამართლის ცოდნას ავლენენ სხვა ცხოველებიც.“<sup>25</sup>

---

21 იქვე.

22 იხ. იქვე, გვ. 59-60.

23 იქვე, გვ. 60.

24 ქალაქ რომის ძირძველი მოსახლეობა.

25 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002, გვ. 13.

„ხალხთა სამართალი (ius gentium) არის ის [სამართალი], რომელსაც ადამიანთა მოდგმა იყენებს, და რომლის განსხვავება ბუნებითი სამართლისაგან ადვილი გასაგებია, რადგან ეს უკანასკნელი საერთოა ყველა ცხოველისათვის, პირველი კი – მხოლოდ ადამიანებისათვის.“<sup>26</sup>

„ცივილური (Ius civile) და ხალხთა სამართალი (ius gentium) შემდეგნაირად იყოფა: ყოველი ხალხი, რომელსაც კანონები ან ჩვეულებები მართავს, ნაწილობრივ თავის საკუთარ სამართალს იყენებს და ნაწილობრივ – ყველა ადამიანისთვის საერთო სამართალს. ვინაიდან, ის სამართალი, რომელიც თითოეულმა ხალხმა თავად დაადგინა საკუთარ სამართლად, არის თავად ამ სახელმწიფოს საკუთარი სამართალი და მას ეწოდება ცივილური, ე.ი. თავად ამ სახელმწიფოს (civitas) საკუთარი სამართალი.“<sup>27</sup>

„სამართალს, რომელიც ბუნების გონმა ყველა ადამიანს შორის დაანესა, თანაბრად იცავს ყველა ხალხი და მას ეწოდება ხალხთა სამართალი (ius gentium), ე.ი. [სამართალი], რომელსაც ყველა ხალხი იყენებს. ამრიგად, რომელი ხალხი ნაწილობრივ იყენებს თავის სამართალს, ნაწილობრივ [კი] – ყველა ადამიანისათვის საერთო სამართალს.“<sup>28</sup>

„ცივილური სამართალი თავის სახელწოდებას თითოეული სახელმწიფოსაგან იღებს, მაგალითად, ათენის [სამართალი]. სამართალს, რომლითაც რომელი ხალხი სარგებლობს, ჩვენ ვუწოდებთ რომაელთა (რომის) ცივილურ სამართალს, [ე.ი. სამართალს], რომელსაც კვირიტები იყენებენ, ვინაიდან რომაელები კვირიტებად იწოდებიან.“<sup>29</sup>

26 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე ლათინურიდან თარგმანა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, გვ. 60.

27 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმანა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002, გვ. 13.

28 იქვე.

29 იქვე, გვ.13-14.

„ხალხთა სამართალი საერთოა ადამიანთა მთელი მოდგმისათვის. ვინაიდან საჭიროებისა და ადამიანთა მოთხოვნილებების გამო ზოგიერთმა ხალხმა თავისთვის [წესები] შემოიღო, რადგან ატყდა ომები და ამას მოყვა ტყვეობა და მონობა, რაც ბუნებითი სამართლის სწინააღმდეგოა. ვინაიდან ბუნებითი სამართლით ყველა ადამიანი თავისუფალი იბადება. ამავე ხალხთა სამართლით შემოიღეს თითქმის ყველა ხელშეკრულება, როგორცაა მაგალითად ნასყიდობის, ქირავნობის, ამხანაგობის, შენახვის, სესხისა და სხვა მრავალი.“<sup>30</sup>

„ხოლო ჩვენი (ცივილური) სამართალი მოიცავს დანერგულ და დაუნერგულ [სამართალს]. ისევე, როგორც ბერძნებს ჰქონდათ, როგორც დანერგილი, ასევე დაუნერგელი სამართალი. დანერგილ სამართალს შეადგენს კანონი, პლებსის გადაწყვეტილება, სენატის გადაწყვეტილება, პრინციპუსის დადგენილებანი, მაგისტრატების ედიქტები და სამართალმცოდნეთა პასუხები.“<sup>31</sup>

ius honorarium ანუ ius praetorium

„პრეტორთა ედიქტებსაც სამართალში არცთუ მცირე მნიშვნელობა აქვთ. მათ ჩვენ, ჩვეულებრივ, „საპატიო სამართალსაც“ ვუნოდებთ, ვინაიდან ამ სამართალს ავტორიტეტი საპატიო თანამდებობების მფლობელებმა, ე.ი. მაგისტრატებმა შეუქმნეს.“<sup>32</sup>

„დაუნერგელი [სამართლიდან] წარმოიშვა ის სამართალი, რომელიც ჩვეულებით იქნა დამტკიცებული. მართლაც, დიდი ხნის (ხანგრძლივი) ჩვეულებები, იმ პირთა შეთანხმებით მიღებული, რომლებიც მათ იყენებენ, კანონებს უთანაბრდება.“<sup>33</sup>

„ბუნებითი სამართლის ნორმები, რომელთაც ყველა ხალხი თანაბრად იცავს და რომლებიც რაღაც ღვთის განგებით იქნა დანესებული, მუდამ [იურიდიული] ძალის მქონე და უცვლელი რჩება, ხოლო ის ნორმები, რომლებიც თითოეულმა სახელმწიფომ თავისთვის თავად დაადგინა, ჩვეულებრივ, ხშირად იცვლება ან ხალხის მღუმარე შეთანხმებით და ან შემდგომში გამოცე-

30 იქვე, გვ.14.

31 იქვე.

32 იქვე, გვ.15.

33 იქვე.

მული სხვა კანონით.<sup>34</sup>

## 1.2 რომის სახელმწიფოსა და სამართლის პერიოდიზაცია

რომის სახელმწიფოს პერიოდიზაცია ქალაქ რომის დაარსებიდან იწყება (ძვ. წ. 754 წ.) და სამ ძირითად პერიოდს მოიცავს, ესენია:

1. რექსების ხანა (VIII-VI სს);

რექსების ხანაში ცალკე აღნიშვნის ღირსია სერვიუს ტულიუსის რეფორმები (578-533);

2. რესპუბლიკის ხანა (V-I სს);

3. იმპერიის ხანა (I-V სს).

რომის სამართლის განვითარების პერიოდიზაცია არ ემთხვევა სახელმწიფოს განვითარების პერიოდიზაციას და ხუთ ეტაპს მოიაზრებს, ესენია:

1. არქაული პერიოდი (ძვ.წ. 754-367წწ.) – (ქალაქ რომის დაარსებიდან, პრეტორის თანამდებობის შემოღებამდე)

ესაა უძველესი, ანუ კვირიტული სამართლის მოქმედებისა და რომაული სამართლის ცალკეული ინსტიტუტების ფორმირების საწყისი პერიოდი. ამ პერიოდში სამართალწარმოება ქურუმების ხელში იყო; ამავე პერიოდს განეკუთვნება XII ტაბულის კანონების ფორმირება და ლეგისაქციური პროცესის (სამართალწარმოების) დამკვიდრება.

2. წინაკლასიკური პერიოდი (ძვ.წ. 367-176წ.)

ამ პერიოდში იხვეწება არსებული სამართლის ინსტიტუტები, გამოიცემა ახალი კანონები, პრეტორთა ედიქტები; ლეგისაქციურ პროცესს თანდათან ანაცვლებს ფორმულარული პროცესი.

3. კლასიკური პერიოდი (ძვ.წ. 17-ახ.წ. 235წწ.)

საბოლოო სახეს იღებს სამართლის ინსტიტუტები; სამართლის წყაროთა შორის ჩნდება სენატუსკონსულტები, პრინციპის კონსტიტუციები, იურისტთა პასუხები. გამოიცა „მუდმივი ედიქტი“ (131 წ.). შემოდის ექსტრაორდინალური პროცესი.

4. პოსტკლასიკური პერიოდი (IV-V სს)

განსაკუთრებით ვითარდება საიმპერატორო კანონმდებლობა. სამართლის ძირითად წყაროს კანონები წარმოადგენენ.

---

34 იქვე, გვ.16.

მიღებულ იქნა კანონი ციტირების შესახებ (426 წ.) ადგილი აქვს კანონმდებლობის კოდიფიკაციის მცდელობებს. სამართალწარმოება ძირითადად სახელმწიფოს მოხელეთა ფუნქცია ხდება.

#### 5. იუსტინიანეს პერიოდი (527-565 წწ)

აღსანიშნავია იუსტინიანეს საკოდიფიკაციო საქმიანობა, რომლის შედეგად საბოლოოდ ჩამოყალიბდა სამოქალაქო სამართლის კრებული (corpus iuris civilis).

## 2. რომის სახელმწიფო სამართალი

### 2.1 რომის სახელმწიფოს წარმოშობა და მოწყობა რექსების ხანაში

ქალაქი რომი წარმოიშვა იტალიკური ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე, რომელთა რიცხვსაც მიეკუთვნებოდნენ ლათინები.

რომის დაარსებასთან დაკავშირებით არაერთი გადმოცემა არსებობს პელასგების მიერ ამ ტერიტორიის დაპყრობიდან დაწყებული, რომულუსისა და რემის შესახებ ლეგენდით დამთავრებული<sup>35</sup>.

რომის ტერიტორიის შედგენილია შვიდი სოფლისაგან, რომელიც ფრანკანეთის მეზობლად განლაგებულ ბორცვებზე იყო გაშენებული. ყველაზე აღარ მოსახლეობა გაჩნდა კაპიტოლიუმისა და კვირინალუსის ბორცვებზე. საბოლოო ფაზაში შვიდივე დასახლების გაერთიანებას მოჰყვა ქალაქ რომის დაარსება.

რომის აშაღლებას ხელს უწყობდა ხელსაყრელი ადგილმდებარეობა და კლიმატი. იგი წარმოადგენდა ბუნებრივ სიმაგრეს რაც მისი არსებობის საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო.

იტალიკური ტომების უძველეს სოციალურ უჯრედს გვარი (gens) და კურია (curia) წარმოადგენდა. კურიაში შემავალი გვარების გამაერთიანებელი ცენტრი იყო სამსხვერპლო ტრაპეზი ანუ ტაძარი. კურიის კრებებს სამხედრო-რელიგიური დანიშნულება გააჩნდათ, რომელშიც მონაწილეობას ზრდასრული მამაკაცები იღებდნენ. კურიის კრებებთან ერთად ყველა იტალიკურ ხალხს ჰყავდა კიდევ უზუცესთა საბჭო ანუ სენატი.<sup>36</sup>

რექსების ხანაში (სერვიუს ტულისუსის რეფორმებამდე) რომის სახელმწიფო მოწყობა მთლიანად გვაროვნულ პრინციპზე იყო აგებული. ხელისუფლების სათავეში იდგა რექსი.

35 იხ. პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1975, 55-66.

36 იხ. სერგეევი ვ.ს., ძველი რომის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი I, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1940, გვ.გვ. 37-38.

მოსახლეობა დაყოფილი იყო 30 გვარად, რომლებიც ერთიანდ-  
ნებოდნენ 30 კურიად, ხოლო 30 კურია გაერთიანებული იყო  
3 ტრიბად (ტომად). სახალხო კრების სახეობას კურიის კრება  
წარმოადგენდა (comitia curiata). რომის სენატში გვარის უხუ-  
ცესები შედიოდნენ.

Rex (ბერძნულად – ბასილევსი), იგივე ტომის ბელადი იყო,  
რომელსაც გააჩნდა სამხედრო, სასამართლო და სასულიერო  
ფუნქციები. რექსის თანამდებობა არჩევითი იყო და მისი გადაყ-  
ენება შეეძლო სახალხო კრებას და სენატს.

რომის ისტორიაში სულ შვიდი რექსი იყო, რომელთა შორის  
უნდა დავასახელოთ ქალაქ რომის დამაარსებელი რომულუ-  
სი (754-717) და სერვიუს ტულიუსი (578-533), რომელმაც მნიშ-  
ვნელოვანი რეფორმები გაატარა. უკანასკნელი რექსი ტარკ-  
ვინიუს ამაყი 509 წელს განდევნილი იქნა რომიდან.

რომი სამ ტრიბად იყოფოდა. მათ სათავეში მდგომ პირებს  
ტრიბუნები ეწოდებოდა. ეს გახლდათ გვაროვნული ტრიბები;  
თითოეული ტრიბა თავის მხრივ ათი კურიისგან შედგებოდა;  
სულ რომში 30 კურია იყო, თითოეულ კურია კი 10 გვარისაგან  
(gens) შედგებოდა ანუ სულ 300 გვარი.

კურიის კრება – comitia curiata სახალხო კრების უძველეს  
სახეს წარმოადგენდა; სულ 30 კურია იყო და შესაბამისად  
30 კურიის კრება; თითოეულ კურიას თითო ხმა ქონდა, გად-  
ანწყვეტილების მისაღებად საკმარისი იყო 16 ხმა.

კურიის კრებაზე იხილებოდა ომისა და ზავის, რექსის  
არჩევის, სიკვდილმისჯილის განაჩენის გადასინჯვის, შვილად  
აყვანის, ანდერძით მემკვიდრეობისა და სხვა საკითხები.

ყოველ კურიას გამოყავდა ქვეით ჯარისკაცთა ერთი ასეუ-  
ლი (ცენტურია) და მხედართა ათეული. ამდენად რომაელთა  
ლაშქარი რექსების ხანაში 3000 ქვეითსა და 300 მხედარს შეად-  
გენდა.

**სენატი (უხუცესთა საბჭო) – senatus**

რომულუსის პერიოდიდან სენატი 100 წევრისაგან შედგებო-  
და, მასში გვარის უხუცესები (patres) შედიოდნენ, საბინელებთან  
ომისა და შერიგების შემდეგ მათი რიცხვი 200-მდე იზრდებოდა.

სენატის წევრთა რიცხვი  
ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბიბლიოთეკა  
№

ხანის დასასრულს კი – 300.

სენატი იძლეოდა დასკვნებს სახალხო კრებაზე განსახილველ საკითხებზე, ამტკიცებდა ან აუქმებდა დადგენილებებს, ამტკიცებდა რექსს, განიხილავდა საგარეო ურთიერთობის საკითხებს, ზედამხედველობდა კურიის კრებებს და ახორციელებდა რექსის ხელისუფლებას უმეფობის პერიოდში ახალი რექსის არჩევამდე.

ქალაქ რომის მოსახლეობა ამ პერიოდისათვის შემდეგ კატეგორიებად იყოფოდა:

**პატრიციები** – რომის სრულუფლებიანი მოქალაქეები, რომელთა ხელში თავმოყრილი იყო პოლიტიკური უფლებები;

**კლიენტები** – პატრიციებზე დამოკიდებული მოსახლეობის ნაწილი; პატრონი კლიენტს იცავდა სასამართლოებში, ეხმარებოდა რჩევებით, უხსნიდა კანონებს, ხოლო კლიენტი ემსახურებოდა პატრონის ინტერესებს; პატრონებსა და კლიენტებს სასამართლოში ერთმანეთის საწინააღმდეგო ჩვენების მიცემის უფლება არა ქონდათ.

**პლებეები** – პირადად თავისუფალი, სამხედროვალდებული (ევალებოდათ დამხმარე რაზმებში სამსახური) მოსახლეობის ნაწილი, წვრილი მიწათმფლობელები, რომლებიც გვაროვნული ორგანიზაციის გარეთ იდგნენ. ეს უკანასკნელი კი სახელმწიფოს გვაროვნული მონყობის პირობებში ნიშნავდა პლებეების წარმომადგენელთა სრულ უფლებობას პოლიტიკური თვალსაზრისით, რაც უკმაყოფილებას იწვევდა, განსაკუთრებით მდიდარი პლებეების მხრიდან.

პლებეებსა და პატრიციებს შორის დაპირისპირება გამწვავდა და ამ ფონზე რომის მეექვსე რექსი ხდება სერვიუს ტულიუსი, რომელსაც კარგად ესმის, რომ ქალაქ რომის მოწყობა გვაროვნულ პრინციპზე აღარ შეესაბამება შექმნილ რეალობას.

## 2.2 სერვიუს ტულიუსის რეფორმები

სერვიუს ტულიუსმა (578-533 წ.) რომის მოსახლეობა ქონებრივი ცენზის მიხედვით<sup>37</sup> დაყო 6 თანრიგად:

37 ძირითად წყაროდ აღებულია ტიტუს ლივიუსის ნაშრომი, ნიგნიდან:

1. 100 000 ასსის მქონენი – ანუ ვისაც მიწის სრულფასოვანი ნაკვეთი ქონდა;

2. 75 000 ასსის მქონენი – სრულფასოვანი მიწის ნაკვეთის 3/4-ის მქონენი;

3. 50 000 ასსის მქონენი – სრულფასოვანი მიწის ნაკვეთის 1/2-ის მქონენი;

4. 25 000 ასსის მქონენი – სრულფასოვანი მიწის ნაკვეთის 1/4-ის მქონენი;

5. 12 500 ასსის მქონენი – სრულფასოვანი მიწის ნაკვეთის 1/8-ის მქონენი;

6. ცენზის გარეშე, ანუ 12 500 ასსზე ნაკლების მქონენი.

თითოეულ ჯგუფს უნდა გამოეყვანა გარკვეული რაოდენობის ცენტურიები:

1. 100 000 ასსის მქონენი – 80 ქვეითი ცენტურია და 18 ცხენოსანი ცენტურია წარჩინებული რომაელებისაგან, რომელთა ქონებაც 100 000 ასს აღემატებოდა;

2. 75 000 ასსის მქონენი – 20 ცენტურია;

3. 50 000 ასსის მქონენი – 20 ცენტურია;

4. 25 000 ასსის მქონენი – 20 ცენტურია;

5. 12 500 ასსის მქონენი – 30 ცენტურია;

6. 12 500 ასსზე ნაკლების მქონენი – 1 ცენტურია, უიარაღო;

გარდა ამისა არსებობდა 2 ხელოსნების ცენტურია და 2 მუსიკოსების ცენტურია. სულ 193 ცენტურია.

სერვიუს ტულიუსის რეფორმების შედეგად დაწესდა ასაკობრივი ცენზიც (გარდა ცხენოსნების ცენტურიებისა) ცენტურიებში. თითოეულ ჯგუფში ცენტურიების ნახევარი (ახალგაზრდობის, ანუ 46 წლამდე) საველე სამსახურს ეწეოდა, მეორე ნახევარი კი საგარნიზონო.

სერვიუს ტულიუსმა შემოიღო ცენტურიის კრება – *comitia centuriata*. კრება მზის ამოსვლისას იწყებოდა და მზის ჩასვლისას მთავრდებოდა; თითოეულ ცენტურიას თითო ხმა ქონდა; თავდაპირველად ხმის მისაცემად მხედრების 18 ცენტურია გა-

მოდიოდა, შემდეგ I თანრიგის ქვეითი 80 ცენტურია, თუ მათ შორის ერთსულოვნება არ იყო, შემდეგ II თანრიგის ცენტურიები გამოდიოდნენ და ა. შ. თუმცა ბოლო თანრიგის ცენტურიებამდე კენჭისყრა ფაქტიურად არასოდეს მიდიოდა.

ცენტურია წარმოადგენდა სამხედრო, პოლიტიკურ და საგადასახადო ერთეულს.

ცვლილება შეეხო ქალაქ რომის ტერიტორიულ მოწყობასაც. რომი დაიყო 4 საქალაქო და 17 სასოფლო ტერიტორიულ ტრიბად, რომელთაც საერთო არაფერი ქონდათ უწინდელ გვაროვნულ ტრიბებთან.

### 2.3 რომის სახელმწიფოს მოწყობა რესპუბლიკის ხანაში (509-27 წწ.)

რესპუბლიკის ხანა თავის მხრივ იყოფა ორ პერიოდად, ენინია:

1. ადრეული რესპუბლიკის ხანა V-II სს;

2. გვიანდელი რესპუბლიკის ხანა II-I სს;

რესპუბლიკის პერიოდში არსებობდა შემდეგი სახის სახალხო კრებები:

ა) კურიის კრება;

ბ) ცენტურიის კრება;

გ) ტრიბის კრება;

სახეცვლილი სახით არსებობას განაგრძობს სენატი;

შემოღებული იქნა სხვადასხვა თანამდებობა, ანუ მაგისტრატი (დიქტატორი, კონსული, პრეტორი, პლემბის ტრიბუნი, ცენზორი, კურიის ედილები, კვესტორი).

სახალხო კრებების ფუნქციები:

**კურიის კრება** – კარგავს თავის ადრინდელ გავლენას, ფორმალურად ანიჭებს ხელისუფლებას თანამდებობის პირებს, შემდგომში კი საერთოდ ქრება პოლიტიკური სცენიდან.

**ცენტურიის კრება** – იღებდა მაგისტრატების ან სენატის მიერ წარდგენილ კანონპროექტებს; ირჩევდა უმაღლეს თანამდებობის პირებს, სენატის მიერ წარდგენილი კანდიდატურებიდან; წყვეტდა ომისა და ზავის საკითხებს; იხილავდა მნიშ-

ვნელოვან სისხლის სამართლის საქმეებს.

**ტრიბის კრება** – ტერიტორიული ერთეულის კრება, განიხილავდა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს, ირჩევდა დაბალი რანგის მაგისტრატებს.

**სენატი** განაგრძობს არსებობას, როგორც მუდმივმოქმედი ორგანო, თუმცა მასში გვარის უხუცესების ნაცვლად ყოფილი მაგისტრატები შედიან. სენატორთა სიებს რესპუბლიკის პერიოდში ჯერ კონსულები, შემდგომ კი ცენზორები ადგენდნენ, საჭირო იყო ქონებრივი და ასაკობრივი (46 წელს ზემოთ) ცენზი. სენატი წარადგენდა მაგისტრატების კანდიდატურებს, იხილავდა კანონპროექტებს, ომისა და ზავის საკითხებს.

**მაგისტრატები** (magistratus) რომში რანგის მიხედვით იყოფოდნენ იმპერიუმის (imperium) ხელისუფლების მქონე თანამდებობის პირებად (იმპერიუმი გულისხმობდა სამხედრო, სასამართლო ფუნქციების არსებობასა და სახალხო კრებებისა და სენატის მოწვევისა და თავმჯდომარეობის ფუნქციას); და პოტესტას ხელისუფლების მქონე პირებად (potestas, – დაბალი რანგის, ხელისუფლების მქონე თანამდებობის პირები; გააჩნდა ყველა მაგისტრატს – ესაა ედიქტის გამოცემის უფლება და დაჯარიმება მათი შეუსრულებლობისათვის). იმპერიუმი გააჩნდათ, მაგ: კონსულებს, დიქტატორებს, პრეტორებს. პოტესტას გააჩნდათ, მაგ: ქვესტორებს, ედილებს.

მაგისტრატები რომში იყოფოდნენ ასევე ორდინალურ (ძირითად, magistratus ordinarii) და ექსტრაორდინალურ (საგანგებოდ, magistratus extraordinarii). ორდინალური მაგისტრატები იყვნენ, მაგ: კონსულები, ტრიბუნები, ქვესტორები, პრეტორები, ედილები; ექსტრაორდინალური მაგისტრატები იყვნენ, მაგ: დიქტატორი, მხედართა მეთაური, სამხედრო ტრიბუნი.

მაგისტრატების თანამდებობა არჩევითი იყო და ახასიათებდა შემდეგი ოთხი ნიშანი:

- ვადიანობა – ყველა მაგისტრატი 1 წლით აირჩეოდა, გარდა დიქტატორისა (6 თვე) და ცენზორისა (თავდაპირველად 5 წელი, შემდგომ 18 თვე);
- კოლეგიურობა – თითოეულ თანამდებობაზე (გარდა

დიქტატორისა), რამდენიმე პირს ირჩევდნენ, საკითხების გადაწყვეტა ხშირ შემთხვევაში ურთიერთშეთანხმებით ხდებოდა;

- უსასყიდლობა – მაგისტრატები არანაირ გასამრჯელოს არ იღებდნენ.
- ანგარიშვალდებულება – მაგისტრატები ხალხის მიერ აირჩეოდა და ჩვეულებრივ მათი ანგარიშვალდებულების საკითხი თანამდებობის ვადის დამთავრების შემდეგ დგებოდა (გარდა, მაგ: დიქტატორისა, ცენზორისა და პლებისის ტრიბუნისა).

**კონსული** – ძვ. წ. 509 წ. აირჩეოდა 2 კონსული 1 წლის ვადით; თავდაპირველად კონსულის თანამდებობის დაკავების უფლება მხოლოდ პატრიციებს ქონდათ, ძვ.წ. 367 წლიდან კი ერთ-ერთი კონსული პლებები უნდა ყოფილიყო.

კონსულები წარმოადგენდნენ აღმასრულებელ ფუნქციას – იწვევდნენ და ხელმძღვანელობდნენ სენატსა და სახალხო კრებებს; გააჩნდათ სამხედრო ფუნქცია, სასამართლო ფუნქცია (367 წ-მდე); შეეძლოთ სხვა მაგისტრების განკარგულებების გაუქმება (გარდა პლებისის ტრიბუნის განკარგულებისა); მათ თან 12 ლიქტორი დაჰყვებოდათ ფასციებით ხელში, რომელშიც ქალაქიდან გასვლის შემდეგ იღებოდა ცულები.

**პრეტორი** – ეს თანამდებობა 367 წ-დან დაარსდა, 337 წ-დან კი მისი დაკავება პლებებსაც შეეძლოთ; თავდაპირველად ისინი კონსულის თანაშემწეები იყვნენ, ცვლიდნენ კონსულს მისი არყოფნისას, ხელმძღვანელობდნენ ჯარს, იწვევდნენ სახალხო კრებებს, წყვეტდნენ დავებს მოქალაქეთა შორის, შემდგომში კი ძირითადად სასამართლო ფუნქციები დარჩათ;

რომში ორი პრეტორი იყო praetor urbanus – რომაელების პრეტორი, რომელიც რომაელ მოქალაქეთა შორის წამოჭრილ დავებს განიხილავდა და praetor peregrinus – რომის მოქალაქეებსა და უცხოელებს, ან მხოლოდ უცხოელთა შორის წამოჭრილ დავებს იხილავდა. პრეტორი გამოსცემდა ედიქტებს, რომელთაც რომში სამართლის ცალკე სახე – პრეტორული სამართალი შეადგინა.

**ცენზორი** – თავდაპირველად ცენზორის ფუნქციებს კონსულები ითავსებდნენ, ძვ.წ. 442 წ-დან კი ცალკე თანამდებობა იქნა შემოღებული; აირჩეოდა 2 ცენზორი 5 წლის ვადით, 433 წლიდან ეს ვადა 18 თვემდე შემცირდა. 399 წ-დან ერთერთი ცენზორი პლებეი უნდა ყოფილიყო. მათ მოვალეობას შეადგენდა:

1. მოქალაქეების აღწერა ცენზის მიხედვით (censum agere), სენატორთა სიების გადამოწმება და განახლება; 2. ზედამხედველობას უწევდნენ ხალხის მორალურ მდგომარეობას; მათ შეეძლოთ უღირსი საქციელის ჩამდენი ამოეღოთ სენატორთა ან მხედართა სიიდან, გაერიცხათ ტრიბიდან და სხვა. 3. სახელმწიფო ფინანსების ადმინისტრირება და საზოგადოებრივი შენობების მშენებლობაზე ზედამხედველობა.

**ედილების თანამდებობა** დაარსდა ძვ.წ. 494 წ-დან. თავდაპირველად ამ თანამდებობაზე მხოლოდ პლებეებს ირჩევდნენ, მოგვიანებით პატრიციებსაც. ისინი აწყობდნენ და ხელმძღვანელობდნენ რელიგიურ დღესასწაულებსა და თამაშებს; მათ ევალებოდათ ქალაქში სისუფთავისა და წესრიგის დაცვა; წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო არხების მომსახურება; ქალაქში მოძრაობაზე ზედამხედველობა, ავარიული შენობების შეკეთება ან დანგრევა; ხანძარსაწინააღმდეგო ზომების მიღება; წვრილმანი დამნაშავეების დასჯა; პროდუქციის ხარისხზე ზედამხედველობა და სხვა. არსებობდა ედილის სხვადასხვა თანამდებობა, მაგ: პლებსის ედილის, კურულის ედილის.

**კვესტორები** – კვესტორები თავდაპირველად კონსულების თანაშემწეები იყვნენ და გამოძიების ფუნქციები გააჩნდათ, შემდგომში მათ ხაზინის ზედამხედველობა და არქივების გამგებლობა დაევალებათ.

**პლებსის ტრიბუნი** – შემოღებული იქნა ძვ. წ. 494 წ. თავდაპირველად ირჩევდნენ 2 ტრიბუნს, მოგვიანებით 10-ს; მათ ძირითად მოვალეობას პლებეების ინტერესების დაცვა წარმოადგენდა; ისინი სარგებლობდნენ ხელშეუხებლობითა და ვეტოს დადების უფლებით; მათი საქმიანობისთვის ხელის შეშლა ან სხვაგვარად ხელყოფა ისჯებოდა; ისინი ყოველთვის ხელმისაწ-

ვდომი უნდა ყოფილიყვნენ მოსახლეობისათვის; აირჩეოდნენ და თავმჯდომარეობდნენ პლებეების სახალხო კრებას.

ექსტრაორდინალური მაგისტრატებიდან აღსანიშნავია:

**დიქტატორი** – ინიშნებოდა სენატისა და კონსულის მიერ საგანგებო მდგომარეობისას (მაგ. სამხედრო, პოლიტიკური თუ ეკონომიკური კრიზისის შემთხვევაში) ან რაიმე ამოცანის შესასრულებლად, 6 თვით; ის წარმოადგენდა ერთპიროვნულ შეუზღუდავ მმართველს. მას ემორჩილებოდნენ დანარჩენი მაგისტრატები; თან დაჰყვებოდა 24 ლიქტორი.

**მხედართა მეთაური** – ინიშნებოდა დიქტატორთან ერთად სენატის მიერ და ერთადვე ტოვებდნენ თანამდებობას.

## 2.4 რომის სახელმწიფო მოწყობა იმპერიის ხანაში (I-V სს.)

იმპერიის ხანა, თავის მხრივ, ორ პერიოდად იყოფა:

1. პრინციპატის ხანა I-III სს

2. დომინანტის ხანა IV-V სს

იმპერიის ხანისათვის დამახასიათებელია რესპუბლიკური ინსტიტუტების დაკნინება

და ერთპიროვნული მმართველობის დამკვიდრება.

**პრინციპატის ხანაში** ქვეყნის სათავეში დგას პრინციფსი, პირველი სენატორი თანასწორთა შორის. ეს თანამდებობა არ გადადიოდა მემკვიდრეობით, თუმცა პრინციფსს შეეძლო თავის სიცოცხლეშივე დაესახელებინა მემკვიდრე.

პრინციფსმა შეითავსა მაგისტრატების ფუნქციები; იგი იყო ქვეყნის მხედართმთავარი, წყვეტდა ომისა და ზავის, საგარეო ურთიერთობის საკითხებს, თავმჯდომარეობდა სენატს, იყო მთავარი ქურუმი და ცენზორი. მის განკარგულებებს კანონის ძალა ჰქონდა.

პრინციფსთან იქმნება სათათბირო საბჭო, რომლის შემადგენლობასაც თვითონ განსაზღვრავდა; მასვე ექვემდებარება გვარდია (პრეტორიანელები), პრინციფსის ხაზინა და კანცელარია. სახალხო კრებები მხოლოდ ფორმალურ ფუნქციებს ინარჩუნებენ. სენატს გადაეცა საკანონმდებლო და მაგისტრატების არჩევის ფუნქცია; თუმცა მას შემდეგ, რაც სენატის დაკომ-

პლექტების საკითხი პრინციფსის ხელში გადავიდა, სენატი პრინციფსის ნება-სურვილის მორჩილი ორგანო გახდა.

მაგისტრატების როლი დაეცა, და მათ ჩამოერთვათ რეალური ხელისუფლება; გამონაკლისი მხოლოდ პრეტორების თანამდებობა წარმოადგენდა.

დომინანტის ხანა იმპერატორის შეუზღუდავი ძალაუფლებით გამოირჩევა. იმპერატორმა დიოკლეტიანემ (284-305წწ.) გაატარა ადმინისტრაციული, სამხედრო, და საგადასახადო-საფინანსო რეფორმები; 395 წ. რომის იმპერია ორ ნაწილად გაიყო, დასავლეთ რომის იმპერია და აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერია. თითოეულის სათავეში ავგუსტუსი, იგივე იმპერატორი იდგა. თითოეული იმპერია ორ-ორი პრეფექტურისაგან შედგებოდა, რომლის სათავეშიც პრეფექტები იდგნენ. თითოეული პრეფექტურა დიოცეზებად დაიყო (სულ ორივე იმპერიაში 13 დიოცეზი), რომელთა სათავეში ვიკარიუსები იდგნენ; დიოცეზები თავის მხრივ პროვინციებად იყოფოდა, რომელთაც რექტორები მართავდნენ; პროვინციები კი ოლქებად იყოფოდა.

### 3. რომის სამართლის წყაროები

ტერმინი „სამართლის წყარო“ პირველად გამოიყენა ცნობილმა რომაელმა ისტორიკოსმა ტიტუს ლივიუსმა (ძვ.წ. 59-17 წწ.), რომელმაც აღნიშნა, რომ – XII ტაბულის კანონები არის მთელი რომაული საჯარო და კერძო სამართლის წყარო.

თანამედროვე გაგებით ტერმინი „სამართლის წყარო“ გვანტერესებს, როგორც მისი დადგენისა და გადმოცემის ფორმა.

**რომის სამართლის წყაროებია:**

1. ჩვეულებითი სამართალი;
2. კანონები (კანონიერი სარჩელები);
3. მაგისტრატების ედიქტები;
4. იურისტთა მოღვაწეობა.

**3.1 ჩვეულებითი სამართალი.** დაწერილი სამართლისაგან (*ius scriptum*) განსხვავებით, ჩვეულებითი სამართალი დაუწერელი სამართლის (*ius non scriptum*) ერთ-ერთი გამოხატულებაა; ეს ნორმები შერწყმული იყო რელიგიურ და მორალურ ნორმებთან, ამიტომაც უძველეს ხანაში სამართალი და რელიგია ერთი სიტყვით „*fas*“ (ნება, უფლება, რელიგიური წესრიგი) მოიხსენიებოდა, ამ დროისათვის ქურუმები დიდ როლს თამაშობდნენ სამართალწარმოებაში.

მოგვიანებით ჩვეულებითი სამართლის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინები *mos romanum* (რომაული ჩვეულება) ან *mores maiorum* (წინაპართა ჩვეულებები).

„კანონის ნაცვლად სავსებით დამსახურებულად გამოიყენება დამკვიდრებული ძველი ჩვეულება და იგი წარმოადგენს სამართალს, რომელსაც ჩვეულებებით დადგენილ სამართალს უწოდებენ. ვინაიდან, თუ კანონი მხოლოდ იმის გამო გვაკისრებს მოვალეობას, რომ იგი ხალხის გადწყვეტილებით არის მიღებული, მაშინ სავსებით სამართლიანად უნდა დაგვაკისროს მოვალეობები ყველაფერმა იმანაც, რაც ხალხმა ყოველგვარი ჩანერის გარეშე მოიწონა. რადგან რა განსხვავებაა, ხალხმა თავისი ნება ხმის მიცემით გამოხატა თუ თავისი საქმეებითა და

მოქმედებით?“<sup>38</sup>

„იმას, რაც დიდი ხნის ჩვეულებით არის მოწონებული და რასაც [ხალხი] მრავალი წლის მანძილზე იცავს, როგორც მოქალაქეთა შორის მდუმარე შეთანხმებას, არანაკლები ძალა აქვს ვიდრე კანონს.“<sup>39</sup>

„ძველ ჩვეულებას კანონის ნაცვლად, ჩვეულებრივ, იყენებენ მაშინ, როდესაც დაწერილი კანონი არ გააჩნიათ.“<sup>40</sup>

**3.2 კანონები, კანონიერი სარჩელები.** კანონი (lex, leges) რომის სამართლის ძირითადი წყაროა; პირველ კანონებს ჯერ კიდევ რექსების ხანას მიაწერენ, მაგალითად ითვლება, რომ სერვიუს ტულიუსის მიერ გატარებული რეფორმები სწორედ კანონმდებლობის გზით განხორციელდა (თუმცა რექსებს არ გააჩნდათ საკანონმდებლო ფუნქცია). ამ პერიოდში კანონად იწოდება კურიისა და ცენტურიის კრების მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები.

დაწერილი სამართლის შემადგენელი ნაწილია ასევე პლების გადაწყვეტილება (plebiscita) და სენატის გადაწყვეტილება (senatusconsultum).

„კანონი არის ის, რაც რომაელმა ხალხმა (populus Romanus) სენატის მგისტრატის, მაგალითად კონსულის, წინადადებით დაადგინა. პლებისციტი არის ის, რაც პლებსმა პლების მგისტრატის, მაგალითად ტრიბუნის, წინადადებით დაადგინა... სახელწოდება „ხალხი“ აღნიშნავს მოქალაქეთა მთელ ერთობლიობას, პატრიციებისა და სენატორების ჩათვლით. ხოლო პლებსი აღნიშნავს [ყველა] დანარჩენ მოქალაქეს, პატრიციებისა და სენატორების გამოკლებით. მაგრამ ჰორტენსიუსის კანონის“<sup>41</sup> გამოცემის შემდეგ პლებისციტებსაც ისეთივე ძალა მიანიჭეს,

38 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე ლათინურიდან თარგმანა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, გვ. 84.

39 იქვე, გვ. 85.

40 იქვე.

41 ძვ.წ. 287 წელი.

როგორც კანონებს ქონდათ.<sup>42</sup>

„სენატის გადაწყვეტილება (senatusconsultum) არის ის, რაც სენატმა ბრძანა და დაადგინა. ვინაიდან, როდესაც რომაელი ხალხი ისე გამრავლდა, რომ ძნელი გახდა კანონების დასამტკიცებლად მისი ერთად მოწვევა, მაშინ სამართლიანად იქნა მიჩნეული, რომ ხალხის ნაცვლად სენატთან ეთათბირათ“.<sup>43</sup>

იმპერიის პერიოდში (I-V სს.) საკანონმდებლო ფუნქცია იმპერატორის ხელში გადავიდა. იმპერატორის განკარგულებებს – კონსტიტუციები ეწოდა და ისინი ოთხი სახის იყო:

ედიქტები – მთელი მოსახლეობისათვის განკუთვნილი განკარგულებები;

რესკრიპტები – ცალკეულ საქმეზე გამოცემული განკარგულებები;

მანდატები – მოხელეთათვის მიცემული დავალებები, ინსტრუქციები;

დეკრეტები – სადაო საკითხებზე მიღებული (სასამართლო) გადაწყვეტილებები.

„მაგრამ პრინციფსის დადგენილებებსაც კანონის ძალა აქვს, რადგან „მეფის კანონით“, რომელიც მისი (ე.ი. პრინციფსის) ხელისუფლების შესახებ გამოიცა, ხალხმა მთელი თავისი ძალა და უფლება მას დაუთმო. ასე რომ, ყველაფერი ის, რასაც კი იმპერატორი წერილით (epistula) დაადგენს, ან გამოძიების შემდეგ გადაწყვეტს და ან ედიქტით ბრძანებს, კანონად ითვლება. [სწორედ] ეს არის ის, რაც კონსტიტუციებად იწოდება. რასაკვირველია, მათ შორის ზოგიერთი [კონსტიტუცია] პერსონალურია და სხვებზე არ ვრცელდება, რადგან პრინციფსს ეს არ სურს. ვინაიდან, თუ მან რაიმე დამსახურების გამო ვინმე დააჯილდოვა, ან, თუ ვინმეს სასჯელი დაადო და ან, თუ ვინმეს დაეხმარა ისე, რომ ამით პრეცედენტი არ შეუქმნია, მაშინ [ეს დადგენილება] ამ პირის გარდა, სხვებზე არ ვრცელდება, ხოლო

---

42 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002, გვ. 14.

43 იქვე, გვ. 14-15.

სხვა [დადგენილებები], რამდენადაც ისინი ზოგადი [ხასიათის] არიან, უეჭველად, ყველასათვის სავალდებულოა.”<sup>44</sup>

არქაულ პერიოდში სამართლის წყაროს მნიშვნელობა გააჩნდათ ასევე კანონიერ სარჩელებს (legis actiones).

„...შეადგინეს სარჩელები, რომელთა საშუალებით ადამიანები ერთმანეთს შორის წარმოქმნილ დავებს წყვეტდნენ. ხალხს რომ თავისი ნება-სურვილის მიხედვით არ შეედეგინა, გადანწყვიტეს, რომ მათ ზუსტად განსაზღვრული და დადგენილი სახე ჰქონოდათ, და სამართლის ამ ნაწილს უწოდეს legis actiones, ე.ი. „კანონიერი სარჩელები“.”<sup>45</sup>

**3.3 მაგისტრატების ედიქტები.** მაგისტრატების მიერ გამოცემულ საჯარო განცხადებებს, ბრძანებებსა თუ ინსტრუქციებს სავალდებულო ხასიათი გააჩნდათ; (ტერმინი ედიქტი ლათინური სიტყვიდან მომდინარეობს, dico – ვამბობ, dicere – თქმა, dictum – ნათქვამი). მათ მიერ გამოცემულ ედიქტებს (edicta magistratum) კანონის ძალა ქონდათ. ყველაზე მნიშვნელოვანი პრეტორის ედიქტები იყო. თავდაპირველად პრეტორი ცივილური სამართლის ფარგლებში მოქმედებდა, არ ეწინააღმდეგებოდა, ავსებდა ან აზუსტებდა მას. შემდგომში პრეტორის ედიქტმა ცივილური სამართლის მოთხოვნათა შეცვლაც დაიწყო.

მაგისტრატების ედიქტებს მათი უფლებამოსილების ვადით (როგორც წესი 1 წლით) გააჩნდათ სავალდებულო ძალა. თუმცა ამ წესს არ დაემორჩილა პრეტორის ედიქტები, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოიყენებოდა. ამას ხელი შეუწყო პრეტორის ედიქტების სისტემატიზაციამ, რომელიც იმპერატორ ადრიანეს ინიციატივით ახ. წ. 131 წელს განხორციელდა. კოდიფიცირებული ტექსტი მოინონა იმპერატორმა, ხოლო სენატმა ის „მუდმივად“ გამოაცხადა (edictum perpetuum).

44 იქვე, გვ. 15.

45 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე ლათინურიდან თარგმანა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი. დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, გვ. 65.

„მუდმივ ედიქტში“ შესწორების გაკეთება იმპერატორის პრე-  
როგატივა იყო. ასე ჩამოყალიბდა *ius honorarium* ანუ *ius praeto-*  
*rium*.

„...საქმეებს მაგისტრატებიც არჩევდნენ. მაგისტრატები  
გამოსცემდნენ ედიქტებს იმ მიზნით, რომ მოქალაქეებისათვის  
გარკვეული ყოფილიყო, თუ რომელი საქმე, რომელი სამარ-  
თლით უნდა გაერჩიათ და თავიანთი საქმე როგორ დაეცვათ, და  
პრეტორთა ამ ედიქტებმა შეადგინეს „საპატიო სამართალი“ [*ius*  
*honorarium*]. საპატიო მას ეწოდა იმიტომ, რომ [ეს სამართალი]  
პრეტორის საპატიო თანამდებობასთან არის დაკავშირებული.“<sup>46</sup>

**3.4 იურისტთა მოღვაწეობა.** ცნობილი რომაელი ორატორი,  
პოლიტიკური მოღვაწე, ფილოსოფოსი, მწერალი და სამარ-  
თალმცოდნე მარკუს ტულიუს ციცერონი (ძვ. წ. 106-43) წერდა,  
რომ: ნამდვილი სამართალმცოდნე და იურისტი ის არის, ვინც  
იცნობს კანონებსა და ჩვეულებით სამართალს, ვისაც შეუძლია  
რჩევის მიცემა, საქმისწარმოება და კლიენტის ინტერესების  
დაცვა.

რომაელ იურისტთა მოღვაწეობა შემდეგი მიმართულებებით  
ხორციელდებოდა:

*cavere* – იურიდიულ მოქმედებათა შესატყვისი ფორმულების  
ჩამოყალიბება; მაგ. სასამართლო დოკუმენტების შედგენა, ხე-  
ლშეკრულებებში აუცილებელი მომენტების გათვალისწინება და  
სხვა.

*respondere* – იურიდიულ საკითხებზე მოქალაქეებისათვი-  
სა თუ სახელმწიფო მოხელეებისათვის კონსულტაციების, ახს-  
ნა-განმარტებების მიცემა.

*agere* – სასამართლოში მხარეთა პროცესუალურ მოქმედე-  
ბათა ხელმძღვანელობა; სასამართლოში ამა თუ იმ მხარის ინ-  
ტერესების დაცვა.

დანერილი სამართლის შემადგენელ ნაწილად განიხილე-  
ბოდა ასევე სამართალმცოდნეთა პასუხები (*responsa prudenti-*  
*um*). „სამართალმცოდნეთა პასუხები წარმოადგენენ იმ [პირ-  
თა] შეხედულებებსა და მოსაზრებებს, რომლებსაც სამართლის

---

46 იქვე, გვ. 67.

შექმნის ნება მიეცათ. ვინაიდან, ძველთაგან დაწესებული იყო, რომ არსებულიყვნენ [პირები], რომლებიც სამართალს საჯაროდ განმარტავდნენ, და რომლებსაც ცეზარმა (იმპერატორმა) იურიდიულ საკითხებზე კონსულტაციების მიცემის უფლება მიანიჭა, და მათ იურისკონსულტებს უწოდებდნენ. ყველა მათს შეხედულებასა და მოსაზრებას ისეთი ავტორიტეტი ქონდა, რომ, მიღებული წესის თანახმად, მოსამართლეებს არ შეეძლოთ მათი პასუხებისათვის თავის არიდება.<sup>47</sup>

426 წელს იმპერატორ ვალენტიანიანე III-ს დროს მიიღეს კანონი ციტირების შესახებ (lex citationis), რომლის თანახმად სხვადასხვა საკითხების გადასაწყვეტად უნდა ეხელმძღვანელათ ხუთი გამოჩენილი იურისტის ნაშრომებით, ესენი იყვნენ: გაიუსი, პაპინიანუსი, პავლუსი, ულპიანუსი და მოდესტინუსი. თუ მათი შეხედულებები ერთმანეთს არ ემთხვეოდა, მაშინ საკითხი ხმათა უმრავლესობით წყდებოდა, ხმების თანაბრობისას კი უპირატესი მნიშვნელობა იმ მოსაზრებას ენიჭებოდა, რომელსაც მხარს პაპინიანუსი უჭერდა.

**3.5 XII ტაბულის კანონები.** XII ტაბულის (დაფის) კანონები (leges duodecim tabularum) ძვ.წ. 450 წელსაა შედგენილი. სპეციალურად შექმნილმა დეცემვირთა (ათკაციანმა) კომისიამ ამ კანონების შედგენისას ბერძნული კანონმდებლობით იხელმძღვანელა. მის ძირითად წყაროს რომის ჩვეულებითი სამართალი წარმოადგენს. ძეგლის ორიგინალი დაკარგულია და მისი აღდგენა რომაელი იურისტების შრომების მიხედვით გახდა შესაძლებელი.

„საჯარო ხელისუფლებამ ათი კაცის დანიშვნა გადანიშნა, რომ მათი საშუალებით ბერძნული სახელმწიფოებიდან კანონები გამოეთხოვათ და სახელმწიფო ამ კანონებზე დაეფუძნებინათ. ეს კანონები სპილოს ძელის დაფებზე დაწერეს და შემდეგ როსტრალური ტრიბუნის წინ მოათავსეს, რათა ხალხს მათი უფრო ადვილად აღქმის შესაძლებლობა ქონოდა. და იმ

---

47 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002, გვ. 15.

წლით მათ გადაეცათ სახელმწიფოში უმაღლესი ხელისუფლება, რათა კანონები შეესწორებინათ და, თუ საჭირო გახდებოდა, განემარტათ, და რომ მათი მოქმედებანი ვერ გაესაჩივრებინათ, როგორც დანარჩენი მაგისტრატებისა. მათ თავად შენიშნეს, რომ ამ პირველ კანონებს ხარვეზები გააჩნდა და ამიტომ მომდევნო წელს ამ დაფებს ორი სხვაც დაუმატეს და ამის გამო მათ თორმეტი დაფის კანონები ეწოდა“.<sup>48</sup>

XII ტაბულის კანონებში საკითხები შემდეგი სისტემით იყო გადმოცემული:

I, II და III ტაბულა – სამოქალაქო საპროცესო სამართალი;

IV და V ტაბულა – საოჯახო და სამემკვიდრეო სამართალი;

VI და VII ტაბულა – სანივთო და ვალდებულებითი სამართლის საკითხები;

VIII და IX ტაბულა – სისხლის სამართლის საკითხები;

X ტაბულა – საკრალური სამართლის საკითხები;

XI და XII ტაბულა – მოიცავს დამატებით მუხლებს წინა ათი ტაბულის ხარვეზების შესავსებად.

XII ტაბულის კანონებმა უდიდესი როლი შეასრულა რომის სამართლის შემდგომ განვითარებაში.

**3.6 რომის სამართლის კოდიფიკაციები.** იუსტინიანმდელ რომის სამართლის კოდიფიკაციას წარმოადგენს აღმოსავლეთ რომის იმპერატორის თეოდოს II-ის 438 წლის კოდიფიკაცია, რომელიც იმპერატორის განკარგულებებს შეიცავდა და *codex Theodosianus*-ის სახელითაა ცნობილი.

აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერატორის იუსტინიანე I-ის (527-565 წწ.) მმართველობის პერიოდში რომის სამართლის კოდიფიკაცია დაეკისრა იმპერატორთან დაახლოებულ მოხელეს ტრიბონიანეს (500-547 წწ.), რომელიც საკოდიფიკაციო კომისიაში 529 წლიდან რიგით წევრად შედიოდა, 530-წლიდან კი

---

48 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები, ნიგნი პირველი, ნიგნი მეორე ლათინურიდან თარგმანა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, გვ. 64-65.

ხელმძღვანელობდა მას.

529-534 წლებში შედგენილი იქნა სამი დიდი კრებული:

ინსტიტუციები;

დიგესტები ანუ პანდექტები;

იუსტინიანეს კოდექსი;

მოგვიანებით 535-565 წლებში იუსტინიანემ მოახდინა სამართლის სხვადასხვა დარგის მოდერნიზაცია და კოდიფიკაციის ამ ნაწილს ნოველები ეწოდა.

ინსტიტუციები (institutiones) – ეს არის სახელმძღვანელო დამწყები იურისტებისათვის; იგი 4 ნაწილისაგან შედგება:

- სამართლის სუბიექტები;
- სანივთო სამართალი
- ვალდებულებითი სამართალი;
- საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი.

ინსტიტუციებს კანონის ძალა ჰქონდათ და მას საფუძვლად გაიუსის თხზულებები დაედო.

დიგესტები (digesta), ანუ პანდექტები (pandectae) – მოიცავს 40 რომაელი იურისტის შრომებიდან ამოკრებილ გამონათქვამებს, მოსაზრებებს ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, რამაც 50 წიგნი შეადგინა.

იუსტინიანეს კოდექსი (codex iustinianus) – იუსტინიანეს განკარგულებების, ანუ იმპერატორის მიერ გამოცემული აქტების ერთობლიობაა.

ნოველებში შევიდა იუსტინიანეს და შემდგომი იმპერატორების განკარგულებანიც. ნოველები ოფიციალურ კრებულად არ გამოცემულა, იგი კერძო პირებმა შეადგინეს და 168 ნოველას მოიცავს.

შუა საუკუნეებში, გლოსატორთა სკოლის წარმომადგენელთა მოღვაწეობის პერიოდში, იუსტინიანეს საკოდიფიკაციო და საკანონმდებლო საქმიანობის შედეგად მიღებულმა ამ ოთხმა ნაწილმა ერთიანი სახელწოდება – corpus juris civilis მიიღო.

რომის სამართლის შემდგომი გადამუშავების შედეგად მიღებულ იქნა:

- ეკლოგა (740 წ.);

- ბაზილიკა (886-912 წწ.);
- პროხეირონი (დაახლოებით 879 წ.);
- კონსტანტინე არმენოპულოს ექვსნიგნეული (1345 წ.).

## 4. პირები რომის სამართალში

### 4.1 პირთა სტატუსი

რომის სამართალი ერთმანეთისგან განასხვავებდა ცალკეულ პირთა და კორპორაციის, ანუ გაერთიანების უფლებებს, თუმცა იურიდიული პირის ცნება რომში ჩამოყალიბებული არ ყოფილა. რომის სამართლის მიხედვით სამოქალაქო უფლებები თანდაყოლილი კი არ არის, არამედ სახელმწიფოშია შექმნილი.

რომის სამართალი ფიზიკური პირის (persona) სამ სტატუსს განასხვავებდა:

- status libertatis – თავისუფლების სტატუსი;
- status civitatis – მოქალაქეობის სტატუსი;
- status familiae – საოჯახო სტატუსი.

თავისუფლების სტატუსის მიხედვით განასხვავებდნენ – თავისუფლებსა და არათავისუფლებს (მონებს);

მოქალაქეობის სტატუსის მიხედვით – რომაელებსა (რომის მოქალაქეებს) და არა რომაელებს (ქვეშევრდომებს – ლათინებს, პრეგრინებს);

საოჯახო სტატუსის მიხედვით კი – ოჯახის სრულუფლებიან უფროსს (persona sui iuris) და სხვისი ხელისუფლების ქვეშ (persona aliena iuris) მყოფებს.

„ვინაიდან, რომის მოქალაქეთაგან ზოგი ოჯახის მამაა, ზოგი – ოჯახის ვაჟიშვილი, ზოგი ოჯახის დედა და ზოგიც – ოჯახის ქალიშვილი, ოჯახის მამებს წარმოადგენენ ისინი, რომლებიც „თავისი ხელისუფლებისანი“ არიან და არა აქვს მნიშვნელობა სრულწლოვანნი არიან ისინი თუ არა. ამის მსგავსად, ოჯახის დედები, ოჯახის ვაჟიშვილები და ოჯახის ქალიშვილები არიან სხვისი ხელისუფლების ქვეშ. ვინაიდან ის, ვინც ჩემი ცოლისგან ჩნდება, ჩემს ხელისუფლებას ექვემდებარება. ასევე, ის, ვინც ჩემი ძისგან და მისი ცოლისგან ჩნდება, ე.ი. ჩემი შვილიშვილი, ვაჟიცა და ქალიც, ჩემს ხელისუფლებას ექვემდებარება, ასევე შვილიშვილის შვილები, ვაჟები და ქალები და ა.შ.“<sup>49</sup>

<sup>49</sup> რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე ლათინურიდან თარგმ-

სტატუსში ცვლილებას *capitis deminutio* ეწოდებოდა:

*capitis deminutio maxima* – მაქსიმალური ცვლილება სტატუსში (თავისუფლების სტატუსში ცვლილება); თუ რომის მოქალაქე ჩავარდებოდა ტყვედ, ის კარგავდა თავისუფლებასაც, რომის მოქალაქეობასაც (ვინაიდან რომის მოქალაქე არ შეიძლებოდა ყოფილიყო მონა) და შესაბამისად საოჯახო სტატუსსაც (რადგანაც საოჯახო სტატუსი კვირიტული სამართლის ინსტიტუტს წარმოადგენდა). ამასთანავე, თუ მონა მოიპოვებდა თავისუფლებას, ის იძენდა რომის მოქალაქეობას (ითვლებოდა, რომ მონას არ გააჩნდა წარმომავლობა, ამდენად ის ხდებოდა მოქალაქე) და შესაბამისად საოჯახო სტატუსსაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავისუფლების სტატუსში ცვლილება გავლენას ახდებდა დანარჩენ ორ სტატუსზე, ამიტომაც ამგვარ ცვლილებას მაქსიმალური ცვლილება ეწოდებოდა.

*capitis deminutio media* – საშუალო ცვლილება სტატუსში (მოქალაქეობის სტატუსში ცვლილება); თუ რომის მოქალაქე დაკარგავდა მოქალაქეობის სტატუსს, ის კარგავდა საოჯახო სტატუსსაც, თუმცა არ იცვლებოდა თავისუფლების სტატუსი, ისევე როგორც თუ არარომეელი შეიძენდა მოქალაქეობას, ის იძენდა საოჯახო სტატუსსაც, მაგრამ ცვლილება არ ეხებოდა თავისუფლების სტატუსს. ამიტომაც ამგვარ ცვლილებას ეწოდებოდა საშუალო ცვლილება.

*capitis deminutio minima* – მინიმალური ცვლილება სტატუსში (საოჯახო სტატუსში ცვლილება). საოჯახო სტატუსში ცვლილება გავლენას ვერ ახდენდა დანარჩენ სტატუსებზე. თუ ოჯახის უფროსს აღარ შეეძლო გაძლოლოდა ოჯახს და სხვა დაიკავებდა *pater familias*-ის მდგომარეობას, ან თუ ოჯახის შვილი გახდებოდა ოჯახის მამა, ეს არ ცვლიდა მოქალაქეობისა და თავისუფლების სტატუსს. ამიტომაც ამგვარ ცვლილებას ეწოდებოდა მინიმალური.

---

ნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, გვ. 94-95.

#### 4.2 რომაელ მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობა

რომის მოქალაქეობის შექმნის გზები:

- დაბადებით (კანონიერი ქორწინებიდან)
- გააზატებით
- რომის მოქალაქის მიერ უცხოელის შვილად აყვანით
- უცხოელისთვის მოქალაქეობის ჩუქებით (ნატურალიზაციით)

რომის მოქალაქეობის დაკარგვის გზები:

- გარდაცვალებით
- ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში
- მძიმე სასჯელის შეფარდებით, განდევნით

კერძო სამართალში რომის მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობა მოცავდა ორ ძირითად ელემენტს:

- კანონიერი ქორწინების უფლება<sup>50</sup> (ius conubii) და
- კომერციის, ანუ ქონების შექმნისა და გასხვისების უფლება<sup>51</sup> (ius commercii).

უფლებაუნარიანობა (caput) ეწოდება ადამიანის უნარს იქონიოს უფლებები. უფლებაუნარიანობა თავისუფალ ადამიანს დაბადებისთანავე უჩნდება; დაბადებულად ჩაითვლებოდა პირი მას შემდეგ რაც დედის სხეულს გამოეყოფოდა და ცოცხალი დაიბადებოდა; თუნდაც ორსულობა შვიდ თვეზე მეტხანს არ გაგრძელებულიყო. უფლებაუნარიანობა ჯერ კიდევ დაუბადებელ, დედის მუცელში მყოფ, ნაყოფსაც გააჩნდა.

„უალრესად სწავლული კაცის – ჰიპოკრატეს – ავტორიტეტის გამო მეშვიდე თვეს დაბადებულნი უკვე სრულ ნაყოფად მიიჩნევა.“<sup>52</sup>

50 კანონიერ ქორწინებაში კვირიტული სამართლით ქორწინება იგულისხმება, ანუ ქორწინება რომის მოქალაქეთა შორის, რისი უფლებაც არარომელებს არ გააჩნდათ.

51 ამ შემთხვევაში რეს მანციპი კატეგორიის ნივთები იგულისხმება – იტალიის მიწები, მსხვილფეხა პირუტყვი და მონები.

52 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, გვ. 89.

„ის ვინც მუცლად არის, თითქმის მთელი სამოქალაქო სამართლით [უკვე] დაბადებულად განიხილება, ვინაიდან... მას კანონით მემკვიდრეობა ეკუთვნის.“<sup>53</sup>

„ვინც მუცლად არის, იგი ზუსტად ისევეა დაცული, როგორც უკვე დაბადებული, როდესაც საქმე თავად ნაყოფის სარგებელს ეხება...“<sup>54</sup>

**ქმედუნარიანობა** თანამედროვე თვალსაზრისით განიხილება, როგორც პირის უნარი თავისი მოქმედებით შეიძინოს უფლებები და იკისროს ვალდებულებები. ქმედუნარიანობა ძირითადად დამოკიდებული იყო პირის ასაკსა და შერაცხადობაზე.

ქმედუნარიანობა, რომის სამართლის მიხედვით, შემდეგ ასაკობრივ ფაზებს განასხვავებდა:

7 წლამდე ასაკის პირები – არაქმედუნარიანნი (infantes);

7-14 წლამდე პირები (ქალები 12 წლამდე) აღნიშნული ასაკის პირები რაიმეს შესაძენად ქმედუნარიანად, მაგრამ ვალდებულებების ასაღებად, ქონების გასასხვისებლად, ანდერძით მემკვიდრეობის განსაკარგავად ქმედუნაროდ მიიჩნეოდნენ.

14(12)-25 წლამდე პირები სრული ქმედუნარიანობის მქონედ მიიჩნეოდნენ, თუმცა მამის ხელისუფლებაში მყოფი პირის მიერ დადებული გარიგება შესაძლებელი იყო მამის სასარჩელო მოთხოვნის საფუძველზე (გამოუცდებლობის გამო) ბათილად ჩათვლილიყო.

ქმედუნარიანობის განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნა, პირის შერაცხადობა იყო; აქედან გამომდინარე სულით ავადმყოფები და ჭკუასუსტები არაქმედუნარიანად ითვლებოდნენ, ასეთ ადამიანს მზრუნველს უნიშნავდნენ.

ქმედუნარიანობის შეზღუდვის საფუძველად ითვლებოდა, თუ პირი გამფლანგველი, ანუ სუსტი ნებისყოფის იყო, ვინაიდან თავისი ქცევითა და ხასიათით საფრთხეს უქმნიდა გარიგების შესრულებას.

ასევე, ქალები, მამაკაცებთან შედარებით შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ მიიჩნეოდნენ: „ჩვენი სამართლის მრავა-

---

53 იქვე, გვ. 92.

54 იქვე, გვ. 89.

ლი დადგენილებით ქალის მდგომარეობა უარესია ვიდრე მამაკაცისა".<sup>55</sup>

ქმედუნარიანობის შეზღუდვის კიდევ ერთი პირობა პირის უსირცხვილოდ ან უპატიოსნოდ აღიარება წარმოადგენდა. XII ტაბულის კანონებით თუ გარიგების მონმე უარს იტყოდა ამ ფაქტის შესახებ ჩვენების მიცემაზე, უღირს მონმედ ცხადდებოდა. ასეთი პირი გარიგების დადებისას მონმედ ველარ მიიღებდა მონაწილეობას და ვერც თვითონ მოიწვევდა სხვას; აქედან გამომდინარე იგი ფაქტიურად კარგავდა *ius commercii*-ს.

კლასიკურ ეპოქაში ის პირები, რომლებიც თავისი ზნედაცემულობით საზოგადოების პატივისცემას კარგავდნენ, სახელგატეხილებად (პატივყარილებად, *infamia*) ცხადდებოდნენ. ისინი იზღუდებოდნენ როგორც საჯარო სამართლით (კარგავდნენ ხმის უფლებას), ისე კერძო სამართლის სფეროში.

#### 4.3 არარომაელთა უფლებრივი მდგომარეობა

ძველ რომში უცხოელი მტრად (*hostis*) იყო გამოცხადებული და მისი მოკვლა ან დატყვევება (მონად გადაქცევა) დაშვებული იყო. დროთა განმავლობაში უცხოელთა გარკვეული კატეგორიების უფლებაუნარიანობის აღიარება მოხდა.

**ლათინები** – ლათინებად თავდაპირველად იწოდებოდნენ ლაციუმის მცხოვრებლები რომელთაც გააჩნდათ რომაელებთან *ius civile*-თი გარიგებების დადების უფლება (*ius commercii*) და კანონიერი ქორწინების უფლება (*ius conubii*); ლათინების ეს ფენა (*latini prisci* – ძველი ლათინები) ძვ. წ. I საუკუნეში გაქრა.

ლათინთა მეორე ფენას კოლონიის ლათინები (*latini colonarii*) წარმოადგენდნენ. ასე იწოდებოდნენ რომის კოლონიების, პროვინციებისა თუ ოლქების მცხოვრებლები; ისინი გაუთანაბრდნენ რომის მოქალაქეებს უფლებებში, თუმცა კანონიერი ქორწინების უფლება არ გააჩნდათ.

ლათინების მესამე ფენას წარმოადგენდნენ *latini Iuniani*, აქ შედიოდნენ გააზატებული პირები, რომლებიც მონობიდან კანონით დადგენილი ზოგიერთი წესის დაუცველად გათავისუფლდ-

ნენ, ან გააზატებულნი იყვნენ ლათინთა მიერ.

**პერეგრინები** – ამ კატეგორიაში შედიოდნენ რომის პროვინციების მცხოვრებლები, რომელთაც არც მოქალაქის და არც ლათინთა უფლებები არ გააჩნდათ; ასევე დასჯილი და რომიდან გადასახლებული მოქალაქეები; ისინი უცხოელებად და უუფლებობად განიხილებოდნენ. მათთან სამართლებრივი ურთიერთობები *ius gentium*-ით რეგულირდებოდა.

#### 4.4 მონების უფლებრივი მდგომარეობა

მონა არ წარმოადგენდა სამართლის სუბიექტს; იგი სამართლის ობიექტად მიიჩნეოდა, რადგან ნივთთან იყო გათანაბრებული.

„მონობა არის ხალხთა სამართლის დანესებულება, რომლითაც ერთი პირი ბუნების სანინალმდეგოდ მეორე პირის ბატონობას ემორჩილება“.<sup>56</sup>

„ხოლო მონას ეს სახელი (*servus*) იქიდან ეწოდა, რომ იმპერატორის ბრძანებით ტყვეებს ჰყიდიან და, ჩვეულებრივ მათ სიცოცხლეს უნარჩუნებენ (*servare*) და არ კლავენ.“<sup>57</sup>

„ამრიგად, მონები [თავიანთი] ბატონის ხელისუფლების ქვეშ არიან. ამასთან, ეს ხელისუფლება ხალხთა სამართალს ეკუთვნის, ვინაიდან ჩვენ შეგვიძლია შევნიშნოთ, რომ ბატონს ყველა ხალხში [თავისი] მონის „სიკვდილისა და სიცოცხლის უფლება“ გააჩნია, და, რასაც მონა შეიძენს, მას მისი ბატონი იძენს.

მაგრამ დღეს რომის ქვეშევრდომთაგან არავის აქვს უფლება, რომ გადაჭარბებული [სისასტიკით] და კანონით ცნობილი მიზეზის გარეშე სასტიკად მოექცეს თავის მონებს. ვინაიდან ღვთაებრივი ანტონიუსის კონსტიტუციის თანახმად ის, ვინც თავის მონას უმიზეზოდ მოკლავს, არანაკლებ ისჯება, ვიდრე ის, ვინც სხვისი მონა მოკლა. და მონათმფლობელთა ზედმეტი

---

56 იქვე, გვ. 88.

57 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთონ ნ. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002, გვ.16

სისასტიკე ისჯება იმავე პრინციფის კონსტიტუციით.<sup>58</sup>

### მონობის დამყარების გზები

- დაბადებით მონობა – თუნდაც მამა თავისუფალი მოქალაქე ყოფილიყო, თუ დედა მონა იყო, შვილი მონად ითვლებოდა, ხოლო, თუ დედა თავისუფალი მოქალაქე იყო, მისი შვილი თავისუფალი მოქალაქე ხდებოდა, თუნდაც მამა მონა ყოფილიყო.
- ტყვედ ჩაყარდნა (სამხედრო ტყვეობა)
- მონად გაყიდვა (არქაული ხანის რომის სამართალში)
- მონად დასჯა – თუ პირს სიკვდილით დასჯა შეეცვალა მონობით, ასევე ვალის გადაუხდელობის გამო.

დაბადებით მონობის შემთხვევაში ბავშვი დედის სამართლებრივ მდგომარეობას იზიარებდა იმდენად, რამდენადაც მამის სამართლებრივი მდგომარეობა მხოლოდ კანონიერი ქორწინების შემთხვევაში გადადიოდა შვილზე.

„როდესაც ქორწინება კანონიერია, ბავშვები მამის მდგომარეობას იღებენ, უკანონო ქორწინებისას კი – დედისას.“<sup>59</sup>

„ქორწინების გარეშე ჩასახულად იწოდებიან ის [პირები], რომლებსაც მამაზე მითითება არ შეუძლიათ, ან, თუმცა შეუძლიათ, მაგრამ [კანონით] მათი მამობა დაშვებული არ არის და მათ *spurii* (უკანონოდ შობილს) უწოდებენ.“<sup>60</sup>

„ხოლო მონებად ან იბადებიან, ან [შემდეგ] ხდებიან. იბადებიან ჩვენს მხევალთაგან. მონებად [შემდეგ] ხდებიან ან ხალხთა სამართლით, ე.ი. ტყვეობის შედეგად; ან ცივილური სამართლით... მონათა მდგომარეობაში არავითარი განსხვავება არ არსებობს.“<sup>61</sup>

58 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები, ნიგნი პირველი, ნიგნი მეორე ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, გვ. 93-99, იქვე, გვ. 91.

60 იქვე, გვ. 92.

61 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002, გვ. 16-17.

„ხოლო მონები ჩვენი ბატონობის ქვეშ ან ცივილური სამართლით ექცევიან ანდა ხალხთა სამართლით. ცივილური სამართლით [მონად იქცევიან იმ შემთხვევაში] თუ ვინმემ, ოც წელს გადაცილებულმა, გასაყიდი ფასის გარკვეული წილის მიღების მიზნით საკუთარი თავის მონად გაყიდვა დაუშვა. ხალხთა სამართლით ჩვენი მონები არიან ისინი, ვისაც ჩვენ მტერთაგან ვატყვევებთ, ან ვინც ჩვენი მხევლებისაგან იბადება.“<sup>62</sup>

„დაბადებით თავისუფალნი არიან ისინი, ვინც თავისუფალმა დედამ დაბადა. ამასთან, საკმარისია, რომ დედა თავისუფალი იყოს შვილის დაბადების დროს, თუნდაც ბავშვი მხევლად ყოფნისას ჩაისახოს, და პირიქით, თუ დედამ ბავშვი თავისუფალმა ჩასახა და ამის შემდეგ იგი მხევალი გახდა, ბავშვი თავისუფლად ითვლება. და არა აქვს მნიშვნელობა იგი კანონიერ ქორწინებაში ჩაისახა თუ მის გარეშე, ვინაიდან დედის უბედურებამ არ უნდა ავნოს იმას, „ვინც მუცელშია.“<sup>63</sup>

**მონობის შეწყვეტის გზები (გააზატება):**

- საჯარო განცხადებით – თუ მონათმფლობელი საჯაროდ განაცხადებდა მაგისტრატის წინაშე, რომ ათავისუფლებდა მონას;
- თავისუფალ მოქალაქეთა სიებში შეყვანით, რომელსაც 5 წელიწადში ერთხელ ადგენდნენ (manumissio censu), ამის შესახებ უნდა სცოდნოდა ცენზორს;
- მონის გააზატება ანდერძის საფუძველზე (manumissio testamento).

„თავისუფალთა შორის კი მრავალი განსხვავება არსებობს, ვინაიდან ისინი ან დაბადებით თავისუფალნი არიან, ან – გააზატებულნი.“<sup>64</sup>

---

62 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე ლათინურიდან თარგმანა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, გვ. 88.

63 იქვე.

64 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმანა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო

„გააზატებულნი არიან ის პირები, რომლებიც კანონიერი მონობიდან განთავისუფლდნენ. ხოლო გააზატება კი თავისუფლების მიცემაა, ვინაიდან ვიდრე ვინმე მონობაშია, იგი [სხვის] ხელსა და ხელისუფლებას ექვემდებარება, ხოლო გააზატებული [ამ] ხელისუფლებიდან თავისუფლდება. ეს საქმე სათავეს ხალხთა სამართლიდან იღებს, ვინაიდან ბუნებითი სამართლის თანახმად, ყველა თავისუფალი იბადება და არ იყო ცნობილი მონის გათავისუფლება (გააზატება), რადგან უცნობი იყო თავად მონობა.“<sup>65</sup>

„ხოლო გააზატება მრავალნაირად ხდება. სახელდობრ, ან წმინდა კონსტიტუციით წმინდა სახალხო კრებაზე, ან ვინდიქტიით, ან მეგობრების წინაშე, ან წერილით, ან ანდერძით, ან სხვა ნებისმიერი უკანასკნელი ნების [გამოვლენით].

ხოლო მონები, ჩვეულებრივ, თავიანთი ბატონების მიერ შეიძლება ნებისმიერ დროს იქნენ გათავისუფლებულები; თუნდაც გზაშიც კი, მაგალითად, როდესაც პრეტორი, პროკონსული ან პრეზესი აბანოში ან თეატრში მიდის.“<sup>66</sup>

გააზატებული (*liberti, libertini*) მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულად რომის მოქალაქე იყო, უფლებაუნარიანობის თვალსაზრისით მაინც იზღუდებოდა; მას არ შეეძლო თავისუფალ მოქალაქესთან დაქორწინება, საპატიო, არჩევითი თანამდებობის დაკავება და ასევე ყოფილი პატრონის მიმართ გარკვეულ დაქვემდებარებაში რჩებოდა; მას ყოფილი პატრონისათვის უნდა მიერთმია ძღვენი, გაენია სამსახური და სხვა.

პეკულიუმი (*peculium*) იყო მებატონის მიერ მონისათვის, ან ოჯახის უფროსის (*paterfamilias*) მიერ მის ხელისუფლებაში მყოფი პირისათვის სამართავად გადაცემული ქონება.

პეკულიუმის მეშვეობით სხვის ხელისუფლებაში მყოფ პირს სამართავად შეიძლებოდა გადასცემოდა მინის ნაკვეთი, ხომალდი, სავაჭრო ფარდული, ფული და სხვა.

ხელისუფლებაში მყოფი პირის (თავისუფალის ან მონის)

---

6. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002, გვ. 17.

65 იქვე, გვ. 18.

66 იქვე.

მიერ დადებულ გარიგებებზე, პეკულიუმის მოცულობის გათვალისწინებით, პასუხს ოჯახის უფროსი (paterfamilias) აგებდა.

#### 4.5 კოლონები

**კოლონი (colonus).** III საუკუნიდან მოყოლებული, რომაელებმა დაიწყეს პროვინციებში მიწის იჯარით გაცემა; მიწის იჯარით ამლებს კოლონი ეწოდებოდა. IV საუკუნიდან იწყება კოლონების მიწაზე მიმაგრება. კოლონს ეკრძალებოდა მამულის მესაკუთრის თანხმობის გარეშე მიწის ნაკვეთის მიტოვება, მესაკუთრეს კი ამ მიწებიდან კოლონების განდევნა; მესაკუთრეს მხოლოდ კოლონების ერთი მამულიდან მეორეში გადაყვანის უფლება ჰქონდა.

#### 4.6 იურიდიული პირები

**იურიდიული პირები (universitates, კორპორაცია).** რომაელი იურისტები ხედავდნენ, რომ სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, ცალკეულ შემთხვევებში, შეიძლებოდა ყოფილიყო არამარტო ფიზიკური პირი, არამედ ადამიანთა გაერთიანება, კორპორაცია, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობაში გამოდიოდა როგორც ერთი მთლიანი იურიდიული სხეული. ასეთი შესაძლოა ყოფილიყო თემი, დამკრძალავთა გაერთიანებები, ხელოსნების გაერთიანებები და სხვა. რესპუბლიკის ხანაში კერძო კორპორაციების წარმოშობას სახელმწიფო არ ზღუდავდა, მაგრამ ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე კორპორაციის დაარსებისათვის სენატის თანხმობა იყო საჭირო. კოლეგია კანონიერად ჩაითვლებოდა, თუ მისი არსებობა ნებადართული იყო სენატისა და იმპერატორის მიერ. ნებართვა მხოლოდ რელიგიური გაერთიანების დაარსებისათვის არ იყო საჭირო. თავდაპირველად სახელმწიფო არ გამოდიოდა, როგორც იურიდიული პირი, მაგრამ შემდგომში ასეთად აღიქმებოდა, მაგ. მუნიციპალიტეტი.

რომაელმა იურისტებმა გამოყვეს რამდენიმე ნიშანი, რაც მათი მოსაზრებით კორპორაციებს ახასიათებდა:

- კერძო სამართლის სფეროში, იურიდიული პირები ისევე აღიქმებოდა, როგორც ფიზიკური პირი;

- ცალკეულ პირთა გამოსვლა არ იწვევდა კორპორაციის მოშლას;
- კორპორაციის ქონება განკერძოებულია მისი წევრების ქონებისაგან (პირი ვერ გაიტანს თავის ქონებას, კორპორაციის ვალი მისი ვალი არაა);
- კორპორაცია სხვა პირებთან ურთიერთობას ამყარებს ფიზიკური პირის ან პირების მეშვეობით.

იურიდიული პირის საქმიანობა შეწყდებოდა თუ:

- დასახულ მიზანს მიაღწევდა, იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული მიზნით იყო შექმნილი;
- მისი საქმიანობა კანონსაწინააღმდეგო გახდებოდა;
- მისი წევრების რაოდენობა სამზე ნაკლები იქნებოდა.

## 5. რომის საოჯახო სამართალი

**5.1 რომაული ოჯახი, აგნატური და კოგნატური ნათესაობა**  
რომაული ოჯახი პატრიარქალურ ხასიათს ატარებდა. ოჯახის სათავეში იდგა ოჯახის უფროსი (paterfamilias), რომელსაც ოჯახის ყველა წევრი ექვემდებარებოდა; თავდაპირველად მას ერთნაირი ძალაუფლება გააჩნდა ცოლზე, შვილზე, მათ შთამომავლებზე, მონებსა თუ სხვა ნივთებზე. უძველეს ხანაში მამის ძალაუფლება განუსაზღვრელი იყო, მისადმი დაქვემდებარებულნი კი სრულიად უფუფლებონი იყვნენ.

ერთსა და იმავე ოჯახის მამის ძალაუფლებისადმი დაქვემდებარებით განისაზღვრებოდა თავდაპირველი ნათესაობა, ე.წ. აგნატური ნათესაობა. ამგვარი ნათესაობის შემთხვევაში ქალიშვილი, რომელიც გათხოვდებოდა და ახალი ოჯახის წევრი ხდებოდა, აღარ ითვლებოდა თავისი მამის, ძმის და ა.შ. ნათესავად და რაიმე მემკვიდრეობას მათგან აღარ მიიღებდა; იმავდროულად, თუ ოჯახის მამა ვინმეს შვილად აიყვანდა, ეს უკანასკნელი ამ ოჯახის აგნატი ხდებოდა.

პატრიარქალური ურთიერთობების რღვევის შედეგად მამის ხელისუფლება თანდათან შემცირდა და აგნატური ნათესაობის ადგილი დაიკავა სისხლით ნათესაობამ, ანუ კოგნატურმა ნათესაობამ. ასეთ შემთხვევაში გათხოვილი ქალიშვილი აღარ კარგავდა თავის ოჯახთან ნათესაურ კავშირს და მემკვიდრეობის უფლებასაც.

### 5.2 ნიშნობა

საოჯახო სამართლის მნიშვნელოვან ინსტიტუტს ქორწინება წარმოადგენს. ქორწინებას წინ უსწრებდა ნიშნობა და ამდენად ნიშნობასა და ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხები რომაელი იურისტების ინტერესს წარმოადგენდა.

„ნიშნობა არის მომავალი ქორწინების დათქმა (ხსენება) და ორმხრივი დაპირება.“<sup>67</sup>

67 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი ოც-დამესამე. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და სა-

„ხოლო „ნიშნობას“ (sponsalia) სახელი ეწოდა [სიტყვისაგან] „დაპირება“ (spondere), ვინაიდან ძველებს თავიანთი მომავალი ცოლების სტიპულირებისა და დაპირების ჩვეულება ჰქონდათ.“<sup>68</sup>

„და აქედან წარმოიშვა სახელწოდება – [დანიშნული] საქმრო (sponsus) და საცოლე (sponsa).“<sup>69</sup>

ნიშნობისათვის აუცილებელ პირობათა შორის მოიაზრებოდა:

- მხარეთა თანხმობა;
- შერაცხადობა;
- დასანიშნ პირთა ასაკი;
- შესაბამისი ფორმის დაცვა.

„ნიშნობა ისევე როგორც ქორწინება კონტრაქტების თანხმობის საფუძველზე ხორციელდება და ამიტომაც საჭიროა, რომ „ოჯახის ქალიშვილმა“ როგორც ქორწინების, ასევე ნიშნობის დროს თავისი თანხმობა გამოხატოს.“<sup>70</sup>

„ნიშნობისას იმავე პირთა თანხმობაა საჭირო, რომელთა თანხმობაა საჭირო ქორწინების დროსაც. იულიანე წერს, რომ ქალიშვილის მამა ყოველთვის თანახმად ითვლება, თუკი იგი უარყოფით აზრს აშკარად არ გამოხატავს.“<sup>71</sup>

„მაგრამ ქალიშვილი, რომელიც მამის ნებას არ ეწინააღმდეგება, თანახმად ითვლება. მაგრამ მამის შეწინააღმდეგების უფლება ქალიშვილს მხოლოდ მაშინ ეძლევა, როდესაც მამა მას უღირსი ზნის ან სახელგატეხილ საქმროს აურჩევს.“<sup>72</sup>

„თუ ოჯახის ვაჟიშვილი თანახმა არ არის, [მაშინ] მისი სახელით ნიშნობის დანესება არ შეიძლება.“<sup>73</sup>

„თავისთავად ცხადია, რომ შეშლილობა ნიშნობის დაბრკოლებას წარმოადგენს, მაგრამ [ნიშნობის] შემდეგ დამდგარი

---

ძიებული დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, ნეკერი, 2001, გვ. 7.

68 იქვე.

69 იქვე.

70 იქვე, გვ. 9.

71 იქვე, გვ. 8.

72 იქვე, გვ.9.

73 იქვე.

შეშლილობა ნიშნობას ძალას არ უკარგავს.<sup>74</sup>

„ნიშნობის დაწესებასთან დაკავშირებით კონტრაპუნტების ასაკი განსაზღვრული არ არის, როგორც ეს არის ქორწინების შემთხვევაში. რის გამოც დანიშვნა ადრეულ ასაკშიც არის შესაძლებელი, ოღონდ თუ ორივე მხარეს ესმის ის, რასაც ისინი აკეთებენ, ე.ი: თუ ისინი შვიდ წლამდე ასაკისანი არ არიან.“<sup>75</sup>

„ნიშნობის განხორციელებისათვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, შესრულდა თუ არა იგი [უშუალოდ] მხარეთა მიერ ან მათი თანდასწრებით, შუამავლის ან წერილის მეშვეობით თუ რაიმე სხვა საშუალებით. და თითქმის ყოველთვის ნიშნობა შუამავალი პირების („მაცნეების“) მეშვეობით ხორციელდება.“<sup>76</sup>

ნიშნობის შემდეგ ქორწინებამდე შესაძლოა რამდენიმე წელიც გასულიყო – „ხშირად კანონიერი საფუძველი და აუცილებლობა აჭიანურებს ნიშნობას არა მარტო ერთი ან ორი, არამედ სამი, ოთხი ან უფრო მეტი წლითაც. როგორც, მაგალითად, საქმროს ან საცოლის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ან მშობლების გარდაცვალება, ან მძიმე დანაშაულის [ჩადენა], ან აუცილებლობით გამოწვეული მოგზაურობა.“<sup>77</sup>

### 5.3 ქორწინება

„ქორწინება არის მამაკაცისა და ქალის კავშირი, მთელი ცხოვრების ერთიანობა, ლეგიური და ადამიანური სამართლის ერთობა.“<sup>78</sup>

რომის სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებდა ორი სახის ქორწინებას:

1. კანონიერი ქორწინება – ქორწინება იმ პირთა შორის ვისაც გააჩნდა *ius conubii*, ანუ ქორწინება კვირიტული სამართლით რომაელ მოქალაქეთა შორის;

2. ქორწინება იმ პირთა შორის, ვისაც არ გააჩნდა *ius conu-*

---

74 იქვე, გვ. 8.

75 იქვე, გვ. 9.

76 იქვე, გვ. 10.

77 იქვე.

78 იქვე.

bii, ანუ ქორწინება ხალხთა სამართლით, მაგალითად პერეგრინთა შორის.

ქორწინებისაგან განსხვავდებოდა კონკუბინატი. ეს იყო კანონით დაშვებული, ქალისა და მამაკაცის მუდმივი (და არა შემთხვევითი) თანაცხოვრება, რომელიც კანონიერი ქორწინების მოთხოვნებს არ პასუხობდა. ასეთ შემთხვევაში ქალი არ იღებდა ქმრის სოციალურ მდგომარეობას და ბავშვები არ ექვემდებარებოდნენ მამის ხელისუფლებას. მიუხედავად რომაული ოჯახის მონოგამიურობისა, რესპუბლიკის ხანაში მამაკაცისათვის დასაშვები იყო ერთდროულად ყოფილიყო კანონიერ ქორწინებაშიც და ყოლოდა კონკუბინა.

რომის სამართალი განასხვავებდა ასევე cum manu და sine manu ქორწინებას:

- cum manu ქორწინების დროს ცოლი გადადიოდა ქმრის ხელისუფლებაში (ან ქმრის მამის ხელისუფლებაში, თუ ქმარი თვითონ იყო მამისადმი დაქვემდებარებული); ქორწინების აღნიშნული ფორმა აგნატური ნათესაობის პირობებში იყო გავრცელებული;
- sine manu ქორწინების დროს კი ცოლი რჩებოდა თავისი (ძველი) ოჯახის მამის დაქვემდებარებაში, ან რჩებოდა დამოუკიდებელ პირად, თუ ასეთი იყო გათხოვებამდე; ქორწინების აღნიშნული ფორმა კოგნატური ნათესაობის პირობებში იყო გავრცელებული.

**კანონიერი ქორწინებისათვის<sup>79</sup> აუცილებელი პირობები:**

- ius conubii – ქორწინების უფლება;
- მხარეთა თანხმობა;
- ასაკი;
- არ უნდა ყოფილიყო სულით ავადმყოფი (შეშლილი);
- მხარეები არ უნდა ყოფილიყვნენ ქორწინებაში;
- ნათესაური კავშირების არქონა;
- სენატორს (ან მის შვილს) არ შეეძლო, გააზატებულზე ან თეატრის მსახიობზე დაქორწინება;
- პროვინციის მაგისტრატის წარმომადგენელს არ შეეძ-

79 კვირიტული სამართლით.

ლო პროვინციის მცხოვრებზე დაქორწინება;

- საქორწინო რიტუალი (ასევე ცოლის შეყვანა ქმრის სახლში).

„ხოლო რომის მოქალაქეები ერთმანეთზე კანონიერად ქორწინდებიან იმ შემთხვევაში, თუ ისინი ერთმანეთთან კავშირს კანონთა მითითებების შესაბამისად ამყარებენ. ამასთან მამაკაცები სრულწლოვანების, ხოლო ქალები კი სქესობრივი სიმწიფის მიღწევის შემდეგ, და არა აქვს მნიშვნელობა, ისინი ოჯახის მამები არიან თუ ოჯახის შვილები. მაგრამ ოჯახის შვილებს, გარდა ამისა, მშობლების თანხმობაც უნდა ჰქონდეთ [მიღებული], მშობლებისა, რომელთა ხელისუფლების ქვეშაც ისინი იმყოფებიან. ეს რომ, მართლაც, ასე უნდა ხდებოდეს, ამას მოითხოვს როგორც ცივილური, ასევე ბუნებითი [სამართლის] დანაწესები ისე, რომ მშობლის ნება [ყველაზე] წინ უნდა იყოს დაყენებული.“<sup>80</sup>

„არ შეიძლება [და]ქორწინება, თუ არ არის თანხმობა ყველა [მხარისა], ე.ი. იმ პირებისა, რომლებიც ქორწინდებიან და ასევე იმ პირებისა, რომელთა ხელისუფლების ქვეშ ისინი იმყოფებიან.“<sup>81</sup>

„პირს, რომლის მამა მტრებს ტყვედ ჩაუვარდა, ცოლის მოყვანა შეუძლია [იმ შემთხვევაში], თუ მამა [ტყვეობიდან] სამი წლის განმავლობაში არ დაბრუნდა.“<sup>82</sup>

„მამის ხელისუფლებიდან განთავისუფლებულ ვაჟიშვილს მამის თანხმობის გარეშე შეუძლია ცოლის შერთვა და [ამ ქორწინებაში] გაჩენილი ვაჟიშვილი მისი მემკვიდრე იქნება.“<sup>83</sup>

„არ შეიძლება, რომ ოჯახის ვაჟიშვილს ცოლის მოყვანა აი-

---

80 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002, გვ. 24.

81 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი ოცდამესამე. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, ნეკერი, 2001, გვ. 10-11.

82 იქვე, გვ. 12.

83 იქვე, გვ. 17.

ძულონ.<sup>84</sup>

„თუ მამის იძულების შედეგად ვაჟიშვილმა ცოლი მოიყვანა, რომელსაც იგი თავისი ნებით არ შეირთავდა, მაგრამ საქორწინო ხელშეკრულება მაინც დადო, რომელიც მხარეთა თანხმობის გარეშე არ იდება, ითვლება, რომ მან ეს (დაქორწინება) აირჩია.“<sup>85</sup>

„თორმეტ წლამდე ასაკის ქალიშვილი (საცოლე) მაშინ ხდება კანონიერი ცოლი, როდესაც მას ქმართან ყოფნისას თორმეტი წელი შეუსრულდება.“<sup>86</sup>

„შეშლილობა ქორწინების დამაბრკოლებელი [ფაქტორია], ვინაიდან იგი ორივე მხარის თანხმობას საჭიროებს, მაგრამ სწორად დამყარებულ ქორწინებას შეშლილობა არ აფერხებს.“<sup>87</sup>

ნათესობად განიხილებოდა სისხლით ნათესაობა და მოყვრობა, ხოლო ქრისტიანობის აღიარების შემდეგ, სულიერი ნათესაობაც. სისხლით ნათესაობა განისაზღვრებოდა ხაზებითა და ხარისხებით:

პირდაპირი ხაზია ერთმანეთისგან წარმოშობილი ნათესავეები (მაგ. მამა-შვილი, პაპა-შვილიშვილი და სხვა). პირდაპირი ხაზი იყოფა აღმავალი და დაღმავალი ხაზით ნათესავეებად (დაღმავალია: შვილი, შვილიშვილი, შვილიშვილის შვილი; აღმავალია: მამა, პაპა და ა.შ.); გვერდითი ხაზია – საერთო წინაპრიდან წარმოშობილი (მაგ. ძმები, ბიძაშვილები);

ნათესაობის ხარისხს დაბადებათა რაოდენობა განსაზღვრავდა, ასე მაგალითად მამა-შვილი პირველი ხარისხის ნათესავეები იყვნენ, პაპა და შვილიშვილი მეორე, ძმები – მეორე და ა.შ.

იკრძალებოდა ქორწინება პირდაპირი ხაზის ნათესავეებს შორის და იმ გვერდითი ხაზის ნათესავეებს შორის, რომელთაგან ერთი საერთო წინაპრის მიმართ პირველი ხარისხის ნათესავია (ე.ი. დაუშვებელი იყო ქორწინება და-ძმას, დეიდა-დისწულს შორის; დასაშვებია იყო მაგ. ბიძაშვილებს შორის).

---

84 იქვე.

85 იქვე.

86 იქვე, გვ. 11.

87 იქვე, გვ. 15.

„არ შეიძლება ქორწინება არსებობდეს იმ პირთა შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან მშობლებს და ბავშვებს (ე.ი. არიან აღმავალი და დაღმავალი ხაზის ნათესავები) უახლოესიდან (უფრო) შორეულ ხარისხამდე და ა.შ. უსასრულოდ.“<sup>88</sup>

„მე არ შემძლია ცოლად შევიერთო დის შვილიშვილის შვილი, რადგან მე მისი მშობლის ადგილი მიკავია.“<sup>89</sup>

„ძმიშვილის ან დიშვილის ცოლად შერთვა არ შეიძლება, მაგრამ არც ძმის შვილიშვილის ან დის შვილიშვილის ცოლად მოყვანა შეუძლია ვინმეს, თუმცა ისინი მეოთხე ხარისხის ნათესავები არიან.“<sup>90</sup>

„რა თქმა უნდა, ვისი ქალიშვილის ცოლად შერთვაც არ შემძლია, იმის არც შვილიშვილზე დაქორწინება არის ნებადართული.“<sup>91</sup>

„ხოლო ორი ძმის ან ორი დის, ან კიდევ ძმისა და დის ბავშვებს ერთმანეთთან დაქორწინება შეუძლიათ.“<sup>92</sup>

„თუ მე ჩემი ხელისუფლების ქვეშ მყავს მამრობითი სქესის შვილიშვილი ერთი ვაჟისაგან და მდედრობითი სქესის შვილიშვილი მეორე ვაჟიშვილისაგან, მაშინ, როგორც პომპონიუსი წერს, მათ შორის ქორწინება მხოლოდ ჩემი თანხმობით შეიძლება და ეს [სავესებით] სწორია.“<sup>93</sup>

„თუ პირმა ცოლად ვინმე იმ პირთაგან მოიყვანა, რომელთა ცოლად შერთვა ჩვენ ჩვეულებით გვეკრძალება, ამბობენ, რომ მან სისხლის აღრევა (ინცესტი) ჩაიდინა.“<sup>94</sup>

„საჭიროა ასევე ზოგიერთ ქალთან დაქორწინებისაგან თავ-

---

88 იქვე, გვ. 28.

89 იქვე, გვ. 20.

90 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002, გვ. 25.

91 იქვე.

92 იქვე, გვ. 26.

93 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. ნიგნი ოცდამესამე. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, ნეკერი, 2001, გვ. 11.

94 იქვე, გვ. 20.

ის შეკავება მოყვრობის პატივისცემის გამოც. ასე მაგალითად, არ შეიძლება გერის ან რძლის ცოლად მოყვანა, რადგან ორივეს ქალიშვილის მდგომარეობა უკავიათ.<sup>95</sup>

„ასევე აკრძალულია სიდედრისა და დედინაცვლის ცოლად შერთვა, ვინაიდან მათ დედის მდგომარეობა უკავიათ.“<sup>96</sup>

„პაპიუსის კანონი ითვალისწინებს, რომ ყველა თავისუფალ პირად დაბადებულს, სენატორებისა და მათი ბავშვების გარდა, შეუძლია ცოლად გააზატებული მოიყვანოს.“<sup>97</sup>

„[საქორწინო] კავშირის დროს, ყოველთვის, მხედველობაში უნდა მივიღოთ არა მარტო ის, რაც დაშვებულია, არამედ აგრეთვე ისიც, რაც ღირსეულია. თუ სენატორის ქალიშვილი, შვილიშვილი ან შვილიშვილის შვილი გათხოვდება გააზატებულზე ან იმ პირზე, რომელიც „სხვების გასართობი ხელობით“ არის დასაქმებული, ქორწინება არ იარსებებს.“<sup>98</sup>

„თუ პირი რომელიმე პროვინციაში თანამდებობაზეა დანიშნული, მას არ შეუძლია იმ ქალის ცოლად შერთვა, რომელიც ამ პროვინციიდან არის წარმოშობით ან იქ საცხოვრებელი ბინა გააჩნია...“<sup>99</sup>

თუმცა ასეთი ქალის დანიშვნა შესაძლებელი იყო, თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ კი დაქორწინება; ასევე ქორწინება დაიშვებოდა თუ თანამდებობაზე დანიშვნამდე იყო მისი საცოლე; არც ქალიშვილის გათხოვება და მზითვის დანიშვნა შეიძლებოდა იმავე პროვინციაში.

„კოპორტის თუ ცხენოსანი ჯარის პრეფექტმა ან ტრიბუნმა აკრძალვის (ინტერდიქტის) მიუხედავად ცოლად შეირთო ქალი იმ პროვინციიდან, რომელშიც ის თავის თანამდებობრივ ფუნ-

---

95 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002, გვ. 26.

96 იქვე.

97 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი ოც-დამესამე. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, ნეკერი, 2001, გვ. 17..

98 იქვე, გვ. 21.

99 იქვე, გვ. 20.

ქციებს ასრულებდა. [ამ შემთხვევაში] ქორწინება არ იარსებებს. ეს შემთხვევა უნდა შევადაროთ მეურვისა და მის მეურვეობაში მყოფი ობოლი ქალიშვილის ქორწინებას, რადგან [ორივე შემთხვევაში] ქორწინებას ხელისუფლების არსებობა კრძალავს.<sup>100</sup>

#### 5.4 ქორწინების შეწყვეტა

ქორწინების შეწყვეტა ხდებოდა:

- ერთერთი მეუღლის გარდაცვალებით;
- ერთერთი მეუღლის მიერ თავისუფლების ან მოქალაქეობის დაკარგვით;
- განქორწინებით.

განქორწინება შესაძლებელი იყო ორივე მხარის თანხმობით ან ერთერთი მხარის მოთხოვნით, შემდეგ შემთხვევებში:

- ლალატის;
- მკვლელობის მცდელობის;
- სქესობრივი ცხოვრებისათვის უვარგისობის;
- მონასტერში აღკვეცის.

#### 5.5. ოჯახის წევრთა უფლებრივი მდგომარეობა

მეუღლეთა შორის ურთიერთობა. Cum manu ქორწინების დროს ცოლი გადადიოდა ქმრის (ან მისი ოჯახის მამის) დაქვემდებარებაში და ექცეოდა შვილების მდგომარეობაში. თავდაპირველად ქმრის ძალაუფლება განუსაზღვრელი იყო, თუმცა დროთა განმავლობაში მან დაკარგა ცოლის მოკვლისა და გაყიდვის უფლება; ცოლის მთელი ქონება გადადიოდა ქმრის სრულ საკუთრებაში და ქორწინების შეწყვეტის შემდეგაც ცოლის მიერ ოჯახში მიტანილი ქონება უკან არ უბრუნდებოდა.

sine manu ქორწინების დროს ცოლი თავისი მამის ოჯახის წევრად ან დამოუკიდებლად რჩებოდა; ის იღებდა ქმრის წოდებას და მეუღლის საცხოვრებელი ადგილი სავალდებულო ხდებოდა მისთვის; მეუღლეთა ქონება გაყოფილი იყო; ცოლის ქონების მართვა ქმარს მხოლოდ მისი თანხმობით შეეძლო; ცოლის შენაძენიც მის ქონებაში გადადიოდა.

---

100 იქვე, გვ. 33.

მზითვეი dos. ძვ. ნ. II ს-დან მზითვის მიმართ დადგინდა განსაზღვრული სამართლებრივი რეჟიმი; ცოლ-ქმარს შორის იღებოდა ზეპირი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ქმარი იღებდა თავის თავზე ვალდებულებას დაებრუნებინა მზითვეი ქორწინების შეწყვეტის შემთხვევაში; თუ ასეთი შეთანხმება არ იყო, მზითვეი იურიდიულად რჩებოდა ქმრის საკუთრებაში, თუმცა ქმარი ანდერძით უტოვებდა მას ცოლს. მოგვიანებით ქორწინების შეწყვეტის შემდეგ ცოლს ნებისმიერ შემთხვევაში უბრუნდებოდა მზითვეი.

მშობლებსა და შვილებს შორის ქონებრივი ურთიერთობა შემდეგ საწყისებზე იყო აგებული:

- შვილები გარიგებას მამის სახელით დებდნენ;
- დელიქტის შემთხვევაში პასუხისმგებლობა მამაზე გადადიოდა ან შვილს გადასცემდა დაზარალებულს;
- პეკულიუმი მამის საკუთრებად განიხილებოდა;
- სამხედრო პეკულიუმი – ანდერძის არარსებობის შემთხვევაში მამის საკუთრებაში გადადიოდა;
- კვაზი სამხედრო პეკულიუმი – სახელმწიფო, სასულიერო ან საადვოკატო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი (IV ს-დან).

## 5.6 მამის ხელისუფლება

შვილებზე ძალაუფლება აქვს მხოლოდ მამას და არა ორივე მშობელს. მამის ხელისუფლება წარმოიშობა:

- კანონიერ ქორწინებაში შვილის დაბადებით;
- დაკანონებით;
- შვილად აყვანით.

„ჩვენი ხელისუფლების ქვეშ არიან ჩვენი ბავშვები, რომლებიც ჩვენ კანონიერ ქორწინებაში გავაჩინეთ.“<sup>101</sup>

დაკანონება არის კანონიერი ქორწინების გარეშე დაბადებული შვილის კანონიერად ცნობა (ეს ძირითადად კონკუბინატის

---

101 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002, გვ. 23.

შედეგად დაბადებული ბავშვების მიმართ ხდებოდა). დაკანონება შესაძლებელი იყო:

- უკანონოდ დაბადებული ბავშვის მშობლების დაქორწინებით;
- იმპერატორის რესკრიპციით;
- შვილის მუნიციპალიტეტის სენატის (კურიის) ნევრად ჩარიცხვით, ან ქალიშვილის გათხოვებით მუნიციპალიტეტის ნევრზე.

დაკანონება ხდებოდა საკუთარ შვილებთან მიმართებაში, შვილად აყვანა კი შესაძლებელი იყო გარეშე პირისაც.

შვილად აყვანა ორი სახისა იყო:

- თავისუფალი პირის შვილად აყვანა (adrogatio);
- არათავისუფალი პირის შვილად აყვანა (adoptio).

„საერთოდ შვილად აყვანა ორნაირად ხდება: ან პრინციფის, ან მაგისტრატის ხელისუფლებით. პრინციფის ხელისუფლებით შვილად იყვანენ იმას, ვინც თავისუფალია. შვილად აყვანის ამ სახეს „ადროგაციოს“ უწოდებენ, რადგან ვისაც შვილად აჰყავს, მას ეკითხებიან; სურს თუ არა მას [შვილად] ის, ვის შვილებსაც აპირებს. ვინც შვილად აჰყავთ, მასაც ეკითხებიან, თანახმაა თუ არა იგი, რომ შვილად აიყვანონ. მაგისტრატის ხელისუფლებით შვილად აჰყავთ ის, ვინც მშობლის ხელისუფლებას ექვემდებარება. ამასთან არა აქვს მნიშვნელობა იგი პირველი კატეგორიის ბავშვი იქნება, როგორცაა ვაჟიშვილი და ქალიშვილი, თუ უფრო დაბალი კატეგორიისა; როგორცაა ვაჟი – შვილიშვილი, ქალი – შვილიშვილი...“<sup>102</sup>

შვილად აყვანის აუცილებელი პირობები იყო:

- შვილად აყვანა შეეძლო მხოლოდ მამაკაცს;
- შვილად ამყვანი არ შეიძლებოდა ყოფილიყო მამაზე დაქვემდებარებული;

---

102 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები, ნიგნი პირველი, ნიგნი მეორე ლათინურიდან თარგმანა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთონ ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, გვ. 97-98.

- შვილად ამყვანი, 18 წელს გადაცილებული უნდა ყოფილიყო.

შვილად აყვანილი ოჯახის მამაზე დაქვემდებარებული სხვა ოჯახის წევრების თანასწორუფლებიანი იყო, მათ შორის მემკვიდრეობის სფეროში.

„დადგენილია, რომ ასაკით უმცროსს არ შეუძლია მასზე უფროსის შვილად აყვანა. ვინაიდან შვილად აყვანა ბუნების მიბაძვაა და უცნაური იქნება, რომ ვაჟიშვილი ასაკით მამაზე უფროსი იყოს. ასე რომ, ის, ვისაც ადროგაციით ან ალოფციით ვინმე თავის ვაჟიშვილად აპყავს, სრული სრულწლოვანი, ე.ი. თვრამეტ წელს გადაცილებული უნდა იყოს.“<sup>103</sup>

მამის ხელისუფლება წყდებოდა:

- მამის გარდაცვალებით;
- შვილის გარდაცვალებით;
- ოჯახის მამის მიერ თავისუფლების ან მოქალაქეობის დაკარგვით (გადასახლებით);
- შვილის მიერ საპატიო თანამდებობის დაკავებით (მაგ. კონსული, პრეზესი);
- ემანსიპაციით (შვილის თანხმობით).

ემანსიპაცია შესაძლო იყო:

- იმპერატორის რესკრიპტით;
- ოჯახის მამის განცხადებით;
- ხანგრძლივი ფაქტობრივი მდგომარეობით.

„მაგრამ ვინაიდან, ის ვისაც რაიმე დანაშაულის გამო კუნძულზე ასახლებენ, მოქალაქეობას კარგავს, აქედან გამომდინარე, რადგან მას ამ გზით რომის მოქალაქეთა რიცხვიდან ამოშლიან, ბავშვები ისევე, როგორც მისი გარდაცვალების შემთხვევაში, მის ხელისუფლებას აღარ ექვემდებარებიან.“<sup>104</sup>

„მონობამისჯილნი შვილებზე თავიანთ ხელისუფლებას კარგავენ, ხოლო მონობამისჯილები არიან ის პირები, რომლებსაც

103 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002, გვ. 29.

104 იქვე, გვ 31.

მალაროებში მუშაობას უსჯიან ან [საბრძოლველად] მხეცებს მიუგდებენ.“<sup>105</sup>

„თუ ოჯახის შვილი კონსული ან პრეზესია, ცნობილია, რომ, მას შეუძლია თავად გაითავისუფლოს თავი [სხვისი] ხელისუფლებიდან...“<sup>106</sup>

„ვინაიდან ვინ მოითმენს იმას, რომ ემანსიპაციის გზით მამას ვაჟიშვილის თავისი ხელისუფლებიდან განთავისუფლება შეეძლოს; ხოლო საიმპერატორო უმაღლესობას კი, ამავე დროს, არ შექონდეს იმ პირის სხვისი ხელისუფლებიდან განთავისუფლების შესაძლებლობა, რომელსაც მან თავისი პატრიციების წოდება მიანიჭა.“<sup>107</sup>

„ბავშვები მშობლის ხელისუფლების ქვეშ ყოფნას წყვეტენ ემანსიპაციის შედეგად. ადრე ეს განთავისუფლება ხდებოდა ძველი კანონების დაცვით – ფიქციის მეშვეობით, ან იმპერატორის რესკრიპტით; იუსტინიანეს კონსტიტუციით მამას შეეძლო პირდაპირ მიემართა მოსამართლისთვის, ან მაგისტრატისთვის და ისე გაეთავისუფლებინა შვილი საკუთარი ხელისუფლებიდან, იმდაგვარად, რომ მამა ინარჩუნებდა შვილის ქონებაზე ისეთივე უფლებებს, როგორსაც გააზატებული ქონებაზე.“<sup>108</sup>

### 5.7 მეურვეობა და მზრუნველობა

მეურვეები ენიშნებოდათ ობოლ არასრულწლოვანებს, ხოლო სრულწლოვანებს მიღწეულ პირებს, გარკვეული პირობების არსებობისას ენიშნებოდათ მზრუნველები.

105 იქვე, გვ. 31-32.

106 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, გვ. 98.

პავლუსი; დიგესტები, წიგნი I, ტიტული VII, 3.

107 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002, გვ. 32.

108 იხ. იქვე, გვ. 33.

მეურვეობა. „ხოლო მეურვეობა, როგორც სერვიუსმა განსაზღვრა, არის ცივილური სამართლის მიერ მინიჭებული და დაშვებული უფლება და ხელისუფლება იმ თავისუფალი პირის დაცვისა, რომელსაც ასაკის გამო თავის დაცვა არ შეუძლია. ხოლო მეურვეები არიან ის პირები, რომლებსაც ეს ძალა და ხელისუფლება გააჩნიათ. სახელწოდება სწორედ ამ საქმიანობიდან მიიღეს. ასე რომ, მათ ეწოდებათ „tutores“ (მეურვეები)...“<sup>109</sup>

მშობლებს შეეძლოთ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები-სათვის ანდერძით დაენიშნათ მეურვეები, ეს წესი ეხებოდა მამის გარდაცვალების შემდეგ დაბადებულ ბავშვებსაც.

ანდერძით მეურვედ შეიძლებოდა დანიშნულიყო არამარტო ოჯახის მამა, არამედ შვილიც, ასევე საკუთარი მონაც, გააზატების შემდგომ; შეშლილი და 25 წელს მიუღწეველი პირი – გამოჯანმრთელების ან 25 წლის შესრულების შემდგომ. მეურვის დანიშვნა შეიძლებოდა გარკვეული დროით ან პირობით.

„მაგრამ არ შეიძლება მეურვე დაინიშნოს [რამე] ნივთზე ან [რამე] საქმისთვის, ვინაიდან მეურვე ენიშნება პირს და არა საქმეს, თუ ნივთს.“<sup>110</sup>

XII ტაბულის კანონების თანახმად, თუ პირს მეურვე ანდერძით არ დაენიშნებოდა, მის მეურვეებად აგნატები გამოდიოდნენ. იგივე მოხდებოდა მაშინაც, თუ მეურვედ დანიშნული პირი მოანდერძის სიცოცხლეშივე გარდაიცვალა. მამები, თავისი ხელისუფლებისაგან განთავისუფლებული ბავშვების მეურვეებად განიხილებოდნენ. თუკი ვინმეს მეურვე საერთოდ არ ყავდა, მას კონსული, პრეტორი, პლებსის ტრიბუნი ან პროვინციის პრეზენსი უნიშნავდა.

„ზოგ საქმეში ობოლს (არასრულწლოვანს) მეურვის თანხმობა სჭირდება, ზოგში კი – არა. ასე მაგალითად, თუ ვინმე ობოლს რამეს მიცემას დაჰპირდება, მეურვის თანხმობა საჭირო არ არის, ხოლო თუ ობოლი სხვას დაჰპირდება რამეს, მაშინ [თანხმობა] საჭიროა. ვინაიდან დადგენილ იქნა, რომ ობოლს თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება მეურვის თანხ-

109 იქვე, გვ. 34.

110 იქვე, გვ. 36.

მობის გარეშე შეუძლია, მაგრამ გაუარესება – მხოლოდ მისი თანხმობით. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, როდესაც ორმხრივი ვალდებულება წარმოიშობა, მაგალითად ყიდვა-გაყიდვის, ქირავნობის, დავალების, მიბარების ხელშეკრულებების [დადებისას], თუ მეურვის თანხმობა არ არსებობს, მაშინ თავად იმ პირებს, რომლებმაც ობლებთან ხელშეკრულება დადეს, ვალდებულება დაეკისრებათ და ობლებს კი, პირიქით, – არა.“<sup>111</sup>

„ხოლო მეურვე ყოველთვის უნდა ესწრებოდეს თავად გარიგებას და უნდა დაამოწმოს ის, თუ ჩათვალა, რომ იგი ობლებისათვის სასარგებლოა. მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მიცემულ ან წერილობითი სახით წარდგენილ თანხმობას არავითარი ძალა არ გააჩნია.“<sup>112</sup>

ობოლსა და მეურვეს შორის სასამართლო დავის შემთხვევაში ინიშნებოდა მზრუნველი, პროცესის დასრულებამდე.

მეურვეობა წყდებოდა:

- სრულწლოვანების მიღწევისას (14/12წ.)
- თუ არასრულწლოვანს ადროგაციოს გზით შვილად აიყვანდნენ;
- პირობით დანიშნული მეურვის შემთხვევაში – ამ პირობის დადგომით, ვადით დანიშნულის შემთხვევაში – ვადის გასვლით;
- მეურვის ან ობლის გარდაცვალების შემთხვევაში;
- თუ მეურვე დაკარგავს მოქალაქეობას ან თავისუფლებას;
- თუ მეურვე არასანდო პირად იქნებოდა მიჩნეული.

**მზრუნველობა.** „სრულწლოვან მამაკაცებს და სქესობრივად მომწიფებულ ქალებს, სანამ მათ ოცდახუთი წელი არ შესრულებიათ, მზრუნველები ეძლევათ. თუმცა ისინი სრულწლოვანები არიან, მაინც ჯერ კიდევ ისეთ ასაკში არ იმყოფებიან, რომ თავიანთ საქმეზე თავადვე იზრუნონ.“<sup>113</sup>

მზრუნველებს იგივე მაგისტრატები ნიშნავდნენ, რომლებ-

---

111 იქვე, გვ. 41-42.

112 იქვე, გვ. 42.

113 იქვე, გვ. 44.

საც მეურვეები. ანდერძით მზრუნველი არ ინიშნებოდა, ხოლო თუ ასეთი ანდერძი იქნებოდა, მაშინ იგი პრეტორის ან პრეზესის დეკრეტით უნდა დამტკიცებულიყო.

მზრუნველი ენიშნებიდათ ასევე შეშლილებსა და მფლანგველებს, თუნდაც ისინი ოცდახუთ წელს ყოფილიყვნენ გადაცილებულნი. მათთვის მზრუნველს პრეტორი, პრეფექტი ან პროვინციის პრეზესი ნიშნავდა საკითხის წინასარი გამოკვლევის შემდეგ.

მზრუნველი ენიშნებოდათ ასევე: გონებასუსტებს, ყრუებს, მუნჯებს და ქრონიკული სენით დაავადებულბს.

მზრუნველი არასრულწლოვანს ენიშნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მეურვე თავისი მოვალეობის შესასრულებლად ვარგისი არ იყო, ვინაიდან მეორე მეურვის დანიშვნა არ შეიძლებოდა.

## 6. სასამართლო პროცესი რომში

### 6.1 რომის საპროცესო სამართლის ზოგადი დახასიათება

რესპუბლიკის ხანაში სასამართლო პროცესის საბოლოოდ დამკვიდრებამდე რომის სინამდვილეში არსებობდა თვითგასწორება, რაც დარღვეული უფლების საკუთარი ძალებით აღდგენას გულისხმობდა.

მოგვიანებით, თანდათან ხდება თვითგასწორებაზე უარის თქმა. მიუხედავად ამისა თვითგასწორების ნიშანი შეგვიძლია დავინახოთ თვითდაცვაში (თავდასხმისაგან თავდაცვაში, *vim vi repellere licet* – ძალადობა აცილებულ უნდა იქნეს ძალით). ძალადობის თავიდან აცილება დაიშვებოდა ძალით, მაგრამ უკვე დარღვეული უფლების ძალით აღდგენა აკრძალული იყო. კანონები, რომლებიც მოქალაქეთა თვითნებობას კრძალავდნენ, ან ამ თვითნებობისათვის სასჯელს ითვალისწინებდნენ, საკმაოდ გვიან, რესპუბლიკის ბოლო ხანებში მიიღეს.

თავდაპირველად ერთმანეთისაგან არ იყო გამიჯნული სისხლის სამართალი და სამოქალაქო (კერძო) სამართალი. თუმცა ძველ რომში განარჩევდნენ ორი სახის სასამართლოს: 1) *iudicia privata* – სასამართლო, რომელიც იცავდა კერძო პირთა დარღვეულ უფლებებს და 2) *iudicia publica* – სასამართლო, რომელიც ახორციელებდა მართლმსაჯულებას სახელმწიფო ინტერესების სფეროში.

დროთა განმავლობაში ყალიბდებოდა და იცვლებოდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა. ძველ რომში სამოქალაქო სამართალწარმოება 2 სტადიად იყოფოდა; პირველ სტადიას ერქვა *in iure* ხოლო მეორე სტადიას *in iudicio*.

პირველ სტადიაში მონაწილეობდნენ მოსარჩელე, მოპასუხე და მაგისტრატი, ამასთან სასამართლო მაგისტრატი არ გამოდის მოსამართლის როლში, ის მხოლოდ მხარეთა საზეიმო-იურიდიულ აქტში იღებს მონაწილეობას, წარმოთქვამს სათანადო რიტუალით გათვალისწინებულ სიტყვებს.

მოსარჩელე აცხადებდა თავის მოთხოვნას, თუ მოპასუხე

მოსარჩელის საზეიმო განცხადებას დათანხმდებოდა, საქმე ამით (პირველივე სტადიაზე) დამთავრდებოდა.

თუ მოპასუხე უარყოფდა მოსარჩელის მოთხოვნებს, მაგისტრატი მოწმეების თანდასწრებით დაადასტურებდა შექმნილ ვითარებას და მოსამართლეს დანიშნავდა. მაგისტრი შეეცდებოდა, რომ მხარეები შეთანხმებულიყვნენ მოსამართლის ვინაობაზე, თუ ამის შესახებ მხარეები ვერ შეთანხმდებოდნენ, მაშინ მაგისტრატს შეეძლო თავისი ინიციატივით დაენიშნა მოსამართლე.

რესპუბლიკის ადრეულ პერიოდში პირველ სტადიაზე საქმეებს კონსულები არჩევდნენ, ძვ.წ. IV ს-ში ეს ფუნქცია პრეტორების ხელში გადავიდა. მოგვიანებით კი ქალაქის პრეტორთან ერთად საქმეებს პერეგრინების პრეტორიც იხილავდა.

არსებითად დავას მეორე სტადიაზე მოსამართლე იხილავდა ერთპიროვნულად. როგორც წესი ასეთებად წარჩინებული რომაელები გვევლინებოდნენ. რომში სპეციალურად დგებოდა იმ პირთა სია, საიდანაც უნდა აერჩიათ მოსამართლეები.

სასამართლო დავა შეეძლოთ გაერჩიათ ასევე არბიტრებსაც, ანუ მედიატორებს, იმ მოსამართლეებს, რომელთაც თავად მხარეები აირჩევდნენ.

რომის სამართლის ისტორიაში ცნობილია სასამართლო პროცესისი სამი სხვადასხვა ფორმა:

- 1) ლეგისაქციური;
- 2) ფორმულარული და
- 3) ექსტრაორდინარული.

## 6.2 ლეგისაქციური პროცესი

legis actio (ლეგის აქციო) სახელწოდება გულისხმობდა, რომ მოსარჩელის საჯარო განცხადება, რომელიც მას მაგისტრატის წინაშე უნდა წარმოეთქვა, კანონთან ზუსტ შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო.

ლეგისაქციური სარჩელის სახეები იყო:

1. legis actio per sacramentum – საკრამენტული;
2. legis actio per manus iniectionem – „ხელის დადება“;

3. *legis actio per pignoris capionem* – გირაოდ ნივთის გადაცემით

4. *legis actio per iudicus postulationem* – მოსამართლის მოთხოვნით;

5. *legis actio per condictionem* – კონდიქციით.

„სარჩელებს, რომლებსაც ძველი [რომაელები] იყენებდნენ, „კანონიერ სარჩელებს“ (*legis actiones*) უწოდებდნენ, ან იმიტომ, რომ კანონით იყვნენ დანესებულნი /რადგან მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ხმარებაში პრეტორის ედიქტები, რომელთა მეშვეობით მრავალი სარჩელი იქნა შემოღებული/, ან იმიტომ, რომ სარჩელთა ფორმულები თავად კანონის სიტყვებით იყო გადმოცემული და ამიტომაც მათ უცვლელად მიიჩნევდნენ ისევე, როგორც თავად კანონებს. ამიტომაც თუ ვინმე ვენახის დაზიანების (გაჩეხვის) გამო აღძრავდა სარჩელს და სარჩელში „ვენახს“ მოიხსენიებდა, მას უპასუხებდნენ, რომ მან საქმე წააგო, რადგან „ვენახისთვის“ „ხე“ უნდა ეწოდებინა, იმის გამო, რომ თორმეტი დაფის (ტაბულის) კანონში, რომლის საფუძველზეც იძლეოდნენ სარჩელს დაზიანებული (გაჩეხილი) ვენახის შესახებ, ზოგადად ხეების მოჭრაზეა საუბარი.“<sup>114</sup>

„კანონით სარჩელი აღიძრება ხუთი ფორმით: საკრამენტულით, [განსაკუთრებული] მოსამართლის მოთხოვნით, კონდიქციით, „ხელის დადებით“ და გირაოდ ნივთის გადაცემით.“<sup>115</sup>

*legis actio per sacramentum.* ეს იყო სარჩელის ერთერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა. მხარეები ცხადდებოდნენ მაგისტრატის წინაშე, თან მიჰქონდათ სადავო ნივთი და სარიტუალო მახვილს ადებდნენ სადაო ნივთს; ამას ჯერ მოსარჩელე აკეთებდა და თან წარმოთქვამდა რიტუალით დადგენილ სიტყვებს თუ მოპასუხე დუმდა ან ეთანხმებოდა სარჩელს

114 რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011, გვ. 185.

115 იქვე.

მაშინ საქმე დამთავრებულად ითვლებოდა; თუ მოპასუხე იმავეს ამბობდა და აკეთებდა რასაც მოსარჩელე, მაშინ მაგისტრატი ორივე მხარეს ატოვებინებდა ნივთს და მოითხოვდა მათგან საკრამენტუმის – გარკვეული თანხის ჩადებას გირაოდ. მხარე, რომელსაც სასამართლო გაამტყუნებდა კარგავდა საკრამენტუმს. თავდაპირველად ეს თანხა ქურუმებთან, შემდგომში კი ხაზინაში ხვდებოდა.

„14. ხოლო საკრამენტული ჯარიმა შეადგენდა ან ხუთას [ასს-ს], ან ორმოცდაათს. ათასად ან უფრო მეტად [შეფასებული] სარჩელებით ახდევინებდნენ ხუთას ასს-ს, ხოლო ათას ასსამდე სარჩელებით – ორმოცდაათს, რადგან ეს იყო გათვალისწინებული თორმეტი დაფის (ტაბულის) კანონით. ხოლო თუ დავა მონის თავისუფლებას ეხებოდა, თუნდაც მონას ძალიან დიდი ფასი ჰქონოდა, იგივე კანონი ითვალისწინებდა, რასაკვირველია, თავისუფლებისა და „ადსერტორების“ სასარგებლოდ, რომ საკრამენტული თანხა ორმოცდაათ ასსზე მეტი არ დაენიშნათ.

16. სანივთო სარჩელებით [იმ] მოძრავი და საკუთარი ძალით მოძრავი (სულიერი) ნივთების ვინდიცირება, რომელთა მიტანა ან მიყვანა სასამართლოში შესაძლებელი იყო, შემდეგნაირად ხდებოდა: ის, ვინც ვინდიცირებას ახდენდა, ხელში იჭერდა ჯოხს, შემდეგ ხელს სტაცებდა თავად ნივთს, მაგალითად, მონას და ამბობდა შემდეგს: „ვამტკიცებ, რომ ეს მონა, მოყვანილი საფუძვლის შესაბამისად, კვირიტული სამართლით, მე მეკუთვნის (ჩემია) და როგორც ვთქვი, აი, [მას] ჩემს ჯოხს ვადებ“. და იგი იმავდროულად (მაშინვე), მონას ჯოხს დაადებდა. მოპასუხე იმავეს წარმოსთქვამდა და აკეთებდა. ორივე მხრიდან ვინდიცირების შემდეგ პრეტორი აცხადებდა: „ორივემ გაუშვით [ეს] მონა“. ისინიც მონას უშვებდნენ.

ის, ვინც ვინდიცირება პირველმა მოახდინა, მონინაალმდეგეს ეკითხებოდა: „მოვითხოვ, რომ მითხრა, რა საფუძველზე მოახდინე ვინდიცირება?“ მეორე პასუხობდა: „მე დავამტკიცე ჩემი უფლება, როგორც კი ჯოხი დავადე“. შემდეგ ის, ვინც ვინდიცირება პირველმა მოახდინა, ამბობდა: „თუ შენ ვინდიცირება

უკანონოდ მოახდინე, მე შენ ორმოცდაათი ასის საკრამენტული თანხის [წარმოსადგენად სასამართლოში] გიწვევ“. მონინალმდეგეც ამბობდა: „ასევე მეც შენ“. რასაკვირველია, /თუ დავა ათას ასზე ნაკლები ფასის ნივთს ეხებოდა, მაშინ საკრამენტულ თანხად ორმოცდაათ ასს-ს ნიშნავდნენ...

შემდეგ პრეტორი ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ წყვეტდა „ვინდიციის“ საკითხს, ე.ი. იგი დროებით (ვიდრე დავა მიმდინარეობდა), რომელიმე მხარეს [სადავო ნივთის] მფლობელობას ანიჭებდა და მასვე უბრძანებდა მონინალმდეგე მხარისათვის გარანტია მიეცა „დავისა და სადავო ნივთისათვის“, ე.ი. ნივთისა და ნაყოფისათვის. ხოლო საკრამენტული თანხის კიდევ [სხვა] გარანტიას ორივე მხარისაგან თავად პრეტორი იღებდა, რომელიც სახელმწიფოს გადაეცემოდა. ხოლო ჯოხს იყენებდნენ შუბის ნაცვლად, როგორც კანონიერი საკუთრების (დომინიუმ) ერთგვარ სიმბოლოს, რადგან სჯეროდათ, რომ ყველაზე უფრო მტკიცე საკუთრება ის არის, რაც მტერთაგან იქნა მიტაცებული.“<sup>116</sup>

legis actio per manus iniectionem. ამ სარჩელით დავა ეხებოდა ვალის გადახდევინების წესებსა და პირობებს; მას შემდეგ, რაც დებიტორი მაგისტრის წინაშე აღიარებდა ვალს და 30 დღის განმავლობაში არ დააბრუნებდა მას, კრედიტორს შეეძლო „ხელის დადებით“ წაეყვანა თავისთან და მოვალე თვითონ ველარ დაიცავდა თავს, თუმცა მის ნაცვლად გამოსვლა შეეძლო სხვა რომაელ მოქალაქეს vindex-ს.

„21. „ხელის დადებით“ სასამართლო დავის წარმოება ხდებოდა იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომელთა თაობაზე ამგვარი სასამართლო დავის წესი რომელიმე კანონით იყო დადგენილი. მაგალითად, თორმეტი დაფის (ტაბულის) კანონით [ასე იყო დადგენილი] სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ [მოვალესთან] დაკავშირებით. ეს ასე ხდებოდა: ის, ვინც დავას წამოიწყებდა, ამბობდა შემდეგს: „ვინაიდან შენ მსჯავრი დაგდეს და მოგისაჯეს, რომ მე ათი ათასი სესტერცი უნდა მომცე, და ის [თანხა], რაც უნდა გადაგეხადა, არ გადამიხადე, ამის გამო მე

[ამ] ათი ათასი სესტერციის თაობაზე შენ, მსჯავრდებულს, ხელს გადებ, და იმავდროულად იგი [მონინაალმდეგეს] სხეულის რომელიმე ნაწილზე ხელს დაადებდა. მსჯავრდებულს, კანონის მიხედვით, [მონინაალმდეგის] ხელის მოშორების და მის წინააღმდეგ სარჩელის გამოყენების უფლება არ ჰქონდა, მაგრამ მას მოჰყავდა თავდები (vindex), რომელიც, ჩვეულებრივ, მის ნაცვლად აწარმოებდა დავას. ხოლო ის პირი, რომელიც თავდებს არ წარმოადგენდა, მოსარჩელეს სახლში მიჰყავდა და მას ბორკილებს ადებდა...“<sup>117</sup>

legis actio per pignoris capionem შეიძლებოდა განხორციელებულიყო მაგისტრატის დაუსწრებლად. კრედიტორი განსაზღვრულ სიტყვებს წარმოთქვამდა, აიღებდა მოვალის ნივთს და დაიტოვებდა მას, როგორც სანინდარს (გირაოს, pignus) მანამდე, ვიდრე მოვალე არ შეასრულებდა თავის ვალდებულებას.

legis actio per iudicis postulationem. ამ სარჩელით მხარე ითხოვდა მოსამართლის დანიშვნას და გამოიყენებოდა საოჯახო ქონების ან საერთო საკუთრების გაყოფისას და/ან შეფასებისას, ასევე ფიციით დადებული პირობისას, თუ მხარე არ ასრულებდა თავის პირობას.

legis actio per condictionem. აქ იგულისხმებოდა სარჩელი ისეთ მოთხოვნასთან დაკავშირებით, რაც საკრამენტული სარჩელის მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა, და თუ მოპასუხე თავს ვალდებულად არა სცნობდა, მოსარჩელე გამოაცხადებდა, რომ მოპასუხე 30 დღის შემდეგ მოსულიყო მოსამართლის დასანიშნად.

### 6.3 ფორმულარული პროცესი

ლეგისაქციური პროცესის გამოყენების ბოლო ქრონოლოგიურ თარიღად ახ.წ. 294 წელი ფიქსირდება. რესპუბლიკის ხანაშივე ყალიბდება ფორმულარული პროცესი; ამის მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბება, რასაც ვერ პასუხობდა ლეგისაქციური პროცესი; ამასთან ეს უკანასკნელი მხოლოდ კვირიტებისათვის იყო ხელმისაწვდომი,

117 იქვე, გვ. 189.

ფორმულარული პროცესის მეშვეობით კი პერეგრინებსაც შეეძლოთ საკუთარი უფლებების დაცვა. გარდა ამისა, ლეგისაქციური პროცესი ზედმეტი ფორმალზმითა და რიტუალურობით, უკვე მოუხერხებელი იყო.

ფორმულარულ პროცესს სახელი დაუმკვიდრა პრეტორის ფორმულამ, რომელსაც ის გამოსცემდა პირველი სტადიის შემდეგ.

ფორმულაში უნდა აღნიშნული ყოფილიყო:

iudicis nominatio – მოსამართლის დასახელება

demonstratio – ფაქტობრივი გარემოებების გადმოცემა

intentio – მოსარჩელის პრეტენზიები

adiudicatio – მოსამართლისათვის უფლების მინიჭება

condemnatio – მოსამართლისათვის მითითება პასუხისმგებლობის დაწესების ან მისგან განთავისუფლების თაობაზე

praescriptio – მითითება განსაკუთრებულ გარემოებაზე რომელიც მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს

exceptio – მოპასუხის შესიტყვებათა გადმოცემა

„39. ხოლო [სარჩელის] ფორმულების მთავარი ნაწილებია: demonstratio (იმ ფაქტების გადმოცემა, რომელთა საფუძველზეც აღიძრა სარჩელი), intentio (მოსარჩელის მოთხოვნა), adiudicatio (მოსამართლისათვის ნივთის რომელიმე მხარისათვის საკუთრებაში გადაცემის უფლებამოსილების მინიჭება), condemnatio (მოსამართლისათვის მსჯავრის დადებისა და გამართლების უფლებამოსილების მინიჭება).“

40. demonstratio არის ფორმულის ის ნაწილი, რომელიც ფორმულაში ჩასმულია იმიტომ, რომ მიუთითოს იმ ნივთზე, რომლის თაობაზეც დავა წარმოებს, მაგალითად, ფორმულის შემდეგი ნაწილი: „ვინაიდან ავლუს აგერიუსმა ნუმერიუს ნეგიდიუსს მონა მიყიდა“, ან: „ვინაიდან ავლუს აგერიუსმა ნუმერიუს ნეგიდიუსს მონა შესანახად მიაბარა“.

41. intentio არის ფორმულის ის ნაწილი, რომელიც მოსარჩელის სურვილს (განზრახვას) გამოხატავს, მაგალითად, ფორმულის შემდეგი ნაწილი: „თუ აღმოჩნდება, რომ ნუმერიუს ნეგიდიუსმა ავლუს აგერიუსს ათი ათასი სესტერცი უნდა მისცეს“.

ასევე შემდეგნაირად: „ყველაფერი, რაც აღმოჩნდება, რომ ნუმერიუსის ნეგიდიუსმა ავლუს აგერიუსს უნდა მისცეს, გაუკეთოს“; ან ასევე შემდეგნაირად: „თუ აღმოჩნდება, რომ მონა სტიხუსი ავლუს აგერიუსს ცივილური სამართლით ეკუთვნის“.

42. *adiudicatio* არის ფორმულის ის ნაწილი, რომლითაც მოსამართლეს ეძლევა რომელიმე მხარისათვის ნივთის მინიჭების უფლება, მაგალითად, თუ დავა წარმოებს თანამემკვიდრეებს შორის სამკვიდროს გაყოფის თაობაზე, ან, ამხანაგებს შორის საერთო ქონების გაყოფის გამო, ან მეზობლებს შორის საზღვრების დადგენასთან დაკავშირებით. ფორმულის ეს ნაწილი შემდეგნაირია: „რამდენიც უნდა მიესაჯოს (მიეკუთვნოს), მოსამართლე, იმდენი მიუსაჯე იმას, ვისაც ეკუთვნის“.

43. *condemnatio* არის ფორმულის ის ნაწილი, რომლითაც მოსამართლეს მოპასუხისათვის მსჯავრის დადების ან მისი გამართლების უფლება ენიჭება. მაგალითად, ფორმულის ეს ნაწილი: „მოსამართლე, ნუმერიუს ნეგიდიუსს ავლუს აგერიუსისათვის ათი ათასი სესტერცის გადახდა მიუსაჯე, თუ აღმოჩნდება, რომ მას ვალი არ აქვს, მაშინ იგი გაამართლე“. ასევე შემდეგი: „მოსამართლე, ნუმერიუს ნეგიდიუსს ავლუს აგერიუსისათვის მხოლოდ [ათი ათასის] გადახდა მიუსაჯე, თუ აღმოჩნდება, რომ [მას ვალი არ აქვს], გაამართლე“; ასევე შემდეგი: „მოსამართლე, ნუმერიუს ნეგიდიუსს ავლუს აგერიუსისათვის გადახდა მიუსაჯე“ და ა.შ. ისე, რომ სიტყვები „მხოლოდ ათი ათასი“ არ ემატება.

44. მაგრამ /ყველა ფორმულაში/ [ფორმულის] ყველა ეს ნაწილი ერთდროულად არ იყო წარმოდგენილი, ზოგში შესული იყო [ფორმულის] მხოლოდ ერთ-ერთი რომელიმე ნაწილი, სხვები კი – არა... მაგრამ დემონსტრაცია, ადიუდიკაცია ან კონდემნაცია ფორმულაში მარტო არასოდეს არის მოცემული, რადგან დემონსტრაციას ინტენციის ან კონდემნაციის გარეშე რაიმე ძალა არ გააჩნია. ასევე, არც კონდემნაციას და არც ადიუდიკაციას არა აქვს რაიმე ძალა ინტენციის გარეშე და ამიტომაც ისინი ცალკე არასოდეს გამოიყენებიან.<sup>118</sup>

მოსამართლეს შეეძლო უარი ეთქვა საქმის განხილვაზე, მაგრამ თუ ის დათანხმდებოდა საქმის განხილვას ვერ გასცდებოდა ფორმულის ფარგლებს.

**სარჩელები და ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის პრეტორული საშუალებები.** ფორმულარული პროცესის დამკვიდრების კვალდაკვალ, პრეტორთა საქმიანობის შედეგად ყალიბდება სარჩელთა ცალკეული სახეები:

1. *actiones in rem* ანუ სანივთო სარჩელები, რომლებიც მიმართულია ნივთთან მიმართებით უფლების აღიარებისაკენ (მაგ. საკუთრების გამოთხოვა, სერვიტუტის უფლების ცნობა და სხვა) და *actiones in personam*, ანუ პირადი სარჩელები – მიმართული განსაზღვრული მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებისაკენ;

2. *actiones directae* და *actiones utilis* – პირდაპირი სარჩელი და სარჩელი ანალოგიით. პირდაპირი სარჩელი გამოიყენებოდა იმ მოთხოვნასთან მიმართებით, რომელთა შესახებ პირდაპირ იყო პრეტორის ედიქტში აღნიშნული; სარჩელი ანალოგიით კი შეიძლებოდა გამოეყენებინათ მსგავს მოთხოვნებთან მიმართებაში;

3. *actiones rei persecutoriae* და *actiones poenales* – სარჩელი ნივთის დაბრუნების თაობაზე და საჯარიმო სარჩელი. პირველი სარჩელი გამოიყენებოდა ნივთის ან ფულის გამოთხოვნის შემთხვევაში მეორე სარჩელი კი მიზნად ისახავდა მოპასუხის დასჯას, მაგალითად, ქურდობის შემთხვევაში;

4. *actiones privatae* და *actiones populares* – კერძო და „სახალხო“ სარჩელები. კერძო სარჩელი შეიძლებოდა აღედრა მხოლოდ გარკვეულ პირებს, მაგალითად, დაზარალებულს, ვისი უფლებებიც დაირღვა, ხოლო პოპულარული სარჩელი შეეძლო აღედრა ნებისმიერ მოქალაქეს საერთო ინტერესების დასაცავად, მაგ. ხელისუფლების მიერ დადგენილი წესების დარღვევის ზოგიერთ შემთხვევაში;

5. *actiones civiles* და *actiones preatorie (honorarie)* – ცივილური და პრეტორული სარჩელები. ისინი განსხვავდებოდნენ იმის მიხედვით, ცივილურ სამართალზე იყვნენ დაფუძნებული თუ

პრეტორულზე სამართალზე;

6. ცივილური სარჩელები იყოფოდა *actiones stricti iuris* და *actiones bonae fidei* – მკაცრი სამართლისა და კეთილსინდისიერებაზე დამყარებული სარჩელი. პირველ შემთხვევაში მოსამართლეს შეეძლო მხოლოდ იმ გარემოებების გათვალისწინება, რომელთა შესახებ ცივილურ სამართალში იყო მითითებული, მეორე შემთხვევაში კი – შეეძლო გაეთვალისწინებინა სხვა გარემოებებიც, მაგ. ხომ არ ჰქონია ადგილი მოტყუებას, მოვალის მხრიდან ვალდებულების შესრულებაზე თავის არიდებას და სხვა.

პრეტორს შეეძლო თავისი *imperium*-ი ხელისუფლებით გამოეცა სავალდებულო ბრძანებები და სასჯელი დაედო ურჩისათვის. პრეტორული დაცვის განსაკუთრებულ საშუალებებს შორის უნდა დავასახელოთ:

1. *stipulations praetoriae*. პრეტორის სტიპულაცია, რომლის ძალით პრეტორი აიძულებდა მხარეებს დაედოთ ერთმანეთთან ვერბალური ხელშეკრულება (*stipulatio*). ამის მიზანი იყო განემტკიცებინათ კრედიტორის უფლება, რომელიც ამ ხელშეკრულების გარეშე შესაძლოა არ ყოფილიყო დაცული. ეს იყო მოვალის იძულების საშუალება;

2. *missio in possessionem (in bona)*. პრეტორი ნებას რთავდა კრედიტორს მფლობელობაში გადასცემოდა სხვა პირის რაიმე ქონება, ვიდრე ეს უკანასკნელი რაიმე მოქმედებას არ შეასრულებდა. მაგ. კრედიტორს ნება ეძლეოდა მიეღო იმ მოვალის ქონება, რომელსაც არ სურდა მონაწილეობა მიეღო პროცესში ან შეესრულებინა სასამართლოს გადანყვეტილება;

3. *restitutio in integrum*. პრეტორი პირვანდელ მდგომარეობას აღადგენდა, იმ პირთან მიმართებაში ვინც უსამართლოდ დაზარალდა. მაგ. რესტიტუციას იღებდნენ ის პირები ვისაც 25 წელი არ შესრულებიათ და თავისი გამოუცდელიობითა თუ მოუფიქრებლობით ზარალი მიაყენეს თავის ქონებას, ან თუ პირი მოტყუების მსხვერპლი აღმოჩნდა. დაზარალებულის სარჩელის საფუძველზე პრეტორი გამოიძიებდა საქმეს და თუ საჭიროდ მიიჩნევდა გააუქმებდა გასაჩივრებული აქტის ყველა შედეგს.

თუ საქმე გარიგებას ეხებოდა, მხარეებს ერთმანეთისათვის უნდა დაებრუნებინათ ყველაფერი, რაც ამ გარიგებით მიიღეს, ანუ უნდა აღდგენილიყო პირვანდელი, გარიგებამდელი მდგომარეობა.

4. *interdicta* წარმოადგენს პრეტორის ბრძანებას განახორციელონ გარკვეული ქმედება ან თავი შეიკავონ ამ მოქმედებისაგან. მაგ. თუ ვინმესთან აღმოჩნდება სხვისი ბავშვი, პრეტორი იძლევა განკარგულებას დაუბრუნონ ბავშვი მამას; ან თუ ვინმემ შენობა ააგო სხვის მიწაზე, პრეტორი ბრძანებს აიღონ ეს შენობა. პრეტორის ბრძანების დარღვევის შემთხვევაში დამრღვევს შეიძლება მიესაჯოს გარკვეული თანხის გადახდა, რაც წესდებოდა მხარეთა მიერ პრეტორის წინაშე სტიპულაციის დადების გზით.

სანივთო და პირადი სარჩელები.

„1. ... თუ ვიკითხავთ რამდენი გვარეობის სარჩელი არსებობს, უფრო სწორი იქნება ვუპასუხოთ, რომ არსებობს ორი გვარეობის სარჩელი: სანივთო და პირადი...“

2. პირადია სარჩელი, რომელსაც ჩვენ აღვძრავთ იმ პირის წინააღმდეგ, რომელსაც ჩვენ წინაშე ხელშეკრულებიდან ან დელიქტიდან გამომდინარე ვალდებულია ეკისრება, ე.ი. როდესაც ჩვენ სარჩელით მოვითხოვთ, რომ მოწინააღმდეგე მხარემ რაიმე უნდა მოგვცეს, გაგვიკეთოს ან შეგვისრულოს.

3. სანივთოა სარჩელი, როდესაც ჩვენ სარჩელით მოვითხოვთ, რომ სხეულებრივი ნივთი ჩვენია, ან რომ ესა თუ ის უფლება ჩვენ გვეკუთვნის, მაგალითად, სარგებლობის ან უზუფრუქტის, [მეზობლის ნაკვეთზე] გავლის და პირუტყვის გადენისა ან წყლის გაყვანის, უფრო მაღალი სახლის აშენებისა და [სახლიდან] გარკვეული ხედის; ან როდესაც მოწინააღმდეგე მხარეს უარყოფითი (ნეგატიური) სარჩელი აქვს.<sup>119</sup>

ცივილური და პრეტორული სარჩელები.

„103. ყველა სარჩელი ეფუძნება ან ცივილურ სამართალს (კანონს) ან [მაგისტრატის] ხელისუფლებას.

110. აქ უნდა შეგახსენოთ, რომ პრეტორი ყველა სარჩელს,

---

119 იქვე, გვ. 183.

რომელიც კანონიდან ან სენატუსკონსულტიდან მომდინარეობს, ჩვეულებრივ, უვადოდ (სამუდამოდ) ადგენს, ხოლო სარჩელებს, რომელიც თავად მის იურისდიქციას ეფუძნება, უმრავლეს შემთხვევაში, ერთი წლის ვადით იძლევა.<sup>120</sup>

#### 6.4 ექსტრაორდინალური პროცესი

რესპუბლიკის პოლო პერიოდში ჩაისახა ექსტრაორდინალური ანუ საგანგებო პროცესი. აქ აღარ ვხვდებით ორ სტადიას და საქმეს თავიდან ბოლომდე განიხილავს მაგისტრატი, რომლის გადაწყვეტილების გასაჩივრება, ანუ აპელაცია შესაძლებელია განსხვავებით ლეგისაქციური და ფორმულარული პროცესისაგან.

ექსტრაორდინალური პროცესი აღარ ატარებდა საჯარო ხასიათს და მხოლოდ გადაწყვეტილება ცხადდებოდა საჯაროდ. დამკვიდრდა საქმის წერილობითი წარმოება, მხარეთა შეჯიბრობითობის პრინციპი.

**სასარჩელო ხანდაზმულობა.** სასარჩელო ხანდაზმულობას რომაელები ახ.წ. Vს-მდე არ იცნობდნენ. სამაგიეროდ რომაელები იცნობდნენ სარჩელის წარდგენის კანონიერ ვადას.

თანამედროვე იურიპრუდენცია წარმოუდგენელია სასარჩელო ხანდაზმულობის გარეშე. პირს რომლის უფლებაც დარღვეულია შეუძლია მიმართოს სასამართლოს დარღვეული უფლების აღდგენის თაობაზე; გამოიყენებს თუ არა ამ უფლებას ეს მისი საქმეა, მაგრამ ეს უფლება გააჩნია. სასარჩელო ხანდაზმულობის არსებობა განპირობებულია იმით, რომ სახელმწიფო ვერ მოითმენს ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაურკვეველ მდგომარეობას.

რომაელმა იურისტებმა შეიმუშავეს ვადები სასამართლოში სარჩელის წარდგენის თაობაზე; განსხვავება იმაშია, რომ სასარჩელო ხანდაზმულობა მოსარჩელის უმოქმედობისაგან წარმოსდგება, სარჩელის წარდგენის კანონიერი ვადა კი სახელმწიფოს მიერ დადგენილი ვადაა, რომლის გასვლის შემდეგ პირი კარგავს სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის უფლებას.

120 იქვე, გვ. 217-218.

## 7. რომის სანივთო სამართალი

### 7.1 ნივთების კლასიფიკაცია

რომის სამართალში უძველეს პერიოდში განასხვავებდნენ „familia“-ს და „pecunia“-ს ცნებებს; familia-ში იგულისხმებოდა საოჯახო საკუთრება, მათ შორის ოჯახის მამის ხელისუფლების ქვეშ მყოფი ოჯახის წევრებიც; pecunia-ში კი ინდივიდუალური საკუთრება, ქონება, რომლის გასხვისებისათვის არ იყო საჭირო მანციპაციის წესის დაცვა.

რომაელები ნივთების აღსანიშნავად იყენებდნენ ტერმინს – res.

სამოქალაქო ბრუნვაში არსებული (res in commercium) და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული (res extra commercium) ნივთები. სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული იყო ღვთაებრივი სამართლის ნივთები (res divini iuris), მაგ. საღმრთო, რელიგიური და წმინდა ნივთები; მათგან განასხვავებდნენ ადამიანური სამართლის ნივთებს (res humani iuris), რომელიც უმეტესწილად ვილაციის საკუთრებაა და თავის მხრივ ან საჯაროა (res publicae) ან კერძო (res privatae).

„ნივთები უმთავრესად ორ ჯგუფად იყოფა. ერთი ჯგუფი ღვთაებრივი სამართლის ნივთებს წარმოადგენს, მეორე კი – ადამიანური სამართლის. ღვთაებრივი სამართლის ნივთებია, მაგალითად, საღმრთო და რელიგიური ნივთები. წმინდა ნივთებიც, მაგალითად, ქალაქის კედლები და კარები გარკვეულად ღვთაებრივი სამართლის ნივთებს წარმოადგენენ. ის, რაც ღვთაებრივ სამართალს ეკუთვნის, არავის ქონებას არ შეადგენს. ხოლო ის, რაც ადამიანური სამართლისაა, უმრავლეს შემთხვევაში ვილაციის ქონებაა...“<sup>121</sup>

121 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები, ნიგნი პირველი, ნიგნი მეორე ლათინურიდან თარგმანა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, გვ. 108.

გაიუსი, დიგესტები, ნიგნი I, ტიტული VIII, 1.

„საღმრთო, რელიგიური და წმინდა ნივთები ვინმეს ქონებას არ შეადგენენ.“<sup>122</sup>

„ხოლო ადამიანური სამართლის ნივთები ან საჯაროა და ან კერძო. საჯარო ნივთები ვინმეს ქონებად არ ითვლება და თვით კორპორაციის (**universitas**) კუთვნილებად არის მიჩნეული. კერძო ნივთები კი ცალკეულ პირს ეკუთვნის.“<sup>123</sup>

რელიგიური ნივთებია (**res religiosas**) – ტაძრები, სალოცავები, შესანიერი ადგილები, სასაფლაო;

საღმრთო ნივთებია (**res sacrae**) – ღმერთისადმი საჯაროდ შეწირული ნივთები;

წმინდა ნივთები (**res sanctae**) – ქალაქის კედლები და კარები;

საჯარო ნივთებია (**res publicae**) – ციხეები, საპყრობილები, გზები, თეატრები; საჯარო ნივთებში შედის ასევე ხაზინის კუთვნილი ნივთები (**res fisci**);

**res universitatis** – წარმოადგენდა საერთო-სათემო, კორპორაციის საკუთრებაში შემავალ ნივთებს.

„საღმრთოა ის ნივთები, რომლებიც [ღმერთებისადმი] საჯაროდ არის მიძღვნილი და არა კერძოდ.“<sup>124</sup>

„საღმრთოა (საკრალურია) ის ნივთები, რომლებიც სათანადო რიტუალითა და უმაღლესი სამღვდელოების (საეკლესიო პირების) მეშვეობით ღმერთებისადმი არის მიძღვნილი, მაგალითად ტაძრები და საჩუქრები, რომლებიც სათანადო რიტუალით ღვთისმსახურებისთვის არის მიძღვნილი... ხოლო ადგილი, სადაც ტაძარი ააშენეს, თუნდაც შენობა დაინგრეს, მაინც საღმრთო [ადგილად] დარჩება...“<sup>125</sup>

„ნებისმიერი პირი ადგილს რელიგიურად თავისი ნება-სურვილის მიხედვით გადააქცევს, როგორც კი იგი მკვდარს თავის მიწაში დამარხავს. მაგრამ საერთო თავისუფალ მიწაში დამარხვა თანამესაკუთრის სურვილის წინააღმდეგ ნებადართული არ არის. ხოლო საერთო სასაფლაოზე დამარხვა სხვების თანხმოდ

---

122 იქვე, გვ. 110.

123 იქვე, გვ. 108.

124 იქვე, გვ. 110.

125 იქვე.

ბის გარეშეც არის შესაძლებელი.<sup>126</sup>

„წმინდა („sancta“) ნივთებიც, მაგალითად ქალაქის კედლები (გალავანი) და კარები, გარკვეულად საღვთო სამართალს განეკუთვნებიან, და ამიტომაც არავის ქონებას არ შეადგენენ. ხოლო ქალაქის კედლებს (გალავანს) წმინდას იმიტომ ვუნოდებთ, რომ ვინც მათ დააზიანებს მისთვის სიკვდილით დასჯაა დანესებული. ამიტომაც ჩვენ სანქციას („sanctio“) ვუნოდებთ კანონების იმ ნაწილსაც, რომელიც ამ კანონის დამრღვევთათვის სასჯელს განსაზღვრავთ.“<sup>127</sup>

„პირდაპირი მნიშვნელობით „წმინდა“ (sanctum) ეწოდება იმას, რაც არც „საღმრთოა“ და არც საერო, მაგრამ სანქციით არის დაცული. ასე, მაგალითად, კანონი წმინდაა, რადგან ის გარკვეული სანქციით არის განმტკიცებული. ვინაიდან ის, რაც რაიმე სანქციით არის გამყარებული, წმინდაა, თუნდაც ის ღმერთებისადმი მიძღვნილი არ იყოს.“<sup>128</sup>

„თუ ვინმე ქალაქის კედელს დააზიანებს, იგი სიკვდილით ისჯება ისევე, როგორც ის, ვინც კედელზე კიბით ან სხვა რაიმე ხერხით გადავა, რადგან რომაელი მოქალაქეებისათვის ქალაქიდან გასვლა მხოლოდ ქალაქის კარებიდან არის ნებადართული. ქალაქიდან სხვა საშუალებით გასვლა მტრულ [მოქმედებად] განიხილება და უარსაყოფია, ვინაიდან რემი, რომულუსის ძმა, როგორც გადმოგვცემენ, სწორედ იმის გამო მოკლეს, რომ მან კედელზე გადაძრომა მოინდომა.“<sup>129</sup>

„ხოლო ყველა მდინარე და ნავსადგური საჯაროა, ამიტომ ნავსადგურებსა და მდინარეებში თევზის ქერის უფლება ყველ-

---

126 იქვე, გვ. 110-111.

127 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002, გვ. 54.

128 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, გვ. 112.

129 იქვე.

ასათვის საერთოა.<sup>130</sup>

„კორპორაციას (universitas) და არა ცალკეულ პირებს ეკუთვნის, მაგალითად, ქალაქებში მდებარე თეატრები, სტადიონები, და სხვა მისთანანი, ასევე ქალაქის (თემის) კუთვნილი სხვა რამ, რაც საერთოა.“<sup>131</sup>

რომაელი იურისტები ასევე განარჩევდნენ ნივთებს რომლებიც არავის არ ეკუთვნის (res nullius) მათ შორის კი – საერთო ანუ ყველას ნივთები (res communis) – რომელიც არ შეიძლება ვინმეს საკუთრება გახდეს – მაგ. ჰაერი, მდინარე, ზღვა, ზღვის ნაპირი; და ნივთები, რომლებიც შეიძლება ვინმეს საკუთრება გახდეს – მაგ. გარეული ცხოველი ან ფრინველი, გამორიყული ნივთები.

„ბუნებითი სამართლით ყველასათვის საერთო ნივთებია: ჰაერი, გამდინარე წყალი, ზღვა და აქედან გამომდინარე ზღვის ნაპირი.“<sup>132</sup>

„ასევე ძვირფასი ქვები, მარგალიტი და ა.შ., რასაც ჩვენ ზღვის ნაპირზე ვპოულობთ, ბუნებითი სამართლით მაშინვე ჩვენი კუთვნილება ხდება.“<sup>133</sup>

რომაელი იურისტები ერთმანეთისგან განასხვავებდნენ სხეულებრივ ნივთებს (res corporales) და უსხეულო ნივთებს (res incorporales); სხეულებრივია ის ნივთი, რომლის ხელის შეხებაც შესაძლებელია, მაგ. მინა, მონა, ოქრო, ტანსაცმელი; უსხეულოა – მაგ. მემკვიდრეობის უფლება.

„სხეულებრივ ნივთებს წარმოადგენენ ის ნივთები, რომლებსაც თავიანთი ბუნებრივი თვისებების გამო შეიძლება შევეხ-

---

130 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002, გვ. 53.

131 იქვე, გვ. 54.

132 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, გვე. 109.

133 იქვე.

ოთ, მაგალითად, მიწა (მიწის ნაკვეთი), ადამიანი, ტანსაცმელი, ოქრო, ვერცხლი და, ამას გარდა, სხვა უამრავი ნივთი.

ხოლო, უსხეულო ნივთებს წარმოადგენენ ის ნივთები, რომელთა შეხება არ შეგვიძლია. ასეთ ნივთებს მიეკუთვნება ის ნივთები, რომლებიც უფლებას წარმოადგენენ, მაგალითად მემკვიდრეობა, უზურფრუქტი, ვალდებულება, რა სახითაც არ უნდა იყოს იგი დადებული.<sup>134</sup>

რომის სამართალი არქაული ხანიდან იცნობდა ნივთების ისეთ დაყოფას, როგორიცაა *res mancipi* და *res nec mancipi*. *res mancipi* ნივთების გადაცემა მხოლოდ მანციპაციის წესით (*manipatio*) იყო შესაძლებელი. ამ კატეგორიაში შედიოდა რომის ახლომდებარე მიწები (*ager romanus*, შემდგომში კი იტალიის მიწები), მათზე განლაგებული შენობები, სასოფლო სერვიტუტები, მონები და მსხვილფეხა პირუტყვი, რომელთაც მიწის დასამუშავებლად იყენებდნენ; *res nec mancipi* ნივთების გადაცემისათვის აუცილებელი არ იყო მანციპაცია; ამ ნივთების კატეგორიას განეკუთვნებოდა სხვა დანარჩენი ნივთები, მაგ. მეურნეობის პროდუქტები, წვრილფეხა პირუტყვი, ფული და სხვა.

ნივთები იყოფოდა ასევე: უძრავ ნივთებად (*res immobiles*), მოძრავ ნივთებად (*res mobiles*) და საკუთარი ძალით მოძრავ (სულიერ) ნივთებად (*res se movientae*).

უძრავია მიწა და მიწაზე მყარად მიმაგრებული ნივთები, რომლის გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე შეუძლებელი იყო თავად ამ ნივთის არსის დაუზიანებლად; მოძრავია ისეთი ნივთები რომლის გადაადგილება სასარგებლო თვისებებს არ უკარგავს ნივთს; ხოლო საკუთარი ძალით მოძრავია მაგ. მონა, პირუტყვი.

გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული (*genera* – მაგ. წონით, ზომით ან რაოდენობით) და ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული (*species*) ნივთები. ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, თუ ნივთი განადგურდებოდა, გვაროვნული ნიშნით

134 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002, გვ. 65.

განსაზღვრული ნივთის შეცვლა შეიძლებოდა, ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრულის კი – არა. აქედან შეიძინეს ასევე ამ ნივთებმა შეცვლადი და შეუცვლელი ნივთების სახელწოდება.

**მოხმარებადი და მოუხმარებადი ნივთები;** მოუხმარებადია ნივთები, რომლებიც გამოყენების პროცესში არ ისპობა, არ ქრება, მაგ. შენობები, ადგილ-მამული და სხვა; მოხმარებადია – თუ მისი სასარგებლო თვისებების გამოყენება შეუძლებელია ისე, რომ არ მოისპოს, მაგ. ღვინო, ხილი, მარცვალი (არ შეიძლება ასეთი ნივთების გაქირავება).

**ნივთები იყოფოდა ასევე გაყოფად და გაუყოფად ნივთებად;** გაყოფადია ნივთი, რომელიც გაყოფისას არ კარგავს სასარგებლო თვისებებს, მაგ. მინა, სახლი, ჯოგი, ფული. გაუყოფადია ნივთები რომლებიც „გაყოფის“ შემთხვევაში დაკარგავს თავის სასარგებლო თვისებებს, მაგ. მონა.

**ნივთები იყოფოდა ასევე: მარტივ ნივთებად –** მაგ. ქვა, მორი; **რთულ ნივთებად –** რომელიც მარტივი ნივთებისაგან შედგება, მაგ. შენობა (ამ შემთხვევაში რთული ნივთის შემადგენლობაში შესული მარტივი ნივთი კარგავდა დამოუკიდებელ სამართლებრივ რეჟიმს); **ერთობლივი ნივთებად –** რომელიც შედგება სხვადასხვა ნივთებისაგან, მაგრამ არა როგორც ერთი ნივთი, არამედ როგორც ნივთების ერთობლიობა, მაგ. ჯოგი (ამ შემთხვევაში ერთობლივი ნივთის შემადგენელი ნივთები არ კარგავდნენ დამოუკიდებელ სამართლებრივ რეჟიმს. ასე მაგ. შესაძლებელი იყო როგორც მთლიანად ჯოგის, ასევე მისი ნაწილის შექცნა).

**განარჩევდნენ ასევე ძირითად (მთავარ) ნივთს (res principalis) და საკუთნეველს;** საკუთნეველი ნივთი იზიარებდა ძირითადი ნივთის ბედს და მასზე ვრცელდებოდა ძირითადი ნივთის სამართლებრივი რეჟიმი. ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ მაგ. გუთანი და სახნისი, კლიტე და გასალები.

**ნაყოფი (fructus).** განარჩევდნენ: ბუნებრივ ნაყოფს (fructus naturalis), მაგ. შინაური ცხოველის ან ხეხილის ნამატი და ცივილურ ნაყოფს (fructus civilis), მაგ. ფულის პროცენტი. სანამ ნაყოფი არ გამოცალკეებულა, იგი ცალკეულ ნივთს არ წარ-

მოადგენს, მაგრამ გამოცალკეების მომენტიდან დამოუკიდებელ ნივთად იქცევა.

ნივთებთან განუხრელადაა დაკავშირებული სანივთო უფლებები, მაგალითად საკუთრების უფლება, გირავნობის უფლება, სერვიტუტის უფლება და სხვა.

## 7.2 საკუთრების უფლება, მფლობელობა, ჭერა

საკუთრების უფლების შინაარსი. რომაელი იურისტები საკუთრების უფლებაში მესაკუთრის შემდეგ უფლებამოსილებას მოიაზრებდნენ:

- ნივთით სარგებლობის უფლება (*ius utendi* – გულისხმობს ნივთის სასარგებლო თვისებების გამოყენების უფლებას);
- ნაყოფით სარგებლობის უფლება (*ius fruendi* – ნაყოფის სასარგებლო თვისების გამოყენების უფლება);
- განკარგვის უფლება (*ius abutendi* – ნივთის სამართლებრივი ბედის გადანყვეტის უფლება);
- მფლობელობის უფლება (*ius possidendi* – ნივთის მფლობელობაში ქონის უფლება);
- გამოთხოვის უფლება (*ius vindicandi* – სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის უფლება);

საკუთრების უფლება განიმარტებოდა, როგორც სრული ბატონობა ნივთზე, განსხვავებით შეზღუდული ბატონობისაგან, მაგალითად მოგირავნის უფლება; თუმცა მესაკუთრის სრული, შეუზღუდავი უფლებაც შეიძლებოდა შეზღუდულიყო, მაგალითად სერვიტუტის უფლებით.

საკუთრების სახეები. კვირიტული საკუთრება (*dominium quiritium*). რომში კერძო საკუთრების უძველეს სახეობას კვირიტული საკუთრება წარმოადგენდა. ცივილური სამართლის მიხედვით კვირიტული საკუთრების სუბიექტები რომის მოქალაქეები იყვნენ; მხოლოდ მათ შეეძლოთ კვირიტული საკუთრების ქონა. ამ წესიდან გამონაკლისი დაუშვეს მხოლოდ ლათინებისთვის, რომელთაც მინიჭებული ქონდათ *ius commercii*. კვირიტული საკუთრების ძირითადი ობიექტი, ანუ საგანი

იყო *res mancipi* კატეგორიის ნივთები.

**პრეტორული ანუ ბონიტარული საკუთრება.** თუ პირი მანციპაციის წესის გვერდის ავლით შეიძენდა *res mancipi* კატეგორიის ნივთს, კვირიტული სამართლის მიხედვით, მესაკუთრედ მაინც გამყიდველი რჩებოდა. შემძენის ინტერესების დასაცავად პრეტორი მიუთითებდა, რომ ნივთი უნდა შესულიყო შემძენის ქონებაში (*in bonis*), აქედან წარმოიშვა ბონიტარული საკუთრება. თუ გამყიდველი მოითხოვდა გაყიდული ნივთის უკან დაბრუნებას, პრეტორი აძლევდა მას შესაგებელს (*exceptio*); ასეთ შემთხვევაში მიეთითებოდა, რომ ნივთი დაუბრუნდებოდა მესაკუთრეს, თუ მას არ ჰქონდა იგი გაყიდული. მესამე პირებთან მიმართებაში კი პრეტორი აძლევდა სარჩელს – *actio in rem publicana*.

**პროვინციული საკუთრება.** პროვინციის მიწები ფორმალურად რომის სახელმწიფოს, რომაელი ხალხის საკუთრებად ითვლებოდა და ის ჩვეულებრივ ორ ნაწილად იყოფოდა: სახელმწიფო საკუთრებაში არსებული (*ager publicus*) და პროვინციის მაცხოვრებელთა მფლობელობაში გადაცემული მიწები (*ager redditus* – უკან დაბრუნებული მიწები). ახ.წ. II საუკუნეში ეს მიწები მათ მფლობელთა ფაქტობრივ კერძო საკუთრებად გადაიქცა.

**პერეგრინების საკუთრება.** პერეგრინების საკუთრება არარომაელთა საკუთრებას წარმოადგენდა. უცხოელები თავისი საკუთარი ქვეყნის სამართალს ემორჩილებოდნენ. ქონებრივი ურთიერთობების განვითარების შედეგად აუცილებელი გახდა მათი საკუთრების ცალკე სახედ აღიარება. *Ius gentium*-ის („ხალხთა სამართლის“) აღიარებამ შედეგად ის მოიტანა, რომ რომაელები პერეგრინებთან, ან პერეგრინთა შორის ურთიერთობას ხალხთა სამართლით არეგულირებდნენ.

**მფლობელობა.** რომაელი იურისტები ერთმანეთისაგან განსხვავებდნენ:

- საკუთრებას (*dominium, proprietas*)
- მფლობელობას (*possessio*)
- ჭერას (*detentio*)

მფლობელობის არსებობისათვის აუცილებელია ორი ელემენტი

მენტის არსებობა:

- ფაქტობრივი ფლობა (corpus possessionis)
- მფლობელობის ნება, განზრახვა (animus possessionis)

მფლობელობა გულისხმობდა ნივთის ფაქტობრივ ფლობას და მფლობელობის განზრახვას (ანუ სურვილს მოექცე ნივთს, როგორც საკუთარს). ამგვარი სახით, როგორც წესი, მფლობელობის უფლება გააჩნდა მესაკუთრეს; ასევე პირს, რომელსაც მესაკუთრის სურვილით გადაეცა ნივთი სარგებლობაში (მაგ. ქირავნობის ხელშეკრულების შემთხვევაში). პირი, რომელიც მესაკუთრესთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე (მაგ. შესანახად) ფლობს ნივთს, ითვლება ნივთის მჭერად სხვის სახელზე; პრაქტიკული განსხვავება მფლობელობასა და ჭერას შორის იმაში მდგომარეობდა, რომ მფლობელი თავს უშუალოდ იცავდა, მჭერი კი მესაკუთრის მეშვეობით.

**მფლობელობის სახეები.** კანონიერი მფლობელობა – ჩვეულებრივ ნივთის მფლობელი მისი მესაკუთრე იყო, ან ის პირი, რომელსაც ნივთი მფლობელობაში მესაკუთრის სურვილით გადაეცა; უკანონო მფლობელობა – როდესაც პირი ნივთს ფლობს ფაქტობრივად, გააჩნია მფლობელობის განზრახვა, მაგრამ არ გააჩნია ნივთზე მფლობელობის უფლება.

უკანონო მფლობელობა შეიძლება იყოს ორი სახის:

- კეთილსინდისიერი მფლობელობა;
- არაკეთილსინდისიერი მფლობელობა.

კეთილსინდისიერია ის არაკანონიერი მფლობელი, რომელმაც არ იცის და არც შეიძლება იცოდეს, რომ არა აქვს ნივთზე მფლობელობის უფლება (მაგ. პირი, რომელმაც ნივთი შეიძინა არამესაკუთრისაგან (ქურდისაგან), რომელიც თავს მესაკუთრედ ასაღებდა. არაკეთილსინდისიერი მფლობელია ის პირი, რომელმაც იცის, რომ ნივთია მისი არ არის, მაგრამ ექცევა მას, როგორც საკუთარს (მაგ. ქურდი). არაკეთილსინდისიერი მფლობელისაგან განსხვავებით, კეთილსინდისიერ მფლობელს შეეძლო მფლობელობის ხანდაზმულობის ძალით ნივთზე საკუთრების უფლების მოპოვება.

მფლობელობის დაცვა ხდებოდა ინტერდიქტებით (interdic-

ta); პრეტორულ მესაკუთრეს, ან კეთილსინდისიერ მფლობელს მიეცემოდა ასევე სარჩელი – *actio in rem publicana*.

### 7.3 საკუთრების უფლების წარმოშობა

რომაელი იურისტები განასხვავებდნენ საკუთრების უფლების წარმოშობას ბუნებითი სამართლით (თავდაპირველი გზა) და ცივილური სამართლით (ნაწარმოები გზება):

ბუნებითი სამართლით (თავდაპირველი შეძენის დროს) საკუთრების უფლება წარმოიშობა, იმის მიუხედავად, თუ მანამდე რა უფლება არსებობდა ნივთზე; აქ უპირველეს ყოვლისა იგულისხმება ისეთი ნივთები, რომელთაც მესაკუთრე არა ჰყავს (მაგ. უპატრონო ნივთები), ან ჰყავს, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც წარმოიშვება საკუთრების უფლება (მაგ. ხანდაზმულობით).

ცივილური სამართლით (ნაწარმოები გზით) წარმოშობილი საკუთრების უფლება ეფუძნება წინა მესაკუთრის უფლებას მოცემულ ნივთზე.

ბუნებითი სამართლით (თავდაპირველი) საკუთრების უფლების წარმოშობის გზებია:

- ოკუპაცია (*occupatio*)
- ნაპოვარი (მათ შორის მიტოვებული ნივთზე *res derelictae*)
- განძი (*thesaurus*)
- ნამატი (*accessio*)
- გადამუშავება (*specificacio*)
- ხანდაზმულობა (*usucapio*)

ოკუპაცია (*occupatio*) – ლათინური იურიდიული სენტენციის თანახმად უპატრონო (არავის საკუთრებაში მყოფი ნივთი) იმის საკუთრებაა, ვინც მას პირველი დაეუფლება (დაეპატრონება) – *res nullius cedit primo occupanti*. ამ კატეგორიის ნივთებს მიეკუთვნებოდა მაგ. გარეული ცხოველები, ფრინველები, თევზები, ზღვის გამორიყული ნივთები და სხვა.

„ამრიგად, გარეული ცხოველები, ფრინველები და თევზები, ე.ი. ყველა ცოცხალი არსება, რომელიც მიწაში, ზღვაში ან ცაში

ჩნდება, როგორც კი მათ ვინმე მიიტაცებს, ხალხთა სამართლით მაშინვე მისი (ამ პირის) კუთვნილება ხდება. ხოლო ის რაც ადრე არავის არ ეკუთვნოდა, ბუნების კანონით იმას ეკუთვნის, ვინც მას დაეუფლა და არა აქვს მნიშვნელობა გარეული ცხოველი და ფრინველი პირმა თავის მიწაზე მიიტაცა თუ სხვისაზე.“<sup>135</sup>

„თუ ვინმე სანადიროდ ან ფრინველის დასაჭერად სხვის მიწის ნაკვეთში შევა, მიწის მესაკუთრეს, რასაკვირველია, თუკი ის ამას შეამჩნევს, შეუძლია, რომ ამ პირს თავის მიწის ნაკვეთში შესვლა აუკრძალოს. ხოლო ის, რაც შენ დაიჭირე, შენად ითვლება მანამდე, სანამ იგი შენი ზედამხედველობის ქვეშ არის. მაგრამ როდესაც იგი შენს ზედამხედველობას გაექცევა და ბუნებრივ თავისუფლებას დაიბრუნებს, მაშინ იგი შენი აღარ იქნება და ისევ იმას მიეკუთვნება ვინც მას დაეუფლება; ხოლო ბუნებრივი თავისუფლების [მდგომარეობაში] დაბრუნებულად ცხოველი ითვლება მაშინ, როდესაც იგი შენი მხედველობის არედან გამოვა ან შენ მას ხედავ, მაგრამ მისი დაჭერა ძნელია.“<sup>136</sup>

„ასეთი კითხვა დაისვა: თუ გარეული ცხოველი ისეა დაჭრილი, რომ მისი დაჭერა შეიძლება, იგი მაშინვე შენს საკუთრებად ითვლება თუ არა? ზოგმა [ამ კითხვას] უპასუხა, რომ იგი მაშინვე შენი ხდება, და მანამდე ითვლება შენად, სანამ მას მისდევ. მაგრამ თუ შენ მის დევნას შეწყვეტ, მაშინ იგი შენად აღარ ჩაითვლება და იმას მიეკუთვნება, ვინც მას ისევ (შემდეგ) დაეუფლება. სხვები კი მიიჩნევენ, რომ იგი (გარეული ცხოველი) სხვაგვარად შენად არ ჩაითვლება, თუ არ დაიჭირე. ხოლო ჩვენ ეს უკანასკნელი მოსაზრება დავამტკიცეთ, რადგან, ჩვეულებრივ, მრავალი ისეთი რამ ხდება, რომ შეიძლება [ნადირი] ვერ დაიჭირო.“<sup>137</sup>

„კუნძული, რომელიც ზღვაში წარმოიშვება, რაც იშვიათად

135 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002, გვ. 55.

136 იქვე.

137 იქვე.

ხდება, იმას ეკუთვნის, ვინც მას დაეუფლება, რადგან ითვლება, რომ იგი არავის ეკუთვნის.<sup>138</sup>

„აგრეთვე მარგალიტები, ძვირფასი ქვები და სხვა ამგვარი [საგნები], რომლებსაც ზღვის ნაპირზე პოულობენ, ბუნებითი სამართლით მაშინვე მპოვნელს მიეკუთვნება.“<sup>139</sup>

იგივე რეჟიმი ვრცელდებოდა ასევე მტრისათვის წართმეულ ან მესაკუთრისაგან მიტოვებულ ნივთზე.

„ასევე ის, რასაც ჩვენ მტერთაგან ვიტაცებთ, ხალხთა სამართლით მაშინვე ჩვენი ხდება, იმდენადაც კი, რომ თავისუფალი ადამიანებიც ჩვენი მონები ხდებიან. მაგრამ თუკი ისინი ჩვენს ხელისუფლებას თავს დააღწევენ და თავისიანებს დაუბრუნდებიან, [მაშინ ისინი] თავიანთ ძველ სტატუსს (მდგომარეობას) აღიდგენენ.“<sup>140</sup>

„ყველაზე უფრო სწორი ჩანს ის, რომ თუ ვინმე მესაკუთრის მიერ მიტოვებულად მიჩნეულ ნივთს დაეუფლება, იგი მაშინვე მისი მესაკუთრე ხდება. ხოლო მიტოვებულ ნივთად ითვლება ის ნივთი, რომელიც მესაკუთრემ იმ განზრახვით მიატოვა, რომ აღარ სურს, რომ (ეს) ნივთი მას ეკუთვნოდეს და ამიტომ იგი მაშინვე მესაკუთრედ ყოფნას წყვეტს.“<sup>141</sup>

განძის (thesaurus) პოვნა ასევე წარმოადგენდა ბუნებითი სამართლით (თავდაპირველ) საკუთრების უფლების წარმოშობის გზას. განძი დაფლული (დამალული) უნდა ყოფილიყო, ხოლო მისი მესაკუთრის დადგენა შეუძლებელი. სწორედ ეს განასხვავებდა განძს ნაპოვარისაგან, ამასთან თუ ნაპოვარი [ნივთი] ფასეულობას წარმოადგენდა (ანუ ივარაუდებოდა, რომ პატრონს მასზე უარი არ ქონდა ნათქვამი) და პატრონის დადგენა შესაძლებელი იყო, ასეთი ნივთის მიმთვისებელი ქურდად ჩითვლებოდა.

„განძი, რომელიც პირმა თავის მიწაში იპოვა, ღვთაებრივმა ადრიანემ ბუნებითი სამართლიანობის შესაბამისად იმას მი-

---

138 იქვე, გვ. 57.

139 იქვე.

140 იქვე, გვ. 56-57.

141 იქვე, გვ. 64.

აკუთვნა, ვინც იგი იპოვა. და იგივე [ნესი] დაადგინა მან იმ შემთხვევაშიც, თუ ვინმემ საღმრთო ან რელიგიურ ადგილზე შემთხვევით განძი იპოვა. ხოლო თუ პირი განძს სხვის მიწაში შემთხვევით აღმოაჩენს ისე, რომ იგი არც უძებნია, მისი ნახევარი [ადრიანემ] მიწის მესაკუთრეს მიაკუთვნა. შესაბამისად ამისა, მანვე დაადგინა, რომ თუ ვინმე განძს ცეზარის მიწაში იპოვის, ნახევარი მპოვნელს ეკუთვნის, ნახევარი კი – ცეზარს, რასაც ასევე შეესაბამება ის, რომ თუ ვინმე განძს საჯარო ან ფისკის (სახაზინო) მიწაში იპოვის, ნახევარი მას ეკუთვნის, ნახევარი კი – ფისკს ან სახელმწიფოს („civitas“).<sup>142</sup>

**ნამატი (accessio)** – ასეთ შემთხვევად შეგვიძლია განვიხილოთ ნაპირის მონალექი ან ბუნებრივი მოვლენების შედეგად შეერთებული მიწის ნაკვეთი; კუნძული მდინარეში; ნაყოფი; ნარგავები, რომლებიც სხვის მიწაზე ფესვს გაიდგამენ; ასევე სხვის მიწაზე შენობა-ნაგებობების აგება.<sup>143</sup>

„გარდა ამისა, ხალხთა სამართლით შენ გეკუთვნის ისიც, რასაც მონალექი (მონაყარი) მიწის სახით წყალი შენს მიწის ნაკვეთს მიუმატებს. მონალექი მიწა კი [მიწის] შეუმჩნეველი მატებაა. ხოლო მონალექი მიწის სახით მიმატებულად ის [მიწა] ითვლება, რომელიც ისე თანდათან ემატება, რომ ვერ გაიგებ, თუ დროის რომელ მომენტში რამდენი მიემატა.“<sup>144</sup>

„მაგრამ თუ წყლის ნაკადის სიმძლავრე შენს მიწას რაღაც ნაწილს ჩამოაგლეჯს და მეზობლის მიწის ნაკვეთს მიაყრის, აშკარაა, რომ იგი შენს საკუთრებად რჩება. რასაკვირველია, თუ მიწის ეს ნაგლეჯი უფრო დიდხანს დარჩება მეზობლის ნაკვეთში და ხეებიც, რომლებიც მან თან წაიღო, მეზობლის მიწაში ფესვებს გაიდგამენ, დროის ამ მომენტიდან იგი მეზობლის

---

142 იქვე, გვ. 63.

143 ნამატს შესაძლოა ადგილი ქონოდა ადამიანის ნების გამოვლენის შედეგად (მოქმედება) ან ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად (ხდომილება).

144 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002, გვ. 57.

მინის ნაკვეთზე მიმატებულად ითვლება.<sup>145</sup>

„თუ ტიცოუსი სხვის ნერგებს თავის მინაზე დარგავს, ისინი თავად მას მიეკუთვნება და პირიქით, თუ ტიცოუსი თავის ნერგებს მევიუსის მინაზე დარგავს, მაშინ ნერგები მევიუსის იქნება, თუ ორივე შემთხვევაში ნერგები ფესვებს გაიდგამს. ხოლო ვიდრე ნერგები ფესვებს გაიდგამენ, ნერგები იმისი იქნება, ვისაც მანამდე ეკუთვნოდა... ვინაიდან გონებით დაუშვებელია, რომ ხე რომელიმე სხვა პირის საკუთრებად ჩაითვალოს და არა იმ პირისა, რომლის მინაშიც მან ფესვები გაიდგა. და ამიტომაც მეზობლის მინის ნაკვეთის საზღვართან დარგული ხე, თუ იგი ფესვებს მეზობლის მინის ნაკვეთშიც გაიდგამს, საერთო საკუთრება ხდება.“<sup>146</sup>

„ხოლო რა საფუძველზეც ნერგები, რომლებმაც მინაში ფესვები გაიდგეს, იმავე საფუძველზე ხორბალიც, რომელიც მინაში დათესეს, მინის კუთვნილებად მიიჩნევა.“<sup>147</sup>

„იმავე [ბუნებითი] სამართლით შენვე გეკუთვნის აგრეთვე [ყველაფერი] ისიც, რაც შენს საკუთრებაში მყოფ ცხოველებს უჩნდება.“<sup>148</sup>

„ხოლო რა საფუძველზეც ნერგები, რომლებმაც მინაში ფესვები გაიდგეს, იმავე საფუძველზე ხორბალიც, რომელიც მინაში დათესეს, მინის კუთვნილებად მიიჩნევა.“<sup>149</sup>

„იმავე [ბუნებითი] სამართლით შენვე გეკუთვნის აგრეთვე [ყველაფერი] ისიც, რაც შენს საკუთრებაში მყოფ ცხოველებს უჩნდება.“<sup>150</sup>

„თუ ვინმე თავისი მასალით სხვის მინაზე სახლს ააშენებს, მაშინ სახლი იმ პირის საკუთრება იქნება, ვისიც მინაა. მაგრამ ამ შემთხვევაში სახლის მესაკუთრე თავის საკუთრებას კარგავს, ვინაიდან [მასალა] მისი სურვილით გასხვისებულად ით-

---

145 იქვე.

146 იქვე, გვ. 61.

147 იქვე.

148 იქვე, გვ. 57.

149 იქვე, გვ. 61.

150 იქვე, გვ. 57.

ვლება, ყოველ შემთხვევაში მისთვის უცნობი არ იყო, რომ იგი [სახლს] სხვის მიწაზე იშენებდა.<sup>151</sup>

„როდესაც ვინმე თავის მიწაზე სხვისი მასალით შენობას ააგებს, იგი თავად ითვლება შენობის მესაკუთრედ, ვინაიდან ყველაფერი, რაც მიწაზე შენდება, ამ მიწის ნაკვეთს ეკუთვნის. მაგრამ ამ მიზეზით ის პირი, რომელიც მასალის მესაკუთრე იყო, მაინც არ წყვეტს მასალის მესაკუთრედ ყოფნას, მაგრამ, ამავე დროს, მას არც ვინდიცირება შეუძლია და არც ამ ნივთის წარმოდგენის მოთხოვნა თორმეტი დაფის (ტაბულის) კანონების გამო, რომლითაც დადგენილია, რომ არ შეიძლება ვინმე ვაი-ძულოთ, რომ თავის შენობაში ჩაშენებული სხვისი მორი გამოიღოს, მაგრამ მან მისი (ე.ი. მასალის) ორმაგი ღირებულება უნდა გადაიხადოს იმ სარჩელის საფუძველზე, რომელსაც „de tigno junctum“ – ჩაშენებული მორის შესახებ სარჩელი – ეწოდება, /ხოლო სახელწოდება tignum – მორი აღნიშნავს ყველანაირ მასალას, რომლისგანაც ნაგებობები შენდება/. ეს იმიტომ იქნა გათვალისწინებული, რომ შენობების დანგრევა აუცილებელი არ გამხდარიყო. მაგრამ თუ რამე მიზეზით შენობა დაინგრა, მაშინ მასალის მესაკუთრეს შეეძლება მორის ვინდიცირება და მისი წარმოდგენის მოთხოვნა, თუ მას [მასალის] ორმაგი ღირებულება უკვე აღებული არა აქვს.“<sup>152</sup>

**გადამუშავება (specificacio).** ნივთზე საკუთრების უფლება წარმოიშობოდა ასევე ახალი ნივთის შექმნისას. თუ მასალა იმ პირს ეკუთვნოდა, ვინც ახალი ნივთი შექმნა მაშინ ახალი ნივთის მესაკუთრეც ის იქნებოდა; მაგრამ რა იქნებოდა, თუ ნივთი სხვისი მასალით შეიქმნა, ამასთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომა არსებობდა პროკულიანელთა და საბინიანელთა შორის. პროკულუსი და საბინუს მაზურიუსი ახ.წ. I ს. ცხოვრობდნენ; პროკულუსის მიმდევრები თვლიდნენ, რომ მიუხედავად მასალის დიდი მნიშვნელობისა, ახალი ნივთის შექმნაში მაინც გადამწყვეტი იყო ახალი ფორმა და, შესაბამისად, ახალი ნივთის მესაკუთრეც ის იქნებოდა, ვინც ეს ნივთი შექმნა; საბინიან-

151 იქვე, გვ. 60.

152 იქვე.

ელები კი გადამწყვეტ მნიშვნელობას მასალას ანიჭებდნენ და შესაბამისად, ახალი ნივთის მესაკუთრედაც მასალის პატრონს მიიჩნევდნენ.

„როდესაც ვინმე სხვისი მასალისაგან რამეს ამზადებს, ჩვეულებრივ, კითხვა ისმის: რომელი მათგანი იქნება ბუნების კანონით ამ ნივთის მესაკუთრე? ის, ვინც ნივთი გააკეთა, თუ უფრო ის, ვისაც მასალა ეკუთვნოდა. ასე მაგალითად, თუ ვინმემ სხვისი ყურძნის, ზეთისხილის ან თავთავისგან [შესაბამისად] ღვინო და ზეთი დააყენა, ან ხორბალი დაფქვა; ან სხვისი ოქროს, ვერცხლის ან სპილენძისაგან რაიმე ჭურჭელი გამოქცა; ან სხვისი ღვინისა და თაფლის შერევით სასმელი (თაფლის ღვინო) ჩამოასხა; ან სხვისი წამლებისგან სალბუნი ან მალამო დაამზადა; ან სხვისი შალისგან ტანისამოსი შეკერა (მოქსოვა); ან კიდევ სხვისი ფიცრებით გემი ააგო, და კარადა ან სავარძელი გააკეთა.“<sup>153</sup>

„საბინიანელებსა და პროკულიანელებს შორის წარმოებულ მრავალი დავის შემდეგ გადანყდა, რომ შუალედური აზრი მიეღოთ: თუ საგნის [ისევე] მასალად აღდგენა შეიძლება, მაშინ [საგანი] იმის საკუთრებად ითვლება, ვინც მასალის მესაკუთრე იყო. ხოლო თუ საგნის ისევე მასალად ქცევა შეუძლებელია, მაშინ უმჯობესია საგნის მესაკუთრედ ის მივიჩნიოთ, ვინც იგი დაამზადა. ასე მაგალითად, ჭურჭელი გადნობით შეიძლება ისევე ნედლი სპილენძის, ვერცხლის ან ოქროს ზოდად იქცეს. მაგრამ ღვინის, ზეთის ან ხორბლის ისევე ყურძნად, ზეთისხილად ან თავთავად ქცევა შეუძლებელია; არც თაფლისა და ღვინის შერევით დამზადებული სასმელის ისევე თაფლად და ღვინოდ აღდგენა არის შესაძლებელი.“<sup>154</sup>

„ხოლო თუ ვინმე რამე საგანს ნაწილობრივ თავისი და ნაწილობრივ სხვისი მასალისგან დაამზადებს, თუ, მაგალითად, ვინმე სასმელს თავისი ღვინისაგან და სხვისი თაფლისაგან დააყენებს, ან როგორც თავისი, ასევე სხვისი წამლებისაგან სალბუნს ან მალამოს დაამზადებს და ან თავისი და სხვისი შალ-

153 იქვე, გვ. 58.

154 იქვე.

ისგან ტანსაცმელს მოქსოვს, ამ შემთხვევაში, საეჭვო არ არის, რომ მესაკუთრე ის იქნება, ვინც საგანი დაამზადა, რადგანაც მან არა მარტო თავისი შრომა დახარჯა [ნივთის დასამზადებლად], არამედ – ნაწილობრივ თავისივე მასალაც.<sup>155</sup>

„მაგრამ თუ ვინმემ სხვისი ძონეული (პორფირი) თავის ტანსაცმელში ჩააქსოვა, მიუხედავად იმისა, რომ ძონეული უფრო ძვირია, იგი, როგორც თანამდევი (დამხმარე) ნივთი, [მთავარ ნივთს] – ტანსაცმელს ექვემდებარება და იმ პირს, რომელიც ძონეულის მესაკუთრე იყო, იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც ძონეული მიიტაცა, აქვს ქურდობის სარჩელი და კონდიქცია, გინდაც იგი ის პირი იყოს, რომელმაც ტანსაცმელი შეკერა, გინდაც – ვინმე სხვა.“<sup>156</sup>

„თუ ორი მესაკუთრის მასალა ორივე [მხარის] თანხმობით ერთმანეთში იქნება შერეული, მთელი ეს ნივთი, რომელიც შერევის შედეგად შეიქმნა, ორივესთვის საერთო იქნება, მაგალითად, თუ თავიანთ ღვინოებს შუურევენ, ან ვერცხლისა თუ ოქროს ზოდებს შეადნობენ. ხოლო თუ სხვადასხვა მასალაა, და მათი შერევით მესამე სახის ნივთი იქნა მიღებული, მაგალითად, ღვინისა და თაფლის შერევით – თაფლის ღვინო... მაშინაც იგივე წესი მოქმედებს. რადგან ამ შემთხვევაშიც საეჭვო არ არის, რომ ახალი ნივთი [ორივესთვის] საერთოა. ხოლო თუ სხვადასხვაგვარი ან ერთი და იმავე სახის მასალა ერთმანეთში შემთხვევით ან მესაკუთრეთა თანხმობის გარეშე იქნა შერეული, ამ შემთხვევაშიც დადგინდა, რომ იმავე წესმა იმოქმედოს.“<sup>157</sup>

**ხანდაზმულობა (usucapio).** უკანონო, მაგრამ კეთილსინდისიერი მფლობელი შეიძლებოდა გამხდარიყო ნივთის მესაკუთრე, თუ ნივთის (უწინდელი) მესაკუთრე განსაზღვრული ვადის განმავლობაში არ წარადგენდა სარჩელს მისი ნივთის უკანონო მფლობელისაგან გამოთხოვის თაობაზე. მფლობელობითი ხანდაზმულობით პირი ხდება იმ ნივთის მესაკუთრე, რომელსაც ფაქტობრივად ფლობდა კანონით განსაზღვრული ვადის გან-

155 იქვე, გვ. 58-59.

156 იქვე, გვ. 59.

157 იქვე.

მავლობაში. ამასთანავე, სახეზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო განუწყვეტელი კეთილსინდისიერი მფლობელობა გარკვეული დროის განმავლობაში.

მიტაცებული ნივთი არ შეიძლება იყოს მიმტაცებლის საკუთრება გამხდარიყო, მაგალითად, პირი, რომელმაც სახაზინო საკუთრებაში არსებული მომიჯნავე მიწის ნაკვეთის ნაწილი მიიზომა, ვერასოდეს გახდებოდა ამ მიწის მესაკუთრე.

ხანდაზმულობის ვადები დროთა განმავლობაში იცვლებოდა.

„ცივილური სამართლით დადგენილი იყო, რომ თუ პირი მეორე პირისგან, რომელიც მესაკუთრე არ იყო, მაგრამ მას იგი მესაკუთრედ თვლიდა, ნივთს იყიდდა ან ჩუქების თუ სხვა რომელიმე კანონიერ საფუძველზე შეიძენდა, იგი მფლობელობის ხანდაზმულობით საკუთრების უფლებას ამ ნივთზე, თუ იგი მოძრავი იყო, ყველგან ერთ წელიწადში შეიძენდა; ხოლო თუ უძრავი, მაშინ ორ წელიწადში და [ისიც] მხოლოდ იტალიის მიწაზე, რათა საკუთრების უფლება ნივთზე გაურკვეველი არ დარჩენილიყო.“<sup>158</sup>

„ჩვენ ამის შესახებ კონსტიტუცია გამოვეცით, რომლითაც დადგინდა, რომ მფლობელობის ხანდაზმულობით მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლებას იძენენ სამ წელიწადში, ხოლო უძრავ ნივთებზე კი – უფრო ხანგრძლივი დროის მფლობელობით, სახელდობრ, ადგილას მყოფნი – ათ წელიწადში, ადგილას არმყოფნი კი – ოც წელიწადში, და ასეთი წესით იძენენ ნივთებზე საკუთრების უფლებას, თუ ამას მფლობელობის კანონიერი საფუძველი უძღვის წინ, არა მარტო იტალიაში, არამედ ყველა მხარეში, რომელიც ჩვენს ხელისუფლებას ექვემდებარება.“<sup>159</sup>

„მაგრამ ზოგჯერ, თუნდაც პირი ნივთს მთელი კეთილსინდისიერებით ფლობდეს, მფლობელობის ხანდაზმულობით საკუთრების უფლებას ამ ნივთზე, რა დროც უნდა გავიდეს, იგი მაინც ვერ მოიპოვებს, მაგალითად, თუ პირი თავისუფალ ადამიანს, საღმრთო ან რელიგიურ ნივთს ან გაქცეულ მონას

158 იქვე, გვ. 70.

159 იქვე, გვ. 71.

ფლობს.<sup>160</sup>

„ნაქურდალ და ძალადობით მიტაცებულ ნივთებზე მფლობელობის ხანდაზმულობით საკუთრების უფლებას ვერ შეიძენენ, თუნდაც მათ ზემოთ აღნიშნული ხანგრძლივი დროის განმავლობაში კეთილსინდისიერად ფლობდნენ.“<sup>161</sup>

ცივილური სამართლით საკუთრების უფლების წარმოშობის (ნაწარმოები) გზებია:

- მანციპაცია (mancipatio)
- უფლების დათმობა (in iure cessio)
- გადაცემა (traditio)

**მანციპაცია (mancipatio).** საკუთრების უფლების შექმნის ეს ხერხი გათვალისწინებული იყო მხოლოდ რომის მოქალაქეებისათვის და მხოლოდ მანციპირებადი ნივთების შესაძენად. მანციპაციის რიტუალის ჩასატარებლად გამყიდველი წარმოადგენდა გასაყიდ, მანციპირებად ნივთს (მაგ. მონას ან სიმბოლურად მიწის ბელტს). გარიგებას ესწრებოდა ხუთი მოწმე გამყიდველის ახლო ნათესავებიდან, რათა მომავალში დაედასტურებინათ გარიგება და ამასთან, მათი მხრიდან არ წარმოშობილიყო შემდგომში პრეტენზიები. გარიგებას ესწრებოდა ასევე მწონავი სასწორითა და სპილენძის ნაჭრით. მყიდველი წარმოთქვამდა წინასწარ განსაზღვრულ ფრაზას: –ამგვარად მე ვამტკიცებ, რომ ეს კაცი კვირიტული სამართლით მე მეკუთვნის, რამდენადაც ის ჩემი ნაყიდი ან სპილენძისა და ამ სასწორის მეშვეობით. ამ სიტყვების წარმოთქმის მერე, მყიდველი დაარტყამდა სპილენძის ნაჭერს სასწორის პინას და გადასცემდა გამყიდველს, როგორც საფასურის გადაცემის სიმბოლოს. ამ მომენტიდან ნივთის მესაკუთრედ მყიდველი ითვლებოდა.

„მანციპაცია... შემდეგნაირად ხდება: მოინვევენ რა სრულწლოვან რომის მოქალაქეთაგან არანაკლებ ხუთ მოწმეს და გარდა ამისა, იმავე მდგომარეობის კიდევ სხვა პირს, რომელმაც ხელში სპილენძის სასწორი უნდა დაიჭიროს და რომელსაც მწონავს უწოდებენ, პირი, რომელიც მანციპიუმს იძენს (ყიდუ-

---

160 იქვე.

161 იქვე.

ლობს), უჭირავს რა ხელში სპილენძი, ამბობს შემდეგს: „ვამტკიცებ, რომ ეს მონა კვირიტული სამართლით მე მეკუთვნის და ის უნდა ჩაითვალოს ამ სპილენძითა და სპილენძის სასწორის მეშვეობით ჩემ მიერ ნაყიდად“; შემდეგ იგი ამ ლითონს სასწორზე დაარტყამს და მას როგორც [ნივთის] ფასს გადასცემს იმ პირს, ვისგანაც ნივთს (მანციპიუმ-ს) იძენს.<sup>162</sup>

„ხოლო სპილენძსა და სასწორს იმიტომ იყენებენ, რომ წინათ მხოლოდ სპილენძის ფულით სარგებლობდნენ და არსებობდა [სპილენძის] ასსი; და ხმარებაში არ იყო არც ერთი ოქროს ან ვერცხლის მონეტა, როგორც ეს თორმეტი ტაბულის კანონებიდან ჩანს; ამ მონეტების ძალასა და ღირებულებას მათი რაოდენობა კი არ განსაზღვრავდა, არამედ სპილენძის წონა. მაგალითად, ასსი იწონიდა [ერთ] ფუნტს; და ეს სახელწოდება დღემდე იხმარება. ასე რომ, წინათ, როდესაც ვინმეს ფულს აძლევდნენ, კი არ ითვლიდნენ, არამედ წონიდნენ.“<sup>163</sup>

**უფლების დათმობა (in iure cessio).** უფლების დათმობისათვის გამოყენებული იყო მოჩვენებითი სასამართლო პაექრობის ფორმა. მხარეები ვითომ სასამართლოს წინაშე ცდილობდნენ ნივთზე თავიანთი უფლების დამტკიცებას; მყიდველი გამოდიოდა მოსარჩელის როლში და მოითხოვდა თავისი კუთვნილი ნივთის უკან დაბრუნებას; გამყიდველი განგებ არ სცემდა პასუხს მოსარჩელეს და ჩუმად იყო. ეს კი ითვლებოდა მოსარჩელის პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად საკმარის საფუძველად.

**გადაცემა (traditio).** ამ გზით საკუთრების უფლების შესაძენად საჭირო იყო ა) ნივთის ფაქტობრივი გადაცემა და ბ) სამართლებრივი საფუძველი;

ფაქტობრივ გადაცემასთან ერთად საკმარის საფუძველად შეიძლებოდა სიმბოლური გადაცემაც ჩათვლილიყო. სამართლებრივი საფუძველი შეიძლებოდა ყოფილიყო ხელშეკრულება

---

162 რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011, გვ. 36-37.

163 იქვე, გვ. 37.

(მაგ. ჩუქების, ნასყიდობის და სხვა).

ახალ მესაკუთრეს არ შეიძლება იმაზე მეტი უფლებები ჰქონოდა, რაც ძველ მესაკუთრეს გააჩნდა (მაგ. თუ ნივთზე არსებობდა სერვიტუტის უფლება ეს უფლება უცვლელი დარჩებოდა).

„ბუნებითი სამართლის მიხედვით ჩვენ ნივთებს ვიძენთ აგრეთვე გადაცემის („traditio“) საშუალებით. სინამდვილეში ბუნებით სამართლიანობას არაფერი ისე არ შეესაბამება, როგორც ის, რომ მესაკუთრის ნებას, რომელსაც სურს, რომ თავისი ნივთი სხვას გადასცეს, კანონის ძალა ენიჭება. და ამიტომ შესაძლებელია ნებისმიერი სახის სხეულებრივი ნივთების გადაცემა, და ამ გადაცემით ისინი მესაკუთრის მიერ გასხვისდებიან.“<sup>164</sup>

„ხოლო თუ ნივთებს, აგრეთვე ნაჩუქრობის, მზითვის ან სხვა ნებისმიერ საფუძველზე გადასცემენ, [საკუთრების უფლება], უეჭველად, გადაცემული იქნება. მაგრამ გაყიდულს და გადაცემულს მყიდველი მხოლოდ მაშინ შეიძენს, თუ იგი გამყიდველს ფასს გადაუხდის... მაგრამ თუ ის პირი, რომელმაც [ნივთი] გაყიდა, მყიდველის [გადახდის] პირობას მიიღებს, მაშინ, უნდა ითქვას, რომ ნივთი მაშინვე მყიდველისა გახდება.“<sup>165</sup>

„ზოგჯერ ნივთის გადასაცემად მხოლოდ მესაკუთრის ნების [გამოხატვაც] კი საკმარისია და [თავად] ნივთის გადაცემა არ არის საჭირო: მაგალითად, თუ ვინმემ ნივთი, რომელიც გათხოვა, მოგაქირავა ან შესანახად მოგაბარა, შემდეგ მოგყიდა ან გაჩუქა. რადგან მიუხედავად იმისა, რომ შენთვის ნივთი ამის საფუძველზე არ გადმოუცია, მაგრამ თავად იმის გამო, რომ იგი უშვებს, რომ [ნივთი] შენ გეკუთვნოდეს, [ამიტომ] ნივთი მაშინვე შენი საკუთრება ხდება, თითქოს იგი სწორედ ამ მიზნით იყოს გადმოცემული.“<sup>166</sup>

---

164 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002, გვ. 63.

165 იქვე, გვ. 63.

166 იქვე, გვ. 64.

„გარდა ამისა, თუ ვინმე სანყობში შენახულ საქონელს გაყიდის და თან მყიდველს სანყობის გასაღებსაც გადასცემს, მაშინ ამ საქონელზე საკუთრების უფლება მყიდველზე გადადის. უფრო მეტიც, ზოგჯერ მესაკუთრის გამოხატულ ნებას საკუთრების უფლება უცნობ პირზეც კი გადააქვს. ასე, მაგალითად, პრეტორებმა ან კონსულებმა, რომლებიც ბრბოს საჩუქრებს უყრიან, არ იციან, თუ თითოეული მათგანი რას მიიღებს, მაგრამ ვინაიდან მათ სურთ, რომ თითოეულ მათგანს ეკუთვნოდეს ის, რაც მან მიიღო, ამის გამო ისინი მას მაშინვე მესაკუთრედ აქცევენ.“<sup>167</sup>

#### 7.4 საკუთრების უფლების შეწყვეტა, თანასაკუთრება

საკუთრების უფლება შეიძლება შეწყვეტილიყო ისე, რომ სხვის სასარგებლოდ არც წარმოშობილიყო. საკუთრების უფლება შეწყდებოდა:

- ნივთის განადგურების შემთხვევაში;
- ნივთის სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებით;
- ქონების კონფისკაციის შემთხვევაში;
- თუ მესაკუთრემ უარი თქვა ნივთზე;
- ხანდაზმულობით.

საერთო საკუთრება (თანასაკუთრება) – *communio*. თანასაკუთრებას ადგილი ჰქონდა იმ შემთხვევაში, როდესაც რამდენიმე პირს საკუთრების უფლება ერთ ნივთზე გააჩნდა. ასეთ შემთხვევაში თითოეულ მესაკუთრეს ეკუთვნოდა არა ნივთის ნაწილი, არამედ საკუთრების უფლების ნაწილი.

#### 7.5 საკუთრების უფლების დაცვა

რომის სამართალი კვირიტულ საკუთრებას იცავდა სამი ძირითადი სარჩელით:

- ვინდიკაცია (*vindicatio*)
- ნეგატორული სარჩელი (*actio negatoria*)
- პროჰიბიტორიული სარჩელი (*actio prohibitoria*)

ვინდიკაცია (*vindicatio*). ამ გზით არამფლობელი მესა-

(მაგ. ჩუქების, ნასყიდობის და სხვა).

ახალ მესაკუთრეს არ შეიძლებოდა იმაზე მეტი უფლებები ჰქონოდა, რაც ძველ მესაკუთრეს გააჩნდა (მაგ. თუ ნივთზე არსებობდა სერვიტუტის უფლება ეს უფლება უცვლელი დარჩებოდა).

„ბუნებითი სამართლის მიხედვით ჩვენ ნივთებს ვიძენთ აგრეთვე გადაცემის („traditio“) საშუალებით. სინამდვილეში ბუნებით სამართლიანობას არაფერი ისე არ შეესაბამება, როგორც ის, რომ მესაკუთრის ნებას, რომელსაც სურს, რომ თავისი ნივთი სხვას გადასცეს, კანონის ძალა ენიჭება. და ამიტომ შესაძლებელია ნებისმიერი სახის სხეულებრივი ნივთების გადაცემა, და ამ გადაცემით ისინი მესაკუთრის მიერ გასხვისდებიან.“<sup>164</sup>

„ხოლო თუ ნივთებს, აგრეთვე ნაჩუქრობის, მზითვის ან სხვა ნებისმიერ საფუძველზე გადასცემენ, [საკუთრების უფლება], უეჭველად, გადაცემული იქნება. მაგრამ გაყიდულს და გადაცემულს მყიდველი მხოლოდ მაშინ შეიძენს, თუ იგი გამყიდველს ფასს გადაუხდის... მაგრამ თუ ის პირი, რომელმაც [ნივთი] გაყიდა, მყიდველის [გადახდის] პირობას მიიღებს, მაშინ, უნდა ითქვას, რომ ნივთი მაშინვე მყიდველისა გახდება.“<sup>165</sup>

„ზოგჯერ ნივთის გადასაცემად მხოლოდ მესაკუთრის ნების [გამოხატვაც] კი საკმარისია და [თავად] ნივთის გადაცემა არ არის საჭირო: მაგალითად, თუ ვინმემ ნივთი, რომელიც გათხოვა, მოგაქირავა ან შესანახად მოგაბარა, შემდეგ მოგყიდა ან გაჩუქა. რადგან მიუხედავად იმისა, რომ შენთვის ნივთი ამის საფუძველზე არ გადმოუცია, მაგრამ თავად იმის გამო, რომ იგი უშვებს, რომ [ნივთი] შენ გეკუთვნოდეს, [ამიტომ] ნივთი მაშინვე შენი საკუთრება ხდება, თითქოს იგი სწორედ ამ მიზნით იყოს გადმოცემული.“<sup>166</sup>

---

164 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002, გვ. 63.

165 იქვე, გვ. 63.

166 იქვე, გვ. 64.

„გარდა ამისა, თუ ვინმე სანყობში შენახულ საქონელს გაყიდის და თან მყიდველს სანყობის გასაღებსაც გადასცემს, მაშინ ამ საქონელზე საკუთრების უფლება მყიდველზე გადადის. უფრო მეტიც, ზოგჯერ მესაკუთრის გამოსხატულ ნებას საკუთრების უფლება უცნობ პირზეც კი გადააქვს. ასე, მაგალითად, პრეტორებმა ან კონსულებმა, რომლებიც ბრბოს საჩუქრებს უყრიან, არ იციან, თუ თითოეული მათგანი რას მიიღებს, მაგრამ ვინაიდან მათ სურთ, რომ თითოეულ მათგანს ეკუთვნოდეს ის, რაც მან მიიღო, ამის გამო ისინი მას მაშინვე მესაკუთრედ აქცევენ.“<sup>167</sup>

#### 7.4 საკუთრების უფლების შეწყვეტა, თანასაკუთრება

საკუთრების უფლება შეიძლება შეწყვეტილიყო ისე, რომ სხვის სასარგებლოდ არც წარმოშობილიყო. საკუთრების უფლება შეწყდებოდა:

- ნივთის განადგურების შემთხვევაში;
- ნივთის სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებით;
- ქონების კონფისკაციის შემთხვევაში;
- თუ მესაკუთრემ უარი თქვა ნივთზე;
- ხანდაზმულობით.

საერთო საკუთრება (თანასაკუთრება) – *communio*. თანასაკუთრებას ადგილი ჰქონდა იმ შემთხვევაში, როდესაც რამდენიმე პირს საკუთრების უფლება ერთ ნივთზე გააჩნდა. ასეთ შემთხვევაში თითოეულ მესაკუთრეს ეკუთვნოდა არა ნივთის ნაწილი, არამედ საკუთრების უფლების ნაწილი.

#### 7.5 საკუთრების უფლების დაცვა

რომის სამართალი კვირიტულ საკუთრებას იცავდა სამი ძირითადი სარჩელით:

- ვინდიკაცია (*vindicatio*)
- ნეგატორული სარჩელი (*actio negatoria*)
- პროჰიბიტორიული სარჩელი (*actio prohibitoria*)

ვინდიკაცია (*vindicatio*). ამ გზით არამფლობელი მესა-

167 იქვე.

კუთრე გამოითხოვდა ნივთს უკანონო მფლობელისაგან. ასეთ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მთლიანად მესაკუთრეზე იყო. მფლობელის სასარგებლოდ ის ფაქტი მეტყველებდა, რომ ნივთი მის მფლობელობაში იყო. ტერმინი ვინდიკაცია მომდინარეობს სიტყვიდან *vindicta*, რაც ჯოხს აღნიშნავდა.

**ნეგატორული სარჩელი (*actio negatoria* – სარჩელი უარყოფის შესახებ).** ნეგატორული სარჩელი აღიძვრებოდა მფლობელი მესაკუთრის მიერ, იმ შემთხვევაში, როდესაც გარეშე პირი ავიწროებდა მას და არ აძლევდა საშუალებას სურვილისამებრ გამოეყენებინა ნივთი. მაგ. აცხადებდა, რომ მას ეკუთვნოდა სერვიტუტის უფლება მოცემულ ნივთზე. ამ სარჩელით დადგინდებოდა, რომ მესამე პირს არ შეუძლია ხელი შეუშალოს მესაკუთრეს სრული მოცულობით განახორციელოს საკუთრების უფლება.

**პროჰიბიტორიული სარჩელი (*actio prohibitoria* – სარჩელი წინააღმდეგობის განვეის შესახებ).** იმის მოთხოვნა, რომ აეკრძალოს მესამე პირს რაიმე მოქმედება იმ ნივთის მიმართ, რომელიც მესაკუთრის ხელშია. ეს სარჩელი აღიძვრებოდა მაგ. იმ შემთხვევაში, თუ ვინმე თავის ეზოში ისეთ ნაგებობას ააშენებდა, რომელიც მეზობელს ფანჯრებს უბნელებდა ან სხვაგვარად აწუხებდა.

### 7.6 უფლება სხვის ნივთზე (*ius in re aliena*), სერვიტუტები

საკუთრების უფლების გარდა სანივთო უფლებებს მიეკუთვნებოდა ასევე უფლებები სხვის ნივთზე. ამ უფლებების ყველაზე მნიშვნელოვან კატეგორიას სერვიტუტები წარმოადგენდა, ამას გარდა აღსანიშნავია ასევე ემფითევზისი და სუპერფიცისი.

სერვიტუტების წარმოშობა განპირობებული იყო საერთო საკუთრებაში არსებულ მიწებზე კერძო საკუთრების ჩამოყალიბებით.

სერვიტუტები (*servitute*) იყოფოდა სანივთო-საადგილმამულო სერვიტუტებად (*servitutes praediorum*) და პირად სერვიტუტებად (*servitutes personarum*).

სანივთო-საადგილმამულო სერვიტუტები იყოფოდა სასოფლო სერვიტუტებად (*servitutes praediorum rusticorum*) და საქალაქო სერვიტუტებად (*servitutes praediorum urbanorum*).

„სოფლის მიწის ნაკვეთების (ადგილ-მამულების) უფლებებია (სერვიტუტებია): გავლის უფლება, პირუტყვის გადენის უფლება, გზის უფლება და წყლის გაყვანის უფლება. გავლის უფლება არის [სხვის მიწაზე] ადამიანის გავლისა და სეირნობის, მაგრამ არა პირუტყვის გადენისა და ოთხთვალით გავლის უფლება. პირუტყვის გადენის უფლება არის [სხვის მიწაზე] პირუტყვის გადენისა და ოთხთვალით გავლის უფლება. ამრიგად, ვისაც გავლის უფლება აქვს, მას პირუტყვის გადენის ან ოთხთვალით გავლის უფლება არ გააჩნია, მაგრამ ვისაც პირუტყვის გადენის ან ოთხთვალით გავლის უფლება აქვს, მას გავლის უფლებაც გააჩნია და მისი გამოყენება (ამ უფლებით სარგებლობა) პირუტყვის [გადენის] გარეშეც შეუძლია. გზის უფლება არის [სხვის მიწაზე] გავლის, პირუტყვის გადენის ან ოთხთვალით გავლისა და სეირნობის უფლება, ვინაიდან გზის უფლება მოიცავს, როგორც გავლის უფლებას, ასევე პირუტყვის გადენის ან ოთხთვალით გავლის უფლებას. წყლის გაყვანის უფლება არის [სხვის მიწაზე] წყლის გაყვანის უფლება.

1. ქალაქის მიწის ნაკვეთების (ადგილ-მამულების) სერვიტუტებს მიეკუთვნებიან სერვიტუტები, რომლებიც შენობებთან არის დაკავშირებული, და ქალაქის ადგილ-მამულების სერვიტუტებად იწოდებიან იმის გამო, რომ ქალაქის ყოველი შენობა ადგილ-მამულად იწოდება, თუნდაც იგი ქალაქგარეთ იყოს აშენებული. გარდა ამისა, ქალაქის ადგილ-მამულების სერვიტუტები მდგომარეობს იმაში, რომ მეზობელმა მეზობლის სიძნელეები მოითმინოს; თავის კედელში მეზობელს კოჭის ჩადგმის უფლება მისცეს; დაუშვას ან არ დაუშვას თავის სახლზე წვიმის წყლის ღარისა და თავის ეზოში წყლის სადინარის გაყვანა. არ ააშენოს თავისი სახლი ისე მაღალი, რომ მეზობელს სახლი დაუჩრდილოს (დაუბნელოს).

2. სოფლის ადგილ-მამულების სერვიტუტებს ზოგი სწორად მიაკუთვნებს წყლით სარგებლობის უფლებას, პირუტყვის წყ-

ლის სასმელად გადენის უფლებას, პირუტყვის ძოვის უფლებას, კირის მოხარშვის უფლებას და ქვიშის თხრის უფლებას.

3. ხოლო ამ სერვიტუტებს საადგილმამულო სერვიტუტებს იმიტომ უწოდებენ, რომ მათი დადგენა ადგილ-მამულების გარეშე შეუძლებელია. მართლაც, არავის შეუძლია ქალაქის ან სოფლის სერვიტუტი შეიძინოს, თუ მას ადგილ-მამული არა აქვს, და ვისაც ადგილ-მამული არა აქვს, მას [ამ მხრივ] არც რაიმე მოვალეობა გააჩნია.<sup>168</sup>

პირადი სერვიტუტის (servitutes personarum) მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ უზუფრუქტი (ususfructus).

„უზუფრუქტი არის სხვისი ნივთებით სარგებლობისა და [მათგან] შემოსავლის (ნაყოფის) მიღების უფლება ამ ნივთების არსის (substantia) სრული დაცვით (შეუცვლელად). სინამდვილეში იგი არის ნივთზე უფლება, რომლის (ამ ნივთის) მოსპობის შემთხვევაში უნდა მოისპოს თავად უფლებაც.“<sup>169</sup>

სერვიტუტის უფლება შეიძლება იყოს ნარმოშობილიყო:

- ხანდაზმულობით
- მესაკუთრის სურვილით (ანდერძით ან ხელშეკრულებით)
- სასამართლოს გადაწყვეტილებით

სერვიტუტის უფლება შეიძლება იყოს შენყვეტილიყო:

- ნივთის განადგურებით
- სერვიტუტის უფლების მქონე პირის გარდაცვალებით (პირადი სერვიტუტის შემთხვევაში)
- სტატუსში ცვლილებისას (საშუალო ან მაქსიმალური – პირადი სერვიტუტის შემთხვევაში)
- სერვიტუტის უფლებაზე უარის თქმის შემთხვევაში
- ნივთისა და საკუთრების უფლების გაერთიანებით

სხვის ნივთზე უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება სხვისი მინით ხანგრძლივი დროით სარგებლობის უფლება მესაკუთრისათვის გარკვეული გადასახადის მიცემის პირობით და ამ უფლების მემკვიდრეობით გადაცემის უფლებით:

სუპერფიციუს (superficies) – სხვის მიწის ნაკვეთზე აშენებუ-

168 იქვე, გვ. 65-66.

169 იქვე, გვ. 67.

ლი შენობა-ნაგებობებით სარგებლობის უფლება.

ემფიტეუზისი (emphyteusis) – სასოფლო მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლება.

## 8. რომის ვალდებულებითი სამართალი

### 8.1 რომის ვალდებულებითი სამართლის ზოგადი დახასიათება

**ვალდებულება (obligatio).** „ვალდებულება სამართლის ბორკილია, რომლის ძალით ჩვენ გვევალება, რომ ჩვენი სახელმწიფოს კანონების შესაბამისად ვინმეს რაიმე შეევუსრულოთ.“<sup>170</sup>

ვალდებულება თავისი ბუნებით არის ნდობაზე (credo) დამყარებული ურთიერთობა; ამიტომაც მხარე ვალდებულებაში, რომელსაც მოთხოვნის უფლება გააჩნია, იწოდება კრედიტორად (creditor), ხოლო მხარე, რომელსაც აწევს ვალდებულება – მოვალედ (დებიტორად, debtor).

ვალდებულების ძალით ერთი პირი (მოვალე, დებიტორი) ვალდებულია შეასრულოს მეორე პირის (კრედიტორის) სასარგებლოდ რაიმე მოქმედება, ან თავი შეიკავოს რაიმე მოქმედებისაგან, ხოლო კრედიტორს უფლება აქვს მოსთხოვოს მოვალეს მისი მოვალეობის შესრულება. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კრედიტორს აქვს სარჩელის წაყენების უფლება. თუ არ არის სარჩელის წაყენების უფლება, მაშინ არც ვალდებულებას აქვს ადგილი; გამონაკლის წარმოადგენდა მხოლოდ ნატურალური ვალდებულებები.

რომელი იურისტები ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ ცივილურ ვალდებულებას (obligatio civilis), პრეტორულ ვალდებულებას (obligatio praetoria) და ნატურალურ ვალდებულებას (obligation naturalis).

„ხოლო ყველა ვალდებულების უმთავრესი დაყოფა ორ სახეობას იძლევა: სახელდობრ, ვალდებულებები არის ან ცივილური, ან პრეტორული. ცივილურია ის ვალდებულებები, რომლებიც ან კანონით არიან დადგენილი, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ცივილური სამართალით არის მიღებული. პრეტორულია ის ვალდებულებები, რომლებიც პრეტორის იურისდიქციით

---

170 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002, გვ. 168.

არის დაწესებული და რომლებსაც აგრეთვე „საპატიო „ვალდებულებებს] უწოდებენ.“<sup>171</sup>

ვალდებულება, რომელსაც არა აქვს სასარჩელო დაცვა, მაგრამ მაინც აქვს იურიდიული მნიშვნელობა, ნატურალურ ვალდებულებად იწოდება. ეს ვალდებულება პრინციპატის ეპოქაში გაჩნდა და მისი წყარო ოჯახის უფროსის დაქვემდებარებაში მყოფი პირების ქმედებანი იყო. ოჯახის უფროსს შეეძლო მართებულად ელიარებინა მისი ხელისუფლების ქვეშ მყოფი პირის მიერ აღებული ვალი და შეეძლო უარიც ეთქვა მის გადახდაზე; *paterfamilias*-ის ხელისუფლების ქვეშ მყოფ პირს არ ჰქონდა უფლება ვალის აღებისა. ამიტომ კრედიტორი ვერ აღძრავდა სარჩელს ოჯახის უფროსის წინააღმდეგ. თუმცა თუ ეს ვალი გადახდილი იქნებოდა, მისი უკან გამოთხოვა დაუშვებლად ითვლებოდა; სხვა შემთხვევაში შეცდომით (არარსებული ვალდებულებით) გადახდილის უკან დაბრუნება შეიძლებოდა.

ვალდებულების შინაარსი შეიძლებოდა გამონატული ყოფილიყო შემდეგში:

- რაიმე ნივთის გადაცემა – *dare*;
- რაიმეს გაკეთება (მოქმედება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება) – *facere*;
- უზრუნველყოფა, გარანტიის მიცემა, „თავდებობა“ – *praestare*

ვალდებულების წარმოშობის საფუძველი. „ვალდებულებას წარმოშობს ან ხელშეკრულება, ან კვაზი-ხელშეკრულება, ან დელიქტი და ან კვაზი-დელიქტი.“<sup>172</sup>

რომაელი იურისტები ყურადღებას აქცევდნენ იმ გარემოებებს, რომელთა არსებობასთანაც იყო დაკავშირებული ვალდებულების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა. დღეს ასეთ გარემოებებს იურიდიული ფაქტები ეწოდება.

იურიდიული ფაქტები იყოფა ხდომილებად და მოქმედებად. ხდომილება წარმოიშობა ადამიანის ნების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად (მაგ. ადამიანის დაბადება და გარდაცვალება,

171 იქვე.

172 იქვე.

ვადის გასვლა და სხვა). მოქმედება კი ადამიანზეა დამოკიდებული; თავის მხრივ მოქმედება შეიძლება იყოს არამართლზომიერი (მაგ. ქურდობა, შეურაცხყოფა) და მართლზომიერი (მაგ. ხელშეკრულება).

განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნიათ იმ მართლზომიერ მოქმედებებს, რომლებიც უშუალოდ იწვევენ უფლება-მოვალეობათა წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. მათ გარიგებები ეწოდებათ. რომაელ იურისტებს არ შეუშუშავებიათ გარიგების ცნება, ისინი მხოლოდ ცალკეულ ხელშეკრულებებს განიხილავდნენ.

გარიგებაში გამოიხატება მის დამდებ პირთა ნება. თუ გარიგების ნამდვილობისათვის საკმარისია ერთი პირის ნება, მაშინ გარიგება ცალმხრივია (მაგ. ანდერძი, რომლის ნამდვილობისათვის მოანდერძის ნება საკმარისია). თუ გარიგების ნამდვილობისათვის ორი მხარის ნებაა აუცილებელი, მაშინ გარიგება ორმხრივია (მაგ. ხელშეკრულება)

კონტრაქტები (contractus) და პაქტები (pactum). კონტრაქტები ის ხელშეკრულებებია, რომლებიც სარგებლობდნენ სასარჩელო დაცვით; პაქტები კი – არაფორმალური შეთანხმებებია, რომლებიც თავდაპირველად არ სარგებლობდნენ სასარჩელო დაცვით, თუმცა დროთა განმავლობაში ზოგიერთმა მათგანმა მიიღო სასარჩელო დაცვა.

ძველი რომის სამართალი იცნობდა ხელშეკრულების სამ ძირითად სახეს: 1) ნექსუმ (nexum), რომელიც მანციპაციის მსაგავსად რთული რიტუალის ფორმით, სპილენძისა და სასწორის მეშვეობით ტარდებოდა და დებიტორი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად, საკუთარი, პირადი თავისუფლებით აგებდა პასუხს; თუ იგი დროულად არ შეასრულებდა ვალდებულებას, კრედიტორს შეეძლო დაედო მისთვის ბორკილები და დაემწყვდია 60 დღის განმავლობაში; ამ ხნის მანძილზე კრედიტორს, ბაზრობის დღეებში სამჯერ უნდა გაეყვანა ქალაქის მოედანზე, სადაც გამოცხადდებოდა მისი ვალის ოდენობა. მოვალეს შემწეობა უნდა ეთხოვა ნათესავებისა და ახლობლებისათვის, რომ მათ გადაეხადათ ვალი; თუ მესამედ

გაყვანის შემთხვევაშიც ეს არ მოხდებოდა, მოვალეს სიკვდილით სჯიდნენ ან მონად ყიდდნენ. ეს წესი არქაული სამართლით იყო დადგენილი თუმცა ძვ.წ. IV ს-ში აიკრძალა;

2) სტიპულაცია (stipulatio) – სიტყვიერი (ზეპირი) ხელშეკრულება, რომელიც იდებოდა კითხვა-პასუხის ფორმით;

3) ლიტერარული (წერილობითი, სიტყვიდან – litteris) ხელშეკრულება.

ნექსუმისაგან განსხვავებით სტიპულაციასა და ლიტერარულ ხელშეკრულებებს არსებობა არ შეუწყვეტია.

მოგვიანებით გაიუსი გამოყოფს ხელშეკრულების ოთხ სახეს:

- რეალური, როდესაც ვალდებულება წარმოიშობა ნივთის გადაცემის შემდგომ;
- ვერბალური, როდესაც ვალდებულების წარმოშობისათვის საკმარისია სიტყვიერი შეთანხმება;
- ლიტერარული, რომლის დროსაც ვალდებულება წარმოიშვება წერილობითი საბუთის საფუძველზე და
- კონსესუალური, რომლის დროსაც ვალდებულების წარმოშობისათვის საკმარისი იყო მხარეთა შეთანხმება.

ამ კლასიფიკაციაში არ შედის ე.წ. უსახელო კონტრაქტები.

„პირველ რიგში ჩვენ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოქმნილ ვალდებულებებს განვიხილავთ, რომლებიც თავის მხრივ ოთხ სახეობად იყოფა. სახელდობრ, ვალდებულება იდება ან ნივთის (რეალური), ან სიტყვის (ვერბალური), ან წერილობითი [საბუთის] (ლიტერალური) და ან შეთანხმების (კონსესუალური) საფუძველზე.“<sup>173</sup>

**ცალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებები.** იმისდა მიხედვით, თუ ვის წარმოეშვება და როგორ ნაწილდება ვალდებულება, შეგვიძლია განვასხვავოთ ცალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებები.

ცალმხრივი ხელშეკრულების მაგალითია სესხის ხელშეკრულება, როდესაც გამსესხებელს უფლება აქვს მოითხოვოს სესხის დაბრუნება და არავითარი ვალდებულება მას არ

აკისრია; მსესხებელი კი ვალდებულია დააბრუნოს თანხა;

ორმხრივი ხელშეკრულების მაგალითია ქირავნობის ხელშეკრულება; გამქირავებელი ვალდებულია გადასცეს ნივთი დამქირავებელს დროებით სარგებლობაში; დამქირავებელი კი ვალდებულია გადაიხადოს ქირა და დააბრუნოს ნივთი ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ.

ორმხრივ ხელშეკრულებებში შეგვიძლია განვასხვავოთ ხელშეკრულებები, როდესაც მხარეებს წარმოეშვებათ თანაბარი (მაგ. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება) და არათანაბარი უფლება-მოვალეობანი. მაგ. თხოვნების ხელშეკრულება – მთხოვებელი ვალდებულია განსაზღვრული დროის მერე დააბრუნოს ნივთი – ეს ძირითადი ვალდებულებაა; გამთხოვებელს კი ვალდებულება წარმოეშვებოდა მხოლოდ მაშინ თუ გათხოვებული ნივთი ზარალს მიაყენებდა მთხოვებელს, ეს კი ყოველთვის არ ხდება და მთხოვებელის ვალდებულებასთან შედარებით მეორეხარისხოვანია.

#### **ხელშეკრულების ნამდვილობის პირობები:**

- მხარეთა თანხმობა;
- კანონიერება (სამართლებრივი საფუძველი – *iusta causa*);
- კეთილ ზნე-ჩვეულებათა (*bonae mores*) საწინააღმდეგო არ უნდა ყოფილიყო (არ უნდა ქონოდა საძრახისი საფუძველი – *turpis causa*);
- ფიზიკურად შესაძლებელი უნდა ყოფილიყო მისი შესრულება;
- ფორმალური მხარის დაცვა;

**მხარეთა თანხმობა.** ხელშეკრულების დადებისათვის ადამიანმა უნდა გამოხატოს ნება; მისი შინაგანი გადანწყვეტილება საკმარისი არ არის, რომ მას იურიდიული შედეგი მოჰყვეს, რადგანაც ადამიანის ასეთი, შინაგანი ნება უცნობია გარშემომყოფთათვის. ნება გარეგნულად უნდა გამოიხატოს: სიტყვით, ჟესტით, წერილობით და სხვა. შესაძლოა ისეც მომხდარიყო, რომ ნების გარეგანი გამოხატვა შეუსაბამო ყოფილიყო შინაგან გადანწყვეტილებასთან. ძველი რომაული სამართალი უპირატესობას ნების გარეგან გამოხატვას ანიჭებდა, მოგვიანებით

კი უპირატესობა შინაგან ნებას მიენიჭა.

სირთულეს იწვევდა ის შემთხვევა თუ ერთი პირის ნების გამოხატვაში იყო შეუსაბამობა შინაგან ნებასთან, ხოლო მეორე მხარისათვის ეს არ იყო ცნობილი. ეს საკითხი თავს იჩენს იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს შეცდომას (error). შეცდომა არის პირის არასწორი წარმოდგენა ფაქტობრივ გარემოებებზე (ფაქტების არცოდნა ignoratia facto), რის გამოც მისი შინაგანი ნების, სურვილის წინააღმდეგ გამოხატა ნება. თუ ეს შეუსაბამობა მოხდა ნების გამომხატველის ბრალით, მაშინ მან უნდა შეასრულოს ვალდებულება იმ შინაარსით, როგორც ეს მეორე მხარემ გაიგო; თუ მისი ბრალით არ არის, მაშინ შეუძლია იბრძოლოს, რომ არ შეასრულოს ვალდებულება ამ შინაარსით და არ იყოს დამოკიდებული ნების გარეგან, არასწორ გამოხატულებაზე.

დიდი მნიშვნელობა გააჩნია ასევე შეცდომის არსებითობასაც. თუ შეცდომა არსებითი ხასიათისა იყო (მაგ. სხვადასხვა მიზნის ნაკვეთი ქონდათ მხედველობაში მყიდველსა და გამყიდველს error in corpore) მაშინ ხელშეკრულება არ ჩაითვლებოდა დადებულად; ხოლო თუ შეცდომა არაარსებითი ხასიათისა იყო (მაგ. ერთსა და იმავე ნაკვეთი ქონდათ მხედველობაში მაგრამ სხვა სახელით მოიხსენიებდნენ error in nomine) მაშინ ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლებოდა.

არსებითია ასევე შეცდომა, თუ იგი ეხება გარიგების ხასიათს; მაგ. პირს ჰგონია, რომ ფულს შესანახად აძლევს, ამ უკანასკნელს კი ჰგონია, რომ სესხად აძლევენ; ამ შემთხვევაში ხელშეკრულებას (არც შენახვის და არც სესხის) არა აქვს ადგილი, რადგანაც არ არსებობს მხარეთა თანხმობა.

შეცდომას შეიძლება კონტრაგენტის ვინაობაშიც ჰქონოდა ასებითი ხასიათი; ეს იმ შემთხვევაში; თუ მის პირად თვისებებს არსებითი მნიშვნელობა გააჩნია, მაგ. თუ მგონია, რომ ცნობილ მხატვარს შეუკვეთე ნახატი, მაგრამ სინამდვილეში ხელშეკრულება სხვა პირთან დავდე.

საგნის თვისებაში (არსში), შეცდომა (error in substantia) არსებითია, თუ იგი იმდენად დიდია, რომ ფაქტიურად სხვა ნივთ-

თან გვაქვს საქმე (მაგ. ვყიდულობ ოქროს თასს, სინამდვილეში კი ის სპილენძისაა, ვყიდულობ ღვინოს, სინამდვილეში ძმარია, ან ვყიდულობ მონა მამაკაცს, სინამდვილეში მონა ქალია და სხვა). მაგრამ, თუ შეცდომა ნივთის ხარისხშია (error in qualitate; მაგ. ვყიდულობ ოქროს თასს, სინამდვილეში მოოქროულია; ვყიდულობ მონა ქალიშვილს, სინამდვილეში ქალია), რაც ნაკლებ მნიშვნელოვანია, მაშინ ხელშეკრულება ნამდვილია, თუმცა მყიდველს შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება.

მნიშვნელოვანი იყო ასევე, რომ პირის ნება ხელშეკრულებაში უნდა იყოს გამოხატული თავისუფლად, ყოველგვარი ზემოქმედების (მოტყუების, იძულების, მუქარის) გარეშე. მოტყუებით დადებული ხელშეკრულება ინვევდა იურიდიულ შედეგებს, თუმცა მოტყუებულ პირს შეეძლო აღედრა მოტყუების სარჩელი (action *ded dolo*) და გაეუქმებინა ასეთი ხელშეკრულება.

იძულება შეიძლებოდა ყოფილიყო ფიზიკური და ფსიქიკური, გამოხატული მუქარით (*metus*). მუქარის ფაქტი რომ დადებული ხელშეკრულების გაუქმების საფუძველი გამხდარიყო, იგი კანონსაწინააღმდეგო და რეალური უნდა ყოფილიყო.

კანონიერება (სამართლებრივი საფუძველი – *iusta causa*). მაგალითად ხელშეკრულება არ იქნებოდა ნამდვილი, თუ დაიდებოდა სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებულ ნივთზე ან სხვაგვარად ეწინააღმდეგებოდა კანონს.

კეთილ ზნე-ჩვეულებათა (*bonae mores*) საწინააღმდეგო არ უნდა ყოფილიყო (არ უნდა ჰქონოდა საძრახისი საფუძველი – *turpis causa*). მაგალითად, ხელშეკრულება დადებული იმის თაობაზე, რომ პირი ცოლს არ მოიყვანდა, ან პროსტიტუციით იქნებოდა დაკავებული, ან მკვლელობისათვის დაიქირავებდა; ამ უკანასკნელ შემთხვევაში „დამქირავებელს“, თუ ის გადასცემდა მკვლელობისათვის იარაღს, ამ იარაღის უკან გამოთხოვის უფლებაც არ ჰქონდა.

ხელშეკრულება შესასრულებლად ფიზიკურად შესაძლებელი უნდა ყოფილიყო; ვალდებულებას არ ექნებოდა ძალა, თუ მასში შეუსრულებელი პირობა იყო შეტანილი, მაგ. გაიუსის ინსტიტუციებში ნათქვამია – ხელშეკრულება დადებული იმის შესახ-

ებ, რომ „თითით ზეცას შეეხება“<sup>174</sup>, არ არის ნამდვილი.

ხელშეკრულების ნამდვილობისათვის მნიშვნელობა ქონდა ასევე ფორმალური მხარის დაცვას. თუ სახეზე არ იყო ფორმა, მაგალითად რეალური ხელშეკრულების დროს არ მომხდარა ნივთის გადაცემა, ან ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დროს არ მოხდა შეთანხმება გასაყიდ ნივთსა და ფასზე.

ხელშეკრულებაში შეიძლებოდა შესულიყო ისეთი პუნქტები, რომლებიც არ იყო აუცილებელი, მაგრამ მხარეთა სურვილის გათვალისწინებით შეჰქონდათ ხელშეკრულებაში. ასეთი ელემენტები იყო პირობები (*condicio*) და ვადები (*dies*).

პირობა (*condicio*) ისეთ მითითებებს წარმოადგენს ხელშეკრულებაში, რომლის მეშვეობითაც ხელშეკრულების იურიდიული შედეგები დამოკიდებული ხდება მომავალში ამა თუ იმ მოვლენათა დადგომაზე ან არ დადგომაზე, თანაც უცნობია ეს მოვლენა დადგება თუ არა. ხელშეკრულებაში პირობების შეტანით მხარეები მოცემული ხელშეკრულებით იურიდიული შედეგის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას უკავშირებენ ამა თუ იმ მოვლენას. მაგ. თუ გემი ჩამოვა, მოგცემ ას ოქროს.

ვადები (*dies*) ჰგავს პირობებს იმით, რომ ხელშეკრულებაში ვადის შეტანით ხელშეკრულებების იურიდიული შედეგები დამოკიდებული ხდება განსაზღვრულ მოვლენებზე; განსხვავება კი ისაა, რომ ვადის შეტანისას მოვლენა, რომელზედაც დამოკიდებულია იურიდიული შედეგები აუცილებლად უნდა დადგეს, თუმცა შეიძლება უცნობი იყოს მათი დადგომის დრო. საერთოდ განასხვავებენ: ა) ვადას, რომლის დროსაც ცნობილია, რომ მოვლენა დადგება და ცნობილია როდის (მაგ. ხელშეკრულების დადება ორი თვით) და ბ) ვადას რომლის დროსაც ცნობილია რომ დადგება, მაგრამ უცნობია როდის (უვადო ხელშეკრულება).

**ხელშეკრულების დადება – სტიპულაციის შემთხვევაში ინი-**

---

174 რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011, გვ. 148-149.

ციატივა მოდიოდა კრედიტორისაგან, შეკითხვის ფორმით, მაგ. მპირდები გადამიხადო ასი ოქრო?

სხვა შემთხვევაში კი ინიციატივა მოდიოდა ორივე მხარისაგან, მაგ. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დროს ერთი მხარე აკეთებდა ხელშეკრულების დადების წინადადებას (ოფერტა), მეორე მხარე კი იღებდა ამ წინადადებას (აქცეპტი).

**წარმომადგენლობა** – თავდაპირველად ვალდებულება უშუალოდ ხელშეკრულების დამდებ პირთან ასოცირდებოდა (ნექსუმ), მოგვიანებით კი წარმომადგენლად შეიძლებდა განხილულიყო მაგ. პატერფამილიას ოჯახის წერი, მოურავი, მონა.

„[ვალდებულებებს] იძენთ არა მარტო თქვენ თვითონ [პირადად], არამედ აგრეთვე იმ პირების მეშვეობითაც, რომლებიც თქვენი ხელისუფლების ქვეშ იმყოფებიან, მაგალითად, თქვენი მონების და თქვენი ვაჟიშვილების მეშვეობით, ოღონდ [იმ განსხვავებით], რომ ის, რასაც თქვენ მონის მეშვეობით შეიძენთ, მთლიანად თქვენია, ხოლო თქვენი ხელისუფლების ქვეშ მყოფი თქვენი ბავშვების მიერ ვალდებულებით შეძენილი კი იყოფა საკუთრებისა და უზუფრუქტის ჩვენი კონსტიტუციით დადგენილი ცნებების შესაბამისად. და იმ მოგებაზე, რომელიც ვაჟიშვილმა სარჩელით მიიღო, მამას უზუფრუქტის [უფლება] ექნება, მაგრამ მასზე საკუთრების უფლება ვაჟიშვილს რჩება, რასაკვირველია, სარჩელს, ჩვენი ახალი კონსტიტუციით დადგენილი დაყოფის თანახმად, მამა აღძრავს.

1. თქვენ იძენთ აგრეთვე თავისუფალი ადამიანების საშუალებით და სხვისი მონების მეშვეობითაც, რომლებსაც თქვენ კეთილსინდისიერად ფლობთ; ოღონდ მხოლოდ ორ შემთხვევაში; ე.ი. [იმ შემთხვევაში] თუკი ისინი იძენენ ან თავიანთი შრომით, ან თქვენი ნივთის საშუალებით.

2. ზემოთქმულის მსგავსად, ამ ორ შემთხვევაში თქვენ იძენთ აგრეთვე იმ მონების მეშვეობითაც, რომლებზეც თქვენ უზუფრუქტის ან სარგებლობის უფლება გაქვთ.“<sup>175</sup>

175 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002, გვ. 199-200.

## პირთა შეცვლა ვალდებულებაში

ვალდებულების გადასვლა მემკვიდრეობით – მემკვიდრეები პასუხს აგებდნენ სამკვიდროს დამტოვებლის ვალდებულებებზე, ასევე მათზე გადადიოდა მოთხოვნის უფლება. ეს განპირობებული იყო უძველეს ეპოქაში საკუთრების საოჯახო ხასიათით. ვალდებულებას, რომელსაც იღებდა ოჯახის მამა საერთო იყო მთელი ოჯახისათვის.

ცესია (cessio) – მოთხოვნის დათმობა, კრედიტორის შეცვლა. ახალ კრედიტორს ერქვა ცესიონარი, ძველ კრედიტორს – ცედენტი (cedens). მოთხოვნის შემძენს ენიჭებოდა სარჩელის წაყენების უფლება; გამოიყენებოდა წარმომადგენლობა, რომლის საფუძველზე ცესიონარი გამოდიოდა სასამართლო პროცესზე მოსარჩელედ, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში ანაზღაურება ხდებოდა წარმომადგენლის სახელზე.

ვალის გადაცემა – ვალდებულებაში შესაძლებელია ერთი მოვალის მეორეთი შეცვლა. მოვალის პიროვნებას არსებითი ხასიათი აქვს კრედიტორისათვის, იგი ენდობა მოცემულ მოვალეს, მის გადახდისუნარიანობას. ამიტომ ერთი მოვალის შეცვლა მეორეთი, ანუ ვალის გადაცემა შესაძლო იყო კრედიტორის თანხმობით. ეს ხდებოდა ნოვაციის ფორმით.

## ვალდებულების შეწყვეტა.

1) ვალდებულების შესრულება. იმისათვის, რომ ვალდებულება ჩათვლილიყო შესრულებულად რამდენიმე გარემოებას ექცეოდა ყურადღება: ა) ვინ ასრულებდა მოვალეობას. ასე მაგლითად, გადახდა შეეძლო იმ ადამიანს, ვისაც შეეძლო თავისი მდგომარეობის გაუარესება (მაგ. ჭკუასუსტი, შეშლილი ვერ შეასრულებდა); ასევე, თუ ვალდებულების შინაარსს მკაცრად პირადი ხასიათი გააჩნდა აუცილებელი იყო ვალდებულების პირადად შესრულება (მხატვრის ვალდებულება დახატოს სურათი), სხვა შემთხვევაში ვალდებულების შესრულება შეეძლო მესამე პირსაც. ბ) ვის წინაშე შესრულდა ვალდებულება. ვალდებულება უნდა შესრულდეს იმ პირის წინაშე, ვისაც ამის უფლებამოსილება გააჩნდა. ასეთია კრედიტორი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, რწმუნებული; გ) შესრულება

სავალდებულოა ვალდებულების შინაარსის შესაბამისად. მაგ. კრედიტორის თანხმობის გარეშე მოვალეს არა აქვს უფლება ვალდებულება შეასრულოს ნაწილ-ნაწილ. დ) ვალდებულება უნდა შესრულდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. თუ ხელშეკრულებით ვადა არ არის განსაზღვრული მოვალე ვალდებულია კრედიტორის პირველივე მოთხოვნით შეასრულოს ვალდებულება. ე) როდესაც რომში პრაქტიკაში შემოვიდა ხელშეკრულების დადება სხვადასხვა ადგილას მცხოვრებ პირთა შორის, მნიშვნელობა შეიძინა ვალდებულების შესრულების ადგილმა (მით უმეტეს, რომ ფასები სხვადასხვა ადგილას განსხვავებული იყო). შესრულების ადგილად ითვლებოდა სარჩელის წაყენების ადგილი, ანუ მოვალის ადგილსამყოფელი ან მხარეთა შეთანხმებით ქ. რომი.

2) ნოვაცია – ვალდებულების განახლება, რომლის დროსაც ძველი ვალდებულების შეწყვეტა ხდებოდა ახალი ვალდებულების დადგენით.

3) გაქვითვა – ვალდებულება შეიძლებოდა შეწყვეტილიყო შეგეგებული მოთხოვნით. ურთიერთვალდებულების გაქვითვა ხდებოდა იმ ზომით, რა ზომითაც ერთი მოთხოვნა თანხვდებოდა მეორეს (მაგ. თუ ერთ პირს მართებს მეორის 50, მეორეს კი პირველის 30, გაქვითვის შემთხვევაში პირველს დარჩებოდა 20).

4) ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა – ვალდებულება შეწყდება შესრულების შეუძლებლობით თუ ეს გამონკვეულია გარემოებით, რომელზეც მოვალე პასუხს არ აგებს (ხდომილება, კაზუსი).

5) მოთხოვნაზე კრედიტორის უარის შემთხვევაში.

6) სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში პირი კარგავს სარჩელის წარდგენის უფლებას, ხოლო თუ პირს არ შეუძლია თავისი უფლების დასაცავად სასამართლოში სარჩელის წარდგენა, ისპობა თავად უფლებაც.

«ყოველგვარი ვალდებულება წყდება ამ ვალდებულების შესრულებით; ან კრედიტორის თანხმობით ერთი მოქმედების ნაცვლად სხვა მოქმედების შესრულებით. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ ვინ შეასრულა ვალდებულება – თავად

მოვალემ თუ მის მაგიერ – სხვამ. ვინაიდან ვალდებულებისგან გათავისუფლება ხდება ამ ვალდებულების სხვა პირის მიერ შესრულების შემთხვევაშიც, თუნდაც ეს კრედიტორის დაუკითხავად ან მისი სურვილის საწინააღმდეგოდ მოხდეს. ასევე, თუ მოვალე ვალდებულებას შეასრულებს, ვალდებულებისგან მისი თავდებებიც თავისუფლდებიან. იგივე ხდება იმ შემთხვევაშიც, თუ, პირიქით, ვალდებულებას ფიდეიუსორი შეასრულებს: – [ე.ი.] თავისუფლდება არა მარტო თავად [ფიდეიუსორი], არამედ აგრეთვე მოვალეც.<sup>176</sup>

„გარდა ამისა, ვალდებულება წყდება [აგრეთვე] „ნოვაციით“, მაგალითად, თუ სეიუსმა ტიცოუსისგან იმის სტიპულაცია მოახდინა, რაც შენ მისი (სეიუსის) გემართა. ვინაიდან ახალი პირის შემოსვლით წარმოიშობა ახალი ვალდებულება, პირველი [ვალდებულება] წყდება, გადადის რა იგი მომდევნო ვალდებულებაში.“<sup>177</sup>

**პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის.**

თავდაპირველად (არქაულ ხანაში) ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მოვალე პირადად აგებდა პასუხს, მოგვიანებით კი ქონებით. მოვალე პასუხს აგებდა მხოლოდ მაშინ, თუ მას ბრალი მიუძღოდა კრედიტორისადმი მიყენებულ ზარალში. ბრალის ყველაზე მძიმე ფორმა ზიანის მიყენება განზრახ – *dolus*. ბრალის მეორე ფორმაა გაუფრთხილებლობა – *culpa*. იგი ორი სახისა იყო: უხეში გაუფრთხილებლობა (*culpa lata*) და მსუბუქი გაუფრთხილებლობა (*culpa levis*). უხეშ გაუფრთხილებლობად ჩაითვლებოდა ისეთი ქცევა, რომელსაც არ დაუშვებდა ყოველი საშუალო ადამიანი. მსუბუქ გაუფრთხილებლობად ითვლებოდა ისეთი ქცევა, რომელსაც არ დაუშვებდა კარგი, მზრუნველი მეურნე. ბრალის საკითხს მნიშვნელობა ჰქონდა პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის.

თუ პირმა გამოიჩინა სრული ყურადღება და მზრუნველობა, მაგრამ ზიანი მაინც დადგა (კაზუსი), ასეთ შემთხვევაში პასუხს არ აგებდა. მაგ. გემის ან სასატუმროს პატრონი პასუხს აგებდა

176 იქვე, გვ. 200-201.

177 იქვე, გვ. 202.

მინდობილი ქონების დალუპვისათვის, მაგრამ თუ ეს ქონება დაილუპებოდა გადაულახავი ძალის (vis maior) გამო – არა.

**ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებები.** შესაძლოა კრედიტორს არ ჰქონოდა დებიტორის მიმართ საკმარისი ნდობა (მაგ. როდესაც უცხოსთან დებდა ხელშეკრულებას), ან დებიტორის ქონებრივი უზრუნველყოფა ინვევდა ეჭვებს. ასეთ შემთხვევაში კრედიტორი ითხოვდა ვალდებულების შესრულების დამატებით გარანტიებს. რომის სამართალში ცნობილი იყო ვალდებულების უზრუნველყოფის შემდეგი საშუალებები:

- თავდებობა
- გირავნობა
- ბე

**თავდებობა.** თავდებობის არსი იმაში მდგომარეობს, კრედიტორის წინაშე მოვალესთან (დებიტორთან) ერთად პასუხს აგებს სხვა პირი/პირები, თუკი მოვალე არ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს. თავდებობის ჩვეულებრივ ფორმას სტიპულაცია წარმოადგენდა. თავდებს ეკისრებოდა შეესრულებინა იგივე მოქმედება, რაც მოვალემ იკისრა, რითაც თავის დაპირებას მოვალის დაპირებას შეუერთებდა. ვალდებულების შეწყვეტის შემთხვევაში, წყდებოდა თავდებობაც.

„პრომისორების<sup>178</sup> მაგიერ ვალდებულებას, ჩვეულებრივ, სხვები კისრულობენ, რომლებსაც ფიდეიუსორებს<sup>179</sup> უწოდებენ; მათ კრედიტორები, როგორც წესი, იღებენ, რადგან ისინი ზრუნავენ, რომ უკეთესად იყვნენ უზრუნველყოფილნი.

1. ფიდეიუსორი ყველა სახის ვალდებულებაში შეიძლება არსებობდეს, ე.ი. რეალურში, ვერბალურში, ლიტერალურში და კონსესუალურში, და არც იმას აქვს მნიშვნელობა, ცივილურია თუ ნატურალური ის ვალდებულება, რომელშიც ფიდეიუსორი მონაწილეობს. და ეს იქამდეც კი მიდის, რომ ვალდებულებას [ფიდეიუსორი] მონის მაგიერაც კისრულობს, – გინდ ის, ვინც მონისგან ფიდეიუსორს მიიღებს, გარეშე პირი იყოს და გინდაც – თავად ამ მონის მესაკუთრე, – იმ ნატურალურ ვალდებულე-

---

178 დებიტორი.

179 თავმდები.

ბასთან დაკავშირებით, რომელიც მონას თავის მესაკუთრის წინაშე აკისრია.

2. ფიდეიუსორი არა მარტო თავად იღებს ვალდებულებას, არამედ მას თავის მემკვიდრესაც უტოვებს.

3. ფიდეიუსორს შეუძლია წინაც უსწრებდეს ვალდებულებას და უკანაც მოსდევდეს მას.

4. თუ სახეზე რამდენიმე ფიდეიუსორია, რამდენიც არ უნდა იყვნენ ისინი, ვალდებულება თითოეულ მათგანს მთელი მოცულობით ეკისრება. ასე რომ, კრედიტორს უფლება აქვს ვალდებულების მთელი მოცულობით შესრულება ვისგანაც ის მოიხურვებს, იმისგან მოითხოვოს. ვალდებულება ფიდეიუსორებს ისე არ უნდა დააკისრონ, რომ მათ იმ პირზე მეტი მართებდეთ, რომლის თავდებებიც ისინი არიან. ვინაიდან მათი ვალდებულება მთავარი ვალდებულების, „აქცესია“<sup>180</sup> ხოლო აქცესიაში არ შეიძლება, რომ იმაზე მეტი იყოს, ვიდრე მთავარ ნივთშია. ხოლო, მეორე მხრივ, უფრო ნაკლები თანხის დაკისრება შესაძლებელია. ასე რომ, თუ პრომისორს ათი ოქრო მართებს, მაშინ ფიდეიუსორს ხუთი ოქრო მართლზომიერად ეკისრება, მაგრამ პირიქით დაკისრება არ შეიძლება. გარდა ამისა, თუ პრომისორის ვალდებულება პირობით აქვს აღებული, ფიდეიუსორს შეუძლია [ეს ვალდებულება] უპირობოდ იკისროს. მაგრამ, პირიქით დაკისრება არ შეიძლება. „ნაკლები“ და „მეტი“ ეხება არა მარტო ვალის რაოდენობას, არამედ აგრეთვე [ვალდებულების შესრულების] დროს. „მეტი“ ნიშნავს [ნივთის] მაშინვე მიცემას, „ნაკლები“ კი – შემდეგ მიცემას.

6. ხოლო, თუ ფიდეიუსორი მოვალის ნაცვლად გადაიხდის, მაშინ მას გადახდილის დასაბრუნებლად მოვალის წინააღმდეგ „დავალების“ (მანდატის) სარჩელი ეძლევა.

7. ბერძნები ფიდეიუსორს უმრავლეს შემთხვევაში ასეთი ფორმულით იღებენ: „პატიოსან სიტყვას ვიძლევი“, „ვამბობ“, „მსურს“ ან „მინდა“. ხოლო თუ ფიდეიუსორი იტყვის „აზრი გამოვთქვი (განვაცხადე)“, ითვლება, რომ მან თქვა „ვამბობ“.

8. უნდა ვიცოდეთ, რომ ფიდეიუსორების სტიპულაცი-

180 დამატებაა.

ასთან დაკავშირებით საერთოდ მიღებულია, რომ იურიდიულ მოქმედებად ითვლება ყველაფერი ის, რაც ასეთად არის ჩან-ერილი. აქედან გამომდინარე, ცნობილია, რომ თუ ვინმე თავს თავდებად წერილობით გამოაცხადებს, ყველაფერი ეს სამართ-ლებრივად სწორ მოქმედებად ჩაითვლება.<sup>181</sup>

გირავნობა გულისხმობს კრედიტორის უფლების უზრუნ-ველყოფას დებიტორის რაიმე ნივთის გადაცემის გზით. რეს-პუბლიკის ხანაში გირავნობა ხორციელდება კრედიტორისათვის დებიტორის ნივთის დროებით გადაცემით. ვალდებულების შეს-რულების შემდგომ კრედიტორი ვალდებულია დააბრუნოს ნივ-თი (pignus). კრედიტორი არ წარმოადგენს მისთვის გადაცემული ნივთის მესაკუთრეს და შესაბამისად, მას არ შეუძლია გაყიდოს ეს ნივთი. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ნივ-თი გადადის კრედიტორის საკუთრებაში. ჩნდება ასევე გირავ-ნობა კრედიტორისათვის ნივთის გადაცემის გარეშე, მაგ. მიწის ნაკვეთის გირავნობა. რომის სამართალში კრედიტორისათვის ნივთის გადაუცემლად გირავნობამ ბერძნული სახელწოდება hyp-  
potheca (იპოთეკა) მიიღო.<sup>182</sup>

თავდაპირველად ბე წარმოადგენდა ფულად თანხას ან ნივთს, რომელსაც ერთი მხარე გადასცემდა მეორე მხარეს ხე-ლშეკრულების დადების ფაქტის დასადასტურებლად საერთო გადასახადის ფარგლებში. რომის სამართლის განვითარების კლასიკურ ხანაში ბეს ვალდებულების ვალდებულების უზრუნ-ველყოფის შესრულების მნიშვნელობაც ენიჭება. ბეს შინაარსი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: თუ მყიდველი, რომელმაც ბე გაი-ღო გადაიფიქრებს ყიდვას, ის კარგავს ბედ გადახდილ თანხ-ას, ხოლო თუ გამყიდველი გადაიფიქრებს, მან უნდა ორმაგად დააბრუნოს ბედ გადახდილი თანხა.

„... დაუსჯელად გარიგებაზე უარის თქმა შესაძლებელია, ოღონდ თუ ბეს სახით უკვე რაიმე არ არის გადაცემული. და თუ ეს ასე მოხდა, ნასყიდობის ხელშეკრულება გინდ წერილო-

181 იქვე, გვ. 182-184.

182 გირავნობასთან დაკავშირებულ საკითხებს შევხებით ასევე რე-ალურ ხელშეკრულებებზე საუბრის დროსაც.

ბითი ფორმით იყოს დადებული და გინდაც – ზეპირად, მხარე, რომელმაც ხელშეკრულებაზე უარი თქვა, თუ იგი მყიდველია, მაშინ იგი მის მიერ მიცემულ ბეს კარგავს, ხოლო თუ – გამყიდველი, მაშინ მან ორმაგი თანხა უნდა დაუბრუნოს, თუნდაც ბეს შესახებ არაფერი იყოს დათქმული.“<sup>183</sup>

## 8.2 სახელშეკრულებო სამართალი

სახელშეკრულებო სამართლის ფარგლებში განვიხილავთ რეალურ, ვერბალურ, ლიტერარულ და კონსესუალურ ხელშეკრულებებს; ასევე უსახელო ხელშეკრულებებსა და პაქტებს.

**რეალური ხელშეკრულებებია:**

- სესხის ხელშეკრულება (mutuum)
- თხოვების ხელშეკრულება (commodatum)
- შენახვის ხელშეკრულება (depositum)
- გირავნობის ხელშეკრულება (pignus)

**სესხის ხელშეკრულება (mutuum).** სესხის ხელშეკრულების ძალით ერთი მხარე, გამსესხებელი, გადასცემს მეორე მხარეს, მსესხებელს, გარკვეული ხარისხის, ოდენობის, ღირებულების ნივთებს საკუთრებაში (გვარეობითი ნიშნით განსაზღვრულ ნივთებს – სურსათ-სანოვაგეს, ფულს დ ა.შ.), მსესხებელი ვალდებულია დააბრუნოს იგივე ხარისხის, ოდენობისა თუ ღირებულების ნივთები.

ნივთის გადაცემის შემდგომ, მისი განადგურების შემთხვევაში პასუხს აგებს მსესხებელი.

**სესხის ხელშეკრულება არის:**

- რეალური – ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ ნივთის გადაცემის შემდგომ.
- ცალმხრივი – გამსესხებელს გააჩნია მხოლოდ უფლება, მესესხებელს კი – ვალდებულება;
- უსასყიდლო ან სასყიდლიანი – უსასყიდლო ხელშეკრულების შემთხვევაში დებიტორი აბრუნებს ნას-

---

183 რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002, გვ. 185-186.

ესხებ ნივთებს, სასყიდლიანის სემთხვევაში კი – პროცენტსაც. რომში ფულადი სესხისათვის დაწესებული იყო 1-დან 8 პროცენტამდე. 8 პროცენტის ზემოთ გადაცემული თანხა ექვემდებარებოდა უკან დაბრუნებას;

- გარკვეული ვადით დადებული ან უვადო. ვადიანი ხელშეკრულების შემთხვევაში სესხის დაბრუნების მოთხოვნა შესაძლებელი იყო მხოლოდ დათქმული ვადის გასვლის შემდეგ; უვადო ხელშეკრულების შემთხვევაში კი – ნივთის გადაცემის შემდგომ კრედიტორის პირველივე მოთხოვნისთანავე.

„რეალური ვალდებულება წარმოიშობა, მაგალითად, სესხის მიცემით. სესხის ვალდებულება იმ ნივთებთან დაკავშირებით ხორციელდება, რომელთაც წონით, რაოდენობით და ზომით განსაზღვრავენ, მაგალითად: ღვინო, ზეთი, ხორბალი, ფული, სპილენძი, ვერცხლი, ოქრო. ამ ნივთებს ჩვენ ან რაოდენობით, ან ზომით და ან წონით იმ მიზნით გავცემთ, რომ ისინი მიეკუთვნოს მათს მიმღებს, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ ჩვენ იმავე ნივთებს კი არ გვიბრუნებს, არამედ სხვას, ოღონდ იმავე სახისა (ბუნების) და ხარისხის. ამიტომაც ეწოდება მას „mutuum“ („ორმხრივობა“), რადგან მე შენ [ნივთს] ისე გაძლევ, რომ ჩემი [ნივთი] შენი გახდეს. ამ ხელშეკრულებიდან წარმოიშობა სარჩელი, რომელსაც „კონდიქციო“ (condictio) ეწოდება.<sup>184</sup>

**თხოვების ხელშეკრულება (commodatum).** თხოვების (ნათხოვრობის) ხელშეკრულების ძალით, ერთი პირი მეორეს უთმობდა ნივთს უსასყიდლო სარგებლობისათვის; სარგებლობის შემდგომ უვნებლად და დაუზიანებლად უნდა დაბრუნებოდა პატრონს (აქ არ იგულისხმება ბუნებრივი ცვეთა), ნივთის დაზიანებასა და განადგურებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მთხოვენელს, მათ შორის მსუბუქი გაუფრთხილებლობისათვისაც, ვინაიდან იგი მოქმედებდა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. იგი პასუხს არ აგებდა მხოლოდ კაზუსის შემთხვევაში. თუ ნათხოვარ ნივთს საზღვარგარეთ წაიღებს და გემის ჩაძირვის შედეგად განადგურდება, ნივთის დაბრუნების ვალ-

---

184 იქვე, გვ. 169.

დებულება მაინც იარსებებს. ნათხოვრი ნივთი, როგორც წესი ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრულ ნივთს წარმოადგენდა. მთხოვნელს ევალებოდა ნათხოვარი ნივთის შენახვისათვის აუცილებელი ხარჯების გაღება (მაგ. მონის ან პირუტყვის თხოვების შემთხვევაში).

თხოვების ხელშეკრულება არის:

- რეალური
- ორმხრივი
- უსასყიდლო
- ვადიანი ან უვადო

„ზუსტად ასევე რეალური (ნივთის მიცემის) ვალდებულების შესრულება ედება იმ პირსაც, რომელსაც რაიმე ნივთი სარგებლობისთვის მისცეს, ე.ი. ათხოვეს, და ისიც სესხის სარჩელით აგებს პასუხს. მაგრამ ასეთი პირი მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ პირისგან, რომელმაც სესხი მიიღო. რადგან მას ნივთი იმ განზრახვით არ ეძლევა, რომ იგი მისი [კუთვნილება] გახდეს, და ამიტომ მას იმავე ნივთის დაბრუნება ევალება. და ის პირიც, რომელმაც სესხი მიიღო და რაიმე შემთხვევის გამო მიღებული [ნივთი] დაკარგა, მაგალითად, ხანძრის, ნგრევის, გემის დაღუპვის ან ყაჩაღთა და მტრების თავდასხმის შედეგად, მაინც ვალდებული რჩება. მაგრამ იმ პირს, რომელიც [უსასყიდლო] სარგებლობის უფლებით [ნივთს] მიიღებს, რასაკვირველია, ევალება, რომ ამ ნივთის (უვნებლად) შენახვისთვის დიდი გულმოდგინება გამოიჩინოს, და არ არის საკმარისი, რომ მან ამისათვის ისეთი გულმოდგინეობა გამოიჩინოს, როგორსაც იგი, ჩვეულებრივ, საკუთარი ნივთების დასაცავად იჩენს, იმის გათვალისწინებით, რომ სხვა ამ ნივთის დაცვას უფრო მეტი გულმოდგინებით შეძლებდა. მაგრამ „დაუძლეველი ძალის“ („vis major“) და „დაუძლეველი შემთხვევის“ (major casus) გამო იგი პასუხს არ აგებს. თუკი ეს შემთხვევა ისე მოხდა, რომ ამაში მას ბრალი არ მიუძღვის. თუმცა თუ შენ შენთვის ნათხოვები ნივთის შენთან ერთად საზღვარგარეთ წაღებას ამჯობინებ და შემდეგ ამ ნივთს მტრების ან ყაჩაღების თავდასხმის ან გემის დაღუპვის გამო დაკარგავ, ეჭვს გარეშეა, რომ შენ ამ ნივთის უკან დაბ-

რუნება გევალება. ხოლო ნივთი ნათხოვებ ნივთად იმ შემთხვევაში ჩაითვლება, თუ იგი შენ სარგებლობაში ყოველგვარი გასამრჯელოს მიღებისა და დანესების გარეშე აღმოგეცა. სანაღმდეგო შემთხვევაში, ე.ი. თუ გასამრჯელო დანესდა, მაშინ ითვლება, რომ ნივთი შენ სარგებლობაში ქირით აღმოგეცა, რადგან თხოვება („commodatum“) უსასყიდლო უნდა იყოს.“<sup>185</sup>

**შენახვის ხელშეკრულება (depositum).** შენახვის ხელშეკრულების ძალით ერთი პირი (შემნახავი), რომელმაც მიიღო სხვა პირისაგან (დეპონენტი) ნივთი შესანახად, კისრულობს ვალდებულებას შეინახოს და დაუზიანებლად დაუბრუნოს იგი. ნივთის შემნახველი არ ითვლებოდა მოცემული ნივთის არც მესაკუთრედ და არც მფლობელად, არამედ დამჭერად. როგორც წესი შენახვის ხელშეკრულება იღებოდა ინდივიდუალურად განსაზღვრულ ნივთზე, თუმცა იყო გამონაკლისი შემთხვევებიც. ნივთის განადგურებისას შემნახველი პასუხს აგებდა მხოლოდ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში. მსუბუქი გაუფრთხილებლობის ან კაზუსის შემთხვევაში იგი პასუხს არ აგებდა, რადგანაც მოქმედებდა დეპონენტის ინტერესებში. ნივთის შენახვის ხარჯები ეკისრება დეპონენტს.

შენახვის ხელშეკრულება არის:

- რეალური
- ორმხრივი
- უსასყიდლო
- ვადიანი ან უვადო

„გარდა ამისა, რეალური ვალდებულება ეკისრება იმ პირსაც, რომელსაც რაიმე ნივთი შესანახად მიაბარეს. და დეპონენტის სარჩელით იგი პასუხისმგებელია, რომ თვით მიღებული ნივთი უკან დააბრუნოს. მაგრამ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში აგებს პასუხს, თუ მან წინასწარი განზრახვით რაიმე ჩაიდინა, ხოლო მისი გაუფრთხილებლობითი ბრალის გამო, ე.ი. უმოქმედობის ან დაუდევრობის შემთხვევაში, იგი პასუხს არ აგებს. ამრიგად, პასუხისმგებლობისგან თავისუფალია ის პირი, რომელსაც ნივთზე ცუდი (პრასაკემარისი) მეთვალყურეობის შედეგად

---

185 იქვე, გვ. 169-170.

ეს ნივთი მოპარეს, ვინაიდან იმ პირმა, რომელმაც ნივთი შესანახად დაუდევარ მეგობარს გადასცა, მისი დაკარგვა საკუთარ ქარაფშუტობას უნდა დააბრალოს.<sup>186</sup>

რომის სამართალი იცნობდა ასევე:

1) ნივთის შესანახად მიბარებას იძულებით (სტიქიური უბედურების, ხანძრის ან გემის ჩაძირვის შემთხვევაში); და

2) ფულის ან სხვა გვარეობითი ნივთის შესანახად მიბარებას.

როგორც წესი, ნივთი, თუ ის შესანახად იყო მიბარებული, თუნდაც გვარეობითი ნიშნით განსაზღვრული ყოფილიყო, განიხილებოდა, როგორც ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული (მაგ. თუ ფული სკივრში იყო მოთავსებული). მაგრამ თუ ფული შემნახავის ფულს შეუერთდებოდა, მაშინ იგი შემნახავის საკუთრებად განიხილებოდა და ეს უკანასკნელი ვალდებული იყო დაებრუნებინა არა იგივე ნივთი, არამედ იმავე რაოდენობის, როგორც ეს სესხის ხელშეკრულების შემთხვევაში მოხდებოდა.

**გირავნობის ხელშეკრულება (pignus).** გირავნობის ხელშეკრულების ძალით დამგირავებელი მზადაა შეასრულოს ვალდებულება, ხოლო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი დაკარგავდა დაგირავებულ ნივთს.

გირავნობის ხელშეკრულება არის:

- რეალური
- ორმხრივი
- ვადიანი

„რეალური ვალდებულება ეკისრება იმ კრედიტორსაც, რომელმაც ნივთი გირაოდ მიიღო და მასაც ეკისრება საგირავნო სარჩელით პასუხისმგებლობა, რომ თვით მიღებული ნივთი უკან დააბრუნოს. მაგრამ, ვინაიდან გირავნობა ორივე პირის ინტერესით ხორციელდება, – მოვალის, რათა მან კრედიტი უფრო ადვილად მიიღოს და კრედიტორის, რათა მისი კრედიტი უფრო მეტად იყოს დაცული (უზრუნველყოფილი) – ამიტომ საკმარისად ჩაითვალა, რომ კრედიტორმა ამ ნივთის დაცვისთვის დიდი

---

186 იქვე, გვ. 170.

გულმოდგინობა გამოიჩინოს. ხოლო თუ იგი ასეთ გულმოდგინებას გამოიჩინებს და ნივთს რაიმე შემთხვევით [მაინც] დაკარგავს, მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება და კრედიტის მოთხოვნაში მას ეს ხელს არ შეუშლის“<sup>187</sup>

### ვერბალური ხელშეკრულებები

ვერბალურია (ზეპირია) ხელშეკრულება, რომელიც ვალდებულებას წარმოშობს სიტყვებით, წინასწარ განსაზღვრული ფრაზების წარმოთქმის მომენტიდან.

ძირითადი ვერბალური ხელშეკრულებაა სტიპულაცია (stipulatio).

„ვერბალური ვალდებულება ეკისრება შეკითხვისა და პასუხის მეშვეობით, როდესაც ჩვენ სტიპულაციით ჩვენთვის რაიმე ნივთის გადმოცემის ან რომელიმე მოქმედების შესრულების დაპირებას ვიღებთ.“<sup>188</sup>

სტიპულაციის დასადებად მომავალი კრედიტორი (სტიპულატორი) კითხვით მიმართავდა მომავალ მოვალეს (პრომისორს), ამასთან კითხვა-პასუხი სიტყვასიტყვით ერთმანეთის შესაბამისი უნდა ყოფილიყო; თუმცა მოგვიანებით აღარ იყო აუცილებელი ამგვარი შესაბამისობა და მხარეების გასაგები, ნათელი ნების გამოხატვა საკმარისად იქნა მიჩნეული. სტიპულაციისათვის აუცილებელი იყო მხარეების ერთ ადგილას ყოფნა; ამასთან სტიპულაცია მიუწვდომელი იყო ყრუსა და მუნჯისათვის.

„ამ ხელშეკრულების დადებისას წინათ შემდეგ სიტყვებს წარმოთქვამდნენ: „აღმითქვამ? – ალგითქვამ. მპირდები? – გპირდები. პატიოსან სიტყვას მაძლევ? – პატიოსან სიტყვას მაძლევ. თავდებად დადგები? – თავდებად დავდგები. მომცემ? – მოგცემ. გააკეთებ? – გავაკეთებ“. და არა აქვს მნიშვნელობა, სტიპულაცია ლათინურ ენაზე იდება, ბერძნულზე თუ რომელიმე სხვა ენაზე, თუ, რასაკვირველია, ეს ენა ორივე მხარისთვის გასაგებია.“<sup>189</sup>

---

187 იქვე, გვ. 170-171.

188 იქვე, გვ. 171.

189 იქვე.

„ხოლო შემდგომში იმპერატორმა ლეონმა კონსტიტუცია გამოსცა, რომელმაც ამ ფორმულების ოფიციალურობა გააუქმა და ორივე მხარისგან მხოლოდ ნათელი და ურთიერთგასაგები ნების გამოვლენა მოითხოვა, რა სიტყვებითაც არ უნდა ყოფილიყო ნება გამოხატული.“<sup>190</sup>

„ცხადია, რომ მუნჯს არც სტიპულირება შეუძლია და არც დაპირება, იგივე წესი მიღებულია ყრუსთან დაკავშირებითაც, ვინაიდან სტიპულატორმა პრომისორის სიტყვები უნდა გაიგოს, ხოლო პრომისორმა – სტიპულატორის. აქედან ცხადია, რომ ჩვენ იმ პირებზე კი არ ვსაუბრობთ, რომლებსაც ცუდად ესმით, არამედ იმ პირებზე, რომლებსაც საერთოდ არ ესმით.“<sup>191</sup>

სტიპულაციით წარმოშობილი ვალდებულება ცალმხრივი ვალდებულებაა და ამასთან აბსტრაქტულ ხასიათს ატარებს, ანუ ვალდებულების წარმოშობისათვის არაა საჭირო იმის მითითება თუ რა მატერიალურმა საფუძველმა მიიყვანა მხარეები ხელშეკრულების დადებამდე; სტიპულაციის ფორმას შესაძლოა მისადაგებოდა ნებისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობა (მაგ. სესხის დაბრუნების ვალდებულება; ნაყიდი ნივთისათვის ფასის გადახდის ვალდებულება და სხვა).

სტიპულაცია შეიძლებოდა დადებულიყო გარკვეული პირობით ან ვადით: „ყოველგვარი სტიპულაცია იდება ან პირობის გარეშე, ან ვადით, ან პირობით. უპირობო სტიპულაცია იდება, მაგალითად, ასე: „ხუთი ოქროს მოცემას მპირდები?“ რისი მოთხოვნაც მაშინვე შეიძლება. სტიპულაცია ვადით იდება მაშინ, როდესაც განსაზღვრავენ [მაგალითად], დაპირებული ფულის გადახდის ვადას, მაგალითად, ასე: „პირველ მარტს ათი ოქროს მოცემას მპირდები?“ ის, რასაც ჩვენ განსაზღვრულ ვადაში გვპირდებიან, სტიპულაციის დადების მომენტიდანვე მართებთ, მაგრამ მისი მოთხოვნა ამ ვადის გასვლამდე არ შეიძლება.“<sup>192</sup>

სტიპულაციის საგანი შესაძლოა ყოფილიყო როგორც ნივთი, ასევე მოქმედების შესრულება ან მოქმედებისაგან თავის

---

190 იქვე.

191 იქვე, გვ. 178.

192 იქვე, გვ. 172.

შეკავება: „სტიპულაციის საგანი შეიძლება იყოს არა მარტო ნივთი, არამედ მოქმედებაც, სახელდობრ, როდესაც რაიმეს გაკეთების ან არ გაკეთების პირობა იდება. ამგვარი სტიპულაციების დროს უმჯობესია, რომ მას ჯარიმა დავუმატოთ, რათა სტიპულაციის ფულადი ღირებულება უცნობი არ დარჩეს და მოსარჩელისთვის არ იყოს აუცილებელი იმის მტკიცება, თუ რამდენს შეადგენს მისი ინტერესი. ამრიგად, თუ პირი ვინმეს რომელიმე მოქმედების შესრულების პირობას ადებინებს, მაშინ მან სტიპულაციას ჯარიმა ასეთი ფორმით უნდა დაუმატოს: „თუ ასე არ გაკეთდა, მაშინ ჯარიმის სახით ათი ოქროს მოცემას მპირდები?“<sup>193</sup>

შესაძლო იყო ხელშეკრულება დადებულყოფიერ ორ სტიპულატორსა და პრომისორს შორის: „სტიპულატორიც და პრომისორიც შეიძლება [ერთდროულად] ორი ან რამდენიმე პირი იყოს: რამდენიმე სტიპულატორი [არსებობს] მაშინ, როდესაც პრომისორი ყველა სტიპულატორის შეკითხვაზე პასუხობს: „გპირდები“.“<sup>194</sup>

„როდესაც, მაგალითად, პრომისორი ორი სტიპულატორიდან თითოეულს ცალკე ასე პასუხობს: – „ორივე თქვენგანს მიცემას ვპირდები“ „ვინაიდან, თუ პირველად იგი ტიცისს დაპირდება, შემდეგ კი მეორე სტიპულატორს, მაშინ დაიდება ორი სხვადასხვა ვალდებულება და ამ შემთხვევაში არ ითვლება, რომ ორი სტიპულატორი არსებობს.“<sup>195</sup>

„ორი ან რამდენიმე პრომისორი კი არსებობს მაშინ, როდესაც სტიპულაცია ასე იდება: „მევიუს, ხუთი ოქროს მოცემას მპირდები? სეიუს, იმავე ხუთი ოქროს მოცემას მპირდები? და თითოეული მათგანი ცალკე პასუხობს: „გპირდები“.“<sup>196</sup>

ამ შემთხვევაში ადგილი აქვს თავდებობას სტიპულაციის ფორმით.

„ამგვარი ვალდებულებებით, ერთი მხრივ, თითოეული

---

193 იქვე, გვ. 173.

194 იქვე.

195 იქვე.

196 იქვე, გვ. 174.

სტიპულატორის მთელი მოცულობით მართებთ და, მეორე მხრივ, თითოეული პრომისორიც მთელი მოცულობით არის პასუხისმგებელი. მაგრამ ორივე ვალდებულებას ერთი რამ აქვს საერთო: თუ ერთ-ერთი სტიპულატორი ვალს მიიღებს, მაშინ ვალდებულება ყველასათვის ისპობა, ან, თუ ერთ-ერთი პრომისორი ვალს გადაიხდის, იგი ამით ყველა დანარჩენ პრომისორს ვალდებულებისგან ათავისუფლებს.<sup>197</sup>

სტიპულაციამ დროთა განმავლობაში თანდათან შეიძინა წერილობითი ფორმა. სტიპულაციის ფაქტის დასადასტურებლად დგებოდა წერილობითი აქტი.

გარდა სტიპულაციისა ვერბალურ ხელშეკრულებებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ:

ა) მზითვის მიცემის პირობა (*dotis dictio*) და

ბ) გააზატებულის ფიცით დადებული პირობა (*promissio iurata liberti*). ამ უკანასკნელ შემთხვევაში კითხვა-პასუხის ნაცვლად ვალდებულება წარმოიშობოდა ფიცის საფუძველზე.

**ლიტერარული ხელშეკრულებები.** ლიტერარულად ითვლება წერილობითი ხელშეკრულება. თავდაპირველად წერილობითი კონტრაქტები იდებოდა შემოსავალ-გასავლის წიგნში ჩანაწერის გზით; ეს წიგნი რომის მოქალაქეებს, ოჯახის მამებს ჰქონდათ. ჩანწერა ხდებოდა მხარეთა შეთანხმებით. ამგვარმა წერილობითმა დოკუმენტმა მტკიცებულების მნიშვნელობა შეიძინა. კლასიკურ პერიოდში ამ წიგნმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა.

„ძველად ვალდებულების დადება წერილობითი ფორმით ხდებოდა, რაც, გადმოცემის თანახმად, ხორციელდებოდა მოვალის სახელის [საბინაო დავთარში] შეტანით. დღეს [მოვალის] სახელის ჩანწერას აღარ იყენებენ.“<sup>198</sup>

მოგვიანებით მათ ნაცვლად ბერძნულიდან შემოვიდა სავალო დოკუმენტები: სინგრაფები და ხიროგრაფები. სინგრაფები იწერებოდა მესამე პირში და მას მხარეთა შემდეგ ხელს აწერდნენ მონაწილეებიც; ხიროგრაფები კი იწერებოდა პირველ პირში და მას ხელს აწერდა მოვალე.

197 იქვე.

198 იქვე, გვ. 184.

## კონსესუალური ხელშეკრულებები

კონსესუალური ხელშეკრულებებია:

- ყიდვა-გაყიდვის (emptio-venditio)
- ქირავნობის (locatio conductio)
- დავალების (mandatum)
- ამხანაგობის (societas)

„შეთანხმება („კონსენსუსი“) წარმოშობს ვალდებულებებს ყიდვა-გაყიდვის (ნასყიდობის), ქირავნობის, ამხანაგობის და დავალების დროს.“<sup>199</sup>

„ამბობენ, რომ ვალდებულება ამ შემთხვევებში შეთანხმებით იდება იმის გამო, რომ არ არის საჭირო არც არანაირი წერილობითი საბუთი და არც კონტრაქტების დასწრება, და ასევე არც [ნივთის] გადაცემა არის აუცილებელი იმისათვის, რომ ვალდებულება ნამდვილად ჩაითვალოს, არამედ საკმარისია მხოლოდ შეთანხმება იმ პირობისა, რომლებიც გარიგებას დებენ.“<sup>200</sup>

„ამიტომაც ასეთი ვალდებულებები მხარეების დაუსწრებლადაც იდება, მაგალითად, წერილის ან შიკრიკის მეშვეობით. გარდა ამისა, ამგვარ ხელშეკრულებებში ორივე მხარე ვალდებულებას იღებს, რომ მათ ერთმანეთს [ვალდებულება] სამართლიანობის თანახმად უნდა შეუსრულონ, მაშინ, როდესაც ვერბალური ვალდებულებების დადებისას ერთი მხარე [შესრულებას] ითხოვს, მეორე კი პირობას იძლევა.“<sup>201</sup>

**ყიდვა-გაყიდვის (ნასყიდობის, emptio-venditio) ხელშეკრულება.** ყიდვა-გაყიდვის (ნასყიდობის) ხელშეკრულების ძალით ერთი მხარე – გამყიდველი (venditor) იღებს ვალდებულებას გადასცეს მეორე მხარეს – მყიდველს (emptor) საკუთრებაში ნივთი, საქონელი (merx); მეორე მხარე კი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს გამყიდველს ნივთის ფასი (pretium).

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საგანი (საქონელი) შეიძლება იყოს ყოფილიყო სხეულებრივი ნივთი, რომელიც არ იყო

---

199 იქვე.

200 იქვე, გვ. 184-185.

201 იქვე, გვ. 185.

ამოღებული სამოქალაქო ბრუნვიდან და ასევე უსხეულო ნივთიც (მაგ. უზურფრუქტი). ამასთან შესაძლო იყო, რომ ხელშეკრულების დადების დროს ნივთი ჯერ არ არსებულებოდა სახეზე (მაგ. ასაღები მოსავალი, დასაჭერი თევზი), მაგრამ მითითებული უნდა ყოფილიყო ნივთის სახეობა, ზომა, წონა, ხარისხი.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში მითითებული უნდა ყოფილიყო გასაყიდი ნივთის ფასი, რომელიც ფულად თანხაში უნდა ყოფილიყო გამოსახული. ამით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება განსხვავდებოდა გაცვლილობისაგან. ნივთის შემთხვევითი განადგურების ან დაზიანების შემთხვევაში, ხელშეკრულების დადების შემდგომ პასუხისმგებლობა გადადიოდა მყიდველზე, თუნდაც ნივთი ჯერ არ ყოფილიყო გადაცემული; ხოლო თუ მყიდველმა შესანახად დაუტოვა ნივთი გამყიდველს, მაშინ ეს უკანასკნელი იყო პასუხისმგებელი ნივთზე შენახვის ხელშეკრულების ფარგლებში.

გამყიდველს უნდა გაეყიდა საკუთარი ნივთი. თუ გამყიდველი არ იყო მესაკუთრე მაშინ არც მყიდველი იქნებოდა მესაკუთრე და თუ ნივთს ჩამოართმევდა მესამე პირი (მესაკუთრე), მაშინ პასუხისმგებელი იქნებოდა გამყიდველი. გამყიდველი პასუხს აგებდა ასევე წუნზე, რომელიც აღმოაჩნდებოდა ნივთს. ხელშეკრულებით შესაძლო იყო გარკვეული პირობების დადგენა.

ყიდვა-გაყიდვის (ნასყიდობის) ხელშეკრულება არის:

- კონსესუალური
- ორმხრივი
- სასყიდლიანი
- გარკვეული პირობით ან მის გარეშე დადებული

ფორმა შეიძლება ყოფილიყო, როგორც წერილობითი, ისე ზეპირი.

„ყიდვა-გაყიდვის (ნასყიდობის) ხელშეკრულება ფასზე შეთანხმებისთანავე დადებულად ითვლება, თუნდაც [ნივთის] ფასი ჯერ კიდევ გადახდილი არ იყოს და არც ბე იყოს მიცემული. ვინაიდან ბე მხოლოდ დამამტკიცებელი საბუთია იმისა,

რომ ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდო. მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ იმ ნასყიდობის ხელშეკრულებებს ეხება, რომლებიც წერილობითი საბუთის გარეშეა დადებული. და ჩვენც ამ სახის ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის ახალი არაფერი დაგვიმატებია.

ხოლო, რაც შეეხება წერილობითი ფორმით დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებებს, ჩვენ დავადგინეთ, რომ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას ძალა მხოლოდ მაშინ აქვს, როდესაც ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საბუთია დაწერილი, ან მხარეების მიერ საკუთარი ხელით, ან სხვების მიერ, ოღონდ კონტრაპენტების ხელმოწერით. ხოლო თუ იგი „ტაბელიონის“ (ნოტარიუსის) მიერ არის შედგენილი, მაშინ [მას ძალა მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს], თუ საბუთი დასრულებულია და ორივე მხარის მიერ დამოწმებული.

სანამ ამ პირობათაგან რომელიმე არ არის შესრულებული, ჯერ კიდევ გამოვლენილი ნების შეცვლა (გადაფიქრება) შესაძლებელია და როგორც მყიდველს, ასევე გამყიდველს ჯარიმის გარეშე გარიგებაზე უარის თქმა შეუძლია. ამრიგად, დაუსჯელად გარიგებაზე უარის თქმა შესაძლებელია, ოღონდ თუ ბეს სახით უკვე რაიმე არ არის გადაცემული. და თუ ეს ასე მოხდა, ნასყიდობის ხელშეკრულება გინდ წერილობითი ფორმით იყოს დადებული და გინდაც – ზეპირად, მხარე, რომელმაც ხელშეკრულებაზე უარი თქვა, თუ იგი მყიდველია, მაშინ იგი მის მიერ მიცემულ ბეს კარგავს, ხოლო თუ – გამყიდველი, მაშინ მან ორმაგი თანხა უნდა დაუბრუნოს, თუნდაც ბეს შესახებ არაფერი იყოს დათქმული.<sup>202</sup>

„ხოლო ფასი დადგენილი უნდა იყოს, რადგან ფასის დადგენის გარეშე ნასყიდობა არ შეიძლება, რომ არსებობდეს ამასთან, ფასი ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული.“<sup>203</sup>

„გარდა ამისა, ფასი ფულით უნდა გამოიხატოს.“<sup>204</sup>

„ხოლო ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდეგ /რო-

202 იქვე, გვ. 185-186.

203 იქვე, გვ. 186.

204 იქვე.

მელიც დადებულად, როგორც ზემოთ ვთქვით, ფასის დადებისთანავე ითვლება, თუ ხელშეკრულება წერილობითი ფორმით არ არის დადებული/, გაყიდული ნივთის რისკი მაშინვე მყიდველს უკავშირდება, თუნდაც ნივთი მისთვის გადაცემული ჯერ კიდევ არ იყოს. ამრიგად, თუ მონა მოკვდება ან სხეულის რომელიმე ნაწილის დაზიანებას მიიღებს, ან თუ მთელი სახლი ან მისი ნაწილი ხანძრის შედეგად განადგურდება; ან თუ მიწის ნაკვეთს, მთლიანად ან ნაწილობრივ, მდინარის დინება წაიღებს, ან თუ წყლის მორევი ხეებს მოგლეჯს ან გრიგალი მათ მეტად თუ ნაკლებად წააქცევს, ზარალს მყიდველი ნახულობს, რომელიც ვალდებულია, რომ ფასი გადაიხადოს, თუნდაც მას ნივთი არ ჰქონდეს მიღებული, რადგან გამყიდველი არ აგებს პასუხს იმაზე, რაც მისი განზრახვისა და ბრალის გარეშე მოხდა. ხოლო თუ მიწის ნაკვეთს ყიდვის შემდეგ მონაყარი მიწის სახით რაიმე მიემატა, ეს უკვე მყიდველის სარგებელს შეადგენს, ვინაიდან სადაც რისკია, მოგებაც (სარგებელიც) იქ უნდა იყოს.<sup>205</sup>

„ხოლო, თუ უკვე გაყიდული მონა გაიქცა, ან იგი ვინმემ გაიტაცა და, თუ ეს გამყიდველის განზრახვით არ მომხდარა და ამაში მას ბრალი არ მიუძღვის, მაშინ ყურადღება იმას უნდა მიექცეს, რომ გამყიდველმა მონის შენახვა მის გადაცემამდე თავის თავზე ხომ არ აიღო. რადგან, ცხადია, თუ მან ეს მოვალეობა იკისრა, მაშინ რისკიც მას უკავშირდება. ხოლო, თუ მას ეს საკუთარ თავზე არ აუღია, მაშინ იგი პასუხს არ აგებს. იმავეს ვფიქრობთ ჩვენ აგრეთვე სხვა სულიერ თუ არასულიერ ნივთებთან დაკავშირებით. მაგრამ ყველა შემთხვევაში გამყიდველმა ნივთის ვინდიკაცია და კონდიქცია მყიდველს უნდა დაუთმოს, ვინაიდან, ცხადია, რომ ის პირი, რომელსაც ნივთი მყიდველისთვის ჯერ კიდევ არ გადაუცია, თავად ითვლება ამ ნივთის მესაკუთრედ. იმავე მოსაზრებას ვიზიარებთ ჩვენ აგრეთვე ქურდობისა და ზიანის მიყენების სარჩელებთან დაკავშირებით.“<sup>206</sup>

„ნასყიდობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც

205 იქვე, გვ. 187.

206 იქვე, გვ. 187-188.

რამე პირობით, ასევე – უპირობოდ. პირობით ეს ხდება, მაგალითად, შემდეგი ფორმით: „თუ შენ მონა სტიხუსი გარკვეული დროის განმავლობაში მოგეწონა, მაშინ იგი შენ ამა და ამ ფასად გაქვს ნაყიდი.“<sup>207</sup>

„თუ პირი საღრმთო (საკრალურ) ან რელიგიურ, აგრეთვე საჯარო ნივთებს ყიდულობს, მაგალითად, ფორუმს, ბაზილიკას, ისე, რომ მან ეს იცის, მაშინ ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილად ჩაითვლება. ხოლო, თუ გამყიდველის მიერ მოტყუებულმა მყიდველმა ეს ნივთები ისე იყიდა, რომ ისინი კერძო ან საერო ნივთებად მიაჩნდა, მაშინ მას „ყიდვის სარჩელი“ ეძლევა, რადაგნ მას ამ ნივთების დასაკუთრება არ შეუძლია და აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ იგი მოტყუებული არ იქნეს. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც იგი თავისუფალ პირს ისე ყიდულობს, რომ იგი მონა ჰგონია.“<sup>208</sup>

**ქირავნობის (locatio conductio) ხელშეკრულება.** ქირავნობის ხელშეკრულების ფარგლებში რომაელი იურისტები განიხილავდნენ:

- ნივთის ქირავნობის ხელშეკრულება (იჯარა, მათ შორის საცხოვრებელი სახლის) – locatio conductio rei
- მომსახურეობის ხელშეკრულება (სამუშაო ძალის ქირავნობა) – locatio conductio operarum
- ნარდობის ხელშეკრულება (მათ შორის გადაზიდვის) – locatio conductio operis

ნივთის ქირავნობის ხელშეკრულება (იჯარა, მათ შორის საცხოვრებელი სახლის) – locatio conductio rei. ნივთის ქირავნობის (იჯარის) ხელშეკრულების ძალით ერთი მხარე, გამქირავებელი (locator), ვალდებულებას კისრულობს გადასცეს მეორე მხარეს, დამქირავებელს (conductor), ერთი ან რამდენიმე განსაზღვრული ნივთი დროებით სარგებლობისთვის, მეორე მხარე კი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს ამისთვის განსაზღვრული ღირებულება (ქირა – merx) და სარგებლობის შემდეგ დააბრუნოს ნივთი უვნებლად.

207 იქვე, გვ. 188.

208 იქვე.

ხელშეკრულების საგანი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც მოძრავი ისე უძრავი ნივთ(ებ)ი, თუმცა მოძრავი ნივთებიდან მხოლოდ მოუხმარი ნივთები (ანუ ისეთები, რომლებიც მოხმარებისას არ ნადგურდება, ისპობა), რადგანაც დაქირავებული ნივთით სარგებლობის შემდეგ იგივე ნივთი უნდა დაბრუნებოდა პატრონს.

ანაზღაურება სარგებლობისათვის (ქირა) ფულით ხდებოდა, თუმცა მიწის იჯარით გადაცემისას ქირა შესაძლოა ნატურითაც განსაზღვრულიყო (მაგ. მოსავლის ნაწილი).

ნივთის ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლებოდა ყოფილიყო განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. გამქირავებელი ვალდებულია ნივთი გადასცეს დროულად, წინააღმდეგ შემთხვევაში დამქირავებელს შეუძლი უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

გადაცემული ნივთი ვარგისი უნდა იყოს სარგებლობისათვის. თუ ნივთი არ იძლეოდა იმ სამეურნეო ეფექტს, რაც დამქირავებლისთვის იყო საჭირო და გამქირავებელმა ეს იცოდა, გამქირავებელს უნდა აენაზღაურებინა დამქირავებლის ინტერესი.

თუ ნივთს რაიმე ნაკლი გააჩნდა, მოქმედებდა იგივე წესები, რაც ნასყიდობის ხელშეკრულების დროს, დამქირავებელს შეეძლო უარი ეთქვა ხელშეკრულებაზე ან მოეთხოვა ქირის შემცირება.

თუ სარგებლობა შეუძლებელი იყო, მაგრამ არა გამქირავებლის ბრალით, მაშინ ეს უკანასკნელიველი პასუხს არ აგებდა ამაზე, მაგრამ ვერც ქირას მოითხოვდა იმ დროის განმავლობაში, როდესაც ნივთით სარგებლობა შეუძლებელი იყო.

დამქირავებელი ვალდებული იყო დროულად გადაეხადა ქირა, დადგენილი ოდენობით. ნივთით სარგებლობისას დამქირავებელს არ უნდა დაეზიანებინა ან გაენადგურებინა ნივთი; გაემოყენებინა დანიშნულებისამებრ. იგი პასუხს აგებდა ნივთის დაზიანებისა და განადგურებისათვის, თუ ეს მისი ბრალით, მათ შორის მსუბუქი გაუფრთხილებლობით, მოხდებოდა. ნივთის შემთხვევითი განადგურების რისკი გამქირავებელს ეკისრებოდა. დამქირავებელს დროულად უნდა დაებრუნებინა

ნივთი, სხვა შემთხვევაში პასუხს აგებდა.

დამქირავებელს შეეძლო სხვა პირზეც გაექირავებინა დაქირავებული ნივთი (ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს ქვექირავნობას).

ხელშეკრულების შეწყვეტა:

- ერთ-ერთი მხარის ინიციატივით (გამქირავებელის – თუ დამქირავებელი ბოროტად იყენებდა სარგებლობის უფლებას, არადანიშნულებისამებრ იყენებდა ნივთს; ნივთი შეკეთებას საჭიროებდა; დამქირავებელის – თუ ნივთი უსარგებლო იყო სარგებლობისათვის);
- ვადის გასვლით.

ნივთის ქირავნობის ხელშეკრულება არის:

- კონსესუალური
- ორმხრივი
- სასყიდლიანი
- ვადიანი ან უვადო

**მომსახურეობის ხელშეკრულება (სამუშაო ძალის ქირავნობა) – locatio conductio operarum.** მომსახურეობის ხელშეკრულების ძალით ერთი მხარე, დაქირავებული (locator) იღებს თავის თავზე ვალდებულებას განიოს მეორე მხარის, დამქირავებლის (conductor) სასარგებლოდ განსაზღვრული მომსახურება, დამქირავებელი კი კისრულობს ვალდებულებას აანაზღაუროს ეს მომსახურება.

დაქირავებული ვალდებული იყო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში პირადად შეესრულებინა მომსახურება. დამქირავებელი ვალდებული იყო აენაზღაურებინა განეული მომსახურება დადგენილი ოდენობით. თუ დაქირავებული ვერ შეასრულებდა განსაზღვრულ დროში შესაბამისი მომსახურების განევას (მაგ. ავადმყოფობის ან სხვა მიზეზის გამო) იგი კარგავდა ანაზღაურების უფლებას; თუ იგი მზად იყო მომსახურების გასაწევად, მაგრამ დამქირავებელი არ ისარგებლებდა ამ მომსახურებით დაქირავებულისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, ეს უკანასკნელი იწარჩუნებდა ანაზღაურების უფლებას.

• მომსახურეობის ქირავნობის ხელშეკრულება არის:

- კონსესუალური
- ორმხრივი
- სასყიდლიანი
- ვადიანი ან უვადო

ამასთან მომსახურეობის ხელშეკრულებაში მნიშვნელობა ენიჭებოდა მომსახურეობის განევას და არა შესრულებული სამუშაოს შედეგს.

**ნარდობის ხელშეკრულება (მათ შორის გადაზიდვის) – locatio conductio operis.** ნარდობის ხელშეკრულების ძალით ერთი მხარე, მენარდე (conductor) კისრულობს ვალდებულებას შეასრულოს განსაზღვრული სამუშაო (მათ შორის მოიზრება გადაზიდვის ხელშეკრულება) მეორე მხარის, დამკვეთის (locator) სასარგებლოდ, ხოლო დამკვეთი კისრულობს მიიღოს შესრულებული სამუშაო და გადაუხადოს მისი ღირებულება.

მომსახურეობის ხელშეკრულებისგან განსხვავებით, ნარდობის ხელშეკრულებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკისრება და შესრულებული სამუშაოს შედეგს. მენარდე ვალდებული იყო შეესრულებინა და ჩაებარებინა სამუშაო, როგორც დამთავრებული შედეგი (opus), ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და სათანადო ხარისხით. იგი პასუხს აგებდა ყოველგვარი ბრალისათვის. მას შეეძლო სხვა პირებიც ჩაება სამუშაოს შესრულებაში (ქვემენარდე), მაგრამ მათ ბრალზე ისევე აგებდა პასუხს, როგორც საკუთარზე.

ნამუშევრის შემთხვევითი განადგურების რისკი მის ჩაბარებამდე აწვა მენარდეს, ჩაბარების შემდეგ კი დამკვეთს.

დამკვეთის ვალდებულება იყო სამუშაოს ანაზღაურება. ზოგ შემთხვევაში ასევე – ნივთის გადაცემა, მაგ. მიწის გადაცემა სახლის ასაშენებლად, ან ნივთის გადაცემა გადასაზიდად.

თუ სამუშაოს შესრულების პროცესში აღმოჩნდებოდა, რომ დადგენილი ფასით შეუძლებელია სამუშაოს შესრულება, დამკვეთზე იყო დამოკიდებული ან გაეზარდა მონარდის ანაზღაურება ან უარი ეთქვა ხელშეკრულებაზე.

ნარდობის ხელშეკრულება არის:

- კონსესუალური

- ორმხრივი
- სასყიდლიანი
- ვადიანი

**დავალების (mandatum) ხელშეკრულება.** დავალების ხელშეკრულების ძალით ერთი მხარე, რწმუნებული (procurator) კისრულობს ვალდებულებას, მეორე მხარის, მარწმუნებლის (საქმის მესკუთრის – dominus negotii), დავალებით და სახელით უსასყიდლოდ შეასრულოს რაიმე მოქმედება.

რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მიცემული დავალება, ამასთან ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობა აწევს რწმუნებულს. თუ იგი ვერ ასრულებს დავალებას დროულად, უნდა აცნობოს მარწმუნებელს, რომ მან შეცვალოს რწმუნებული; წინააღმდეგ შემთხვევაში პასუხს აგებს მიყენებული ზარალისათვის.

რწმუნებულს არ შეეძლო გასცდენოდა დავალების ფარგლებს, ზუსტად და ყურადღებით უნდა შეესრულებინა ის. მარწმუნებულს უნდა აენაზღაურებინა რწმუნებულისთვის დავალების შესრულებისას განეული დანახარჯები, ასევე მისი ბრალით მიყენებული ზარალი.

ხელშეკრულება შეწყდებოდა რომელიმე მხარის უარით, ან გარდაცვალებით.

**ამხანაგობის (societas) ხელშეკრულება.** ამხანაგობის ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი ერთიანდება საერთო სამეურნეო მიზნის მისაღწევად. ისინი მონაწილეობენ საერთო საქმეში ქონებრივი შენატანით, ან პირადი მონაწილეობით ან ორივე კომპონენტით. მოგება და ზარალი ნაწილდებოდა ყველა ამხანაგს შორის თანაბრად, ან ხელშეკრულების თანახმად მათი შენატანების პროპორციულად. ხელშეკრულება შეიძლებოდა დადებულიყო როგორც გარკვეული ვადით, ისე უვადოდ, ან განსაზღვრული მიზნის მისაღწევად. ვადიანი ხელშეკრულებისას თუ ერთი ამხანაგი ვადაზე ადრე გავიდოდა ხელშეკრულებიდან, ვეღარ განაცხადებდა პრეტენზიას მოგებაზე, თუმცა არ თავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისაგან, ხოლო დანარჩენი ამხანაგები თავისუფლდებოდნენ მის წინაშე ვალდებულებისგან.

უსახელო ხელშეკრულებები (contractus innominati). დროთა განმავლობაში რომში ყალიბდება ახალი ხელშეკრულებები, რომელთაგან გამომდინარე სარჩელებს კონკრეტული სახელი (nomen) არ გააჩნდათ, ამიტომ მოგვიანებით ასეთ ხელშეკრულებებს უსახელო ხელშეკრულებები ეწოდა. ამ ხელშეკრულებების ძალით ერთი მხარე გადასცემდა მეორე მხარეს რაიმე ნივთს, ან ასრულებდა რაიმე მოქმედებას, ხოლო მეორე მხარეს წარმოეშობოდა შემხვედრი ვალდებულება გადაეცა ნივთი, ან შეესსულებინა გარკვეული მოქმედება.

უსახელო ხელშეკრულებებიდან ყველაზე ხშირად გვხვდება:

ა) გაცვლის ხელშეკრულება (permutatio), რომლის ძალითაც ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით ნივთი იცვლება ნივთზე და არა ფულზე.

ბ) შეფასებითი ხელშეკრულება (aestimatum), რომლის ძალითაც ერთი მხარე გადასცემს ნივთს გასაყიდად, მეორე მხარეს წინასწარ განსაზღვრული ფასით, ხოლო მეორე მხარე ვალდებულია გაყიდვის შემდეგ დააბრუნოს შეთანხმებული ფასი ან თუ ვერ გაყიდა, დააბრუნოს თავად ნივთი; ნამატი რჩება გამყიდველს.

პაქტები (pacta). პაქტები არაფორმალური შეთანხმებებია, რომლებიც ხელშეკრულებისაგან განსხვავებით არ სარგებლობდა სასარჩელო დაცვით, თუმცა ზოგიერთმა მათგანმა დროთა განმავლობაში მიიღო სასარჩელო დაცვა.

ასეთი პაქტები იყო:

- pacta adiecta – ხელშეკრულების შემავსებელი პაქტები, მაგ. ვალის ნაწილ-ნაწილ გადახდის თაობაზე;
- pacta praetoria – პრეტორული პაქტები, მაგ. გემის, სასტუმროს მეპატრონის ვალდებულება ნივთების შენახვაზე;
- pacta legitima – ლეგიტიმური პაქტები, რომელთაც დაცვა მიიღეს იმპერატორისაგან, მაგ. მზითვეის ან საჩუქრის მიცემის დაპირება.

### 8.3 კვაზი ხელშეკრულებები

რომაელმა იურისტებმა გამოარჩიეს შემთხვევები, როდესაც ვალდებულება წარმოიშვებოდა, მაგრამ სახეზე არ იყო არც ხელშეკრულება და არც დელიქტი; ამასთან ვალდებულება წარმოიშვებოდა ისე, თითქოს ხელშეკრულებას ჰქონდა ადგილი. ასეთ შემთხვევებს მათ კვაზი (თითქოს) ხელშეკრულებები უწოდეს.

„ხელშეკრულებათა სახეების ჩამოთვლის შემდეგ ჩვენ განვიხილავთ აგრეთვე იმ ვალდებულებებს, რომლებიც არ ითვლებიან საკუთრივ ხელშეკრულებიდან წარმოქმნილად, არამედ განიხილებიან, როგორც კვაზი (თითქოს) ხელშეკრულებიდან წარმოქმნილნი, ვინაიდან მათი არსებობა სამართალდარღვევიდან (დელიქტიდან) არ მომდინარეობს.“<sup>209</sup>

კვაზი ხელშეკრულებებს (quasi contractus) შემდეგ შემთხვევებში ჰქონდა ადგილი:

- სხვისი საქმეების წარმოება დაუვალეზლად (negotiorum gestio)
- ვალდებულებანი წარმოშობილი უსაფუძვლო გამდიდრებიდან (მათ შორის ვალის შეცდომით გადახდა solutio indebiti)
- მეურვეობიდან (tutela) წარმოშობილი ვალდებულებანი
- ვალდებულებანი წარმოშობილი ამხანაგობის ხელშეკრულების გარეშე არსებული საერთო საკუთრებიდან

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

**სხვისი საქმეების წარმოება დაუვალეზლად (negotiorum gestio).** დაუვალეზლად სხვისი საქმეების წარმოება ისეთი ურთიერთობაა, რომლის დროსაც ერთი პირი (negotiorum gestor) აწარმოებდა მეორე პირის (dominus) საქმეს, მართავდა მის ქონებას ისე, რომ არ ჰქონდა ამ მეორე პირისაგან დავალება.

დაუვალეზლად სხვისი საქმეების წარმოების მიზანი მოსალოდნელი ზიანის თავიდან აცილება იყო იმ პირისათვის, რომელსაც თვითონ არ ჰქონდა საშუალება ეზრუნა საკუთარი ინტერ-

---

209 იქვე, გვ. 197.

ესების დაცვაზე (ეს ძირითადად ეხება შემთხვევებს, როდესაც პირი არ იმყოფებოდა ადგილზე, მაგალითად, მოულოდნელად გაემგზავრა და არავისთვის დაუვალეზია თავისი საქმეების წარმოება).

ვალდებულება წარმოეშეებოდა ორივე მხარეს;

gestor-ი ვალდებული იყო გამოეჩინა განსაკუთრებული მზრუნველობა, იგი პასუხს აგებდა მისი ბრალით დამდგარ ზიანზე; საქმის დამთავრების შემდეგ ანგარიში უნდა ჩაებარებინა საქმის მესაკუთრისათვის (dominus negotii); თუ საქმის წარმოების შედეგად gestor-ს ხელზე აღმოაჩნდებოდა ფული, სხვა ნივთები, ან მოთხოვნის უფლება ის უნდა გადაეცა პატრონისათვის. gestor-ი განეული სამუშაოსათვის გასამრჯელოს არ იღებდა.

მნიშვნელოვანი იყო, რომ gestor-ის მოქმედებანი მიჩნეული ყოფილიყო მიზანშეწონილად, საქმის მესაკუთრის ინტერესების გამომხატველად. თუ ეს უკანასკნელი უარს ამბობდა შესრულებულ სამუშაოზე და არ იწონებდა მეორე მხარის მოქმედებას, gestor-ს ეკისრებოდა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, ამასთან მას არ ჰქონდა უფლება მოეთხოვა განეული ხარჯების ანაზღაურება.

თუ შესრულებულ სამუშაოს მოიწონებდა საქმის მესაკუთრე (dominus negotii), იგი ვალდებული იყო აენაზღაურებინა gestor-ის მიერ განეული ხარჯები, იმისდა მიუხედავად, მოჰყვა თუ არა მის მიერ განეულ სამუშაოს შედეგი (მაგალითად, თუ გესტორმა გასნია ხარჯი დაავადებული პირუტყვის სამკურნალოდ, მას ეს უნდა აუნაზღაურდეს, იმისდა მიუხედავად, გადარჩა თუ არა ეს პირუტყვი).

„ამრიგად, როდესაც ვინმე სხვაგან მყოფი (არათანმყოფი) პირის საქმეებს მართავს, მაშინ ორივე მხრიდან [მათ შორის] წარმოიქმნება სარჩელები, როლმებსაც „საქმეთა მართვიდან გამომდინარე სარჩელები“ ეწოდებათ. მაგრამ საქმის მესაკუთრეს, ამასთან, ეკუთვნის პირდაპირი (მთავარი) სარჩელი იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც მის საქმეებს მართავს, ხოლო საქმეთა მმართველს კი – შეგებებული სარჩელი. ცხადია, ეს სარჩელები საკუთრივ რაიმე ხელშეკრულებიდან არ არიან წარმოქმნილნი.

რასაკვირველია, ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოიქმნებიან, როდესაც ვინმე დავალების გარეშე სხვისი საქმეების მართვას მოისურვებს. ამის საფუძველზე იმ პირებსაც, რომელთა საქმეებსაც მართავენ, ვალდებულება ეკისრებათ ისე, რომ მათ [ამის შესახებ] არ იციან. და ეს [წესი] იმის გამო იქნა მიღებული, რომ იგი სასარგებლოა (მიზანშეწონილია), რათა იმ სხვაგან მყოფი პირების საქმეები, რომლებსაც უეცრად (მოულოდნელად) და ნაჩქარევად მოუხდათ უცხოეთში გამგზავრება ისე, რომ მათ თავიანთი საქმეების მართვა ვერავის დაავალეს, უყურადღებოდ არ იქნას მიტოვებული.

რასაკვირველია, არავინ იზრუნებს სხვის საქმეზე, თუ მას მის მიერ გაწეულ ხარჯებზე სარჩელი არ ექნება. როგორც, ერთი მხრივ, ის პირი რომელმაც [სხვისი] საქმეები კარგად წარმართა, ვალდებულებას აკისრებს საქმის მესაკუთრეს, ასევე, მეორე მხრივ, თავადაც იღებს ვალდებულებას, რომ [მესაკუთრეს] მისი საქმეების მართვის თაობაზე ანგარიში ჩააბაროს.

ამ შემთხვევაში ნებისმიერმა პირმა ანგარიში ყველაზე მკაცრი კეთილსინდისიერების მიხედვით უნდა ჩააბაროს. არ არის საკმარისი, რომ პირმა სხვისი საქმეების მართვაში ისეთივე კეთილსინდისიერება გამოიჩინოს, როგორსაც იგი, ჩვეულებრივ, საკუთარ საქმეებში იჩენს, თუკი სხვა უფრო კეთილსინდისიერ პირს საქმეების უკეთ წარმართვა შეეძლო.<sup>210</sup>

ვალდებულებანი, წარმოშობილი უსაფუძვლო გამდიდრებიდან (მათ შორის ვალის შეცდომით გადახდა). ერთი პირის ქონების უსაფუძვლო გაზრდა, მეორე პირის ქონების ხარჯზე, წარმოშობდა უსაფუძვლოდ მიღებული ქონების დაბრუნების ვალდებულებას. ამის ნათელი მაგალითია ვალის შეცდომით გადახდა.

„ასევე კვაზი ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებულებად უნდა ჩაითვალოს ის პირიც, რომელსაც შეცდომით გადაუხადეს ისეთი ვალი, რომელიც (მისთვის) არ ემართათ. ასეთი მოვალე სრულებით არ უნდა განვიხილოთ, როგორც საკუთრივ ხელშეკრულებით ვალდებული; თუ ლოგიკას მივყვებით, შეიძლება

ითქვას, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ამ შემთხვევაში ვალდებულება წარმოიშვა უფრო გარიგების მოშლის, ვიდრე ხელშეკრულების დადების სურვილით. ვინაიდან ითვლება, რომ ვალის გადახდის მსურველი ფულს უფრო იმ მიზნით იძლევა, რომ გარიგება მოშალოს, ვიდრე ხელშეკრულება დადოს. მაგრამ პირი, რომელმაც [ფული] მიიღო, ვალდებული ხდება ისე, თითქოს მან სესხი აიღო და ამიტომ იგი პასუხს აგებს კონდიქციის სარჩელით.<sup>211</sup>

უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევები იყო ასევე:

- გარკვეული მიზნით გადაცემული ქონება, თუ ეს მიზანი არ განხორციელდა (მაგ. საქორწინო საჩუქარი);
- ნაქურდალი ნივთი;
- კეთილ ზნე-ჩვეულებათა წინააღმდეგ გადახდილი ფული (მაგ. იმისთვის, რომ არ ჩაედინა მკვლელობა);
- უზომოდ მაღალი პროცენტი.

### მეურვეობიდან (tutela) წარმოშობილი ვალდებულებანი.

მეურვესა და მეურვეობის ქვეშ მყოფ პირს შორის ვერ იარსებებდა სახელშეკრულებო ურთიერთობები, მაგრამ მათ შორის, შესაძლოა, წარმოშობილიყო ვალდებულება. სწორედ ასეთი შემთხვევები განიხილებოდა, როგორც კვაზი ხელშეკრულებები.

„მეურვეებსაც, რომლებიც სასამართლოში მეურვეობაზე აგებენ პასუხს, ითვლება, რომ ვალდებულება ეკისრებათ არა საკუთრივ ხელშეკრულებიდან /ვინაიდან მეურვესა და ობოლს (არასრულწლოვანს) შორის რაიმე ხელშეკრულება არ იდება/. მაგრამ, ვინაიდან ისინი დელიქტის საფუძველზე არ არიან პასუხისმგებელნი, [ამიტომ] ითვლება, რომ ისინი „კვაზი (თითქოს) ხელშეკრულებიდან“ აგებენ პასუხს. და ამ შემთხვევაში სარჩელები ორმხრივია: რადგან არა მარტო ობოლს აქვს მეურვეობიდან გამომდინარე სარჩელი მეურვის წინააღმდეგ, არამედ, პირიქით, მეურვესაც აქვს მეურვეობიდან გამომდინარე შეგებებული სარჩელი არასრულწლოვანის წინააღმდეგ იმ

211 იქვე, გვ. 199.

შემთხვევაში, თუკი ის არასრულწლოვანის საქმეზე ხარჯებს წევს, ან მის ნაცვლად ვალდებულებას იღებს, ან კიდევ ობლის ვალის გარანტიის სახით თავის ნივთს დააგირავებს.<sup>212</sup>

ვალდებულებანი წარმოშობილი ამხანაგობის ხელშეკრულების გარეშე არსებული საერთო საკუთრებიდან.

თანამესაკუთრებს შორის შესაძლოა წარმოშობილიყო ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებული იყო საერთო საკუთრებაში არსებულ ნივთთან მიმართებით ერთი თანამესაკუთრის მიერ რაიმე ხარჯის განეცასთან ან სარგებელის მიღებასთან.

„ასევე, თუ რამდენიმე პირს ამხანაგობის ხელშეკრულების გარეშე საერთო [საკუთრებაში] ნივთი აქვს, რადგან მათ, მაგალითად, ერთი და იგივე ნივთი, ლეგატის სახით თანაბრად უანდერძეს ან აჩუქეს, რომ ან ნივთიდან სარგებელი მხოლოდ მან მიიღო, ან იმიტომ, რომ მისმა ამხანაგმა (თანამესაკუთრემ) ან ნივთთან დაკავშირებით საჭირო ხარჯები განია, ამ შემთხვევაში ითვლება, რომ ამ პირს ვალდებულება ეკისრება არა საკუთრივ ხელშეკრულებიდან, რადგან მათ შორის არავითარი ხელშეკრულება არ დადებულა. მაგრამ, ვინაიდან იგი დელიქტის შედეგად არ აგებს პასუხს, ამიტომ ითვლება, იგი კვაზი (თითქოს) ხელშეკრულების საფუძველზე არის პასუხისმგებელი.“<sup>213</sup>

#### 8.4 დელიქტები

დელიქტი სამართალდარღვევაა. რომის სამართალში განსხვავებდნენ კერძო და საჯარო ხასიათის სამართალდარღვევებს.

სამართალდარღვევა, რომელიც ხელყოფდა სახელმწიფო ინტერესებს, საჯარო ხასიათს ატარებდა; უფრო ადრე საჯარო ხასიათის სამართალდარღვევა აღინიშნებოდა ტერმინით *iudicia publica, crimina*. ტერმინი *delicta publica* გვიანდელი წარმოშობისაა და ამ ტერმინით გამოყოფდნენ საჯარო ხასიათის სამართალდარღვევებს კერძო სამართალდარღვევისაგან.

212 იქვე, გვ. 197-198.

213 იქვე, გვ. 198.

კერძო დელიქტად (*delicta privata*) ითვლებოდა ისეთი სამართალდარღვევა, რომელიც ხელყოფდა ცალკეულ ადამიანთა, კერძო პირთა ინტერესებს.

უძველეს ხანაში ზიანის ბრალეული და არაბრალეული მიყენება ერთმანეთისგან არ იყო გამიჯნული და მას ჯარიმის (სასჯელის – *poena*) გადახდა მოსდევდა. მოგვიანებით ყურადღება მიექცა განზრახვისა თუ გაუფრთხილებლობის და ასევე მიყენებული ზარალის ანაზღაურების პრობლემას.

კერძო დელიქტებისთვის საბოლოოდ ჩამოყალიბდა შემდეგი დამახასიათებელი ელემენტები – სახეზე უნდა ყოფილიყო:

- ობიექტური ზიანი, რომელიც კანონსაწინააღმდეგო გზით ერთმა პირმა მიაყენა მეორეს;
- დელიქტის ჩამდენი პირის ბრალი;
- მოქმედი სამართლის მიერ მოცემული ქმედების ცნობა დელიქტად.

ხელშეკრულებებისაგან განსხვავებით (გარდა მკაცრად პირადი ხასიათის ხელშეკრულებებისა, მაგ. დავალების ხელშეკრულებისა) დელიქტური ვალდებულებები მემკვიდრეობით არ გადაეცემოდა (გამონაკლისს წარმოადგენდა დელიქტის შედეგად შეძენილი ნივთის მემკვიდრის მიერ დაბრუნების ვალდებულება).

თუ ზიანი მიყენებული იყო რამდენიმე პირის მიერ, საჯარო-სარჩელი არ იყო აუცილებელი თითოეული მათგანისათვის წაეყენებინათ, და ზარალის ანაზღაურება ნებისმიერისაგან შეეძლოთ მოეთხოვათ; ანუ სახეზე იქნებოდა სოლიდარული პასუხისმგებლობა.

ასევე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადად, როგორც წესი, დადგენილი იყო ერთწლიანი ვადა. ითვლებოდა, რომ თუ პირი ერთი წლის ვადაში არ წაუყენებდა სარჩელს, მან აპატია მიყენებული ზიანი სამართალდამრღვევს.

ცალკეული დელიქტების სახეები:

„მას შემდეგ, რაც წინა წიგნში ხელშეკრულებიდან და კვაზი (თითქოს) ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებები გადმოვეცით, საჭიროა სამართალდარღვევიდან (დელიქტიდან)

წარმოქმნილი ვალდებულებები განვიხილოთ. თუ პირველი რიგის ვალდებულებები, როგორც ეს თავის ადგილზე უკვე ვთქვით, ოთხ სახედ იყოფა, უკანასკნელნი (ე.ი. დელიქტური ვალდებულებანი) ერთ ჯგუფს შეადგენენ, ვინაიდან ყველას მათ ერთი რამ, ე.ი. სამართალდარღვევა (დელიქტი), წარმოშობს, მაგალითად, ქურდობა, ძარცვა, ნივთისთვის (ქონებისთვის) ან პიროვნებისთვის ზიანის მიყენება.<sup>214</sup>

**furtum** – ქურდობა (ქონებრივი უფლებების წინააღმდეგ მიმართული დელიქტია; აქ იგულისხმება ასევე – მიტაცება, მითვისება, გაფლანგვა, სხვისი ქონების განკარგვა ან სარგებლობა).

განარჩევდნენ აშკარა (**furtum manifestum**) და ფარულ ქურდობას (**furtum nec manifestum**); ქურდობად განიხილებოდა სხვისი ნივთით სარგებლობა მესაკუთრის ნებართვის გარეშე; რომის სამართალი იცნობდა თავისუფალი ადამიანისა და საკუთარი ნივთის ქურდობასაც. სასჯელი აშკარა ქურდობისთვის ნივთის ოთხმაგი, ფარულისთვის კი ორმაგი ღირებულების ჯარიმა იყო.

„1. ქურდობა არის ნივთის მოტყუებით (ვერაგულად) მიტაცება, ან თავად ნივთის, ან [ამ] ნივთით სარგებლობის ან მფლობელობის, რისი დაშვებაც ბუნების კანონით არის აკრძალული.

2. ხოლო ქურდობის სახელწოდება („**furtum**“) მომდინარეობს ან სიტყვისაგან „**furvum**“ რაც „ბნელს“ ნიშნავს, რადგან ქურდობა ფარულად, სიბნელეში და უმთავრესად ღამით ხდება; ან [სიტყვებისგან] „**fraus**“ ან „**ferendo**“ („**ferre**“), ე.ი. „წართმევა“ („მოტაცება“); ან ბერძნული სიტყვიდან, სადაც ქურდებს (**fures**) „ფორას“-ს უწოდებენ. და მართლაც, ბერძნები სიტყვა „ფორ“-ს („ქურდი“) აწარმოებენ სიტყვისგან „ფერიენ“ („მიტაცება“, „წაღება“.

3. ხოლო ქურდობა ორი სახისაა: აშკარა („მანიფესტუმ“) და ფარული („ნეკ მანიფესტუმ“)... აშკარა ქურდად, რომელსაც ბერძნები „დანაშაულის ადგილზე წასწრებულს“ უწოდებენ, ითვლება არა მარტო ის, ვინც თვით ქურდობის ჩადენისას შეიპყრეს, არამედ აგრეთვე ისიც, ვინც იმ ადგილას იქნა შეპყრობილი, სადაც ქურდობდა, მაგალითად, პირი, რომელმაც სახლში ქურდო-

---

214 იქვე, გვ. 204.

ბა ჩაიდინა, მაგრამ სახლის ზღურბლის გარეთ გადმოსვლა ვერ მოასწრო და ისე შეიპყრეს; ან ის, ვინც ზეთისხილის ბაღში ან ვენახში ზეთისხილი ან ყურძენი მოიპარა, და იმავე ზეთისხილის ბაღში ან ვენახში შეიპყრეს. მართლაც, ორივე სახის ქურდობა აშკარა ქურდობად უნდა ჩაითვალოს, თუკი ნივთის მესაკუთრე ან ვინმე სხვა, გინდ საჯარო და გინდ კერძო [პირის კუთვნილ ტერიტორიაზე], ქურდს მოპარული ნივთით ხელში ხედავს ან დაიჭერს მანამ, სანამ ქურდი იმ ადგილს არ მიაღწევს, სადაც მას ნივთის მიტანა და შენახვა ჰქონდა განზრახული. მაგრამ თუ ქურდმა [მოპარული ნივთი] იქ მიიტანა, სადაც მას მისი შენახვა ჰქონდა განზრახული, იგი აშკარა ქურდად არ ჩაითვლება, თუნდაც იგი აქ მოპარული ნივთით შეიპყრონ. ზემოთქმულიდან გასაგებია, თუ რომელია ფარული ქურდობა, რადგან ის ქურდობა, რომელიც აშკარა ქურდობა არ არის, ფარული ქურდობა იქნება.<sup>215</sup>

„ხოლო ქურდობა ხდება არა მარტო მაშინ, როდესაც ვინმეს მიტაცების მიზნით სხვისი ნივთი მიაქვს, არამედ საერთოდ [ყოველთვის], როდესაც ვინმე სხვის ნივთს მისი მესაკუთრის სურვილის საწინააღმდეგოდ ხელს ახლებს. ამრიგად, თუ კრედიტორი სარგებლობს მასთან გირაოდ დატოვებული (დაგირავებული) ნივთით; ან შემნახველი (დეპოზიტარი) – იმ ნივთით, რომელიც მას შესანახად მიაბარეს; ან [კიდევ] თუ პირი [გარკვეული სახის] სარგებლობისთვის მიღებული ნივთით სხვაგვარად ისარგებლებს, მაშინ [ეს პირები] ქურდობას ჩაიდან. როგორც მაგალითად, თუ პირი ვერცხლის ჭურჭელს სარგებლობისთვის ითხოვებს ისე, თითქოს მას [ეს ჭურჭელი] სადილად დაპატიჟებული სტუმრებისთვის ესაჭიროება, მაგრამ [ამ ჭურჭელს] იგი ქალაქგარეთ თან წაიღებს; ან თუ პირი, რომელმაც ცხენი [ცოტა ხნით] სამოგზაუროდ ითხოვა, მაგრამ მან იგი უფრო ხანგრძლივი დროით წაიყვანა; [მაგალითად], როგორც ამის შესახებ ძველი იურისტები წერდნენ, რომ პირმა ცხენი ომში წაიყვანა.<sup>216</sup>

215 იქვე, გვ. 204-205.

216 იქვე, გვ. 206.

„მაგრამ დაადგინეს, რომ ის პირები, რომლებიც ნათხოვარი ნივთით იმ სახით არ სარგებლობენ, რა სახის სარგებლობისთვის მათ [ეს] ნივთი ითხოვეს, ასეთი მოქმედებით ქურდობას ჩადიან [მხოლოდ] იმ შემთხვევაში, თუკი მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ ამას ისინი ნივთის მესაკუთრის სურვილის (ნების) საწინააღმდეგოდ აკეთებენ, და ეს რომ მესაკუთრეს სცოდნოდა, ის მათ ამის გაკეთების უფლებას არ მისცემდა. მაგრამ თუ ისინი ფიქრობენ, რომ მესაკუთრე ამას დაუშვებს, მაშინ მათ ბრალად არ შეერაცხება. ეს, მართლაც განსხვავების საუკეთესო საშუალებაა, ვინაიდან ქურდობის განზრახვის გარეშე ქურდობა არ ხდება.“<sup>217</sup>

„9. ზოგჯერ თავისუფალი ადამიანების ქურდობაც ხდება, მაგალითად, თუ მოიტაცებენ ერთ-ერთ ჩვენს ბავშვს, რომელიც ჩვენი ხელისუფლების ქვეშ იმყოფება.“

10. მაგრამ ზოგჯერ საკუთარი ნივთის ქურდობასაც ჩადიან, თუ, მაგალითად, პირი მოიპარავს ნივთს, რომელიც მან კრედიტის გირაოდ მისცა.“<sup>218</sup>

„5. აშკარა ქურდობისთვის სასჯელი როგორც მონის, ასევე თავისუფალი პირისათვის, [ნივთის ღირებულების] ოთხმაგი [ოდენობის] ჯარიმაა, ფარული ქურდობისათვის კი – ორმაგი.“<sup>219</sup>

#### rapina – ძარცვა

„ვინც სხვის ქონებას ძალადობით იტაცებს (ძარცვავს), ისიც ასევე ქურდობიდან გამომდინარე სარჩელით აგებს პასუხს. / მართლაც, ვინ ექცევა სხვის ნივთს ნივთის მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ უფრო მეტად, ვიდრე ის, ვინც ძალადობით იტაცებს? ამიტომ, სწორად არის ნათქვამი, რომ ასეთი ქურდი ურცხვი ქურდია/. მაგრამ პრეტორმა ამ დელიქტის გამო მაინც განსაკუთრებული სარჩელი შემოიღო, რომელსაც ძალადობით მიტაცებული (ნაძარცვი) ქონებიდან გამომდინარე სარჩელი ეწოდება. და ეს სარჩელი იწვევს ერთი წლის გასვლამდე ოთხმაგი, ხოლო ერთი წლის გასვლის შემდეგ უბრალო ჯარიმას. ეს

217 იქვე.

218 იქვე, გვ. 207.

219 იქვე, გვ. 206.

სასჯელი იმ შემთხვევაშიც კი გამოიყენება, თუ პირმა თუნდაც მხოლოდ ერთი უმნიშვნელო [ღირებულების] ნივთი მიიტაცა. ოთხმაგი ჯარიმა მთლიანად ჯარიმა არ არის და ჯარიმის გარდა ნივთის მოთხოვნა (დევნა) მას თან არ სდევს ისევე, როგორც ამკარა ქურდობიდან გამომდინარე სარჩელის შემთხვევაში, რომელზედაც ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. მაგრამ ოთხმაგი ჯარიმა ნივთის მოთხოვნასაც შეიცავს ისე, რომ ჯარიმად სამმაგი ჯარიმა რჩება, გინდ მძარცველი დელიქტის ჩადენის ადგილას შეიპყრონ და გინდაც – სადმე სხვაგან. რასაკვირველია, სასაცილო იქნებოდა, რომ მძარცველი უფრო ნაკლებად მძიმე პირობებში ჩაგვეყენებინა, ვიდრე ის, ვინც ფარულად ქურდობს.

1. მაგრამ ამ სარჩელს მხოლოდ მაშინ აძლევენ, როდესაც ძარცვა ბოროტი განზრახვით ხდება. პასუხისმგებლობისაგან უნდა განთავისუფლდეს ის პირი, რომელმაც რაღაც შეცდომით სხვისი ნივთი თავის საკუთარ ნივთად მიიჩნია და, ვინაიდან სამართალს არ იცნობდა, ძარცვა იმ ვარაუდით ჩაიდინა, რომ თითქოს [მას, როგორც] ნივთის მესაკუთრეს, ნივთის მფლობელისათვის ამ ნივთის წართმევა ძალადობითაც კი შეუძლია.<sup>220</sup>

**სხვისი ნივთების განადგურება-დაზიანება.**

ეს საკითხი რეგულირდებოდა აკვილიუსის (ძვ.წ. III ს.) კანონით.

„უსამართლოდ (მართლსაწინააღმდეგოდ) მიყენებული ზიანიდან გამომდინარე სარჩელი აკვილიუსის კანონით არის დადგენილი, რომლის პირველ თავში განსაზღვრულია, რომ თუ პირი მართლსაწინააღმდეგოდ (უკანონოდ) მოკლავს სხვის მონას ან ოთხფეხა პირუტყვს, რომელიც შინაურ ცხოველებს მიეკუთვნება, მას მიუსჯიან მესაკუთრისათვის ნივთის იმ საფასურის გადახდას, რაც უკანასკნელი წლის განმავლობაში ამ ნივთის უმაღლეს [საბაზრო] ფასს წარმოადგენდა.

3. ამ კანონით პასუხს არ აგებს ისიც, ვინც შემთხვევით მოკლა, თუკი მის [ქმედებაში] რამე [თუნდაც მსუბუქ] ბრალს (culpa) არ აღმოაჩენენ, რადგან, საწინააღმდეგო შემთხვევაში, ამ კანონით იგი პასუხს აგებს როგორც განზრახი დანაშაულისთ-

220 იქვე, გვ. 202.

ვის (dolus), ასევე დაუდევრობისთვის (culpa).

4. ასე რომ, თუ ვინმე ხელშუბით თამაშის ან ვარჯიშის დროს [იქვე] გამვლელ შენს მონას დაჭრის, მაშინ ერთმანეთისგან ასხვავენ [სხვადასხვა შემთხვევას], ვინაიდან, თუ ეს ჯარისკაცმა იმ მოედანზე ჩაიდინა, სადაც, ჩვეულებრივ, [სამხედროები] ვარჯიშობენ, მაშინ ითვლება, რომ მას ბრალი არ მიუძღვის; მაგრამ თუ იგივე სხვამ ჩაიდინა, მაშინ იგი გაუფრთხილებლობისთვის პასუხს აგებს. იგივე ნორმა მოქმედებს იმ ჯარისკაცის მიმართაც, რომელიც ამას ისეთ ადგილას ჩაიდენს, რომელიც ჯარისკაცთა ვარჯიშებისთვის გათვალისწინებული არ არის.

5. ასევე, თუ მებაღე (ტოტის მჭრელი) ხიდან ჩამოგდებული ტოტით იქვე მიმავალ შენს მონას მოკლავს, და თუ ეს საჯარო ან სასოფლო გზის ახლოს ისე მოხდა, რომ [მებაღეს ტოტის ჩამოგდების წინ მონა] არ გაუფრთხილებია, რომ მას ამ უბედური შემთხვევის თავიდან აცილება შეძლებოდა, მაშინ ბრალი მიუძღვის, ხოლო თუ მან [მონა] წინასწარ გააფრთხილა, მან კი უსაფრთხოებაზე არ იზრუნა, მაშინ ტოტის მჭრელი პასუხისმგებლობისგან თავისუფალია.

ასევე ბრალად არ შეერაცხებათ (პასუხისმგებლობიდან თავისუფლდებიან) იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირს შემთხვევით [საჯარო] გზიდან მოშორებით ან სხვის ადგილ-მამულში, იმ ადგილას მოკლავენ, სადაც ხეებს ქრიან, თუნდაც იგი საფრთხის შესახებ წინასწარ არ იყოს გაფრთხილებული, რადგან არც ერთ უცხო პირს ყოფნის უფლება არა აქვს.

6. გარდა ამისა, თუ ექიმმა, რომელმაც შენი მონა გაჭრა (ოპერაცია გაუკეთა), მაგრამ შემდგომი მკურნალობა არ ჩატარებია, რის გამოც შენი მონა მოკვდა, მაშინ ექიმი ბრალისთვის დაუდევრობისთვის (culpa) პასუხს აგებს.

7. ბრალად შეერაცხება ექიმს აგრეთვე უვიცობა (გამოუცდებლობა), მაგალითად, თუ ექიმმა შენი მონა იმიტომ მოკლა, რომ მას ოპერაცია ცუდად გაუკეთა ან არასწორად უმკურნალა.

8. ასევე თუ შენს მონას გაშმაგებული ჯორები გაიტანს, რომლებიც ჯორების გამრეკმა თავისი გამოუცდებლობის გამო ვერ შეაჩერა, მაშინ ჯორების გამრეკს ეს ბრალად შეერაცხ-

ება, იგი ზუსტად ასევე აგებს პასუხს იმ შემთხვევაშიც, თუ მან ჯორების შეჩერება თავისი ფიზიკური სისუსტის გამო ვერ შეძლო, თუ კი სხვა, უფრო ძლიერი, მათ შეჩერებას შეძლებდა. დადგინდა, რომ იგივე წესი გავრცელდეს აგრეთვე ცხენზე ამხედრებულ პირზე, რომელმაც თავისი ფიზიკური სისუსტის თუ გამოუცდელობის გამო გაშმაგებული ცხენის შეკავება ვერ შეძლო.

10. არა მარტო კანონის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, არამედ განმარტებითაც გადაწყდა, რომ უნდა შეფასდეს არა მარტო მოკლული ცოცხალი არსება, არამედ მასთან ერთად ის ზიანიც, რომელიც ამ ცოცხალი არსების მოკვლით თქვენ დამატებით განიცადეთ; მაგალითად, თუ შენი მონა, რომელიც ვილაცამ მემკვიდრედ დანიშნა, ვინმემ მანამდე მოკლა, ვიდრე იგი შენი ბრძანებით მემკვიდრეობაში შევიდოდა; რადგან დადგენილია, რომ [ამ შემთხვევაში] დაკარგული მემკვიდრეობის ღირებულებაც მხედველობაში უნდა მიიღონ. ასევე, თუ [ერთად შებმული] წყვილი ჯორის ან ცხენების ოთხეულისგან, ან კიდევ კომედიურ მონა-მსახიობთაგან ერთ-ერთს მოკლავენ, მაშინ შეაფასებენ არა მარტო მოკლულს, არამედ დამატებით გამოითვლიან აგრეთვე იმ ღირებულებას, რაც ცოცხლად დარჩენილებმა [ამით] დაკარგეს.

13. მესამე თავი ყველა სხვა სახის ზიანს ეხება. ამრიგად, თუ ვინმე მონას ან იმ ოთხფეხა ცხოველს დაჭრის (ზიანს მიაყენებს), რომელიც „შინაურ პირუტყვს“ მიეკუთვნება; ან, თუ პირი დაჭრის (ზიანს მიაყენებს) ან მოკლავს იმ ოთხფეხა ცხოველს, რომელსაც „შინაურ პირუტყვს“ არ მიაკუთვნებენ, მაგალითად, ძალღს ან გარეულ ცხოველს, ასეთ შემთხვევაში [კანონის] ამ თავით სარჩელია დაწესებული. კანონის ამავე ნაწილით ხდება აგრეთვე ყველა სხვა [სახის] ცხოველისთვის, აგრეთვე უსულო საგნებისთვის უკანონოდ (უსამართლოდ) მიყენებული ზიანის ვინდობა. სახელდობრ, თუ რამე დაწვეს, დაანგრის ან გატეხეს, ამ შემთხვევაში კანონის ამავე თავით სარჩელია დადგენილი.

14. ცხადია, რომ, როგორც [კანონის] პირველი თავის თანახ-

მად, პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ პირს ეკისრება, რომელმაც სხვისი მონა ან ოთხფეხა პირუტყვი განზრახვით ან გაუფრთხილებლობით (culpa) მოკლა, [ზუსტად] ასევე, ამ (მესამე) თავის მიხედვით, სხვა სახის ზიანის მიყენებისთვისაც პირი მხოლოდ განზრახ ან გაუფრთხილებლობით [ჩადენილი ქმედობისთვის (დანაშაულისთვის)] აგებს პასუხს. ოლონდ, ამ კანონის ამ თავის თანახმად, ზიანის მიმყენებელს დაეკისრება არა იმ ოდენობის თანხის გადახდის ვალდებულება, რაც იმ წლის განმავლობაში ამ ნივთის ფასს წარმოადგენდა, არამედ იმ ღირებულებისა, რომელიც ნივთს ბოლო ოცდაათ დღეს ჰქონდა.”<sup>221</sup>

**iniuria – შეურაცხყოფა, სხეულის დაზიანება, პირადი წყენინება და სხვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედება**

„1. ხოლო „უკანონობას“ („iniuria“) ჩადიან არა მარტო მაშინ, როდესაც, მაგალითად, ვინმე მუშტით ან კეტით ცემეს, ან კიდევ გამოლტეს, არამედ იმ შემთხვევაშიც, თუ ვინმე გალანძღეს; ან თუ ერთი პირი მეორე პირის ქონებას ისე ეუფლება, თითქოს ეს უკანასკნელი მისი მოვალეა, [თუმცა] იცის, რომ ამ უკანასკნელს მისი არაფერი მართებს; ან თუ ერთმა პირმა მეორე პირის სახელის გასატეხად პასკვილი ან ლექსი დანერა, შეთხზა, გამოსცა და ეს იმ ბოროტი განზრახვით ჩაიდინა, რომ მეორე პირს რამე დაუშავოს; ან თუ ვინმე ოჯახის დედას ან არასრულწლოვან ვაჟსა თუ ქალს ავიწროვებს; ან თუ ითქვა, რომ ვინმეს უბინოება ხელყოფილ იქნა, და, ბოლოს, ცხადია, რომ „ინიურია“ (უკანონობა) კიდევ სხვა მრავალი სახით შეიძლება ჩაიდინონ.

3. ითვლება, რომ მონას არავითარი ზიანი („ინიურია“) არ ადგება, მაგრამ მისი მეშვეობით ზიანი ადგება მის მესაკუთრეს (მონათმფლობელს) ოლონდ არა იმ სახით, როგორც ამას ადგილი აქვს ბავშვებისა და ცოლისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, მონასთან დაკავშირებით ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მონას განსაკუთრებული სისასტიკით ექცევიან, რაც, აშკარად, მონის მესაკუთრისთვის შეურაცხყოფის („კონტუმელია“) მისაყენებლად ჩადენილ [ქმედებად] განიხილება. მაგალითად, თუ

---

221 იქვე, გვ. 214-217.

ვინმე სხვის მონას გაროზგავს, ამ შემთხვევაში სარჩელია გათვალისწინებული. მაგრამ თუ ვინმე [სხვის] მონას გალანძღავს ან მუშტს დაარტყამს, მაშინ მის მესაკუთრეს არავითარი სარჩელი არ ეძლევა.

4. თუ ზიანს საერთო მონას მიაყენებენ, მაშინ სამართლიანობა მოითხოვს, რომ მიყენებული ზიანი შეფასდეს არა იმ წილის პროპორციულად, რაც თითოეულ თანამესაკუთრეს ეკუთვნის, არამედ თანამესაკუთრეთა სახელით, რადგან ზიანი მათ მიაყენეს.

5. ხოლო თუ ტიციუსს მონაზე უზუფრუქტი ეკუთვნის, ხოლო მევიუსს – საკუთრების უფლება, მაშინ ზიანი უფრო მევიუსისთვის მიყენებულად ითვლება.

6. ხოლო თუ ზიანი თავისუფალ პირს მიაყენეს, რომელიც შენ კეთილსინდისიერად გემსახურება, მაშინ შენ არავითარი სარჩელი არ გეძლევა; მაგრამ [დაზარალებულს] თავისი სახელით შეუძლია სასამართლოში ჩივილი (სარჩელის აღძვრა); ოღონდ თუ იგი შენი შეურაცხყოფის მიზნით იქნა შეურაცხყოფილი, მაშინ „ინიურია-დან (უკანონობიდან) გამომდინარე სარჩელი“ შენც გეძლევა.

7. ხოლო სამართალდარღვევისათვის („ინიურია“) სასჯელს, თორმეტი დაფის (ტაბულის) კანონების თანახმად, ასოთდამშავებლობისათვის ტალიონი წარმოადგენდა, ხოლო ძვლის დამტყვევისათვის კი ფულადი ჯარიმა იყო დაწესებული, როგორც [ყველაზე მძიმე სასჯელი] იმდროინდელი დიდი სიღარიბის პირობებში. მაგრამ შემდეგ პრეტორებმა დაუშვეს, რომ ზიანი თავად დაზარალებულებს შეეფასებინათ ისე, რომ მოსამართლეს იმ ოდენობის თანხის გადახდა მიესაჯა [მოპასუხისათვის], რა ოდენობითაც ზიანს დაზარალებული შეაფასებდა, ან უფრო ნაკლებით, თუ მოსამართლე ამას საჭიროდ ჩათვლიდა. ხოლო თორმეტი დაფის (ტაბულის) კანონებით დაწესებული სასჯელები „სამართალდარღვევისთვის“ („ინიურია“) ხმარებიდან გამოვიდა. მაგრამ პრეტორის მიერ დაწესებული სასჯელები კი, რომლებსაც „საპატიოსაც“ („ჰონორარია“) უწოდებენ, მოსამართლეების მიერ ხშირად გამოიყენება. და [დაზარალებული

პირის] ღირსების ხარისხისა და პატიოსნების შესაბამისად იზრდება ან მცირდება [მიყენებული] ზიანის შეფასება. სასჯელის მისჯის („კონდემნაციო“) დროს ამგვარ გრადაციას არცთუ უსაფუძვლოდ იყენებენ მონის პერსონასთან დაკავშირებითაც, ისე, რომ ერთი სასჯელია დანესებული იმ ზიანისთვის, რომელიც [მონათმფლობელის] მეურნეობის [საქმეთა] მმართველ მონას მიაყენეს, მეორე – საშუალო შეძლების და სხვა სასჯელი – დაბალი კატეგორიის ან ბორკილდადებული მონისათვის.

9. ზიანის მიყენების („ინიურია“) სიმძიმეს აფასებენ (განსაზღვრავენ) ან ქმედობის ფაქტიდან (გარემოებიდან) გამომდინარე, მაგალითად, თუ ერთი პირი მეორეს დაჭრის ან შოლტით ცემს; ან [ქმედობის] ადგილის მიხედვით, მაგალითად, თუ ზიანი თეატრში, მოედანზე ან პრეტორის თვალწინ იქნა მიყენებული; ან [დაზარალებულის] პერსონის მიხედვით, მაგალითად, თუ ზიანი მაგისტრატს მიაყენეს, ან, თუ უბრალო ადამიანებმა ზიანი სენატორს მიაყენეს, ან, თუ ბავშვებმა – თავიანთ მამას; გააზატებულებმა (ლიბერტებმა) თავიანთ პატრონს. სხვაგვარად შეფასდება, [ერთი მხრივ], სენატორის, მშობლისა და პატრონისათვის მიყენებული ზიანი და სხვაგვარად – გარეშე პირის და დაბალი რანგის ადამიანისა. ზოგჯერ, სამართალდარღვევის („ინიურიას“) სიმძიმის შეფასებისას, ითვალისწინებენ დაზიანებული სხეულის ნაწილსაც. მაგალითად, როდესაც თვალია დაზიანებული. მცირე მნიშვნელობა აქვს იმის შეფასებას, თუ როგორი ზიანი მიაყენეს, [ერთი მხრივ], ოჯახის მამას და, [მეორე მხრივ], ოჯახის ვაჟიშვილს, რადგან ამ უკანასკნელისთვის მიყენებული ზიანიც მძიმე [„სამართალდარღვევად“ (ინიურია)] შეფასდება.

10. დაბოლოს, უნდა ვიცოდეთ, რომ ყველა სახის ზიანის მიყენების შემთხვევაში, დაზარალებულს შეუძლია სარჩელი აღძრას როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო სამართლის წესით. თუ სარჩელი სამოქალაქო სამართლის წესით არის აღძრული, მაშინ ჯარიმა, როგორც ზევით ვთქვით, შეფასების შესაბამისად განისაზღვრება. ხოლო თუ სარჩელი სისხლის სამართლის წესით არის აღძრული, მაშინ მოსამართლე თავისი

უფლებამოსილებით მოპასუხეს ექსტრაორდინარულ ჯარიმას დაადებს.

11. „ინიურია-დან გამომდინარე სარჩელით“ პასუხს აგებს არა მხოლოდ ის პირი, ვინც [სხვას] ზიანი მიაყენა, ანუ გაარტყა (ცემა), არამედ ისიც, ვინც ამას განზრახ ხელი შეუწყო ან დაეხმარა, რომ [დაზარალებულისთვის] სახეში მუშტით დარტყმა მიეყენებინათ.

12. ამ სარჩელის [თავიდანვე] არგამოყენების შემთხვევაში, იგი ძალას კარგავს და ამიტომ, თუ ვინმე სამართალდარღვევის („ინიურია“), ე.ი. ზიანის მიყენებისთანავე თავისი ნებით სარჩელს არ აღძრავს, მაშინ მას შემდგომში, თუ იგი ინანებს, [რომ ასე მოიქცა], სარჩელის აღძვრა უკვე აღარ შეუძლია.“<sup>222</sup>

### 8.5 კვაზი დელიქტები (quasi ex delicto)

კვაზი დელიქტი იყო იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე არ იყო არც ხელშეკრულება და არც დელიქტისათვის დამახასიათებელი ნიშნები, მაგრამ ვალდებულება მაინც წარმოიშვებოდა ისე, თითქოს დელიქტს ჰქონდა ადგილი. ხშირ შემთხვევაში პასუხისმგებლობის საფუძველი ზიანის მიმყენებლის დაუდევრობაა. ასეთ დროს, სწორედ განზრახვის არარსებობა განასხვავებს კვაზი დელიქტებს დელიქტებისაგან.

კვაზი დელიქტები ფულად პასუხისმგებლობას იწვევდნენ. თუ ზარალი მონის მიერ იყო მიყენებული, პატრონს შეეძლო აენაზლაურებინა ზარალი, ან დაზარალებულისათვის გადაეცა მონა.

რომის სამართალი კვაზი დელიქტის შემდეგ სახეებს გამოყოფს:

1) მოსამართლის პასუხისმგებლობა არასწორი გადანყვეტილებისათვის. თუ მოსამართლემ არასწორი გადანყვეტილება მიიღო, თუნდაც გამოუცდელობის გამო, დაზარალებულს შეუძლია, მოსამართლეს წარუდგინოს სარჩელი მიყენებული ზიანის ანაზლაურების თაობაზე;

2) პასუხისმგებლობა „დადგმისა და ჩამოკიდებისათვის“.

222 ი.ქვე, გვ. 219-222.

რომის ვინრო ქუჩებში განლაგებულ საცხოვრებლებში ხშირად ფანჯარაზე გარედან გადმოდგამდნენ ხოლმე სხვადასხვა ნივთებს (მაგ. ჭურჭელს) ან გადმოფენდნენ ტანსაცმელს და ა.შ. თუ რაიმე ნივთი ისე იქნებოდა დადგმული ან ჩამოკიდებული, რომ შეიძლებოდა ჩამოვარდნილიყო და ზიანი მიეყენებინა გამვლელი პირებისათვის, ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო წარედგინა სარჩელი და მოეთხოვათ „დამნაშავის“ დასჯა.

**3) პასუხისმგებლობა „გადაღვრისა და გადაყრისათვის“.** თუ ვინმე თავისი საცხოვრებლიდან გადაყრიდა ნივთებს ან რაიმეს გადაღვრიდა და ამას მოჰყვებოდა ადამიანის სიკვდილი ან ჯანმრთელობის დაზიანება წესდებოდა ჯარიმა. ამას უახლოვდება შემთხვევა თუ საერთო სარგებლობაში არსებულ ადგილას ვინმე გარეულ ცხოველს შეინახავდა და ეს ცხოველი მოკლავდა ადამიანს ან ზიანს მიაყენებდა მის ჯანმრთელობას.

**4) გემის, სასტუმროს მებატრონის პასუხისმგებლობა.** ისინი ორმაგი ოდენობით აგებდნენ პასუხს მოგზაურთა ნივთების მოტაცებისა და დაზიანებისათვის, თუ ეს ზარალი მიყენებული იყო სასტუმროსა თუ გემზე მომუშავე პირთა მიერ.

„თუ მოსამართლე სასამართლო დავას კანონის დარღვევით გადანყვეტს, მას ვალდებულება საკუთრივ დელიქტიდან („მალეფიცო“) არ ეკისრება. მაგრამ, ვინაიდან მას ვალდებულება არც ხელშეკრულებიდან ეკისრება, და [იმავედროულად] მოსამართლე, თუნდაც უცოდინარობით, [მაგრამ მაინც] გადაცდომის ჩამდენ [პირად] განიხილება, ამიტომ ითვლება, რომ მის ვალდებულებას (პასუხისმგებლობას) „კვაზი დელიქტი“ („მალეფიცო“) წარმოშობს. და მას იმ ოდენობის ჯარიმის გადახდას მიუსჯიან, რა ოდენობასაც კეთილსინდისიერი მოსამართლე ამ საქმისთვის სამართლიანად ჩათვლიდა.

1. ის პირიც, რომლის საკუთარი, ნაქირავები ან იმ სახლიდან (ბინიდან), რომელშიც იგი უსასყიდლოდ ცხოვრობდა, რაიმე ისე ჩამოვარდა ან ჩამოიღვარა, რომ სხვას ზიანი მიაყენა, ასევე „კვაზი (თითქოს) დელიქტის“ („მალეფიცო“) საფუძველზე პასუხისმგებელ პირად განიხილება, ხოლო იგი „არა საკუთრივ დელიქტით“ („მალეფიცო“) ვალდებულება დაკისრებულ პი-

რად იმიტომ განიხილება, რადგან უმრავლეს შემთხვევაში სხვის ბრალზე – მაგალითად, მონის ან ბაეშვის – აგებს პასუხს.

მას ჰგავს ის პირიც, რომელმაც იმ ადგილას, რომელსაც ხალხი, ჩვეულებრივ, გზად იყენებს, ისეთ რამეს დადებს ან ჩამოკიდებს, რომელმაც, თუ იგი ჩამოვარდა, შეიძლება, სხვა პირს ზიანი მიაყენოს. ასეთ შემთხვევაში ათი ოქროს ოდენობის ჯარიმაა დაწესებული. ხოლო იმ შემთხვევისათვის, როდესაც რაიმე ჩამოვარდა ან ჩამოიღვარა, მიყენებული ზიანის ორმაგი ანაზღაურების სარჩელია დადგენილი. ხოლო თუ თავისუფალი ადამიანი მოკლეს, მაშინ ორმოცდაათი ოქროს ოდენობის ჯარიმას ნიშნავენ. მაგრამ თუ იგი ცოცხალი (გა)დარჩა და განაცხადა, რომ მას ზიანი მიაყენეს, მაშინ მას სარჩელი იმ ოდენობაზე მიეცემა, რა ოდენობასაც მოსამართლე ამ საქმისთვის სამართლიანად მიიჩნევს. სახელდობრ, მოსამართლემ უნდა გამოითვლოს ექიმებისათვის გასამრჯელოდ მისაცემი [თანხის ოდენობა] და მკურნალობისათვის გასანევი სხვა ხარჯები, გარდა ამისა, იმ სამუშაო დღეებში [ასალები ხელფასის] რაოდენობა, რომელიც მან დაკარგა ან [მომავალში] დაკარგავს იმის გამო, რომ იგი შრომისუუნარო გახდა.

2. თუ ოჯახის ვაჟიშვილი მამისგან ცალკე ცხოვრობს და მისი ბინიდან რაიმე ჩამოვარდა ან ჩამოიღვარა, ან თუ მან რაიმე ისე დადო (დადგა) ან ჩამოკიდა, რომ ჩამოვარდნის შემთხვევაში [სხვას] საფრთხეს უქმნის, მაშინ, იულიანეს თანახმად, მამის წინააღმდეგ რაიმე სარჩელი არ არსებობს, ხოლო სარჩელი თავად ვაჟიშვილის წინააღმდეგ უნდა აღიძრას. იგივე წესი უნდა დაიცვან ოჯახის ვაჟიშვილთან დაკავშირებით იმ შემთხვევაშიც, როდესაც მან, როგორც მოსამართლემ, სადავო საქმე კანონის გვერდის ავლით (დარღვევით) გადაწყვიტა.

3. ასევე „კვაზი დელიქტზე“ („მალეფიციო“) აგებს პასუხს გემის მეპატრონე, მიკიტანი ან მეფუნდუკე იმ განზრახ მიყენებული ზიანისა და ქურდობისათვის, რომელიც გემზე, სამიკიტნოში ან ფუნდუკში ჩაიდინეს, ოლონდ, თუკი რაიმე სახის სამართალდარღვევა თავად მან კი არ ჩაიდინა, არამედ ერთ-ერთმა იმ პირთაგან, რომლებიც გემზე, სამიკიტნოში ან ფუნდუკში მსახ-

ურობენ. იმის გამო, რომ მეპატრონის წინააღმდეგ ამ სარჩელს ხელშეკრულება არ წარმოშობს, მაგრამ გაუფრთხილებლობისთვის (culpa) იგი რამდენადმე მაინც აგებს პასუხს, რადგან მას სამუშაოდ უნესო ხალხი ჰყავდა აყვანილი, ამიტომაც ითვლება, რომ მას პასუხისმგებლობა „კვაზი დელიქტის“ საფუძველზე ეკისრება. მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში წარმოიშობა „ქმედობის ფაქტიდან (გარემოებიდან) გამომდინარე სარჩელი“, რომელიც მემკვიდრეზეც გადადის, მაგრამ მემკვიდრის წინააღმდეგ ამ სარჩელს არ იძლევიან.“<sup>223</sup>

„მონის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში, მაგალითად, თუ მათ ქურდობა ან ქონების ძარცვა ჩაიდინეს, ან ვინმეს ზიანი ან შეურაცხყოფა (ინიურია) მიაყენეს, მაშინ წარმოიქმნება ნოქსალური სარჩელები, რომელთა მეშვეობით მონის მესაკუთრეს ნებართვა ეძლევა ან შეფასებით დადგენილი სადავო საგნის ფასი გადაიხადოს, ან კიდევ ზიანის მიმყენებელი მონა [დაზარალებულს] გადასცეს.

1. ხოლო „noxა“ ნიშნავს პირს, რომელმაც ზიანი მიაყენა, ე.ი. მონას. „noxia“ კი – თავად სამართალდარღვევას (მაღეფიციო) – მაგალითად, ქურდობას, ზიანის მიყენებას, ძარცვას, შეურაცხყოფას (ინიურია).

2. ხოლო სავსებით საფუძვლიანია ის, რომ [მონის მესაკუთრეს] ზიანის მიმყენებელი მონის [დაზარალებულისთვის] გადაცემის ნებას რთავენ, ვინაიდან არ არის სამართლიანი, რომ მონების თავაშევებულობამ, თავად მათ გარდა, მათს მესაკუთრესაც ზიანი მოუტანოს.

3. მონის მესაკუთრე, რომლის წინააღმდეგაც მონის გამო სარჩელი აღძრეს, ამ მონის გადაცემით პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება. ამასთან, იგი მონაზე საკუთრებასაც სამუდამოდ გადასცემს. ხოლო თუ მონა ფულს იშოვის და იმ პირს, რომელსაც იგი გადასცეს, ზარალს აუნაზღაურებს, მაშინ პრეტორის მეშვეობით იგი [მონობიდან] თავისუფლდება, თუნდაც მონის მესაკუთრე გააზატების წინააღმდეგი იყოს.

4. ხოლო ნოქსალური სარჩელები დანესებულია ან კანო-

---

223 იქვე, გვ. 222-224.

ნებით, ან პრეტორის ედიქტით, მაგალითად, ქურდობიდან გამომდინარე სარჩელი დაწესებულია თორმეტი დაფის (ტაბულის) კანონებით, ზიანის მიყენებიდან გამომდინარე სარჩელი – აკვილიუსის კანონით. პრეტორის ედიქტით დაწესებულია, მაგალითად, „ინიურია-დან“ („უკანონო სამართალდარღვევიდან“) და ქონების ძარცვიდან გამომდინარე სარჩელები.

5. ხოლო ყველა ნოქსალური სარჩელი იმ პირის წინააღმდეგ არის მიმართული, რომლის ხელისუფლებასაც სამართალდამრღვევი ექვემდებარება, რადგან, თუ სამართალდარღვევას შენი მონა ჩაიდენს, მაშინ, სანამ იგი შენი ხელისუფლების ქვეშ არის, სარჩელი შენს წინააღმდეგ იქნება წარდგენილი. თუ იგი სხვისი ხელისუფლების ქვეშ გადავა, მაშინ სარჩელიც იმ პირის წინააღმდეგ გადადის; ან, თუ მას გაააზატებენ, მაშინ სარჩელი თვით მის წინააღმდეგ იქნება უშუალოდ წაყენებული და ზიანის მიმყენებლის [დაზარალებულისათვის] გადაცემა წყდება.

მეორე მხრივ, პირდაპირი სარჩელი ნოქსალურ სარჩელში გადადის. ვინაიდან, თუ, მაგალითად, თავისუფალი ადამიანი სამართალდარღვევას (noxia) ჩაიდენს და შემდეგ იგი შენი მონა გახდება /რაც ზოგ შემთხვევაში ხდება, როგორც ჩვენ ეს პირველ ნიგნში გადმოვეცით/, მაშინ შენ წაგიყენებენ ნოქსალურ სარჩელს, რომელიც მანამდე პირდაპირი იყო.

6. ხოლო თუ მონა სამართალდარღვევას (noxia) თავისი ბატონის (მონის მესაკუთრის) წინააღმდეგ ჩაიდენს, მაშინ არავითარი სარჩელი არ წარმოიშობა, ვინაიდან ბატონსა და იმ პირს შორის, რომელიც მის ხელისუფლებას ექვემდებარება, არ შეიძლება, რომ რაიმე ვალდებულება წარმოიშვას; და ამიტომაც, თუ მონა სხვისი ხელისუფლების ქვეშ გადავა ან თავისუფლებას მიიღებს, მაშინ არც თავად მის მიმართ და არც იმ პირის წინააღმდეგ, რომლის ხელისუფლების ქვეშაც იგი უკვე იმყოფება, სარჩელის აღძვრა არ შეიძლება.

აქედან გამომდინარე, თუ სხვისი მონა შენ წინააღმდეგ სამართალდარღვევას (noxia) ჩაიდენს და შემდეგ იგი შენი ხელისუფლების ქვეშ აღმოჩნდება, მაშინ სარჩელი იკარგება, ვინაიდან იგი ისეთ მდგომარეობაში გადადის, რომელშიც ის არ

შეიძლება, რომ არსებობდეს. ამიტომ, თუნდაც [შენი მონა] შენი ხელისუფლებიდან გამოვიდეს, სარჩელის წარდგენა მაინც არ შეგიძლია. ზუსტად ასევე, თუ მონის მესაკუთრე თავისი მონის მიმართ სამართალდარღვევას ჩაიდენს, მაშინ მონის გააზატების ან გასხვისების შემთხვევაშიც მონის მესაკუთრის წინააღმდეგ რაიმე სარჩელის აღძვრა მონას არ შეუძლია.”<sup>224</sup>

---

224 იქვე, გვ. 243-244.

## 9. რომის მემკვიდრეობითი სამართალი

### 9.1 მემკვიდრეობითი სამართლის ზოგადი დახასიათება

მემკვიდრეობა წარმოადგენს ქონებას, რომელიც პატრონის სიკვდილის შემდეგ ახალ მესაკუთრეს/მესაკუთრეებს გადაეცემა. მემკვიდრეობა უძველესი პერიოდიდან იღებს სათავეს და საკუთრების უფლების განვითარებასთან ერთად ვითარდება. ვხვდებით ორი სახის მემკვიდრეობას, ესენია:

1. კანონით მემკვიდრეობა და
2. ანდერძით მემკვიდრეობა.

კანონით მემკვიდრეობისაგან განსხვავებით, ანდერძით მემკვიდრეობა შედარებით გვიან ყალიბდება და კერძო საკუთრების გაჩენას უკავშირდება. საკუთრების უფლებისა და კერძო საკუთრების განვითარების კვალდაკვალ, ანდერძით მემკვიდრეობა ერთგვარი უპირატესობით სარგებლობს, რაზეც მეტყველებს ის გარემოება, რომ კანონით მემკვიდრეობის საკითხი დგება მაშინ: ა) თუ არ არსებობს ანდერძი; ბ) თუ არსებობს ანდერძი, მაგრამ არაა შედგენილი კანონის მოთხოვნების მიხედვით; და გ) თუ არსებობს კანონიერი წესით შედგენილი ანდერძი, მაგრამ ანდერძისმიერი მემკვიდრე უარს აცხადებს მემკვიდრეობის მიღებაზე. რომის სამართალში დაუშვებელი იყო ერთსა და იმავე სამკვიდროზე ერთდროულად გავრცელებულიყო ანდერძით და კანონით მემკვიდრეობა. სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალების შემდეგ ხდებოდა მემკვიდრეობის გახსნა; ამის შედეგად გარკვეული პირები იძენდნენ მემკვიდრეობის მიღების უფლებას, თუმცა ისინი მაშინვე არ ხდებოდნენ სამკვიდროს მესაკუთრენი; ეს ხდებოდა სამკვიდროს მიღების შემდეგ, როდესაც მემკვიდრე გამოხატავდა სამკვიდროს მიღების ნებას.

განასხვავებდნენ უნივერსალურ და სინგულარულ მემკვიდრეობას. უნივერსალურია მემკვიდრეობა, როდესაც მემკვიდრეზე გადადის სამკვიდროს დამტოვებლის უფლებებიცა და მოვალეობებიც. სინგულარულია, როდესაც მემკვიდრეზე გადადის მხოლოდ ცალკეული უფლებები. უნივერსალურ მემკვიდრეობას როგორც წესი ადგილი ჰქონდა „თავისი“, „თავისი

და აუცილებელი“ ან „გარეშე“ მემკვიდრეებთან მიმართებაში, ხოლო სინგულარულ მემკვიდრეობას ლეგატებისა და ფიდუოკომისების არსებობის შემთხვევაში.

„152. ხოლო მემკვიდრეებს ენოდებათ ან „აუცილებელი“, ან „თავისი და აუცილებელი“, ან „გარეშე“.

153. აუცილებელი მემკვიდრე არის მონა, რომელიც გაათავისუფლეს და მემკვიდრედ დანიშნეს. ასე მას იმიტომ უნოდებენ, რომ მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ, მას სურს ეს თუ არ სურს, იგი მაშინვე თავისუფალი პირი და მემკვიდრე ხდება.“<sup>225</sup>

„156. ხოლო „თავისი და აუცილებელი“ მემკვიდრეები, მაგალითად, არიან, ვაჟიშვილი და ქალიშვილი; ვაჟიშვილისაგან ორივე სქესის შვილიშვილები და ა.შ. სხვა [ბავშვები], ოღონდ თუ ისინი [გარდაცვალების დროს] გარდაცვლილის ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდნენ. მაგრამ იმისათვის, რომ შვილიშვილები, ვაჟები და ქალები, „თავისი მემკვიდრეები“ იყვნენ, არ არის საკმარისი ის, რომ ისინი [თავიანთი პაპის] ხელისუფლებაში მისი გარდაცვალების დროს იმყოფებოდნენ, არამედ აუცილებელია, რომ მათმა მამამ თავისი მამის სიცოცხლეში „თავის მემკვიდრედ“ ყოფნა შეწყვიტოს, ან [მამის] გარდაცვალების გამო ან ნებისმიერ სხვა საფუძველზე მამის ხელისუფლებიდან განთავისუფლდეს, რადგან ამ შემთხვევაში ორივე სქესის შვილიშვილები /თავიანთი მამის ნაცვლად/ მემკვიდრეები გახდებიან.

157. ხოლო „თავის მემკვიდრეებად“ ისინი იმიტომ იწოდებიან, რომ ისინი შინაური (ოჯახის) მემკვიდრეები არიან და მამის სიცოცხლეში გარკვეულწილად მესაკუთრეებადაც კი განიხილებიან. ამიტომაც თუ [მამა] უანდერძოდ გარდაიცვალა, მაშინ, პირველ რიგში, მემკვიდრეობაზე ბავშვებს ინვევენ. ხოლო „აუცილებელს“ მათ იმიტომ უნოდებენ, რომ ისინი, სურთ მათ ეს თუ არ სურთ, გინდაც ანდერძით და გინდაც ანდერძის გა-

---

225 რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011, გვ. 91.

რეშე, ნებისმიერ შემთხვევაში მემკვიდრეები ხდებიან.

158. მაგრამ პრეტორი მათ უფლებას აძლევს უარი თქვან სამკვიდროზე, რათა უფრო მშობლის ქონება გაიყიდოს, ვიდრე თავად მათი.<sup>226</sup>

„161. დანარჩენი მემკვიდრეები, რომლებიც მოანდერძის ხელისუფლებას არ ექვემდებარებიან, „გარეშე“ მემკვიდრეებად იწოდებიან. ამიტომ ჩვენივე ბავშვებიც, რომლებიც ჩვენი ხელისუფლების ქვეშ არ არიან, თუ ჩვენ ისინი მემკვიდრეებად დავნიშნეთ, გარეშე მემკვიდრეებად ჩაითვლებიან. ამავე მიზეზით დედის მიერ დანიშნული მემკვიდრეებიც გარეშე მემკვიდრეებს მიეკუთვნებიან, ვინაიდან ქალებს ბავშვები თავიანთი ხელისუფლების ქვეშ არ ჰყავთ. ის მონებიც, რომლებიც თავისუფლების მიღებასთან ერთად მემკვიდრეებად დაინიშნენ და შემდეგ ბატონისაგან განთავისუფლდნენ, ასევე [გარეშე მემკვიდრეების] რიცხვს მიეკუთვნებიან.

162. ხოლო გარეშე მემკვიდრეებს უფლება ეძლევათ მოიფიქრონ, შევიდნენ სამკვიდროს [მფლობელობაში] თუ არა.

163. მაგრამ თუ ის პირი, რომელსაც სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის უფლება აქვს, თავისი ქცევით გამოავლენს სამკვიდროს მიღების ნებას, ან თუ ის, ვისაც უფლება აქვს მოიფიქროს, მიიღოს მემკვიდრეობა თუ არა, სამკვიდროს მიიღებს; მაშინ მას შემდგომ მემკვიდრეობაზე უარის თქმის უფლება აღარ აქვს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ასაკით ოცდახუთ წელს მიღწეული არ არის, რადგან ამ ასაკის პირებს, როდესაც ისინი მოუფიქრებლად (წინდაუხედავად) მიიღებენ ზარალის მომტან მემკვიდრეობას, ისევე როგორც ყველა სხვა [მსგავს] შემთხვევაში, როდესაც ისინი მოტყუებულნი რჩებიან, დახმარებას პრეტორი უწევს.

164. გარეშე მემკვიდრეებს, ჩვეულებრივ, ეძლევათ [ვადა, რასაც ეწოდება] *cretio*, ანუ დრო მოსაფიქრებლად, რათა განსაზღვრული დროის განმავლობაში (ვადაში) ან შევიდნენ სამკვიდროს მფლობელობაში, ან თუ არ შევლენ, მაშინ ამ ვადის

(დროის) გასვლის შემდეგ მემკვიდრეობიდან გამოირიცხონ.<sup>227</sup>

„170. ხოლო ყოველი „კრეციო“ განსაზღვრული ვადით (დროით) შემოისაზღვრება, რომლისთვისაც საკმარისად 100 დღეა მიჩნეული. მაგრამ მიუხედავად ამისა, ცივილური სამართლით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს ან შემცირდეს, თუმცა ას დღეზე უფრო ხანგრძლივ ვადას პრეტორი ზოგჯერ ამცირებს.“<sup>228</sup>

ლეგატი ეწოდებოდა მოანდერძის მიერ გაცემულ განკარგულებას, მისი გარდაცვლების შემდეგ მიეცათ მისი ქონების ნაწილი ამა თუ იმ პირისათვის ან შეესრულებინათ რაიმე მოქმედება მის სასარგებლოდ. ლეგატების ძალით სამკვიდროს დამტოვებელი ფაქტობრივად ზღუდავდა მემკვიდრეებს. ამიტომ, ძვ.წ. 40 წელს გამოიცა ფალციდიუსის კანონი, რომლის თანახმად, ნებადართული იყო ლეგატის სახით მთელი ქონების არაუმეტეს სამი მეოთხედის დატოვება, ე.ი. აუცილებელი, იყო რომ მემკვიდრეს ქონების ერთი მეოთხედი დარჩენოდა.

ფიდუკომისი გავს ლეგატებს, იმ განსხვავებით, რომ ის შედარებით თავისუფალ ფორმას ატარებდა და თავიდან არ სარგებლობდა სასარჩელო დაცვით, ეს უკანასკნელი მათ მხოლოდ პრინციპატის ხანაში მიიღეს და საბოლოოდ VI საუკუნეში შეუერთდნენ ლეგატებს.

### 9.2 ანდერძით მემკვიდრეობა.

ანდერძის ნამდვილობისათვის აუცილებელი იყო დაეცვათ კანონის მოთხოვნები. უპირველეს ყოვლისა, ანდერძის დატოვება არ შეეძლოთ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირებს, მაგ. სულით ავადმყოფებს, გამფლანგველებს, არასრულწლოვნებს და სხვა.

„113. ქალებს უკეთესი მდგომარეობა აქვთ, ვიდრე მამაკაცებს, რადგან 14 წლამდე ასაკის მამაკაცს ანდერძის შედგენა არ შეუძლია, თუნდაც მას ანდერძის შედგენა მეურვის თანხმობით უნდოდეს, ხოლო ქალს კი 12 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ

227 იქვე, გვ. 93-94.

228 იქვე, გვ. 95.

ანდერძის შედგენის უფლება გააჩნია.<sup>229</sup>

ქალს, რომელიც მეურვეობის ქვეშაა ანდერძის შედგენა მხოლოდ მეურვის თანხმობით შეუძლია. „118. გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ ქალი მეურვეობის ქვეშ იმყოფება, ანდერძი მეურვის თანხმობით უნდა შეადგინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ანდერძს ცივილური სამართლით ძალა არ ექნება.“<sup>230</sup>

„114. ამრიგად, თუ ვიკითხავთ, აქვს თუ არა ანდერძს [იურიდიული] ძალა, ჯერ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, ჰქონდა თუ არა იმ პირს, ვინც ანდერძი შეადგინა, ანდერძის შედგენის უფლება. შემდეგ, თუ [აღმოჩნდა], რომ მას ეს უფლება გააჩნდა, ვიკითხოთ: შეადგინა თუ არა მან ანდერძი ცივილური სამართლით.“<sup>231</sup>

ანდერძის უძველეს სახეს სახალხო კრების წინაშე დატოვებული ანდერძი წარმოადგენდა, რომელსაც მოგვიანებით „სპილენძისა და სასწორის მეშვეობით“ დადებული ანდერძიც დაემატა.

„101. თავდაპირველად ორგვარი ანდერძი არსებობდა: ანდერძს ადგენდნენ ან კურიათა სახალხო კრების („comitia curiata“) წინ, რომელიც ამ მიზნით წელიწადში ორჯერ იკრიბებოდა; ან in procinctus („აღჭურვილი ჯარის წინ“), ე.ი. როდესაც [მებრძოლები] ომში წასასვლელად იარაღდებოდნენ. ხოლო [სიტყვა] „procinctus“ საომრად გამზადებულ (აღჭურვილ) და შეიარაღებულ ჯარს ნიშნავს. ამრიგად, ერთი სახის ანდერძს ადგენდნენ ზავისა და მშვიდობიანობის დროს, მეორეს – ომში წასვლის წინ.

102. შემდეგ ანდერძის მესამე სახეც დაემატა [კერძოდ, ანდერძი] „სპილენძისა და სასწორის მეშვეობით“, თუ ვინმეს არ ჰქონდა ანდერძი შედგენილი არც „კურიათა სახალხო კრების წინაშე“ და არც „აღჭურვილი ჯარის წინ“, და მას მოულოდნელად სასიკვდილო საფრთხე დაემუქრებოდა, იგი თავის

229 იქვე, გვ. 80.

230 იქვე, გვ. 81.

231 იქვე, გვ. 80-81.

ოჯახს (familia), ე.ი. თავის ქონებას (patrimonium), მანციპაციის ფორმით მეგობარს გადასცემდა და თხოვდა მას, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ეს ქონება მისი [უკანასკნელი] ნების თანახმად გაენაწილებინა. ამგვარ ანდერძს „სპილენძისა და სასწორის მეშვეობით“ [ანდერძი] ეწოდება, რასაკვირველია, იმის გამო, რომ იგი მანციპაციის მეშვეობით ხორციელდება.

103. მაგრამ პირველი ორი სახის ანდერძი ხმარებიდან გამოვიდა. და შენარჩუნდა მხოლოდ ანდერძის ის [სახეობა], რომელიც „სპილენძისა და სასწორის მეშვეობით“ სრულდება, ცხადია, დღეს იგი სხვაგვარად სრულდება, ვიდრე წინათ; კერძოდ, წინათ „[სამკვირდო] ქონების მყიდველი“, ე.ი. ის, ვინც მოანდერძისაგან მანციპაციით ქონებას იძენდა, მემკვიდრის ადგილს იკავებდა, და ამიტომ მოანდერძე მას განუცხადებდა, თუ მისი გარდაცვალების შემდეგ ვისთვის რისი მიცემა სრულდა; მაგრამ ამჟამად ერთი მემკვიდრე ანდერძით ინიშნება, რომელსაც ლეგატებსაც უტოვებენ, მეორე [მემკვიდრეს] კი ფორმალურად ძველი [სამართლის] მიბაძვით „[სამკვირდო] ქონების მყიდველის“ სახით იწვევენ.

104. ეს შემდეგნაირად ხდება: ის, ვინც ანდერძს ადგენს, მოიწვევს რა მოწმედ ხუთ სრულწლოვან რომის მოქალაქეს და მწონავს, ისევე როგორც სხვა მანციპაციების დროს, წერს ანდერძს და მანციპაციით, მოჩვენებითი გაყიდვით თავის ქონებას (ფამილია) გარეშე პირს გადასცემს (უთმობს). ამ დროს „[სამკვირდო] ქონების მყიდველი“ შემდეგ სიტყვებს წარმოთქვამს: „ვაცხადებ“, რომ კვირიტული სამართლით/ შენი ოჯახი და შენი ქონება (ფული) კვირიტული სამართლით ჩემზეა მინდობილი (მიბარებული) და ჩემი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება, ხოლო იმ უფლებით, რომლითაც საჯარო კანონის თანახმად შენ ანდერძს შეადგენდა, ყველაფერ ამას მე ამ სპილენძის ფასად ვყიდულობ“. და ზოგი უმატებს „ასევე სპილენძის სასწორით“. შემდეგ იგი სპილენძით სასწორს ეხება და ამ სპილენძს მოანდერძეს გადასცემს ისე, თითქოს ეს სასყიდელი ფასია. შემდეგ მოანდერძე, უჭირავს რა მას ხელში ანდერძის აქტი, ამბობს: „[ამას] ყველაფერს ისე ვაძლევ, ვუანდერძებ და ვამონებ, რო-

გორც ეს ამ ანდერძში გასანთლულ (ცვილის) დაფაზე წერია. და თქვენც, კვირიტებო, იყავით ჩემი მოწმეები“. ამ [აქტს] ეწოდება nuncupatio, ხოლო „nuncupare“ „საჯაროდ განცხადებას“ ნიშნავს. და, რასაკვირველია, ის, რასაც მოანდერძე კონკრეტულად ანდერძში წერს, საჯაროდ განცხადებულად და დამოწმებულად განიხილება.

105. ხოლო მოწმეებს შორის არ უნდა იყოს ვინმე, ვინც „ქონების მყიდველის“ ან თავად მოანდერძის ხელისუფლებას ექვემდებარება, რადგან ძველი სამართლის მიბაძვით მიღებულია, რომ მთელი ეს აქტი, რომელიც ანდერძის შედგენის გამო ხორციელდება, „ქონების მყიდველსა“ და მოანდერძეს შორის განხორციელებლ [აქტად] განიხილება, ვინაიდან წინათ, როგორც ახლახანს ვთქვით, ის, ვინც მანციპაციით მოანდერძის ქონებას იღებდა, [ფორმალურად] მემკვიდრის ადგილს იკავებდა. ამიტომაც უარყოფილ იქნა იმ პირთა მოწმეებად მონგევა, რომლებიც ერთსა და იმავე ოჯახს მიეკუთვნებიან (შინაურები არიან).“<sup>232</sup>

მოწმეების რაოდენობა ანდერძის ამ უკანასკნელი ფორმის გათვალისწინებით, ხუთი უნდა ყოფილიყო. თუმცა ეს ზოგადი წესები არ ვრცელდებოდა ჯარისკაცების მიერ დატოვებულ ანდერძთან მიმართებაში.

„109. ანდერძის შედგენის დროს ზემოთ აღწერილი [წესების] ზედმინვნით [ზუსტი] დაცვა ჯარისკაცებისათვის, მათი უკიდურესი გამოუცდლობის (სამართლის უცოდინრობის) გამო, პრინციფსების (იმპერატორების) კონსტიტუციების თანახმად, სავალდებულო არ არის. ამიტომ, თუნდაც მათ მოწმეების კანონით გათვალისწინებული რაოდენობა არ მოიწვიონ, არც „ქონება გაყიდონ“ და არც ანდერძი გამოაცხადონ საჯაროდ, მათი ანდერძი მაინც სწორად (კანონიერად) შედგენილად განიხილება.

110. გარდა ამისა, მათ უფლება აქვთ მემკვიდრეებად უცხოელები (პერეგრინები) და ლათინები დანიშნონ ან მათ ლეგატები დაუტოვონ, როცა სხვა შემთხვევაში უცხოელებს ცივილუ-

რი სამართლით ეკრძალებათ მემკვიდრეობისა და ლეგატების მიღება, ლათინებს კი – იუნიუსის კანონით.<sup>233</sup>

მემკვიდრის დანიშვნა საზეიმოდ უნდა მომხდარიყო. „117. ხოლო [მემკვიდრის] საზეიმოდ დანიშვნა შემდეგი [სიტყვებით] ხდება: „[დაე] ტიციუსი მემკვიდრე იყოს (გახდეს)“. დასაშვებად არის მიჩნეული შემდეგი [ფორმულაც]: „ვბრძანებ, რომ ტიციუსი მემკვიდრე იყოს“. და მიუღებელია შემდეგი ფორმულა: „მსურს“ რომ ტიციუსი მემკვიდრე იყოს“.<sup>234</sup>

მონშეთა რაოდენობა, მოგვიანებით შვიდამდე გაიზარდა. „თუ ანდერძი შვიდი<sup>235</sup> მონშის მიერ არის ხელმოწერილი, პრეტორს შეუძლია ანდერძით დანიშნულ მემკვიდრეებს ანდერძის დოკუმენტის (შესაბამისად) მიხედვით, სამკვიდროს მფლობელობას დაჰპირდეს...“<sup>236</sup>

თუ ანდერძი არ იყო კანონის მოთხოვნების დაცვით შედგენილი ის ბათილად ითვლებოდა. კანონიერად შედგენილ ანდერძს შესაძლოა ძალა დაეკარგა იმ შემთხვევაშიც თუ ანდერძის დამტოვებელს სამოქალაქო უფლებები შეეზღუდებოდა. „145. კანონის თანახმად შედგენილი ანდერძი სხვაგვარადაც შეიძლება ძალადაკარგულად ჩაითვალოს, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ პირს, რომელმაც ანდერძი შეადგინა, სამოქალაქო უფლებები შეეზღუდა.“<sup>237</sup>

ახლად შედგენილი ანდერძი ადრე შედგენილ ანდერძს ასევე უკარგავდა ძალას, ვინაიდან ანდერძი მოანდერძის უკანასკნელი ნების გამოვლენას წარმოადგენს.

ანდერძით მემკვიდრეობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული სავალდებულო წილის საკითხი. მოანდერძეს შეეძლო თავისი

233 იქვე, გვ. 109-110.

234 იქვე, გვ. 81.

235 ხუთ მონშეს დაემატა ანდერძის დამტოვებელი და შესაბამისი მაგისტრი.

236 რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011, გვ. 81.

237 იქვე, გვ. 89.

ქონება გარეშე პირისათვის დაეტოვებინა და ამით კანონიერი მემკვიდრეები ქონების გარეშე დაეტოვებინა. ამის გამო, რომის სამართალში აღიარებული იქნა უახლოეს ნათესავთა უფლება, მიიღონ მამკვიდრებლის ქონებიდან გარკვეული წილი. ასეთ უახლოეს ნათესავებად, უპირველეს ყოვლისა, ითვლებოდნენ სამკვიდროს დამტოვებლის შვილები, რომლებიც მამის ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდნენ. თუმცა პრეტორმა გააფართოვა ეს წრე და მათ რიცხვში ემანსიპირებული შვილებიც შეიყვანა. მათი არყოლის შემთხვევაში სამკვიდროს დამტოვებლის და-ძმებსაც შეეძლოთ მოეთხოვათ სავალდებულო წილი. კანონით მემკვიდრეს არ შეეძლო მიეღო იმ ქონების 1/4-ზე ნაკლები, რასაც ანდერძის არარსებობის შემთხვევაში მიიღებდა.

### 9.3 კანონით მემკვიდრეობა

კანონით მემკვიდრეობის საკითხი რომის სამართალში პირობითად სამ პერიოდად უნდა განვიხილოთ: 1) XII ტაბულის კანონების მიხედვით; 2) პრეტორული სამართლის მიხედვით და 3) იუსტინიანეს კანონმდებლობის მიხედვით.

**XII ტაბულის კანონების მიხედვით** პირველ რიგში მემკვიდრეებად მამკვიდრებლის ხელისუფლების ქვეშ მყოფი შვილები და დაღმავალი ხაზის (მათ შორის ცოლი და პოსტუმი<sup>238</sup>) სხვა წარმომადგენლები განიხილებიან. მათი არყოლის შემთხვევაში ქონება აგნატებზე გადადიოდა, ამ შემთხვევაში უპირატესობა უახლოესი ხარისხის აგნატებს ენიჭება. თუ სახეზე აგნატებიც არ იყვნენ, მაშინ ქონება გვარის წევრებზე გადადიოდა.

„1. უანდერძოდ გარდაცვლილების სამკვიდრო, თორმეტი ტაბულის (დაფის) კანონის მიხედვით, პირველ რიგში, „თავის“ (უახლოეს) მემკვიდრეებს ეკუთვნის.

2. ხოლო „თავის მემკვიდრეებად“ ის პირები განიხილებიან, რომლებიც გარდაცვალებისას [გარდაცვლილი პირის] ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდნენ, მაგალითად, ვაჟიშვილი, ქალიშვილი; [ვაჟიშვილებისაგან გაჩენილი] შვილიშვილები, ვაჟები და ქალები; შვილიშვილი ვაჟისაგან გაჩენილი შვილიშვილის შვილე-

238 მამის გარდაცვალების შემდგომ დაბადებული შვილი.

ბი, ვაჟები და ქალები; მამრობითი სქესის დამავალი [აგნატების] შთამომავლები, ვაჟები ან ქალები; და არა აქვს მნიშვნელობა, ისინი ღვიძლი ბავშვები არიან თუ შვილად აყვანილები. ხოლო ორივე სქესის შვილიშვილები და შვილიშვილის შვილები მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლებიან თავის მემკვიდრეებად, თუ წინამორბედი პირი შეწყვეტს მშობლის ხელისუფლების ქვეშ ყოფნას, გინდ ეს გარდაცვალების გამო მოხდეს და გინდაც რაიმე სხვა მიზეზით, მაგალითად, ემანციპაციის საფუძველზე. ამიტომ თუ ვაჟიშვილი იმ დროს, როდესაც [მამა] კვდება, მის ხელისუფლებას ექვემდებარება, მაშინ მისი შვილიშვილი ვაჟი „თავისი“ მემკვიდრე ვერ გახდება. და უნდა მივიჩნიოთ, რომ ეს [წესი] მომდევნო (დამავალი) რიგის [ხარისხის] ბავშვებზეც ვრცელდება.

3. ასევე ცოლიც, რომელიც ქმრის გარდაცვალების დროს მის ხელისუფლებას ექვემდებარება, ქმრის „თავისი“ (უახლოესი) მემკვიდრეა, რადგან იგი ქალიშვილის ადგილს იკავებს. ასევე რძალიც, რომელიც ვაჟიშვილის ხელისუფლებას ექვემდებარება, [უახლოეს მემკვიდრედ განიხილება], რადგან მას შვილიშვილი ქალის ადგილი უკავია. მაგრამ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება „თავისი“ (უახლოესი) მემკვიდრე, თუ ვაჟიშვილი, რომლის ხელისუფლებასაც ის ექვემდებარება, მამის გარდაცვალებისას მისი (მამის) ხელისუფლების ქვეშ არ იქნება. იგივე შეიძლება ითქვას იმ ქალზეც, რომელიც ქორწინების საფუძველზე შვილიშვილი ვაჟის ხელისუფლების ქვეშ [in manu] იმყოფება, რადგან იგი ქალის შვილიშვილის შვილის ქალის ადგილს იკავებს.

4. ასევე ის პოსტუმებიც, რომლებიც მშობლის სიცოცხლეში დაბადების შემთხვევაში მისი (მშობლის) ხელისუფლების ქვეშ იქნებოდნენ, თავისი (უახლოესი) მემკვიდრეები არიან.<sup>239</sup>

„7. ამრიგად, როდესაც სახეზეა, ერთი მხრივ, ვაჟიშვილი და ქალიშვილი, და, მეორე მხრივ, ორივე სქესის შვილიშვილები მეორე ვაჟიშვილისაგან, მაშინ მათ მემკვიდრეებად თანაბრად იწვევენ და ხარისხით უფრო ახლობელი შორეულს არ გამორ-

239 იქვე, გვ. 124-125.

იცხავს, ვინაიდან სამართლიანად არის მიჩნეული, რომ შვილიშვილებმა, ვაჟებმა და ქალებმა, თავიანთი მამის ადგილი დაიკა-  
ვონ. და მისი წილი [მიიღონ] მსგავს საფუძველზე მემკვიდრეებად  
ერთდროულად ინვევენ ვაჟიშვილისაგან [გაჩენილ] ორივე სქე-  
სის შვილიშვილებს და ვაჟი შვილიშვილისაგან [გაჩენილ] ორივე  
სქესის შვილიშვილის შვილებს.

8. და ვინაიდან მიღებული იყო, რომ ორივე სქესის შვილიშ-  
ვილები ისევე, როგორც ორივე სქესის შვილიშვილი შვილები,  
სამკვიდროს თავიანთი მშობლის ნაცვლად იღებენ, შესაფერი-  
სად ჩაითვალა, რომ სამკვიდრო გაეყოთ არა პირების, არამედ  
თაობების მიხედვით ისე, რომ ვაჟიშვილმა სამკვიდროს ერთი  
ნახევარი მიიღოს, და მეორე ვაჟიშვილისაგან [გაჩენილმა] ორმა  
ან რამდენიმე შვილიშვილმა – მეორე ნახევარი. ამის მსგავსად,  
თუ სახეზეა შვილიშვილები ორივე ვაჟიშვილისაგან, და ერთ ვა-  
ჟიშვილის, ვთქვათ, ერთი ან ორი შვილი [დარჩა], მეორეს კი –  
სამი ან ოთხი, მაშინ ერთი ვაჟიშვილის ერთ ან ორ შვილს სამ-  
კვიდროს ერთი ნახევარი ეკუთვნის და მეორე ვაჟიშვილს სამ ან  
ოთხ შვილს – სამკვიდროს მეორე ნახევარი.

9. თუ არც ერთი „თავისი“ მემკვიდრე არ არსებოს, მაშინ  
იმავე თორმეტი ტაბულის (დაფის) კანონის თანახმად სამკვირო  
აგნატებს ეკუთვნის.

11. მაგრამ თორმეტი ტაბულის (დაფის) კანონი სამკვიდროს  
ყველა აგნატს ერთდროულად არ აძლევს, არამედ მხოლოდ იმ  
პირებს, რომლებიც იმ დროს, როდესაც გაირკვა, რომ პირი  
უანდერძოდ გარდაიცვალა, ამ პირის უახლოესი ხასისხის [ნა-  
თესავები] არიან.<sup>240</sup>

„16. თუ გარდაცვლილს არც ერთი ძმა არ ჰყავს, არამედ  
[ჰყავს] მხოლოდ ძმების შვილები, სამკვიდრო ყველას ეკუთ-  
ვნის. მაგრამ ისმის კითხვა: თუ ძმებმა სხვადასხვა რაოდენობის  
ბავშვები გააჩინეს; მაგალითად, ერთმა ერთი ან ორი [ბავშვი],  
მეორემ კი – სამი ან ოთხი, მაშინ სამკვიდრო თაობებზე უნდა  
განაწილდეს, როგორც ეს კანონით „თავის“ (უახლოეს) მემ-  
კვიდრეებს შორის ხდება, თუ უმჯობესია [სამკვიდროს] პირებ-

240 იქვე, გვ. 125-126.

ზე თითოეულ ამ პირზე ცალ-ცალკე განანილება მაგრამ უკვე დიდი ხანია დადგენილია, რომ სამკვიდრო თითოეულ პირზე ცალ-ცალკე უნდა განანილდეს. ამრიგად, სამკვიდროს ყოფენ იმდენ ნაწილად, რამდენი პირის არის ორივე მხარეს, ასე რომ, თითოეული თავის ცალკე წილს მიიღებს.

17. თუ [გარდაცვლილს] არც ერთი აგნატი არ დარჩა, მაშინ იგივე თორმეტი ტაბულის (დაფის) კანონი მემკვიდრეობაზე „გვარის წევრებს“ (gentiles) იწვევს...

18. ასეა განსაზღვრული თორმეტი ტაბულის (დაფის) კანონით უანდერძოდ [გარდაცვლითა] დატოვებული სამკვიდროს სამართალი და ყველსათვის ადვილი გასაგებია, თუ რამდენად მკაცრი იყო ეს სამართალი.

19. ასე მაგალითად, ამ კანონით მშობლის ხელისუფლებიდან განთავისუფლებულ ბავშვებს მშობლის სამკვიდროზე არანაირი უფლება არ გააჩნიათ, რადგან ისინი „თავის“ (უახლოეს) მემკვიდრეებად ყოფნას წყვეტენ.

21. ასევე ამ კანონით მემკვიდრეობაზე არ იწვევენ იმ აგნატებს, რომლებსაც სამოქალაქო უფლებები შეუზღუდეს, რადგან სამოქალაქო უფლებების შეზღუდვის შემთხვევაში აგნატობა ისპობა.

22. ასევე, თუ უახლოესმა აგნატმა სამკვიდრო არ მიიღო, მაშინ რიგით მომდევნოს ამ კანონით მემკვიდრეობაზე არ იწვევენ.<sup>241</sup>

**პრეტორული სამართლით** პირველი რიგის მემკვიდრეებად შვილები (მათ შორის ემანსიპირებული) გამოდიან.

„25. მაგრამ კანონის ეს ზედმეტი სიმკაცრე პრეტორის ედიქტით იქნა გამოსწორებული.

26. საქმე ისაა, რომ ბავშვს, რომელსაც კანონით [მემკვიდრეობის] უფლება არა აქვს, პრეტორი მემკვიდრეებად იწვევს ისე, თითქოს ისინი მშობლის გარდაცვალების დროს მის ხელისუფლებას ექვემდებარებოდნენ. [და არა აქვს მნიშვნელობა] ისინი მარტონი არიან თუ „თავის“ (უახლოეს) მემკვიდრეებთან ერთად, ე.ი. მათთან ერთად, ვინც მშობლის ხელისუფლების ქვეშ

---

241 იქვე, გვ. 127-128.

იმყოფება.<sup>242</sup>

მეორე რიგის მემკვიდრეებად განისაზღვრა გარდაცვლილის აგნატები, ასევე გვარის წევრები; ისინი მემკვიდრეობას მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებდნენ, თუ სახეზე არ იყვნენ პირველი რიგის მემკვიდრეები;

მესამე რიგის მემკვიდრეებად განისაზღვრა გარდაცვლილის კოგნატები, ანუ სისხლით ნათესავეები, როგორც პირდაპირი ისე გვრდითი ხაზისა მე-6 ხარისხის ჩათვლით;

მეოთხე რიგის მემკვიდრე იყო ცოცხლად დარჩენილი მეუღლე.

იუსტინიანეს კანონმდებლობის მიხედვით, პირველი რიგის მემკვიდრეებად დაღმავალი ხაზის ნათესავეები განისაზღვრა, ანუ სამკვიდროს დამტოვებლის შვილები, შვილიშვილები და ა.შ.

მეორე რიგის მემკვიდრეებად – აღმავალი ხაზის ნათესავეები და ღვიძლი და-ძმა და მათი შვილები;

მესამე რიგის მემკვიდრეებად – ნახევარ და-ძმა და მათი შვილები;

მეოთხე რიგი – კოგნატები;

მეხუთე რიგი – ცოცხლად დარჩენილი მეუღლე.

---

242 იქვე, გვ. 128.

## 10. სისხლის სამართალი

სამართალდარღვევები ორ ჯგუფად იყოფოდა, *delicta publica* და *delicta privata*. საჯარო დელიქტებმა გვიანდელი რესპუბლიკის ხანაში მიიღეს სახელწოდება *crimina*. ეს ქმედება სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. დანაშაულთა კატეგორიაში განიხილებოდა ასევე სამართალდარღვევები, რომლებიც, მართალია, ცალკეულ პირთა წინააღმდეგაა მიმართული, მაგრამ ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს.

სისხლის სამართლის სფეროში არ არსებობდა უნიფიცირებული კანონმდებლობა. მაგისტრატებს შეეძლოთ დაედოთ სასჯელი გარკვეული სამართალდარღვევების შემთხვევაში. იმპერიის ხანაში ჩნდება ცალკეული კანონები, რომლებიც აწესებენ სხვადასხვა დანაშაულის დასჯადობას. იმპერატორების კონსტიტუციებით გათვალისწინებულმა დანაშაულებმა მიიღეს სახელწოდება *crimina exstraordinaria*.

რომის სამართლის განვითარების კლასიკურ ხანაში დამუშავდა ბრალის ფორმებთან დაკავშირებული საკითხები, დანაშაულის მომზადების საკითხი, განისაზღვრა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი (მაგ. მცირეწლოვნება) და გამომრიცხავი (მაგ. შეშლილობა) გარემოებები.

### 10.1 სასჯელთა სახეები

რომის სამართალი ერთმანეთისაგან ასხვავებდა ა) მძიმე სასჯელებს, როგორც იყო სიკვდილით დასჯა, გაძევება, სამადნოებში მუშაობის მისჯა; და ბ) დანარჩენ სასჯელებს – ჯარიმა, სხეულებრივი სასჯელები და სხვა.

სიკვდილით დასჯის შემდეგი სახეები არსებობდა:

- მახვილით თავის მოკვება;
- განკეპლა და შემდეგ ტომარაში ძალღებანი, მამალთან, გველთან ან მაიმუნთან ერთად ჩაგდება და ზღვაში გადაგდება;
- ქურუმი ქალის მიერ უმანკოების დარღვევისათვის – ცოცხლად დამარხვა;

- რომელი ქალის შეცდენისათვის – სასიკვდილოდ გაჯობვა;
  - მონებისათვის – კლდიდან გადაგდება;
- იმპერიის ხანაში გამოიყენებოდა ასევე:
- ცოცხლად დაწვა;
  - ჯვარცმა;
  - ცხოველებისათვის მიგდება;
  - გლადიატორად გამოსვლა.

**გაძევება და გასახლება** რომში „ცეცხლისა და წყლის აკრძალვა“ (aqua et ignis interdictio). იმპერიის ხანაში გაძევება იცვლება გადასახლებით ან განდევნით, გარკვეული ვადით ან უვადოდ. განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ განდევნილი არ კარგავდა მოქალაქეობას, გადასახლებული კი მოექცეოდა პერეგრინთა უფლებრივ მდგომარეობაში. ამავე კატეგორიაში გადიოდა სამადნო სამუშაოების მისჯა – განასხვავებდნენ ბორკიდადებულებსა და უბორკილოებს, გარკვეული ვადითა და უვადოდ დასჯილებს. უვადოდ დასჯილნი კარგავდნენ მოქალაქეობას.

**სხეულებრივ სასჯელებს** განეკუთვნებოდა ცემა (მაგ. ნიკეპლის ან ჯოხის მეშვეობით).

**უფლების ჩამორთმევა**, შეიძლებოდა პირს აკრძალვოდა საპატიო თანამდებობის დაკავება, სასამართლოში სხვისი საქმეების წარმოება, სახელმწიფო ქონების დაქირავება და სხვა.

**ჯარიმა** გამოიყენებოდა ასევე, როგორც სასჯელის ერთ-ერთი ფორმა. ჯარიმის დადება ყველა მაგისტრატს შეეძლო. თავიდან ჯარიმას პირუტყვის სახით ახდევინებდნენ, მოგვიანებით კი – ფულადი სახით.

**ქონების კონფისკაცია** იმპერიის ხანაში ფართოდ გავრცელდა და გულისხმობდა მსჯავრდებულის მთელი ქონების ან მისი ნაწილის ხაზინის (ფისკის) სასარგებლოდ ჩამორთმევას.

## 10.2 დანაშაულის სახეები

რომაული სისხლის სამართალი არ იცნობს დანაშაულთა კლასიფიკაციას, თუმცა შესაძლებელია მათი ცალკეული სახ-

ეები გამოყოფა.

1. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. მათ რიცხვს ჯერ კიდევ XII ტაბულის კანონების შემოღების პერიოდთან განეკუთვნებოდა სახელმწიფოს ლალატი და აჯანყება. შემდგომ პერიოდში ამას დაემატა ასევე – ომის თვითნებური წარმოება, მაგისტრატის მკვლელობა, ამბოხებისაკენ ნაქეზება, სახელმწიფო დოკუმენტების გაყალბება და სხვა.

2. პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. დანაშაულთა ამ ჯგუფს განეკუთვნებოდა მკვლელობა (დამამძიმებელ გარემოებას განეკუთვნებოდა ნათესავის მკვლელობა ან სანამლავის მეშვეობით ჩადენილი მკვლელობა), ცეცხლის ნაკიდება, იარაღის ტარება მკვლელობის ჩასადენად, სხეულის დაზიანება (დაჭრა), ძალადობა, თავისუფალ ადამიანთა გატაცება. ამავე კატეგორიაში გადიოდა ასევე ისეთი დანაშაულები, როგორიც იყო ცოლის ლალატი, ქალიშვილის გარყვნილი ქმედება, არასრულწლოვანი ქალიშვილის შეცდენა, გაუპატიურება, მაჭანკლობა, აბორტი და სხვა.

3. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. ამ კატეგორიის დანაშაულებს მიეკუთვნებოდა: სახელმწიფო ქონების ქურდობა; მკრეხელობა (საღვთო ან რელიგიური ნივთების მიტაცება); მექრთამეობა; ცეცხლის ნაკიდება ძარცვის მიზნით; პირუტყვის მოტაცება; სასაზღვრო ნიშნების მოსპობა ან გადანაცვლება; გაყალბება და სხვა.

## ბიბლიოგრაფია

### პირველწყაროები:

1. პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1975
2. რომის სამართლის ძეგლები. გაიუსის ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011.
3. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. შესავალი კონსტიტუციები, წიგნი პირველი, წიგნი მეორე ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012.
4. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი მესამე, წიგნი მეოთხე ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2013.
5. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი მეხუთე, წიგნი მეექვსე, წიგნი მეშვიდე, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014.
6. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი მერვე, წიგნი მეცხრე, წიგნი მეათე, წიგნი მეთერთმეტე, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015.
7. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს დიგესტები. წიგნი ოცდამესამე. ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, ნეკერი, 2001.

8. რომის სამართლის ძეგლები. იუსტინიანეს ინსტიტუციები, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. სურგულაძემ, თბილისი, მერიდიანი, 2002.
9. ИСТОРИКИ РИМА, переводы с латинского, Москва, 1969 г.

### სახელმძღვანელოები

1. გარიშვილი მ., ხოფერია მ., რომის სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2013 წ.
2. დერნბურგი ჰ., პანდექტები, ტომის პირველი, ზოგადი ნაწილი, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, ტფილისი 1928. ასლი გამოიცა გამომცემლობა ბონა კაუზა, თბილისი, 2014 წ.
3. მეტრეველი ვ., რომის სამართალი (საფუძვლები), გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2013.
4. ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართალი, გამომცემლობა ბონა კაუზა, თბილისი, 2001 წ.
5. პერეტერსკი ი.ს., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, ნაწილი 1, ძველი სამყარო, ნაკვეთი 2, ძველი რომი, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 1947წ.
6. სერგეევი ვ.ს., ძველი რომის ისტორიის ნარკვევები, ნაწილი I, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1940.
7. წერეთელი ალ., ძველი რომის ისტორია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1992.
8. *Барон Ю., Система римского гражданского права в шести книгах, Санкт-Петербург. Юридический центр Пресс, 2005.*
9. *Бартошек М., Римское право. Понятия, термины, определения, Москва, Юридическая литература, 1989.*
10. *Гарсиа-Гарридо М. Х., Римское частное право: Казусы, иски, институты, перев. с испанского, ответ. ред. Кофанов Л.Л., Москва, Статут, 2005.*

11. *Гримм Д.Д., Лекции по догме римского права, под ред. Томсинова В.А., Москва, Зерцало, 2003.*
12. *Дождев Д.В., Римское частное право, учебник для ВУЗов, Москва, Норма, 2004.*
13. *Dulckeit G., Schwarz F., Waldstein W., Römische Rechtsgeschichte, 9. Auflage, C.H.Beck'sche Verlagsbuchhandlung, München, 1995.*
14. *Hausmaninger H., Selb W., Römisches Privat Recht, 9. Auflage, Böhlau Verlag, Wien, Köln, Weimar, 2001.*
15. *Meincke J. P., Römisches Privatrecht, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2016.*



9789941345302